

საქციო საზოგადოება

„გრინ დაზღვევა საქართველო“

(საიდენტიფიკაციო კოდი 404990435)

აქციების საბოლოო შეთავაზების პირობების დოკუმენტი

შეთავაზების პირობების დოკუმენტი წარმოადგენს აქციების საჯარო შეთავაზების და განთავსების პროსპექტის პირობების დოკუმენტს.

ფასიანი ქაღალდის დასახელება	სს „გრინ დაზღვევა საქართველო“ ჩვეულებრივი კლასის, B ჯგუფის აქციები
ემიტენტის დასახელება, სამართლებრივი ფორმა, საიდენტიფიკაციო ნომერი და საკონტაქტო ინფორმაცია	საქციო „გრინ დაზღვევა საქართველო“ საიდენტიფიკაციო კოდით 404990435, მის: ა. კალანდაძის ქუჩა N4, თბილისი, საქართველო.; ტელ: +995 32 224 44 34; ელ-ფოსტა: info@greenig.ge
განთავსების აგენტის/შეთავაზების განმახორციელებელი პირის დასახელება და საკონტაქტო ინფორმაცია	სს „გალტ ენდ თაგარტი“; (ს/ნ 211359206), მის: საქართველო, თბილისი 0179, აღმაშენებლის გამზ. N79, ტელ: (995 32) 2444-132 (995 32) 24401-111; ელ-ფოსტა: st@gt.ge
პროსპექტისა და შეთავაზების პირობების დოკუმენტის დამტკიცებაზე პასუხისმგებელი ორგანოს დასახელება და საკონტაქტო ინფორმაცია	საქართველოს ეროვნული ბანკი, სანაპიროს 2, თბილისი, 0114 ტელ: +995 322 406 406; ელ-ფოსტა: info@nbg.gov.ge; ვებ-გვერდი: www.nbg.gov.ge
პროსპექტის დამტკიცების თარიღი	26 ნოემბერი, 2020
შეთავაზების პირობების დოკუმენტის დამტკიცების თარიღი	7 დეკემბერი, 2020
ემისიის სახელმწიფო რეგისტრაციის ნომერი	GE 1100003965 - 1 - 01
ემისიის საერთაშორისო რეგისტრაციის ნომერი	GE 1100003965 (ISJN/ISSN)

შეთავაზების დოკუმენტი წარმოადგენს პროსპექტის განუყოფელ ნაწილს.

დამტკიცებულია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ

2020 წლის 7 დეკემბერი



საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ემისიის პროსპექტის დამტკიცება შეეხება პროსპექტის ფორმას და იგი არ შეიძლება განხილულ იქნეს, როგორც დასკვნა მისი შინაარსის სისწორის ან მასში აღწერილი ინვესტიციების ღირებულებების შესახებ.

დოკუმენტის მოწადებაზე პასუხისმგებელი პირები

ეკა ცენტერაძე - სს „გრინ დაზღვევა საქართველო“ გენერალური დირექტორი


ლევან ელიაური - სს „გრინ დაზღვევა საქართველო“ ფინანსური დირექტორი

ხელმოწერილია სს „გრინ დაზღვევა საქართველო“ სახელით:

ხელმოწერი:

სახელი, გვარი: დიმიტრი ქუმსიშვილი

თანამდებობა: სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე


ხელმოწერა: 

თარიღი: 30/11/2020

ხელმოწერი:

სახელი, გვარი: ეკა ცენტერაძე

თანამდებობა: გენერალური დირექტორი


ხელმოწერა: 

თარიღი: 30/11/2020

ხელმოწერი:

სახელი, გვარი: ლევან ელიაური

თანამდებობა: ფინანსური დირექტორი

ხელმოწერა: 


თარიღი: 30/11/2020

ხელმოწერილია სს „გალტ ენდ თაგარტის“ სახელით:

ხელმოწერი:

სახელი, გვარი: ოთარ შარიქაძე

თანამდებობა: მმართველი დირექტორი

ხელმოწერა: 

თარიღი: 30/11/2020

ფასიანი ქალაქებთან დაკავშირებული ინფორმაცია:

ფასიანი ქალაქის ძირითადი მახასიათებლები:

	განთავსებული აქციების საჯარო შეთავაზება	განუთავსებელი აქციების საჯარო განთავსება
აქციების კლასი და ტიპი	ჩვეულებრივი, B ჯგუფის, ხმის უფლების მქონე აქციები	
აქციის ფორმა	არამატერიალიზირებული, ანუ აქციის რეგისტრირებულ მესაკუთრეებად მიიჩნევიან, რეგისტრატორის მიერ წარმოებულ ფასიანი ქალაქების (აქციათა) რეესტრში და ნომინალური მფლობელების ჩანაწერებში (სუბრეესტრებში) რეგისტრირებული აქციების მესაკუთრეები	
ინსტრუმენტი	ჩვეულებრივი კლასის აქცია	
აქციების გამოშვების თარიღი	2020 წლის 27 თებერვალი	2020 წლის 10 სექტემბერი
მთლიანი საჯარო შეთავაზების ნომინალური ღირებულება	4,000,000 (ოთხი მილიონი) ლარი	5,000,000 (ხუთი მილიონი) ლარი
აქციების ვალუტა	აქციები დენომინირებულია ლარში	
აქციის ნომინალური ღირებულება	1 (ერთი) ლარი	1 (ერთი) ლარი
აქციების რაოდენობა	4,000,000 (ოთხი მილიონი) ცალი	5,000,000 (ხუთი მილიონი) ცალი
ფასიანი ქალაქების რიგითობა კაპიტალის სტრუქტურაში გადახდისუნარობის / გაკოტრების შემთხვევაში	გაკოტრების შემთხვევაში, ფასიანი ქალაქების მფლობელები დაკმაყოფილებიან ჩვეულებრივი აქციების შესაბამისი, კანონმდებლობით გათვალისწინებული რიგითობის მიხედვით - მეექვსე რიგი, კრედიტორების უზრუნველყოფილი და არაუზრუნველყოფილი მოთხოვნებისა და პრივილეგირებული აქციების მფლობელი ინვესტორების (პროსპექტის წარდგენის თარიღისთვის კომპანიას არ აქვს გამოშვებული პრივილეგირებული აქციები) დაკმაყოფილების შემდგომ;	
ფასიანი ქალაქების თავისუფალი მიმოქცევის ნებისმიერი შეზღუდვა	ფასიანი ქალაქების მიმოქცევა შეზღუდული არ არის შენიშვნა: სს „მეტრო აერასია ინვესტმენტი ჯორჯია“-ს (გამსესხებელი) და „შპს ახალი საინვესტიციო შესაძლებლობებს“ (მსესხებელი) შორის 2020 წლის იანვარსა და მაისში დაიდო გრძელვადიანი სასესხო ხელშეკრულებები. მიღებული ფულადი სახსრებით სრულად განხორციელდა „შპს ახალი საინვესტიციო შესაძლებლობები“-ს მიერ სს „გრინ დაზღვევა საქართველო“-ს აქციების 50%-იანი წილის შესყიდვა. აღნიშნული სასესხო ხელშეკრულება ითვალისწინებს მსესხებლის მფლობელობაში არსებული აქციების უზრუნველყოფაში დატვირთვას გამსესხებლის სასარგებლოდ. (დეტალური ინფორმაცია გთხოვთ იხილოთ პროსპექტში)	
დივიდენდების გაცემის პოლიტიკა	დივიდენდები გადახდილი იქნება თითოეული აქციონერის პროპორციული წილის შესაბამისად. დივიდენდების განაწილების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს აქციონერთა კრება. კომპანიას არ აქვს გაცხადებული დივიდენდების გაცემის პოლიტიკა.	

შეთავაზების შესახებ ინფორმაცია:

	არსებული აქციების დაშვება სავაჭრო სისტემაში	განუთავსებელი აქციების განთავსება
შეთავაზება	4,000,000 ლარის ჯამური ნომინალური ღირებულების ჩვეულებრივი კლასის, B ჯგუფის ფასიანი ქაღალდები (აქციები)	5,000,000 ლარის ჯამური ნომინალური ღირებულების ჩვეულებრივი კლასის, B ჯგუფის ფასიანი ქაღალდები (აქციები)
საჯარო შეთავაზების პერიოდი	საბოლოო პროსპექტის დამტკიცებიდან 12 თვის განმავლობაში.	
ემისიის დამტკიცების შესახებ პარტნიორთა (აქციონერთა) კრების ოქმებისა და ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებების მითითება;	აქციონერთა კრების მიერ 2020 წლის 27 თებერვალს გაფორმებული ოქმის (N200211744) თანახმად.	აქციონერთა კრების მიერ 2020 წლის 3 აგვისტოს გაფორმებული ოქმის (N200508772) თანახმად.
აქციათა საჯარო შეთავაზების შესახებ პარტნიორთა (აქციონერთა) კრების ოქმებისა და ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებების მითითება;	აქციონერთა კრების მიერ 2020 წლის 3 აგვისტოს გაფორმებული ოქმის (N200508772) თანახმად. სამეთვალყურეო საბჭოს მიერ 2020 წლის 18 სექტემბერს გაფორმებული ოქმი (N7) თანახმად.	
საქართველოს საფონდო ბირჟაზე სავაჭროდ დაშვების პირობები	<p>საქართველოს საფონდო ბირჟის ლისტინგის დებულების თანახმად (B ლისტინგის კატეგორიაში წილობრივი ფასიანი ქაღალდებისთვის):</p> <ul style="list-style-type: none"> • საკუთარი კაპიტალის ოდენობა - არანაკლებ 500 ათასი ლარი • ზარალის გარეშე მუშაობა 1 წელი მაინც ბოლო 3 წლიდან • გამოშვებული ფასიანი ქაღალდების რაოდენობა - არანაკლებ 5 ათასი • ემიტენტი საწარმოების მიერ ბუღალტრული აღრიცხვის წარმოება ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (ბასს) შესაბამისად • ფინანსური ანგარიშების ჩაბარება და გამოქვეყნება ვებ-გვერდზე; • აქციების საბაზრო კაპიტალიზაცია არანაკლებ 500 ათასი ლარი; • საბირჟო წლიური ბრუნვა სავაჭრო სესიაზე დადებული გარიგებებიდან ყოველი კალენდარული წლის შედეგების მიხედვით - არანაკლებ 100 ათასი ლარი, ან 5% გამოშვებული აქციებიდან • ბირჟაზე დადებული გარიგებების ყოველთვიური ბრუნვა, გაანგარიშებული როგორც უკანასკნელი 6 თვის საშუალო თვიური მაჩვენებელი - არანაკლებ 2 ათასი ლარი, ან 0.25% გამოშვებული აქციებიდან • თავისუფალი ბრუნვის კოეფიციენტი - არანაკლებ 5% გამოშვებული აქციებიდან ან თავისუფალი ბრუნვის კოეფიციენტით განსაზღვრული აქციების საბაზრო კაპიტალიზაცია არანაკლებ 5,000 ათასი ლარი <p>დეტალებისთვის, გთხოვთ იხილოთ საქართველოს საფონდო ბირჟის ლისტინგის დებულება შემდეგ მისამართზე https://www.gse.ge/rules</p>	
სავაჭროდ დაშვება	ემიტენტს გამიზნული აქვს წინამდებარე პროსპექტის დამტკიცების შემდგომ მიმართოს საქართველოს საფონდო ბირჟას განაცხადით აქციების სავაჭრო სისტემაში და საფონდო ბირჟის ლისტინგში დაშვების თაობაზე	
გამოშვების საორიენტაციო ფასი *	აქციის მოსალოდნელი ფასია 1.08 – 1.20 ლარის დიაპაზონში (დაანგარიშების მეთოდოლოგია იხ. ქვემოთ).	
განთავსების საკომისიო	-	განთავსების საკომისიო არ აღემატება განთავსებული აქციების 3%-ს. საკომისიოს სრულად ფარავს ემიტენტი და ინვესტორებზე არ

		იქნება დაკისრებული არანაირი ხარჯი.
საჯარო განთავსების შედეგად მოზიდული წმინდა სახსრები		გამოშვების ფასის დიაპაზონის გათვალისწინებით განთავსების შედეგად წმინდა მოზიდული სახსრები იქნება 5,238 ათასიდან 5,820 ათასამდე.
შეთავაზების შედეგად წარმოშობილი აქციების წილის განზავების მოსალოდნელი ოდენობა და პროცენტული მაჩვენებელი	შეთავაზების შედეგად ხდება გამოშვებული აქციების გასხვისება საჯარო შეთავაზების გზით და არ ხდება ახალი აქციების ემისია. შესაბამისად შეთავაზების შედეგად არ ხდება აქციების წილის განზავება.	სააქციო კაპიტალში არსებული აქციონერების წილი მცირდება 66.67%-მდე. ხოლო ხმის უფლება მცირდება 87%-მდე. დეტალური ინფორმაცია იხილეთ აქციების საჯარო შეთავაზების პროსპექტის ქვეთავში „წილის განზავება“
ერთ აქციაზე გაანგარიშებული წმინდა აქტივების კოეფიციენტი (2020 წლის 31 მაისის მდგომარეობით, (აქტივებს მინუს ვალდებულებები, გამოშვებულ აქციებთან)	1.08 - საჯარო განთავსებასა და შეთავაზებამდე 1.19 - საჯარო განთავსებასა და შეთავაზების შემდეგ	

(*) მოსალოდნელი შეთავაზების ფასის ქვედა ზღვარი წარმოადგენს 2020 წლის 31 მაისის მდგომარეობით ერთ აქციაზე გაანგარიშებული წმინდა აქტივების კოეფიციენტს (1.08 ლარი/აქცია) (კომპანიის კაპიტალი შეფარდებული გამოშვებული აქციების რაოდენობასთან).

მოსალოდნელი შეთავაზების ფასის ზედა ზღვარი ეფუძნება 2020 წლის თებერვალში განხორციელებულ ტრანზაქციას, რომლის მიხედვითაც მოხდა კომპანიის აქციების 100%-ის გაყიდვა შპს „საინვესტიციო შესაძლებლობებსა“ და სს „მეტრო აერასია ინვესთმენტ ჯორჯიაზე“. აღნიშნული ტრანზაქციისთვის საბაზრო ფასი წარმოადგენდა 1.71 ლარი/აქციაზე, ხოლო Price to Book კოეფიციენტი შეადგენდა 1.11 ლარი/აქციაზე. (1.71 ლარი/აქცია შეფარდებული 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებული წმინდა აქტივების კოეფიციენტზე 1.54 ლარი/აქციაზე.)

მოსალოდნელი შეთავაზების ფასის ზედა ზღვრის დასადგენად აღნიშნული Price to Book კოეფიციენტი მიეუყენეთ 2020 წლის 31 მაისის მდგომარეობით არსებულ წმინდა აქტივების კოეფიციენტს და დავითვალეთ სავარაუდო აქციის ფასი: 1.20 ლარი/აქცია (1.11 ლ/აქცია x 1.08 ლ/აქცია).

ვინაიდან პროსპექტის გამოშვების თარიღისთვის ემიტენტის აქციებისთვის არ არსებობს აქტიური ბაზარი და ვერ ხერხდება აქციის საბაზრო ფასის სიზუსტით დადგენა, ემიტენტის აქციებით განხორციელებული უახლესი ტრანზაქცია მიახლოებითი ინდიკატორია მოსალოდნელი შეთავაზების ფასის.

სააქციო საზოგადოება

„გრინ დაზღვევა საქართველო“

(საიდენტიფიკაციო კოდი 404990435)

აქციების საჯარო შეთავაზებისა და განთავსების პროსპექტი

5,000,000 ლარის ჯამური ნომინალური ღირებულების, თითო აქციაზე თითო ხმის უფლების მქონე, ჩვეულებრივი კლასის, B ჯგუფის აქციების („ახალი აქციები“) საჯარო განთავსება და არსებული 4,000,000 ლარის ჯამური ნომინალური ღირებულების, თითო აქციაზე თითო ხმის უფლების მქონე, ჩვეულებრივი კლასის, B ჯგუფის აქციების („არსებული აქციები“) საჯარო შეთავაზება. თითო აქციის ნომინალური ღირებულებაა: 1 (ერთი) ლარი.

კომპანია საორიენტაციო სავაჭრო ფასს განიხილავს 1 აქციაზე 1.08 – 1.20 ლარის დიაპაზონში. აქციების საქართველოს საფონდო ბირჟაზე სავაჭროდ დაშვებაც განხორციელდება მითითებული დიაპაზონის ფარგლებში.

საორიენტაციო სავაჭრო ფასის დიაპაზონის ქვედა ზღვარი წარმოადგენს 2020 წლის 31 მაისის მდგომარეობით ერთ აქციაზე გაანგარიშებული წმინდა აქტივების კოეფიციენტს, ხოლო ზედა ზღვარი ეფუძნება 2020 წლის თებერვალში კომპანიის აქციებით განხორციელებულ ტრანზაქციას. აღნიშნული შეფასების დეტალური კალკულაციის მეთოდოლოგია გამჟღავნებულია „აქციების შეთავაზების პირობების დოკუმენტში“. კალკულაციაში ნაგულისხმევია, რომ AA, A და B ჯგუფის აქციებს თანაბარი ფასი აქვთ და AA და A ჯგუფის აქციების საკონტროლო პრემიუმი (control premium) ფასის დათვლის მიზნებისთვის არ არის გათვალისწინებული. თუმცა, იქიდან გამომდინარე, რომ AA ჯგუფის აქციას აქვს 15 ხმის უფლება, ხოლო A და B ჯგუფის აქციას 1 ხმის უფლება, AA, A და B ჯგუფის აქციების საბაზრო ფასი შესაძლოა განსხვავდებოდეს).

პროსპექტის გამოშვების თარიღისთვის კომპანიას განთავსებული აქვს 10,000 ათასი ცალი აქცია, რომლის აქციონერები ფლობენ ჯამურად 33,100 ათას ხმის უფლებას. ხმის უფლებები კლასობრივად შემდეგნაირად იყოფა: AA კლასი - 24,750 ათასი ხმა (75%), A კლასი - 4,350 ათასი ხმა (13%) და B კლასი - 4,000 ათასი ხმა (12%). დეტალური ინფორმაცია მოცემულია ქვეთავში „კაპიტალი“.

2020 წლის 10 სექტემბერს კომპანიამ გააკეთა 5,000,000 ჯამური ნომინალური ღირებულების B კლასის აქციების ემისია, კომპანია გეგმავს გამოშვებული 5,000,000 ცალი აქციის საჯარო განთავსებას, რომლიდანაც მოზიდული ფულადი სახსრები მიმართული იქნება კომპანიის სამომავლო სტრატეგიასა და მიზნების განსახორციელებლად (დეტალური ინფორმაციისთვის იხ. ქვეთავი „კომპანიის სამომავლო სტრატეგია და მიზნები“); ასევე იგეგმება არსებული B კლასის განთავსებული აქციების - 4,000,000 ცალი, საჯარო შეთავაზება, ტრანზაქცია ემსახურება მხოლოდ არსებული აქციონერების კუთვნილი აქციების სავაჭროდ დაშვებას საფონდო ბირჟაზე. შესაბამისად, კომპანია აღნიშნული ტრანზაქციით ვერ მიიღებს ფულად შემოდინებას. აქციებთან დაკავშირებული ტრანზაქციების შესრულება მოხდება მხოლოდ საბროკერო და საბანკო შუამავლების მიერ.

სს „გრინ დაზღვევა საქართველო“ (შემდგომში „კომპანია“ ან „გრინ დაზღვევა საქართველო“ ან „ემიტენტი“) პასუხისმგებელია წინამდებარე პროსპექტში წარმოდგენილ ინფორმაციაზე. კომპანიის ხელთ არსებული

ინფორმაციით (რომლის სიზუსტის დასადასტურებლადაც კომპანიამ მიმართა ყველა გონივრულად შესაძლო ძალისხმევას) წინამდებარე პროსპექტში მოყვანილი მონაცემები ეფუძნება ფაქტებს და არ არის გამოტოვებული იმგვარი ინფორმაცია, რასაც შეეძლო მნიშვნელოვანი გავლენა მოეხდინა ინფორმაციის უტყუარობაზე და სისრულეზე.

ამასთან, წინამდებარე პროსპექტში შესულია კომპანიისათვის ცნობილი ყველა არსებითი ფაქტი და ადგილი არ ჰქონია ისეთი ინფორმაციის გამოტოვებას, რაც გავლენას მოახდენდა პროსპექტის შინაარსზე.

საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ პროსპექტის დამტკიცება შეეხება პროსპექტის ფორმას და იგი არ შეიძლება განხილულ იქნეს როგორც დასკვნა მისი შინაარსის სისწორის ან აქ აღწერილი ინვესტიციების ღირებულების შესახებ.

დოკუმენტის მომზადებაზე პასუხისმგებელი პირები

ეკა ცენტერაძე - სს „გრინ დაზღვევა საქართველო“ გენერალური დირექტორი


ლევან ელიაური - სს „გრინ დაზღვევა საქართველო“ ფინანსური დირექტორი

ხელმოწერილია სს „გრინ დაზღვევა საქართველო“ სახელით:

ხელმოწერი:

სახელი, გვარი: დიმიტრი ქუმსიშვილი

თანამდებობა: სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე


ხელმოწერა: 

თარიღი: 20/11/2020

ხელმოწერი:

სახელი, გვარი: ეკა ცენტერაძე

თანამდებობა: გენერალური დირექტორი


ხელმოწერა: 

თარიღი: 20/11/2020

ხელმოწერი:

სახელი, გვარი: ლევან ელიაური

თანამდებობა: ფინანსური დირექტორი

ხელმოწერა: 


თარიღი: 20/11/2020

ხელმოწერილია სს „გალტ ენდ თაგარტის“ სახელით:

ხელმოწერი:

სახელი, გვარი: ოთარ შარიქაძე

თანამდებობა: მმართველი დირექტორი

ხელმოწერა: 

თარიღი: 20/11/2020

მნიშვნელოვანი ინფორმაცია ინვესტორთათვის:

ამ დოკუმენტის კითხვის გაგრძელებამდე, პოტენციური ინვესტორი ჯერ უნდა გაეცნოს წინამდებარე დათქმას. დათქმა ეხება თანდართულ პროსპექტს (შემდგომში „პროსპექტი“) და შესაბამისად, პოტენციური ინვესტორი უპირველეს ყოვლისა გულდასმით უნდა გაეცნოს მას. პროსპექტის გაცნობით და მისი გამოყენებით (მათ შორის, ინვესტირების მიზნით) ინვესტორი თანხმობას აცხადებს, რომ დაექვემდებარება და შეასრულებს ქვემოთ მოცემულ პირობებს (დროდადრო მათში შეტანილი შესწორებებისა და ცვლილებების ჩათვლით). იმ შემთხვევაში, თუ ინვესტორს პროსპექტი მიეწოდა ელექტრონული გზავნილის ფორმით, იგი ეთანხმება, რომ ელექტრონული გზავნილი (მასზე დართული პროსპექტიტურთ) კონფიდენციალურია და მოწოდებულია მხოლოდ ადრესატისათვის. შესაბამისად, ინვესტორი ეთანხმება, რომ არც ერთ სხვა პირს არ გაუგზავნის ან მიაწვდის ელექტრონულ გზავნილს ან/და წინამდებარე პროსპექტის ელექტრონულ ვერსიას და არ გაასაჯაროებს მას.

პროსპექტის დამტკიცებაზე პასუხისმგებელი ორგანო:

საქართველოს ეროვნული ბანკი - მის. სანაპიროს ქუჩა 2, 0114, თბილისი, საქართველო. ტელ: 2 406 406. ელ-ფოსტა: info@nbg.gov.ge. ვებ-გვერდი: www.nbg.gov.ge

პასუხისმგებლობის შეზღუდვა:

საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ პროსპექტის დამტკიცება შეეხება პროსპექტის ფორმას და იგი არ შეიძლება განხილულ იქნეს როგორც დასკვნა მისი შინაარსის სისწორის ან აქ აღწერილი ინვესტიციების ღირებულების შესახებ.

ამასთანავე, გარდა იმ შემთხვევებისა, რაც შესაძლოა ცალსახად იქნას გათვალისწინებული შესაბამისი კანონმდებლობით, არც ერთი პირი, გარდა ემიტენტისა, მათ შორის, არც რეგისტრატორი, კომპანიის სხვა მრჩველები ან მათთან დაკავშირებული რომელიმე პირი, ან მათი რომელიმე დირექტორი, მრჩეველი ან აგენტი არ არიან პასუხისმგებელი წინამდებარე პროსპექტის შინაარსზე, მასში წარმოდგენილი ინფორმაციის უტყუარობაზე ან სისრულეზე, ან მათ მიერ ან მათი სახელით კომპანიასთან დაკავშირებით გაკეთებულ რომელიმე განცხადებაზე, ან წინამდებარე პროსპექტით განსაზღვრული ფასიანი ქაღალდების შეთავაზებაზე. შესაბამისად, განთავსების აგენტი და კომპანიის მრჩეველები არ იღებენ არანაირ კანონისმიერ თუ სხვაგვარ პასუხისმგებლობას წინამდებარე პროსპექტთან ან მათ რაიმე სხვა განცხადებასთან დაკავშირებით.

მოცემული შეთავაზების მიზნებისათვის, განთავსების აგენტი მოქმედებს ექსკლუზიურად ემიტენტისათვის, ისინი არ წარმოადგენენ არც ერთ სხვა პირს მოცემულ შეთავაზებასთან დაკავშირებით და არ მიიჩნევენ არცერთ სხვა პირს (მიუხედავად იმისა, ამგვარ პირს მიღებული აქვს თუ არა წინამდებარე პროსპექტი) თავიანთ კლიენტად მოცემულ შეთავაზებასთან დაკავშირებით. შესაბამისად, ისინი არ არიან ვალდებული გაუწიონ ვინმეს, გარდა კომპანიისა, მომსახურება ან მისცენ რჩევა შეთავაზებასთან ან წინამდებარე დოკუმენტში მითითებულ რაიმე ოპერაციასთან ან გარიგებასთან დაკავშირებით.

წინამდებარე პროსპექტი არ წარმოადგენს და ვერ იქნება გამოყენებული შეთავაზების მიზნით რომელიმე ისეთ იურისდიქციაში, სადაც ამგვარი ქმედება ნებადართული არ არის, ან რომელიმე ისეთი პირისადმი, რომლისთვისაც ამგვარი შეთავაზება უკანონოა. არც ერთ იურისდიქციაში (საქართველოს გარდა) არ ხორციელდება არანაირი ქმედება წინამდებარე პროსპექტში განსაზღვრული აქციების შეთავაზებისთვის ნებართვის მისაღებად, ან პროსპექტის (ან აქციებთან დაკავშირებული სხვა შეთავაზების მასალების) გასაჯაროებლად.

ინვესტორის დადასტურება: პროსპექტი ინვესტორს მიეწოდება მისივე თხოვნის საფუძველზე, იმ პირობით, რომ იგი უდასტურებს შესაბამის განთავსების აგენტს სს „გალტ ენდ თაგარტს“; (ს/წ 211359206), მის: საქართველო, თბილისი 0179, აღმაშენებლის გამზ. N79, ტელ: (995 32) 2444-132 (995 32) 24401-111; ელ-ფოსტა: st@gt.ge (შემდგომში „განთავსების აგენტი“) და სს „გრინ დაზღვევა საქართველო“ (შემდგომში „კომპანია“ ან „ემიტენტი“), რომ ინვესტორი (i) იმყოფება ამერიკის შეერთებული შტატების ფარგლებს გარეთ და არ არის ამერიკის მოქალაქე (აშშ-ს 1933 წლის ფასიანი ქაღალდების შესახებ აქტის „S“ რეგულაციით განსაზღვრული მნიშვნელობით) და ინვესტორი (ii) უფლებამოსილია, რომ მიიღოს ფასიანი ქაღალდები ყველა შესაბამისი კანონის, რეგულაციისა და პროსპექტის პირობების ფარგლებში და (iii) არის პირი, რომლისთვისაც წინამდებარე პროსპექტი შეიძლება კანონიერად იქნეს მიწოდებული იმ იურისდიქციის კანონების შესაბამისად, სადაც იგი იმყოფება.

იმ შემთხვევაში, თუ წინამდებარე პროსპექტი ინვესტორს მიეწოდა ელექტრონული ფორმით, კომპანია, განთავსების აგენტი ან/და რომელიმე მასთან აფილირებული პირები არ იქნებიან რაიმე სახით ვალდებული ან პასუხისმგებელი ელექტრონული და ნაბეჭდი ფორმატით გავრცელებული პროსპექტის ვარიანტებს შორის არსებულ რაიმე სხვაობაზე ან/და კომპიუტერული პროგრამის ვირუსებისაგან ან სხვა დამაზიანებელი ელემენტებისაგან დაცვაზე, რაც შესაძლოა გამოწვეულ იქნას ელექტრონული ფორმატით დოკუმენტების მიწოდებით გამოწვეული ცვლილებით მათი გადაგზავნის პროცესში. პროსპექტზე წვდომის განხორციელებით, ინვესტორი თანხმობას აცხადებს მის ელექტრონული ფორმით მიღებაზე.

ყოველგვარი ეჭვის გამოსარიცხად, უპირატესობა ენიჭება კომპანიის მიერ გამოქვეყნებულ/გასაჯაროებულ პროსპექტს (რომელიც საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დამტკიცებულის იდენტურია).

პროსპექტის წარდგენიდან მის დამტკიცებამდე არსებითი (მატერიალური) ცვლილება არ მომხდარა, ხოლო თუკი რამე მსგავსი ცვლილება მოხდება დამტკიცებიდან შეთავაზებამდე, პროსპექტში შესაბამისად განახლება

ნაბეჭდი სახით პროსპექტი ხელმისაწვდომია განთავსების აგენტისადმი მიმართვის საფუძველზე.

შეზღუდვა: თუ პირმა წინამდებარე დოკუმენტზე წვდომა მოიპოვა ზემოაღნიშნული დათქმებისა და შეზღუდვების მიუხედავად და გაუთვალისწინებლად, იგი არ არის უფლებამოსილი შეიძინოს წინამდებარე პროსპექტით განსაზღვრული რომელიმე ფასიანი ქაღალდი.

დამტკიცებულია საქართველოს
ეროვნული ბანკის მიერ



სარჩევი

მნიშვნელოვანი ინფორმაცია ინვესტორთათვის:	3
სარჩევი	5
პროსპექტის ზოგადი მიმოხილვა	7
შესავალი	7
ინფორმაცია ემიტენტის შესახებ	9
საქართველოს სადაზღვევო სექტორის მოკლე მიმოხილვა	12
ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები	16
სხვა მნიშვნელოვანი ინფორმაცია	17
ფასიანი ქაღალდების ძირითადი მახასიათებლები	21
მოკლე ინფორმაცია ინდუსტრიისა და ეკონომიკისათვის დამახასიათებელი რისკების შესახებ	22
მოკლე ინფორმაცია ემიტენტის საქმიანობისთვის დამახასიათებელი რისკების შესახებ	23
მოკლე ინფორმაცია შესათავაზებელი ფასიანი ქაღალდებისათვის დამახასიათებელი რისკების შესახებ	24
შეთავაზების პირობები	25
რისკის ფაქტორები	26
ინდუსტრიისა და ეკონომიკისათვის დამახასიათებელი რისკები	28
ემიტენტის საქმიანობისთვის დამახასიათებელი რისკები	38
შესათავაზებელი ფასიანი ქაღალდებისათვის დამახასიათებელი რისკები	44
მოზიდული სახსრების გამოყენება	48
სარეგისტრაციო დოკუმენტი	50
დოკუმენტის მომზადებაზე პასუხისმგებელი პირები	50
კაპიტალიზაცია და დავალიანება	52
ძირითადი საქმიანობა	54
ძირითადი ბაზრები	65
ემიტენტის ბიზნეს საქმიანობისთვის მნიშვნელოვანი მოვლენების აღწერა	71
სამომავლო სტრატეგია და მიზნები	72
ემიტენტის კონკურენტული გარემო და ბაზარზე მისი პოზიციის აღწერა	77
ინვესტიციები	80
ემიტენტის ჯგუფის სტრუქტურა	81
ფინანსური მდგომარეობა	82
საოპერაციო შედეგები	89
ფულადი ნაკადების მოძრაობის მიმოხილვა	92
წინა პერიოდის რეკლასიფიკაცია	94

ინფორმაცია კაპიტალისა და სასესხო ვალდებულებების შესახებ	95
მარეგულირებლის მოთხოვნებთან შესაბამისობა	97
მენეჯმენტი და მმართველობა	99
ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან	103
საბალანსო უწყისი	104
მოგება-ზარალის უწყისი	105
ფულადი ნაკადების მოძრაობის უწყისი	106
დივიდენდების პოლიტიკა	107
სასამართლო დავები	108
ემიტენტის ფინანსურ ან კომერციულ მდგომარეობაში მნიშვნელოვანი ცვლილებების აღწერა	109
კაპიტალი	110
ფასიანი ქაღალდების მიმოხილვა	119
განაცხადი საბრუნავი კაპიტალის შესახებ	119
შეთავაზების განხორციელებაში ჩართული პირების ინტერესების აღწერა	120
ინტერესთა კონფლიქტი	120
ფასიანი ქაღალდების სავაჭროდ დაშვება ბირჟაზე	121
ფასიანი ქაღალდების მფლობელების მიერ წილის გასხვისება	122
წილის განზავება	123
შეთავაზების პირობები, მოსალოდნელი გრაფიკი და შეთავაზებაში მონაწილეობისათვის საჭირო პროცედურები	124
ფასიანი ქაღალდების დაბეგვრა საქართველოში	128

პროსპექტის ზოგადი მიმოხილვა

შესავალი

ფასიანი ქაღალდის დასახელება	სს „გრინ დაზღვევა საქართველო“ ჩვეულებრივი კლასის, B ჯგუფის აქციები
ემიტენტის დასახელება, სამართლებრივი ფორმა, საიდენტიფიკაციო ნომერი და საკონტაქტო ინფორმაცია	სააქციო „გრინ დაზღვევა საქართველო“ საიდენტიფიკაციო კოდით 404990435, მის: ა. კალანდაძის ქუჩა N4, თბილისი, საქართველო.; ტელ: +995 32 224 44 34; ელ-ფოსტა: info@greenig.ge
განთავსების აგენტის/შეთავაზების განმახორციელებელი პირის დასახელება და საკონტაქტო ინფორმაცია	სს „გალტ ენდ თაგარტი“; (ს/ნ 211359206), მის: საქართველო, თბილისი 0179, აღმაშენებლის გამზ. N79, ტელ: (995 32) 2444-132 (995 32) 24401-111; ელ-ფოსტა: st@gt.ge
პროსპექტის და შეთავაზების პირობების დოკუმენტის დამტკიცებაზე პასუხისმგებელი ორგანოს დასახელება და საკონტაქტო ინფორმაცია	საქართველოს ეროვნული ბანკი, სანაპიროს 2, თბილისი, 0114 ტელ: +995 322 406 406; ელ-ფოსტა: info@nbg.gov.ge; ვებ-გვერდი: www.nbg.gov.ge
პროსპექტის დამტკიცების თარიღი	26. 11. 2020

მნიშვნელოვანი მითითებები:

ზოგადი მიმოხილვა წარმოადგენს პროსპექტის განუყოფელ ნაწილს;

ინვესტორის მიერ მიღებული ნებისმიერი გადაწყვეტილება ინვესტირების შესახებ მიღებულ უნდა იქნეს მთლიანი პროსპექტიდან და არა მხოლოდ ზოგადი მიმოხილვის ნაწილიდან გამომდინარე;

ემიტენტს შესაძლებელია დაეკისროს პასუხისმგებლობა, თუ ზოგადი მიმოხილვის ნაწილი შეცდომაში შემყვანია, ან არაზუსტი, ან არ არის ძირითადი პროსპექტის შესაბამისი ან თუ არ იძლევა ძირითად ინფორმაციას, რათა დაეხმაროს ინვესტორებს მიიღონ გადაწყვეტილება, იმის შესახებ დააბანდონ თუ არა სახსრები ამ შესათავაზებელ ფასიან ქაღალდებში;

აქციებში ინვესტირება სავსაოდ რისკიანია. ნებისმიერი ინვესტორი, რომელიც შეიძენს აქციებს, მზად უნდა იყოს მისი ინვესტიციის ეკონომიკური რისკიანობისათვის და გაითვალისწინოს, რომ მის მიერ შეძენილი აქციებში ინვესტირებული თანხის ამოღება და/ან დივიდენდების მიღება დამოკიდებული იქნება ემიტენტის გადახდისუნარიანობაზე. არც პროსპექტი და არც კომპანიის ან/და განთავსების აგენტის მიერ შეთავაზებასთან დაკავშირებით მოწოდებული რაიმე / ნებისმიერი სხვა ინფორმაცია არ არის გამოიზნული აქციებში კაპიტალდაბანდებასთან დაკავშირებული რისკების შეფასებისათვის. ყველა ინვესტორმა თავად უნდა შეაფასოს შესაბამისი პოტენციური რისკები. გარდა ამისა, ინვესტორმა შესაძლოა დაკარგოს მთლიანი ინვესტირებული თანხა ან მისი ნაწილი.

პროსპექტი და მასში მოყვანილი ინფორმაცია, შესაძლოა დაექვემდებაროს შესაბამის შესწორებას და დამატებას ვითარების ცვლილებიდან გამომდინარე, რისი ასახვაც ხდება საბოლოო პროსპექტში (მაგ. ტექნიკური ხარვეზის გასწორება და ა.შ.). აღნიშნულის თაობაზე ემიტენტი მოახდენს ინვესტორთა ინფორმირებას კანონით დადგენილი წესით. აქ აღნიშნული აქციების გაყიდვა, ან აქციების ყიდვის საჯარო შეთავაზება არ შეიძლება გაკეთდეს მანამ, სანამ არ მოხდება პროსპექტის დამტკიცება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ.

ამ პროსპექტით განსაზღვრული აქციების შეთავაზება ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ და საქართველოს იურისდიქციის ფარგლებში. აღნიშნული არ წარმოადგენს შეთავაზებას

აქციების ნასყიდობაზე ნებისმიერ იმ იურისდიქციაში, სადაც ამგვარი შეთავაზება ჩაითვლება უკანონოდ.

არც კომპანია და არც განთავსების აგენტი არ აკეთებს არანაირ განცხადებას და არ იძლევა გარანტიას აქციების პოტენციური ან ფაქტიური მყიდველების მიმართ, ამ უკანასკნელთა მიერ აქციებში ინვესტირების კანონიერების შესახებ რომელიმე საინვესტიციო ან მსგავსი კანონმდებლობის მიხედვით, რომელსაც ექვემდებარება ან შესაძლოა დაექვემდებაროს ამგვარი მყიდველი.

არცერთი პირი არ არის უფლებამოსილი კომპანიის ან განთავსების აგენტის სახელით გასცეს რაიმე ისეთი ინფორმაცია, ან გააკეთოს რაიმე განცხადება, რაც არ არის გათვალისწინებული წინამდებარე პროსპექტში და ნებისმიერი ასეთი ინფორმაცია ან განცხადება არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს კომპანიის ან განთავსების აგენტის მიერ ნებადართულად. წინამდებარე პროსპექტის მიწოდება ან მასთან დაკავშირებული აქციების რეალიზაცია არცერთ შემთხვევაში არ უნდა იქნეს აღქმული იმგვარად, რომ წინამდებარე პროსპექტის დამტკიცების თარიღიდან კომპანიის საქმიანობაში ცვლილებები არ განხორციელებულა.

წინამდებარე პროსპექტი არ უნდა იქნას განხილული, როგორც იურიდიული, საინვესტიციო, საქმიანი ან საგადასახადო რჩევა. საინვესტიციო გადაწყვეტილების მიღებისას, ყველა ინვესტორმა კონსულტაციები საჭიროებისამებრ უნდა გაიაროს საკუთარ მრჩეველებთან და თავად განსაზღვროს, რამდენად კანონიერია მის მიერ ამ პროსპექტით განსაზღვრული ფასიანი ქაღალდების შეძენა შესაბამისი საინვესტიციო კანონების ან მსგავსი კანონმდებლობისა და მარეგულირებელი ნორმების ფარგლებში.

გაფრთხილება

წინამდებარე პროსპექტი მარტივი დოკუმენტი არ არის და შესაძლებელია რთული იყოს ინვესტორისთვის ამ პროსპექტით შეთავაზებული პროდუქტის სწორად აღქმა და შეფასება. ნებისმიერი საინვესტიციო გადაწყვეტილებების მიღებისას ინვესტორები უნდა დაეყრდნონ საკუთარ ანალიზს კომპანიასთან, აქციებთან, შემოთავაზებულ პირობებთან, სარგებელსა და რისკებთან მიმართებაში. აღნიშნულთან დაკავშირებით, იხილეთ თავი „რისკის ფაქტორები“. ყველა პოტენციურმა ინვესტორმა უნდა განსაზღვროს აქციებში კაპიტალდაბანდების მიზანშეწონილობა საკუთარი გარემოებების გათვალისწინებით. ამასთან, ყველა პოტენციურ ინვესტორს უნდა:

გააჩნდეს საკმარისი ცოდნა და გამოცდილება აქციების, მათში კაპიტალდაბანდების სარგებლისა და რისკების, ასევე წინამდებარე პროსპექტში და ნებისმიერ შესაბამის შესწორებაში მოყვანილი ინფორმაციის ჯეროვანი შეფასებისთვის;

გააჩნდეს შესაბამის ანალიტიკურ ინსტრუმენტებზე წვდომა და ცოდნა, რათა შეაფასოს აქციებში კაპიტალდაბანდების მიზანშეწონილობა და ამგვარი ინვესტიციის გავლენა მის მთლიან საინვესტიციო პორტფელზე მისი კონკრეტული ფინანსური გარემოების კონტექსტში;

გააჩნდეს საკმარისი ფინანსური რესურსები და ლიკვიდური პოზიცია აქციებში კაპიტალდაბანდების ყველა რისკის ასაღებად, მათ შორის, როდესაც აქციებისა და დივიდენდის ვალუტა განსხვავდება იმ ვალუტისაგან, რომელშიც ინვესტიციებს იზიდავს ან ახორციელებს პოტენციური ინვესტორი;

აქციების პირობების სრულყოფილი გაგება და ის უნდა იცნობდეს შესაბამისი ფინანსური ბაზრის მახასიათებლებს;

შესაძლებლობა შეაფასოს (თავად ან ფინანსური მრჩეველის დახმარებით) ეკონომიკური და სხვა ფაქტორების შესაძლო განვითარების სცენარები, რამაც შეიძლება გავლენა იქონიოს მის ინვესტიციებზე და შესაბამისი რისკის აღების შესაძლებლობაზე.

ინფორმაცია ემიტენტის შესახებ

სს „გრინ დაზღვევა საქართველო“ (შემდგომში, *კომპანია* ან *საზოგადოება* ან *გრინ დაზღვევა საქართველო*, ან *ემიტენტი*) დაარსდა 2013 წლის 13 მაისს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. 2013 წლის ოქტომბრიდან კომპანია ფლობს სსიპ „საქართველოს სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის“ მიერ მინიჭებულ სადაზვევო ლიცენზიას, სერტიფიკატის ნომრით #NL013. აღნიშნული ლიცენზიის ქვეშ კომპანია მომხმარებლებს სთავაზობს არასიცოცხლის დაზღვევის ფართო არჩევანს.

შეთავაზებული დაზღვევის ძირითად ტიპებს განეკუთვნება: ავტოტრანსპორტის დაზღვევა, მოტო-დაზღვევა, პასუხისმგებლობის დაზღვევა, ქონების დაზღვევა, ფინანსური გარანტიები, ტვირთის და სამოგზაურო დაზღვევა.

კომპანია არის სააქციო საზოგადოება, 2015 წლის 7 დეკემბრამდე ის იყო შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება.

2020 წლის თებერვლამდე კომპანიის წილის მფლობელები იყვნენ ჩეთინ აიდინი (პირადი ნომერი 20692382642) - 61% და ჰუსეინ იამანი (პირადი ნომერი 48838112892) - 39%.

2020 წლის თებერვლიდან კომპანიის ახალი მესაკუთრეები გახდნენ სს „მეტრო ავრასია ინვესტმენტ ჯორჯია“, საიდენტიფიკაციო კოდი 404392359; რეგისტრირებული მისამართი: გოგოლის ქ. 1, ბათუმი საქართველო – 50% და შპს „ახალი საინვესტიციო შესაძლებლობები“, საიდენტიფიკაციო კოდი 402154734; რეგისტრირებული მისამართი: თამარ მეფის გამზ. N17, თბილისი, საქართველო – 50%. ხოლო 2020 წლის 31 ივლისის მდგომარეობით სს „მეტრო ავრასია ინვესტმენტ ჯორჯია“-მ შვილობილ კომპანიებზე გაასხვისა B კლასის აქციების 7% (ჯამურად 280 ათასი ხმის უფლება). აქციების გასხვისების მიზნობრიობა აქციების საქართველოს საფონდო ბირჟაზე სავაჭროდ დასაშვებად, ბირჟის ლისტინგის დებულების შესაბამისი მოთხოვნების დაკმაყოფილება იყო.

ემიტენტის აქციონერის - ს.ს. „მეტრო ავრასია ინვესტმენტ ჯორჯია“-ს ბენეფიციარი მესაკუთრე 83.3267%-იანი წილის მფლობელია ს.ს. „ავრასია თერმინალ იმლეთმელერი“, რომელსაც თავის მხრივ ჰყავს 58.54%-ის მფლობელი ს.ს. „გალიფ ოზთურქ ტურიზმ იათრიმლარი“ და ფიზიკური პირი იბრაჰიმ აზმანი წილით 10.36% („ავრასია თერმინალ იმლეთმელერი“-ს დანარჩენი აქციონერებიდან არც ერთი არ ფლობს ჯამურ აქციათა 5%-ზე მეტს). თავის მხრივ ს.ს. „გალიფ ოზთურქ ტურიზმ იათრიმლარი“-ს მესაკუთრე - საწესდებო კაპიტალის 100%-ის ოდენობით არის გალიფ ოზთურქი.

ემიტენტის აქციონერის - შპს „ახალი საინვესტიციო შესაძლებლობები“-ს 100%-იანი მესაკუთრეა ფ/პ დიმიტრი ქუმსიშვილი, პირადი ნომერი: 01020009589.

სს „მეტრო ავრასია ინვესტმენტ ჯორჯია“-ს (გამსესხებელი) და „შპს ახალი საინვესტიციო შესაძლებლობებს“ (მსესხებელი) შორის 2020 წლის იანვარსა და მაისში დაიდო გრძელვადიანი სასესხო ხელშეკრულებები. მიღებული ფულადი სახსრებით სრულად განხორციელდა „შპს ახალი საინვესტიციო შესაძლებლობები“-ს მიერ სს „გრინ დაზღვევა საქართველო“-ს აქციების 50%-იანი წილის შესყიდვა. აღნიშნული სასესხო ხელშეკრულება ითვალისწინებს მსესხებლის მფლობელობაში არსებული აქციების უზრუნველყოფაში დატვირთვას გამსესხებლის სასარგებლოდ.

2020 წლის 27 თებერვალს კომპანიამ შეიცვალა სახელი სს „სადაზღვევო კომპანია კამარა“ და ფუნქციონირება განაგრძო სს „გრინ დაზღვევა საქართველო“-ს სახელით.

საზოგადოებას განთავსებული აქვს ჯამურად 10 მილიონი აქცია. აქციები დაყოფილია A კლასის 4,350,000 ცალი აქცის, AA კლასის 1,650,000 ცალი აქცისა და B კლასის - 4,000,000 ცალი აქცისგან. თითოეული აქციის ნომინალური ღირებულება შეადგენს 1 ლარს.

აქციონერთა კრებაზე AA კლასის 1 აქცია უზრუნველყოფს 15 ხმის უფლებას, A კლასის ისევე როგორც B კლასის თითო აქცია უზრუნველყოფს ერთი ხმის უფლებას. ამასთანავე, სამეთვალყურეო საბჭოს წევრები აირჩევიან მხოლოდ A და AA კლასის აქციათა მფლობელების მიერ.


პროსპექტის გამოშვების თარიღისთვის კომპანიის განთავსებულ აქციებზე ჯამური ხმის უფლებები შემდეგნაირად გამოიყურება:

აქციის კლასი	ხმის უფლება	გამომშვებულ/განთავსებულ აქციათა რაოდენობა	ჯამური ხმის უფლება
A	1	4,350,000	4,350,000
AA	15	1,650,000	24,750,000
B	1	4,000,000	4,000,000
სულ:		10,000,000	33,100,000

2020 წლის 10 სექტემბერს კომპანიამ გააკეთა ახალი 5,000,000 ცალი (B) კლასის აქცის ემისია და რეგისტრაცია. აქციაზე 1 ხმის უფლებით (ჯამურად 5,000,000 ხმის უფლება). პროსპექტის გამოშვების თარიღისთვის აღნიშნული აქციები კომპანიის საემისიო ანგარიშზეა, მათი განთავსება მოხდება ამ პროსპექტის საფუძველზე.

კომპანიის იურიდიული მისამართი და მოქმედი ოფისია: ა. კალანდაძის ქ. N4, თბილისი, საქართველო. პროსპექტის მომზადების თარიღისთვის კომპანიაში დასაქმებულია 20 ადამიანი.

ქვემოთ წარმოდგენილია ემიტენტის ვერტიკალური სადამფუძნებლო სტრუქტურა 2020 წლის 31 ივლისის მდგომარეობით:



* სხვა წილის მფლობელი აქციონერებიდან არც ერთი აქციონერი არ ფლობს 5%-ზე მეტ წილს.


ემიტენტი არის „გრინ დაზღვევა საქართველო“.

„გრინ დაზღვევა საქართველო“ სადაზღვევო ბაზარზე 2013 წლიდან ფუნქციონირებს და მომხმარებლებს სთავაზობს არასიცოცხლის დაზღვევის სხვადასხვა პაკეტებს.

საქართველოს სადაზღვევო სექტორის მოკლე მიმოხილვა

საქართველოს სადაზღვევო ბაზარზე მოზიდული პრემიების მოცულობა 2009-19 წლებში წელიწადში საშუალოდ 6%-ით გაიზარდა და 2019 წელს 625 მლნ ლარი შეადგინა. ამავე პერიოდში სექტორის სადაზღვევო მოგება წლიურად საშუალოდ 5%-ით იზრდებოდა და 2019 წელს 157 მლნ ლარი შეადგინა. რაც შეეხება წმინდა მოგების მაჩვენებლებს, 2019 წელს სადაზღვევო ბაზრის წმინდა მოგება 25.2 მლნ ლარი იყო (-2.9% CAGR 2009-19 წლებში). უნდა აღინიშნოს, რომ სადაზღვევო სექტორი დიდ ადამიანურ რესურსს მოითხოვს რაც მოიცავს როგორც ანდერრაიტერებს, ასევე პროგრამულ უზრუნველყოფას, რისკების მენეჯმენტს, ანალიტიკოსებს და ა.შ, აღნიშნული ზრდის სექტორის საოპერაციო ხარჯებს. სადაზღვევო ბაზრის განვითარებასთან ერთად, სახელფასო ხარჯები 2009 წელთან შედარებით 2019 წელს გასამმაგდა, ხოლო, სახელფასო ხარჯების წილი ჯამურ საოპერაციო დანახარჯებში ამავე პერიოდში 46%-დან 57%-მდე გაიზარდა. შედეგად, გაზრდილმა სახელფასო და სხვა საოპერაციო დანახარჯებმა გავლენა იქონია სექტორის მომგებიანობის შემცირებაზე.

გრაფიკი 1: სადაზღვევო ბაზრის მომგებიანობის მაჩვენებლები, მლნ ლარი.



შენიშვნა: კვარტალური მონაცემები არის წინასწარი და შესაძლებელია შეიცვალოს წყარო: საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური


აღსანიშნავია, რომ Covid-19 პანდემიის მიუხედავად, რომელმაც 2020 წლიდან მსოფლიოსა და მათ შორის საქართველოს ეკონომიკას მნიშვნელოვანი დარტყმა მიაყენა, სადაზღვევო სექტორი ზრდას ინარჩუნებს და მომგებიანობის მაჩვენებლები ჯანსაღია. 2020 წლის I ნახევარში სექტორის მიერ მოზიდულმა პრემიამ 376.9 მლნ ლარი შეადგინა, რაც წინა წლის იმავე პერიოდთან შედარებით 9.1%-იანი ზრდაა. უნდა აღინიშნოს, რომ სექტორის ზრდა მეტწილად განპირობებულია ჯანმრთელობის (171.4 მლნ ლარი, +18% წ/წ), ქონებისა (59.0 მლნ ლარი, +27% წ/წ) და საფინანსო დანაკარგების (5.1 მლნ ლარი, +2.3x წ/წ) დაზღვევით მოზიდული პრემიის ზრდით. ასევე, გაიზარდა სიცოცხლისა (26.3 მლნ, +10% წ/წ) და უბედური შემთხვევის (7.2 მლნ, +15% წ/წ) დაზღვევით მოზიდული პრემიების მოცულობა 2020 წლის I ნახევარში, რაც დიდწილად ბანკების მხრიდან მოცულობითი სესხების გაცემის დროს სავალდებულო დაზღვევის მოთხოვნით აიხსნება. რაც შეეხება დაზღვევის სხვა სახეობებს, Covid-19 პანდემიით გამოწვეულმა ეკონომიკურმა შოკმა, საერთაშორისო მოგზაურობის შეწყვეტამ და მთავრობის მიერ დაწესებულმა შეზღუდვებმა მათ უმრავლესობაზე უარყოფითად იმოქმედა, განსაკუთრებით დაზარალდა დაზღვევის ისეთი კატეგორიები, რომლებიც საერთაშორისო ან ადგილობრივ მოგზაურობასთან/მგზავრობასთან არის დაკავშირებული, მაგალითად: სახმელეთო ტრანსპორტის გამოყენებასთან დაკავშირებული სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევით მოზიდული პრემია 2020 წლის I ნახევარში 19%-ით შემცირდა და 20.2 მლნ ლარი შეადგინა, სახმელეთო ტრანსპორტის დაზღვევით (გარდა სარკინიგზო ტრანსპორტისა) მოზიდული პრემიის ზრდა

შენედა და 2020 წლის I ნახევარში მხოლოდ 2% შეადგინა (59.0 მლნ ლარამდე) მაშინ, როდესაც ამ კატეგორიის ზრდა 2019 წლის პირველ ნახევარში 27% წ/წ იყო, ხოლო 2018 წლის პირველ ნახევარში 15% წ/წ, საჰაერო ტრანსპორტისა და მასთან დაკავშირებული სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევით მოზიდული პრემია განახევრდა 2020 წლის I ნახევარში (3.4 მლნ ლარი, -57% წ/წ), ასევე განახევრდა სამოგზაურო დაზღვევით მოზიდული პრემია (1.9 მლნ ლარი, -51% წ/წ) და ა.შ

უნდა აღინიშნოს, რომ 2020 წლის I ნახევრის მონაცემებში დაზღვევის ცალკეულ კატეგორიებზე კოვიდ-19-ის ეფექტი სრულად არ არის ასახული, კერძოდ, საერთაშორისო მოგზაურობასთან/მგზავრობასთან დაკავშირებულ დაზღვევის სახეობებზე (სამოგზაურო დაზღვევა, სახმელეთო/საჰაერო ტრანსპორტისა და მათ გამოყენებასთან დაკავშირებული სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევა და ა.შ), რადგან საქართველოში საერთაშორისო მოგზაურობა სრულად 2020 წლის 18 მარტიდან შეწყდა, სახმელეთო ტრანსპორტით გადაადგილებაც 2020 წლის I კვარტლის ბოლოდან შეიზღუდა. დაზღვევის ამ კატეგორიებისთვის 2020 წლის II ნახევარი მეტი გამოწვევებით იქნება სავსე, რადგან სახმელეთო ტრანსპორტის სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევით მოზიდული პრემიის დიდი ნაწილი უცხოელი ვიზიტორებისგან იყო მოზიდული (მათთვის საქართველოს საზღვრის ავტომობილით გადმოკვეთის დროს ამ ტიპის დაზღვევა სავალდებულოა, საქართველოს მოსახლეობისთვის კი ჯერჯერობით ნებაყოფლობითი), პანდემიის პირობებში საერთაშორისო მოგზაურობა პრაქტიკულად შეჩერებულია, ადგილობრივი მოსახლეობა აქტიურ სოციალურ ცხოვრებას ერიდება, დასაქმებულთა ნაწილი ჯერ კიდევ დისტანციურად აგრძელებს მუშაობას და ნაკლებად უწევს ავტომობილით გადაადგილება, შედეგად, ავტომობილისა და მასთან დაკავშირებული სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევა პანდემიის პირობებში, თანაც შემცირებული მსყიდველუნარიანობის ფონზე არარელევანტური ხდება, რაც ზრდის გამოწვევებს 2020 წლის მეორე ნახევარში. დაზღვევის ამ კატეგორიების გაჯანსაღების ტემპი 2021 წელს Covid-19-ის ეპიდემიოლოგიურ მდგომარეობაზე და ეკონომიკის გააქტიურებაზე იქნება დამოკიდებული.

2020 წლის I ნახევარში სადაზღვევო სექტორის წმინდა მოგება 29.2 მლნ ლარი შეადგინა, რაც წინა წლის იმავე პერიოდის მაჩვენებელზე 1.5-ჯერ მეტია, ხოლო აქტივების ჯამური მოცულობა 976.4 მლნ ლარია (+2.5% წ/წ).

გრაფიკი 2: სადაზღვევო ბაზრის აქტივები, მლნ ლარი



შენიშვნა: ნახევარი წლის მონაცემები არის წინასწარი და შესაძლებელია შეიცვალოს წყარო: საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური

კომპანიის აქციონერები:

პროსპექტის გამოშვების თარიღისთვის სს „გრინ დაზღვევა საქართველო“-ს აქციონერები არიან: შპს „ახალი საინვესტიციო შესაძლებლობები“, საიდენტიფიკაციო კოდი 402154734; რეგისტრირებული მისამართი: თამარ მეფის გამზ. N17, თბილისი, საქართველო – 50%, სს „მეტრო ავრასია ინვესთმენტ ჯორჯია“, საიდენტიფიკაციო კოდი 404392359; რეგისტრირებული მისამართი: გოგოლის ქ. 1, ბათუმი საქართველო – 47%, ხოლო დარჩენილ 3%-ს ფლობენ სს „მეტრო ავრასია ინვესთმენტ ჯორჯია“-ს შვილობილი კომპანიები.

მფლობელ კომპანიებზე ინფორმაცია

ემიტენტის მესაკუთრეები არიან: სს „მეტრო ავრასია ინვესთმენტ ჯორჯია“, საიდენტიფიკაციო კოდი 404392359; რეგისტრირებული მისამართი: გოგოლის ქ. 1, ბათუმი საქართველო – 47% და შპს „ახალი საინვესტიციო შესაძლებლობები“, საიდენტიფიკაციო კოდი 402154734; რეგისტრირებული მისამართი: თამარ მეფის გამზ. N17, თბილისი, საქართველო – 50%.

ამასთან, სს „მეტრო ავრასია ინვესთმენტ ჯორჯია“-ს მფლობელები არიან: სს „მეტრო ავრასია თერმინალ იშლეთმერი“, საიდენტიფიკაციო კოდი 234366, რეგისტრირებული მისამართი სტამბოლი ავტობუსების სადგური, მე-2 სართული, ბაირამფაშა - 83.33% და ი/პ გალიფ ოზთურქ, პირადი ნომერი: 51418595176, მისამართი: ლეხ და მარია კაჩინსკების 1ა ბათუმი. სს „მეტრო ავრასია ინვესთმენტ ჯორჯია“ დაარსდა 2010 წელს და მის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს სამშენებლო ბიზნესი, საქალაქთაშორისო და საერთაშორისო ავტოსადგურების მშენებლობა და მართვა, ტრანსპორტირება და მგზავრთა გადაყვანა, კარგო-სერვისი, ტურიზმი, სასტუმროების მშენებლობა და მართვა, კომერციული ფართების იჯარით გაცემა, სამშენებლო მასალების წარმოება და რეალიზაცია, კვების პროდუქტები, მედიცინა და სხვა მსხვილი თუ მცირე ბიზნესი. კომპანიის ვებ-გვერდი: <http://metroavrasya.ge/ge/>

შპს „ახალი საინვესტიციო შესაძლებლობები“-ს 100%-იანი მესაკუთრეა ფ/პ დიმიტრი ქუმსიშვილი, პირადი ნომერი: 01020009589, მისამართი: თბილისი, დიდუბე-ჩუღურეთის რაიონი, თამარ მეფის გამზ. N17, ბინა 5. კომპანია დაარსდა 2019 წლის დეკემბერს და პროსპექტის გამოშვების თარიღისთვის მისი საქმიანობა მხოლოდ ემიტენტში ინვესტიციით შემოიფარგლება.

კომპანიის მენეჯმენტი

ეკა ცენტერაძე - გენერალური დირექტორი

ეკა გენერალური დირექტორის პოზიციას 2015 წლის დეკემბრიდან იკავებს. 2015 წლის აპრილიდან დეკემბრამდე ამავე კომპანიაში გენერალური დირექტორის მოადგილის პოზიციას იკავებდა. ეკა ამავედროულად სს „თამ“თბილავიამშენის სამეთვალყურეო საბჭოს წევრია 2012 წლიდან მოყოლებული. 2012 წლიდან 2020 წლამდე იყო ს.ს. „თამ“ თბილავიამშენის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე. 2010 წლის იანვრიდან 2011 წლის დეკემბრამდე იგი შ.პ.ს. „სადაზღვევო კომპანია პარტნიორში“ იურიდიული დეპარტამენტის უფროსის თანამდებობას იკავებდა. ეკას აქვს სადაზღვევო სექტორში მუშაობის 20 წლიანი გამოცდილება. ეკა ფლობს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაგისტრის ხარისხს სამართლის მიმართულებით.

ლევან ელიაური - ფინანსური დირექტორი

ლევანი ფინანსური დირექტორის პოზიციას 2016 წლის ნოემბრიდან იკავებს. 2014-2016 წლებში იგი ამავე კომპანიის უფროსი ბუღალტრის თანამდებობას იკავებდა. 2002-2010 წლებში ლევანი წარმოადგენდა შპს

„პლუს ელექტრონიკის“, შპს „ბრონზ ტელეკომისა“ და შპს „დელტა ტელეკომ საქართველოს“ ფინანსურ დირექტორს. 1994-1996 წლებში იკავებდა „კაპიტალ ბანკის“ საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის პოზიციას. ლევანი ფლობს თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელწიფო უნივერსიტეტის ეკონომისტი და ფინანსისტი ბაკალავრის ხარისხებს.

ილია პარასკევოვი - გაყიდვების დირექტორი

ილია პარასკევოვი გაყიდვების დირექტორის პოზიციას 2016 წლიდან იკავებს. მას აქვს 16 წლიანი სამუშაო გამოცდილება სხვადასხვა სადაზღვევო კომპანიების გაყიდვების მენეჯმენტში, მათ შორის სადაზღვევო კომპანია ქართუ, არდისა და იმედი L-ში.

ილია ფლობს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაკალავრის ხარისხს ეკონომიკისა და ბიზნესის მიმართულებით.

ემიტენტის ფინანსური აუდიტორი

კომპანიის 2019 და 2018 წლის ფინანსური ანგარიშები შეამოწმა დამოუკიდებელმა აუდიტორულმა ფირმამ შპს „ნექსია თიეიმ“. საიდენტიფიკაციო ნომერი: 405040682, (SARAS-F-550338). მისამართი: საქართველო, ქ. თბილისი, ალექსიძის ქ. 12, კინგ დევიდ ბიზნეს ცენტრი, მე-6 სართული. ელექტრონული ფოსტა: info@nexia.ge

შეთავაზების განხორციელებაში ჩართული ფიზიკური და იურიდიული პირები

განთავსების აგენტი: სს „გალტ ენდ თაგარტი“; (ს/ნ 211359206), მის: საქართველო, თბილისი 0179, აღმაშენებლის გამზ. N79, ტელ: (995 32) 2444-132 (995 32) 24401-111; ელ-ფოსტა: st@gt.ge

კომპანიას ხელშეკრულება აქვს გაფორმებული განთავსების აგენტ სს „გალტ ენდ თაგარტთან“. ხელშეკრულება სს „გალტ ენდ თაგარტს“ ავალდებულებს უზრუნველყოს აქციების ანდერაიტინგი მხოლოდ არაგარანტირებულ საფუძველზე. განთავსების აგენტის მოვალეობაა მოამზადოს აქციების განთავსებისთვის საჭირო დოკუმენტაცია, შეასრულოს განთავსების აგენტის ფუნქცია და კომპანიას გაუწიოს აქციების გამოშვებასთან, რეალიზაციასთან და ანგარიშსწორებასთან დაკავშირებული კონსულტაციები.

ემიტენტი და განთავსების აგენტი არ წარმოადგენენ დაკავშირებულ პირებს.

ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები

მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია სააქციო საზოგადოება „გრინ დაზღვევა საქართველო“-ს 2018, 2019 და 2020 წლების შერჩეული ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები.

<i>მოგება-ზარალის უწყისი</i> (<i>'000 ლარი</i>)	2020	2019	2019	2018
	(5 თვე) არააუდირებული	(5 თვე) არააუდირებული	(სრული წელი) აუდირებული	(სრული წელი) აუდირებული
წმინდა გამომუშავებული პრემია	1,000	1,168	3,244	2,877
წმინდა სადაზღვევო ზარალი და მოთხოვნების დარეგულირების ხარჯები	(45)	(20)	(136)	(367)
საოპერაციო ხარჯები	(6)	-	5	(255)
სადაზღვევო საქმიანობის შედეგი	949	1,148	3,113	2,255
საპროცენტო შემოსავალი და ხარჯი	113	82	229	96
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	(511)	(519)	(1,277)	(1,063)
სხვა წმინდა საოპერაციო ხარჯი	(373)	(4)	(9)	(14)
საკურსო სხვაობის წმინდა შედეგი	786	249	371	151
მოგება დაბეგრამდე	964	956	2,427	1,425
მოგების გადასახადი	(145)	(143)	(364)	(230)
წმინდა მოგება და მთლიანი სრული შემოსავალი	819	813	2,063	1,195
სხვა სრული შემოსავალი	-	-	6	-
სულ წლის სრული შემოსავალი	819	813	2,069	1,195

<i>საბალანსო უწყისი</i> (<i>'000 ლარი</i>)	2020	2019	2018
	(31 მაისი) არააუდირებული	(31 დეკემბერი) აუდირებული	(31 დეკემბერი) აუდირებული
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	11	13	17
არამატერიალური აქტივები	56	41	47
სხვა გრძელვადიანი აქტივები	62	102	14
სულ გრძელვადიანი აქტივები	129	156	78
მოკლევადიანი აქტივები			
ბანკებში განთავსებული თანხები	10,721	6,995	4,542
ფული და ფულის ეკვივალენტები	583	421	383
სადაზღვევო მოთხოვნები	602	216	319
სხვა მოკლევადიანი აქტივები	139	34	35
სულ მოკლევადიანი აქტივები	12,045	7,666	5,279
სულ აქტივები	12,174	7,822	5,357
გრძელვადიანი ვალდებულებები			
საიჯარო ვალდებულება	-	14	-
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები	-	14	-
მოკლევადიანი ვალდებულებები			
ვალდებულებები სადაზღვევო კონტრაქტებიდან	828	391	405
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	398	407	166
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	128	300	139
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	1,354	1,098	710
სულ ვალდებულებები	1,354	1,112	710
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	10,000	4,350	4,350
დამატებით შეტანილი კაპიტალი	-	-	6
გაუნაწილებელი მოგება	820	2,360	291
სულ კაპიტალი	10,820	6,710	4,647
სულ ვალდებულებები და კაპიტალი	12,174	7,822	5,357

სხვა მნიშვნელოვანი ინფორმაცია

თანდართული ფინანსური ანგარიშგებების შესახებ აუდიტის დასკვნის ტიპი: აუდიტის რეპორტში, კომპანიის დამოუკიდებელი ფინანსური აუდიტორი აცხადებს, რომ მათი დასკვნა არის **უპირობო**.

არც ბოლო საანგარიშო პერიოდში და არც პროსპექტის წარდგენის თარიღამდე არ მომხდარა ისეთი მნიშვნელოვანი მოვლენა, რომელიც შეიძლება მატერიალური იყოს ემიტენტის გადახდისუნარიანობის შესაფასებლად.

კომპანიის სხვადასხვა ფინანსური კოეფიციენტები პერიოდების მიხედვით წარმოდგენილია ქვემოთ¹:

მომგებიანობის კოეფიციენტები	2020* (31 მაი)	2020 (31 მაი)	2019 (31 დეკ)	2018 (31 დეკ)
უკუგების კოეფიციენტი აქტივებზე	17.02%	22.21%	31.40%	28.27%
უკუგების კოეფიციენტი კაპიტალზე	18.88%	25.49%	36.44%	32.30%
საერთო მოგების მარჟა	94.90%	94.90%	95.96%	78.38%
საოპერაციო მოგების მარჟა	18.10%	18.10%	63.63%	44.28%
წმინდა მოგების მარჟა	81.90%	81.90%	63.78%	41.54%
ჩადებული კაპიტალის ამონაგების კოეფიციენტი *	0.09	0.14	0.31	0.27
აქციაზე შემოსავლიანობის კოეფიციენტი	0.21	0.29	0.48	0.30
ლიკვიდურობის კოეფიციენტები	2020* (31 მაი)	2020 (31 მაი)	2019 (31 დეკ)	2018 (31 დეკ)
ლიკვიდური აქტივები/მთლიანი აქტივები	0.99	0.98	0.98	0.98
ლიკვიდური აქტივები/მოკლევადიანი ვალდებულებები	13.00****	8.79	6.95	7.39
საბრუნავი კაპიტალის კოეფიციენტი**	0.28	0.39	0.49	0.63
მიმდინარე აქტივების კოეფიციენტი	13.11	8.90	6.98	7.44
საოპერაციო ფულადი ნაკადების კოეფიციენტი	1.33	1.33	2.45	2.26
აქტივის წმინდა ღირებულება	1.1863	1.0820	1.5425	1.0683
საოპერაციო კოეფიციენტები	2020* (31 მაი)	2020 (31 მაი)	2019 (31 დეკ)	2018 (31 დეკ)
ზარალიანობის კოეფიციენტი	0.05	0.05	0.04	0.13
წმინდა კომბინირებული კოეფიციენტი	0.56	0.56	0.43	0.59
სხვა კოეფიციენტები	2020* (31 მაი)	2020 (31 მაი)	2019 (31 დეკ)	2018 (31 დეკ)
გადახდისუნარიანობის მარჟა ('000 ლარი) ***	n/a	n/a	585	566
სადაზღვევო რეზერვების ოდენობა (ლარი)	345,513	345,513	304,063	232,002
სადაზღვევო რეზერვების დასაფარავად დასაშვები აქტივების რაოდენობა (ლარი)	491,575	491,575	310,325	316,590
სადაზღვევო რეზერვების დასაფარავად დასაშვები აქტივების ზღვრული თანაფარდობა სადაზღვევო რეზერვებთან;	1.42	1.42	1.02	1.36
კაპიტალსა და ვალდებულებებს შორის ზღვრული თანაფარდობა****;	5.09%	5.09%	n/a	n/a
საზედამხედველო კაპიტალის ოდენობასა და გაანგარიშებული გადახდისუნარიანობის მარჟის ოდენობას შორის თანაფარდობა ***	n/a	n/a	11.35	8.06

¹ გარდა ფინანსური ლევერიჯის კოეფიციენტებისა, რომელთა მითითება არ მოხდა, რადგან კომპანიას არ გააჩნია სასესხო ვალდებულებები 2018 და 2019 წლის 31 დეკემბრის და 2020-ის 31 მაისის მდგომარეობით.

(*) მონაცემები დათვლილია იმ დაშვებით, რომ ემიტენტი მოახდენს დამატებით ახალი 5,000,000 ცალი აქციის განთავსებას ღირებულებით 1.14 ლარი თითო აქციაზე. შეთავაზების ფასი დაანგარიშებულია როგორც საშუალო არითმეტიკული: ერთ აქციაზე წმინდა აქტივების კოეფიციენტისა (1.08 ლარი/აქცია) და 2020 წლის P/B კოეფიციენტის გათვალისწინებით მიღებული აქციის ფასისა (1.20 ლარი/აქცია). დათვლის მეთოლოგია დეტალურად აღწერილია „აქციების შეთავაზების პირობების დოკუმენტში“.

(**) 2020 წლის 5 თვის მონაცემები დათვლილია ბოლო 12 თვიანი პერიოდისთვის (ე.ი. 31 მაისი 2019-დან 31 მაისი 2020-მდე).

(***) გადახდისუნარიანობის მარჯა იანგარიშება ყოველი წლის ბოლოს, შესაბამისად 5 თვეზე შესაბამის ველებში კოეფიციენტი არ არის დაანგარიშებული.

(****) მარჯა დაანგარიშებულია იმ დაშვებით, რომ მოზიდული სახსრების განთავსება საწყის ეტაპზე განხორციელდება ლიკვიდურ აქტივებში, სანამ მიემართება ქვეთავ „მოზიდული სახსრების გამოყენება“-ში აღწერილი მიზნობრიობების შესაბამისად.

(*****) მზღვევის მიერ აღებული ნეტო ვალდებულებებისა და საზედამხედველო კაპიტალის თანაფარდობის დაკმაყოფილების ვალდებულება ეფექტურია 2020 წლის 1 იანვრიდან. შესაბამისად კოეფიციენტი არ არის დაანგარიშებული 2019 და 2018 წლებზე.

უკუგების კოეფიციენტი აქტივებზე - წმინდა მოგება შეფარდებული უკანასკნელი ორი წლის საშუალო აქტივებთან ან წინა წლის ინფორმაციის არარსებობის შემთხვევაში იმავე წლის აქტივებთან;

უკუგების კოეფიციენტი კაპიტალზე - წმინდა მოგება შეფარდებული უკანასკნელი ორი წლის საშუალო კაპიტალთან ან წინა წლის ინფორმაციის არარსებობის შემთხვევაში იმავე წლის კაპიტალთან;

საერთო მოგების მარჯა - სადაზღვევო საქმიანობის შედეგი შეფარდებული წმინდა გამომუშავებულ პრემიასთან;

საოპერაციო მოგების მარჯა - მოგება დაბეგრამდე, საპროცენტო ხარჯსა და ცვეთა და ამორტიზაციამდე შეფარდებული წმინდა გამომუშავებულ პრემიასთან;

წმინდა მოგების მარჯა - წმინდა მოგება შეფარდებული წმინდა გამომუშავებულ პრემიასთან;

ჩადებული კაპიტალის ამონაგების კოეფიციენტი - საოპერაციო მოგება შეფარდებული მთლიან აქტივებს მინუს მოკლევადიან ვალდებულებებთან;

აქციაზე შემოსავლიანობის კოეფიციენტი - წმინდა მოგება შეფარდებული გამოშვებული აქციების საშუალო რაოდენობასთან ან წინა წლის ინფორმაციის არარსებობის შემთხვევაში იმავე წლის აქციების რაოდენობასთან;

ლიკვიდური აქტივები/მთლიანი აქტივები - ფული და ფულის ეკვივალენტები დამატებული ბანკში განთავსებული თანხები და დამატებული ერთ წლამდე ვადის სადაზღვევო მოთხოვნები შეფარდებული მთლიან აქტივებთან;

ლიკვიდური აქტივები/მოკლევადიანი ვალდებულებები - ფული და ფულის ეკვივალენტები დამატებული ბანკში განთავსებული თანხები და დამატებული ერთ წლამდე ვადის სადაზღვევო მოთხოვნები შეფარდებული მოკლევადიან ვალდებულებებთან;

საბრუნავი კაპიტალის კოეფიციენტი - წმინდა გამომუშავებულ პრემია შეფარდებული მოკლევადიან აქტივებს მინუს მოკლევადიან ვალდებულებებთან;

მიმდინარე აქტივების კოეფიციენტი - მოკლევადიანი აქტივები შეფარდებული მოკლევადიან ვალდებულებებთან;

საოპერაციო ფულადი ნაკადების კოეფიციენტი - ბოლო 12 თვის საოპერაციო ფულადი ნაკადები შეფარდებული პერიოდის საშუალო მოკლევადიან ვალდებულებებთან;

აქტივის წმინდა ღირებულება - მთლიანი აქტივებს გამოკლებული მთლიანი ვალდებულებები შეფარდებული გამოშვებული აქციების რაოდენობასთან;

ზარალიანობის კოეფიციენტი - წმინდა ზარალები შეფარდებული წმინდა გამომუშავებულ პრემიასთან;

წმინდა კომბინირებული კოეფიციენტი - წმინდა დამდგარი ზარალებს დამატებული აკვიზიციის ხარჯები დამატებული ადმინისტრაციული ხარჯები და შეფარდებული წმინდა გამომუშავებული პრემიასთან.

საზედამხედველო კაპიტალი - სააქციო კაპიტალს დამატებული საემისიო კაპიტალი, გამოკლებული გამოსყიდული აქციები, დამატებული აკუმულირებული მოგება/(ზარალი), დამატებული „პერიოდის წმინდა მოგება/(ზარალი)“, დამატებული „ფასს-ის მიხედვით კაპიტალში აღსარიცხი ყველა სახის რეზერვი“ შემცირებული შემდეგი პუნქტებით:

- ა) გუდვილი და სხვა არამატერიალური აქტივების (წმინდა) 100%-ით;
- ბ) ინვესტიციებით მეკავშირე კომპანიებში (მონაწილეობა კაპიტალში და გაცემული სესხები) 100%-ით;
- გ) ინვესტიციებით შვილობილ კომპანიებში (მონაწილეობა კაპიტალში და გაცემული სესხები) 100%-ით;
- დ) აქციები, რომელთა მიმოქცევა ხორციელდება ორგანიზებული ბაზრის გარეთ 100%-ით;
- ე) გაცემული არაუზრუნველყოფილი სესხების 100%-ით;
- ვ) აქტივების იმ ოდენობით, რომელიც კომპანიის მიერ გამოყენებულია ვალდებულებების უზრუნველყოფის საშუალებად და ასახული არ არის მზღვევლის ფინანსური ანგარიშგების ვალდებულებების ნაწილში (შეზღუდული თანხის 100%);
- ზ) გადავადებული საკომისიო ხარჯის 100%-ით 1 ; თ) გადავადებული საგადასახადო აქტივის 100%-ით;
- ი) გასაყიდად არსებული ფინანსური აქტივების 10%-ით; კ) დაფარვის ვადამდე მფლობელობაში არსებული ფინანსური აქტივების 10%-ით;
- ლ) რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები, მოგებაში ან ზარალში ასახვით 10%-ით;
- მ) მოთხოვნები გადარჩენილი ქონებიდან 100%-ით; ნ) 100 000 ლარს ზემოთ ოდენობის ნაღდი ფული სალაროში 100%-ით;
- ო) საინვესტიციო ქონების 30%-ით;
- პ) სხვა აქტივები 100%-ით, რაც მოიცავს: მიწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი მოთხოვნებით; გადახდილი ავანსებით, საწარმოო პერსონალის მიმართ მოთხოვნებით; დამფუძნებლების მიმართ მოთხოვნებით; მარაგებით; სხვა ინვესტიციებით;

გადახდისუნარიანობის მარჯა - გამოითვლება როგორც მაქსიმუმი პრემიებზე დაყრდნობის მეთოდით გამოთვლილ გადახდისუნარიანობის მაჩვენებელსა და ზარალებზე დაყრდნობის მეთოდით გამოთვლილ გადახდისუნარიანობის მაჩვენებელს შორის.

სადაზღვევო რეზერვების ოდენობა - პერიოდის ბოლოს არსებული ვალდებულებები სადაზღვევო რეზერვებიდან დაანგარიშებული საერთაშორისო ფინანსური სტანდარტების მიხედვით და დაკორექტირებული სსიპ საქართველოს დაზღვევის ზედამხედველობის სამსახურის მოთხოვნების გათვალისწინებით. დეტალური ინფორმაცია იხილეთ ქვეთავში „მარეგულირებლის მოთხოვნებთან შესაბამისობა“.

სადაზღვევო რეზერვების დასაფარავად დასაშვები აქტივების ზღვრული თანაფარდობა სადაზღვევო რეზერვებთან - სადაზღვევო რეზერვების დასაფარავად დასაშვები აქტივების თანაფარდობა იმავე წლის სადაზღვევო რეზერვების ოდენობასთან.

ნეტო ვალდებულებების ზღვრული თანაფარდობა საზედამხედველო კაპიტალთან - საანგარიშგებო პერიოდისთვის მზღვევის მიერ აღებული ნეტო ვალდებულებები (ერთ რისკთან მიმართებით) შეფარდებული საზედამხედველო კაპიტალთან.

ფასიანი ქაღალდების ძირითადი მახასიათებლები

ფასიანი ქაღალდების ძირითადი მახასიათებლები განსაზღვრულია ფასიანი ქაღალდების შეთავაზების პირობების დოკუმენტით.

მოკლე ინფორმაცია ინდუსტრიისა და ეკონომიკისათვის დამახასიათებელი რისკების შესახებ

1. ეკონომიკური არასტაბილურობისა და ინვესტირების რისკი მაღალია ისეთ განვითარებად ქვეყნებში, როგორც საქართველოა:
 - 1.1. არსებობს დამატებითი რისკის ფაქტორები, რომლებიც უკავშირდება ისეთ განვითარებად ბაზრებზე ინვესტირებას, როგორც საქართველოა;
 - 1.2. კომპანიის საქმიანობაზე შესაძლოა მნიშვნელოვანი უარყოფითი ზეგავლენა მოახდინოს ლარის გაუფასურებამ აშშ დოლართან/სხვა ეკონომიკურად დაკავშირებული ქვეყნების ვალუტებთან მიმართებით;
 - 1.3. ვინაიდან კომპანია მხოლოდ საქართველოში ოპერირებს, საქართველოს ეკონომიკის პირობებში ცვლილებები მასზე გავლენას მოახდენს;
2. მეზობელ ქვეყნებსა და რეგიონთან დაკავშირებული რისკები:
 - 2.1. რეგიონულმა დამაბულობამ შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს ადგილობრივ ეკონომიკაზე და კომპანიის ბიზნესზე;
 - 2.2. საქართველოს მეზობელი ბაზრების დესტრუქციას შესაძლოა ჰქონდეს უარყოფითი გავლენა საქართველოს ეკონომიკაზე;
3. კონკურენციასა და ბაზრის მოთხოვნებთან დაკავშირებული რისკები:
 - 3.1. კომპანია ოპერირებს მუდმივად მზარდ კონკურენტულ ბაზარზე, რომელიც ყოველ წელს უფრო და უფრო იზრდება;
4. საკანონმდებლო და სასამართლო სისტემებთან დაკავშირებული რისკები:
 - 4.1. პოლიტიკური და სამთავრობო არასტაბილურობა საქართველოში მნიშვნელოვან უარყოფით გავლენას მოახდენს ადგილობრივ ეკონომიკასა და კომპანიის ბიზნესზე;
 - 4.2. შესაძლოა თავი იჩინოს გამოწვევებმა, რომლებიც დაკავშირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციით, რასაც თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ ღრმა და ყოვლისმომცველი შეთანხმება მოითხოვს;
 - 4.3. საქართველოს საგადასახადო სისტემაში არსებულმა ბუნდოვანებამ შესაძლოა მომავალში გამოიწვიოს კომპანიის საგადასახადო ვალდებულებების კორექტირება ან კომპანიისთვის ჯარიმების დაკისრება. ასევე შესაძლებელია, შეიცვალოს საქართველოში მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობა და პოლიტიკა;
5. მარეგულირებელ ჩარჩოსთან დაკავშირებული რისკები:
 - 5.1. რეგულაციებმა ინდუსტრიაში შესაძლოა უარყოფითად იმოქმედოს კომპანიის საქმიანობაზე;
 - 5.2. თუ მომავალში კომპანია ვერ შეასრულებს ფულის გათეთრებასთან ან ტერორისტთა დაფინანსებასთან დაკავშირებულ რაიმე მოქმედ რეგულაციებს, ან თუ კომპანია მათთან იქნება ასოცირებული, ამან შესაძლოა უარყოფითი ზეგავლენა მოახდინოს კომპანიაზე;

მოკლე ინფორმაცია ემიტენტის საქმიანობისთვის დამახასიათებელი რისკების შესახებ

6. მომგებიანობასა და ეფექტურ მართვასთან დაკავშირებული რისკები:
 - 6.1. იმ შემთხვევაში, თუ დაზღვევის მომენტში კომპანია ვერ მოახერხებს პოტენციური რისკის საფუძვლიან შეფასებას და შესაბამისად ვერ შეძლებს სადაზღვევო პროდუქტისთვის შესაფერისი ტარიფის განსაზღვრას, შესაძლოა კომპანიას მიადგეს მნიშვნელოვანი ფინანსური ზარალი;
 - 6.2. კორპორატიული მართვის სტანდარტებთან შეუსაბამობის რისკები;
 - 6.3. სადაზღვევო პორტფელის დივერსიფიცირების სტრატეგიის არაეფექტურად განხორციელების შემთხვევაში არსებობს რისკი იმისა, რომ კომპანიას მიადგეს მნიშვნელოვანი ფინანსური ზიანი;
 - 6.4. კომპანიის კლიენტების ბაზის კონცენტრაციის მაღალმა მაჩვენებელმა შესაძლოა უარყოფითად იმოქმედოს კომპანიის ბაზრის წილსა და მიმდინარე საოპერაციო და ფინანსურ საქმიანობაზე;
 - 6.5. იმ შემთხვევაში თუ კომპანია ვერ შეინარჩუნებს შიდა კონტროლის ეფექტურ სისტემას, შესაძლოა ზიანი მიადგეს ფინანსური აღრიცხვა-ანგარიშგების სიზუსტეს, რაც მატერიალური ზიანის მომტანი იქნება კომპანიის ბიზნეს საქმიანობის, საოპერაციო შედეგების და ფინანსურ პოზიციისთვის.
7. საოპერაციო რისკები:
 - 7.1. გაუთვალისწინებელმა სტიქიურმა უბედურებებმა, შესაძლოა კომპანიას მიაყენოს მატერიალური ფინანსური ზარალი;
 - 7.2. კვალიფიციური კადრების დეფიციტმა ბაზარზე, შესაძლოა შეაფერხოს კომპანიის განვითარება და ეფექტური ფუნქციონირება;
 - 7.3. საინფორმაციო ტექნოლოგიების სისტემებმა შესაძლოა ვერ უზრუნველყოს კონფიდენციალური ინფორმაციის სათანადოდ დაცვა, რამაც შესაძლოა მატერიალური ზიანი მიაყენოს კომპანიის ბიზნეს საქმიანობას;
8. საკრედიტო რისკი:
 - 8.1. კომპანია შესაძლოა დადგეს მნიშვნელოვანი საკრედიტო რისკის წინაშე, რამაც შესაძლოა გამოიწვიოს ფინანსური ზარალის დადგომის ალბათობა და უარყოფითად იმოქმედოს კომპანიის საოპერაციო საქმიანობაზე;
9. ლიკვიდურობასა და დაფინანსებასთან დაკავშირებული რისკები:
 - 9.1. დაფინანსების ხელმისაწვდომობის ნაკლებობის რისკი კომპანიის სტრატეგიული განვითარებისთვის;
 - 9.2. კომპანიას შესაძლოა შეექმნას შეფერხება გადაზღვევის ხელმისაწვდომობასთან და გაზრდილ გადაზღვევის ხარჯებთან დაკავშირებით, რამაც შესაძლოა მნიშვნელოვნად შეასუსტოს ბიზნეს განვითარება, და უარყოფითად იმოქმედოს კომპანიის საოპერაციო და ფინანსურ შედეგებზე;
10. რეპუტაციული რისკი:
 - 10.1. დამდგარი სადაზღვევო ვალდებულებების დადგენილ ვადაში და დროულად შეუსრულებლობამ შესაძლოა მნიშვნელოვნად იმოქმედოს კომპანიის რეპუტაციაზე და უარყოფითი გავლენა მოახდინოს კომპანიის საოპერაციო და ფინანსურ საქმიანობაზე.

მოკლე ინფორმაცია შესავალზე ფასიანი ქაღალდებისათვის დამახასიათებელი რისკების შესახებ

11. „აქციების“ საბაზრო ფასთან, ლიკვიდურობასთან და სარგებელთან დაკავშირებული რისკები:
 - 11.1. აქციების სავაჭრო ფასი და ლიკვიდურობა შეიძლება იყოს ცვალებადი და აქციებისთვის შესაძლოა არ არსებობდეს აქტიური სავაჭრო ბაზარი;
12. "აქციების" და მათი ფლობის საკანონმდებლო/მარეგულირებელ ჩარჩოსთან დაკავშირებული რისკები:
 - 12.1. აქციებში კაპიტალდაბანდება გულისხმობს ინვესტიციის კანონიერებასთან დაკავშირებული მოსაზრებების გათვალისწინებას;
 - 12.2. ინვესტიციის კანონიერების დადგენა;
 - 12.3. საქართველოს კანონმდებლობაში ნებისმიერმა ცვლილებამ მომავალში შეიძლება არსებითად უარყოფითი გავლენა მოახდინოს აქციებზე, მათ შორის საქართველოს საფონდო ბირჟაზე მათ რეგისტრაციაზე;
 - 12.4. აქციების გასხვისება ექვემდებარება გარკვეულ შეზღუდვებს;
13. განზავების რისკი:
 - 13.1. განზავების რისკი;
14. სამომავლო დივიდენდებთან დაკავშირებული რისკები :
 - 14.1. სამომავლო დივიდენდებთან დაკავშირებული რისკები;
15. პირდაპირ საჯარო შეთავაზებასთან (DPO) დაკავშირებული რისკები:
 - 15.1. კომპანიის კაპიტალის სტრუქტურა ითვალისწინებს შეთავაზებული B კლასის აქციების გარდა A და AA კლასის აქციებს, რომელთა მფლობელებსაც გააჩნიათ დამატებითი უფლებები შეთავაზებულთან მიმართებით;
 - 15.2. გარდა კანონმდებლობით განსაზღვრული შემთხვევებისა, შეთავაზების პერიოდში არ არსებობს ე.წ. ვაჭრობის დახურული პერიოდი, რომლის განმავლობაშიც კომპანიის არაპირდაპირ მფლობელებს/მმართველი ორგანოს წევრებს აკრძალვიათ აქციებში ინვესტირების განხორციელება;
 - 15.3. არსებობს რისკი იმისა რომ არსებულმა აქციონერებმა არ მოისურვონ სავაჭროდ დაშვებული აქციების სრულად გასხვისება;

შეთავაზების პრობები

შეთავაზების პრობები განსაზღვრულია ფასიანი ქაღალდების შეთავაზების პრობების დოკუმენტით.

რისკის ფაქტორები

აქციებში კაპიტალდაბანდება შეიცავს გარკვეულ რისკებს. ინვესტირების თაობაზე გადაწყვეტილების მიღებამდე აქციების პოტენციურმა მყიდველებმა ყურადღებით უნდა წაიკითხონ წინამდებარე პროსპექტი. პროსპექტში მოცემული სხვა ინფორმაციის გარდა, პოტენციურმა ინვესტორებმა, აქციებში ინვესტიციის განხორციელებამდე, ყურადღებით უნდა შეისწავლონ, საკუთარი ფინანსური მდგომარეობისა და ინვესტიციათა მიზნების გათვალისწინებით, ქვემოთ აღწერილი რისკები. ქვემოთ აღწერილი რისკებიდან ნებისმიერს შეუძლია არსებითი უარყოფითი ზეგავლენის მოხდენა კომპანიის საქმიანობაზე, ფინანსურ მდგომარეობასა და საქმიანობის შედეგებზე. ნებისმიერი ამ რისკის რეალურად წარმოქმნის შემთხვევაში აქციების საბაზრო ღირებულებამ შესაძლოა უარყოფითი ზემოქმედება განიცადოს. გარდა ამისა, ქვემოთ ასევე აღწერილია ის ფაქტორები, რომლებიც მნიშვნელოვანია აქციებთან დაკავშირებული საბაზრო რისკების შესაფასებლად. და თუმცა კომპანიას მიაჩნია, რომ ქვემოთ აღწერილი რისკის ფაქტორები წარმოადგენს აქციებში ინვესტიციის განხორციელებასთან დაკავშირებულ ძირითად რისკებს, შესაძლოა წარმოქმნას დამატებითი რისკები და გაურკვეველი ვითარება, რომლებიც კომპანიას ამჟამად არ მიაჩნია მნიშვნელოვანად ან რომელთა შესახებ არა აქვს ინფორმაცია, და ნებისმიერს ამ რისკთაგან და გაურკვეველი გარემოებებიდან შესაძლოა მოჰყვეს ქვემოთ აღწერილის მსგავსი ზემოქმედება. შესაბამისად, კომპანია არ ამტკიცებს, რომ აქციების ფლობასთან დაკავშირებით ქვემოთ მოცემული რისკების შესახებ განცხადებები ამომწურავია.

Covid-19 პანდემიის ეფექტის მიმოხილვა:

2020 წლის 11 მარტს COVID-19 („კორონავირუსი“) ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ პანდემიად გამოცხადდა. პროსპექტის დამტკიცების თარიღისათვის, ვირუსით ინფიცირებული მოქალაქეები ყავს მსოფლიოს 190-ზე მეტ ქვეყანას, მათ შორის საქართველოს. ჯერჯერობით უცნობია როდის მოხდება ვირუსის შეჩერება, რაც ეკონომიკურ პროგნოზირებას ართულებს, რადგან არ არსებობს მსოფლიოში შესადარი ისტორიული მაგალითი. არსებული კრიზისი მსოფლიოში ამცირებს, როგორც მიწოდებას (რადგან წარმოება შეზღუდულად ოპერირებს და მიწოდების ჯაჭვები შეფერხებულია), ისე მოთხოვნას (სოციალური დისტანცია, გაურკვეველობა, სამუშაო ადგილების დაკარგვა).

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს მთავრობა აქტიურ ზომებს იღებს ვირუსის გავრცელების შესაჩერებლად და მის მიერ გამოწვეული პოტენციური ნეგატიური შედეგების შესამცირებლად და კომპანიაც მაქსიმალურად ასრულებს საქართველოს მთავრობისა და ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის რეკომენდაციებს, არსებობს რისკი იმისა, რომ მიმდინარე მოვლენებს შესაძლოა ჰქონდეს კომპანიაზე როგორც პირდაპირი, ისე არაპირდაპირი უარყოფითი გავლენა. აღნიშნული შესაძლოა გამოიხატოს ქვეყნის ეკონომიკური განვითარების ტემპის შენელებაში.

პროსპექტის წარდგენის მომენტისთვის, მენეჯმენტის შეფასებით პანდემიის კვალდაკვალ ზოგიერთი სადაზღვევო პროდუქტის მიმართ მოთხოვნა მნიშვნელოვნად შემცირდა. ბაზარზე ყველაზე დიდი გავლენა იქონია სამოგზაურო დაზღვევასა და ავტოტრანსპორტის მფლობელთა სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევაზე.

2020 წლის პირველი კვარტლის მონაცემებით აქტიური პოლისების რაოდენობა შემცირებულია 49.8%-ით და შეადგენს 34,113 აქტიურ პოლისს.

სამოგზაურო დაზღვევის პოლისების რეალიზაცია კარანტინის დროს ჩაკეტილი საზღვრების გამო შეჩერდა, თუმცა აღსანიშნავია რომ სამოგზაურო დაზღვევის წილი ემიტენტის მთლიან მოზიდულ პრემიაში პანდემიის დაწყებამდეც საკმაოდ უმნიშვნელო იყო და შეადგენდა 0.02%-ს 2019 წლის მდგომარეობით.

პანდემიის ეფექტის გავლენით შემცირებულია საქართველოს საზღვარზე შემომავალ არარეზიდენტ პირების ავტომობილებზე სავალდებულო მესამე პირის მიმართ პასუხისმგებლობის დაზღვევის პროდუქტის რეალიზაციაც, რომელის მთლიანი მოზიდული პრემია 2020 5 თვის მდგომარეობით დაახლოებით 17%ითაა შემცირებული წინა წლის ამავე პერიოდთან მიმართებით. მეორეს მხრივ, ბოლოდროინდელმა მოვლენებმა ბაზარზე გაზარდა ჯანმრთელობის პროდუქტებზე მოთხოვნა. სამომავლოდ კომპანია გეგმავს ამ ჯანმრთელობის პროდუქტებით ოპერირების დაწყებას. დეტალური ინფორმაციისთვის იხილეთ ქვეთავი „სამომავლო სტრატეგია და მიზნები“.

ინდუსტრიისა და ეკონომიკისათვის დამახასიათებელი რისკები

1. ეკონომიკური არასტაბილურობისა და ინვესტირების რისკი მაღალია ისეთ განვითარებად ქვეყნებში, როგორც საქართველოა

1.1. არსებობს დამატებითი რისკის ფაქტორები, რომლებიც უკავშირდება ისეთ განვითარებად ბაზრებზე ინვესტირებას, როგორც საქართველოა

განვითარებად ბაზრებს ახასიათებს უფრო დიდი არასტაბილურობა, შეზღუდული ლიკვიდურობა, ნაკლები მოცულობის საექსპორტო ბაზა და მათზე უფრო მეტად მოქმედებს ხშირი ცვლილებები პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ, სამართლებრივ და მარეგულირებელ გარემოში, ვიდრე განვითარებულ ბაზრებზე. განვითარებადი ბაზრები სწრაფად იცვლება და ისინი განსაკუთრებით დაუცველები არიან საბაზრო პირობებისა და მსოფლიოს ნებისმიერ ადგილას მომხდარი ეკონომიკური კრიზისების წინაშე.

გარდა ამისა, საერთაშორისო ინვესტორების რეაქცია მოვლენებთან დაკავშირებით ზოგჯერ „ჯაჭვური ეფექტით“ ხასიათდება, როდესაც ინვესტორები უარყოფენ მთლიანად რეგიონს ან ინვესტიციის კლასს. თუ ადგილი ექნება ამგვარ ჯაჭვურ ეფექტს, საქართველოზე შესაძლოა უარყოფითად იმოქმედოს სხვა განვითარებად ბაზრებზე მომხდარმა ნეგატიურმა ეკონომიკურმა ან ფინანსურმა მოვლენებმა. საქართველომ წარსულში უკვე განიცადა ჯაჭვური ეფექტი, მათ შორის რუსეთის 1998 წლის ფინანსური კრიზისის და უფრო გვიანდელი გლობალური ფინანსური კრიზისის შემდეგ და შესაძლებელია, რომ ქვეყანამ მსგავსი უარყოფითი ზეგავლენა მომავალშიც განიცადოს.

ამასთან, ქვეყნის ეკონომიკაზე უარყოფითი გავლენა შეიძლება იქონიოს ფინანსურმა და პოლიტიკურმა არასტაბილურობამ. აღნიშნულის რეალიზების შემთხვევაში ადგილი ექნება კაპიტალის გადინებას, რომელმაც შეიძლება მნიშვნელოვნად დააზიანოს ფინანსური სისტემა და საბოლოოდ ეკონომიკა სტაგნაციაში გადაიყვანოს.

1.2. კომპანიის საქმიანობაზე შესაძლოა მნიშვნელოვანი უარყოფითი ზეგავლენა მოახდინოს ლარის გაუფასურებამ აშშ დოლართან/სხვა ეკონომიკურად დაკავშირებული ქვეყნების ვალუტებთან მიმართებით;

მიუხედავად იმისა, რომ ლარი სრულად კონვერტირებადი ვალუტაა, მისი საქართველოს ფარგლებს გარეთ კონვერტირებისთვის საერთოდ არ არსებობს სავალუტო ბაზარი. საქართველოში არსებობს ბაზარი ლარის სხვა ვალუტებში კონვერტირებისთვის, მაგრამ მისი მოცულობა შეზღუდულია. ეროვნული ბანკის მონაცემებით, 2018 წელს, ლარის-აშშ დოლარის და ლარის-ევროს ბაზრებზე სავაჭრო ბრუნვის საერთო მოცულობამ (მათ შორის, გაყიდვებისა და შესყიდვების ჯამი, ეროვნული ბანკის საქმიანობის გარდა) შესაბამისად 32.0 მილიარდი აშშ დოლარი და 11.4 მილიარდი ევრო შეადგინა, იგივე მაჩვენებელმა 2019 წელს შესაბამისად 48.6 მილიარდი აშშ დოლარი და 28.7 მილიარდი ევრო, ხოლო 2020 წლის პირველ 5 თვეში აღნიშნული მაჩვენებლები შესაბამისად 19.9 მლრდ აშშ დოლარს და 13.5 მლრდ ევროს შეადგენდა.

საქართველოს ეროვნული ბანკის მონაცემებით მისმა ოფიციალურმა რეზერვმა 3.6 მილიარდი აშშ დოლარი შეადგინა 2020 წლის 31 მაისის მდგომარეობით, რომელიც წლიურად 3.3%-ით არის შემცირებული, რაც ძირითადად განპირობებულია წლის დასაწყისიდან სებ-ს მიერ განხორციელებული სავალუტო ინტერვენციებით. მიმდინარე რეზერვების დონე ადეკვატურია საერთაშორისო სავალუტო ფონდის შეფასებით, რომლითაც ქვეყანას შეუძლია თავი გაართვას კრიზისულ სიტუაციებს მოკლევადიან პერიოდში. გარდა ამისა, რეზერვები შეიძლება გამოყენებულ იქნას იმ შემთხვევაში თუ ლარის გაცვლითი კურსი ერთჯერადი ფაქტორების გამო

მნიშვნელოვნად გაუფასურდა, რადგან ვალუტის გაუფასურებამ შეიძლება არსებითი უარყოფითი გავლენა მოახდინოს ქვეყნის ეკონომიკაზე.

წლების მანძილზე ლარის კურსი დოლართან მიმართებაში მნიშვნელოვნად იცვლებოდა. 2017 წლის დასაწყისიდან ლარმა დაიწყო გამყარება და აშშ დოლარის მიმართ 2.4-2.5-ის ფარგლებში სტაბილურობას ინარჩუნებდა მარტი-სექტემბერის პერიოდში, თუმცა გასული წლების მიხედვით ჩამოყალიბებული ნეგატიური მოლოდინების გამო ლარი ისევ გაუფასურდა 2017 წლის ნოემბერში. 2018 წლის პირველი შვიდი თვის განმავლობაში ლარი ისევ გამყარდა და მერყეობდა 2.4-2.5-ის ფარგლებში, თუმცა თურქული ლირის გაუფასურებამ 18 აგვისტოდან, გავლენა მოახდინა ლარის კურსზე და ადგილი ჰქონდა გაუფასურებას, თუმცა საშუალოდ ლარის კურსი 2018 წელს აშშ დოლარის მიმართ 2.53 იყო, რაც მხოლოდ 1%-იანი გაუფასურებაა 2017 წელთან შედარებით. იმის გამო, რომ ლარის კურსი 2018 წელს მეტ-ნაკლებად სტაბილურობას ინარჩუნებდა ეროვნულ ბანკს საშუალება მისცა შეეცაო რეზერვები სავალუტო აუქციონებზე უცხოური ვალუტის შესყიდვის გზით. ჯამში, 2018 წელს ეროვნულმა ბანკმა 197.5 მლნ აშშ დოლარის უცხოური ვალუტა შეისყიდა. ეროვნული ბანკი მიერ უცხოური ვალუტის შესყიდვის ტრენდი 2019 წელსაც გაგრძელდა და 2019 წლის იანვარ-ივნისში ეროვნულმა ბანკმა ჯამში 216 მლნ აშშ დოლარი შეისყიდა (165 მლნ აშშ დოლარი სავალუტო ინტერვენციების გზით, ხოლო 51 მლნ აშშ დოლარი სავალუტო ოფციონების გზით). ამასთან, აღსანიშნავია, რომ 2019 წლის 8 ივლისიდან, მას შემდეგ, რაც რუსეთმა პირდაპირი საჰაერო ფრენები აკრძალა საქართველოს მიმართულებით, ლარმა გაუფასურება დაიწყო აშშ დოლარის მიმართ. შესაბამისად, ეროვნულმა ბანკმა ლარის ზედმეტი გაუფასურების შესაჩერებლად სავალუტო ბაზარზე 92.8 მლნ აშშ დოლარი გაყიდა აგვისტო-ნოემბრის პერიოდში. 2019 წლის დეკემბრის შუა რიცხვებიდან ლარმა გამყარება დაიწყო და აღნიშნული ტრენდი ნარჩუნდებოდა 2020 წლის 10 მარტამდე, თუმცა კორონავირუსის გლობალური პანდემიისგან წარმოქმნილი პრობლემების ფონზე ლარმა გაუფასურება 10 მარტიდან დაიწყო აშშ დოლარის მიმართ და ისტორიულ მაქსიმუმს 27 მარტს მიაღწია, როცა 1 აშშ დოლარი 3.48 ლარს შეადგენდა. ეროვნულმა ბანკმა ლარის ზედმეტი გაუფასურების შეკავების მიზნით სავალუტო ბაზარზე ჯამში 13 მარტიდან 17 ივნისის ჩათვლით 209.7 მლნ აშშ დოლარის ინტერვენცია განახორციელა. 2020 წლის 23 ივნისის მონაცემით ლარი წლის დასაწყისიდან 6.2%-ით არის გაუფასურებული და 1 აშშ დოლარი 3.04 ლარს უტოლდება.

აგრეთვე, ლარის ნებისმიერი არასტაბილურობა დამოკიდებულია რამდენიმე პოლიტიკურ და ეკონომიკურ ფაქტორზე, მათ შორის ეროვნული ბანკისა და მთავრობის მხრიდან ინფლაციის კონტროლზე. საქსტატის შეფასებით, საქართველოში სამომხმარებლო ფასების წლიური ინფლაცია 2017 წელს 6.7%, 2018 წელს 1.5%, ხოლო 2019 წელს 7.0% იყო. 2019 წელს ინფლაციის გადახრა სებ-ის 3%-იანი მიზნობრივი მაჩვენებლისგან ძირითადად განპირობებული იყო საგარეო რისკების რეალიზებით და თამბაქოს აქციზის გადასახადის ზრდით, რისი ეფექტიც მოსალოდნელი იყო რომ 2020 წლის დასაწყისიდან შესუსტდებოდა. თუმცა, კორონავირუსის გავრცელების ფონზე ლარის გაუფასურებამ მნიშვნელოვანი წნეხი გააჩინა ფასების დონეზე და 2020 წლის პირველ 5 თვეში ინფლაცია კვლავ 6%-ის ზევით შენარჩუნდა. შემცირებული მოთხოვნის და შესუსტებული ეკონომიკური აქტივობის ფონზე ფასების დონე მოსალოდნელია, რომ წლის მეორე ნახევრიდან კლებას დაიწყებს და 2021 წლის პირველ ნახევარში მიზნობრივ მაჩვენებელს მიუახლოვდება. 2020 წლის აპრილში სებ-მა დაიწყო გამკაცრებული მონეტარული პოლიტიკის შემსუბუქება და 0.50პპ-ით 8.50%-მდე შეამცირა რეფინანსირების განაკვეთი. სებ-ის მიხედვით გამკაცრებული მონეტარული პოლიტიკიდან გამოსვლა ეტაპობრივად მოხდება და დამოკიდებული იქნება ინფლაციაზე როგორც მოთხოვნის, ისე მიწოდების მხრივ მოქმედი ფაქტორების დინამიკაზე.

ინფლაციის მიზნობრივ დონეზე შენარჩუნებას მნიშვნელოვანი როლი აქვს ეკონომიკის სტაბილური განვითარებისათვის. მაღალმა ინფლაციამ შეიძლება გამოიწვიოს სავალუტო და ფინანსური ბაზრების არასტაბილურობა, მომხმარებლების მსყიდველობითი უნარის დაქვეითება

და მათი ნდობის შემცირება. ამ ყველაფერს კი შეუძლია განაპირობოს საქართველოს ეკონომიკური მაჩვენებლების დაბალი დონე და არსებითი უარყოფითი გავლენა მოახდინოს კომპანიის კორპორაციული კლიენტების ბიზნესებზე, რაც, თავის მხრივ, უარყოფითად აისახება კომპანიაზე.

1.3. ვინაიდან კომპანია მხოლოდ საქართველოში ოპერირებს, საქართველოს ეკონომიკის პირობებში ცვლილებები მასზე გავლენას მოახდენს;

კომპანია ოპერაციებს საქართველოში აწარმოებს და მთელი მისი შემოსავლები საქართველოდანაა. კომპანიის ოპერაციების შედეგებზე მნიშვნელოვანად ზემოქმედებს საქართველოში მიმდინარე ან საქართველოსთან დაკავშირებული ფინანსური და ეკონომიკური მოვლენები, განსაკუთრებით საქართველოს ეკონომიკური აქტივობა, და ეს ზემოქმედება მომავალშიც გაგრძელდება. ისეთი ფაქტორები, როგორებიცაა მთლიანი შიდა პროდუქტი (მშპ), ინფლაცია, საპროცენტო განაკვეთი და ვალუტის გაცვლის კურსი, ასევე, უმუშევრობა, პირადი შემოსავალი და კომპანიების ფინანსური მდგომარეობა, მნიშვნელოვან ზემოქმედებას ახდენს კომპანიის პროდუქტებსა და სერვისებზე მომხმარებლის მოთხოვნაზე.

საქართველოს ეკონომიკამ, ბოლო წლებში ნავთობის ფასების კლებასთან დაკავშირებული გრძელვადიანი საგარეო შოკების მიმართ მდგრადობა აჩვენა. საქსტატის მონაცემებით, საქართველოში რეალური მშპ 2016 წელს 2.9%-ით გაიზარდა, 2017 წელს 4.8%, 2018 წელს ასევე 4.8%-ით, ხოლო 2019 წელს საქართველოს ეკონომიკა 5.1%-ით გაიზარდა. 2020 წლისთვის საერთაშორისო საერთაშორისო ფონდი (IMF) საქართველოს ეკონომიკის 5.0%-იან კლებას პროგნოზირებს, რაც ვირუსის გავრცელებიდან გამომდინარე შემცირებულ ეკონომიკურ აქტივობას უკავშირდება. ამასთანავე, საერთაშორისო სავალუტო ფონდი პროგნოზირებს, რომ 2021 წლიდან მოსალოდნელია ეკონომიკური ზრდის აღდგენა 5%-ის ფარგლებში. .

საქართველოს ეკონომიკური ზრდის პერსპექტივა კვლავ მნიშვნელოვანი საფრთხეების წინაშე დგას, მათ შორის გაცვლითი კურსის მერყეობის, ფინანსური სტაბილურობის შესუსტების, ინფლაციის, ბიუჯეტის შესრულებისა და კაპიტალის გადინების რისკების წინაშე. საბაზრო კრიზისმა და ეკონომიკის გაუარესებამ საქართველოში შეიძლება მომხმარებლების მხრიდან დანახარჯების შემცირება გამოიწვიოს და სერიოზული უარყოფითი გავლენა მოახდინოს საქართველოში კომპანიის მომხმარებელთა ლიკვიდურობასა და ფინანსურ მდგომარეობაზე. ვირუსიდან გამომდინარე გაურკვეველმა და არასტაბილურმა გლობალურმა ეკონომიკურმა პირობებმა, შეიძლება გამოიწვიოს მნიშვნელოვანი პოლიტიკური და მაკროეკონომიკური რეფორმები მსოფლიო მასშტაბით, რაც, თავის მხრივ, მნიშვნელოვან გავლენას იქონიებს საქართველოს ეკონომიკაზე, რაც შესაბამისად უარყოფით გავლენას მოახდენს კომპანიის ბიზნესზე, ფინანსურ მდგომარეობაზე და ოპერაციების შედეგებზე.

2. მეზობელ ქვეყნებსა და რეგიონთან დაკავშირებული რისკები

2.1. რეგიონულმა დაძაბულობამ შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს ადგილობრივ ეკონომიკაზე და კომპანიის ბიზნესზე;

საქართველო რუსეთს, აზერბაიჯანს, სომხეთსა და თურქეთს ესაზღვრება და პოლიტიკურმა დაძაბულობამ მის საზღვრებს შიგნით და მეზობელ ქვეყნებში მასზე შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს. კერძოდ, 1991 წელს დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ საქართველოს კონფლიქტები აქვს აფხაზეთის და ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის სეპარატისტულ რეგიონებთან და რუსეთთან. ამ კონფლიქტებმა ქვეყანა ძალადობის ცალკეულ აქტებსა და სამშვიდობო ოპერაციების დარღვევასთან მიიყვანა. 2008 წლის აგვისტოში ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის კონფლიქტი გამწვავდა. საქართველოს სამხედრო ძალები ბრძოლაში

ჩაებნენ ადგილობრივ შეიარაღებულ ჯგუფებსა და რუსეთის არმიასთან, რომელმაც საქართველოს საერთაშორისო საზღვარი გადმოკვეთა და საქართველომ საომარი მდგომარეობა გამოაცხადა. მიუხედავად იმისა, რომ საქართველომ და რუსეთმა, საფრანგეთის შუამავლობით, ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმება გააფორმეს, რომლის თანახმადაც რუსეთის სამხედრო ძალები ქვეყნიდან იმ თვის ბოლომდე უნდა გასულიყვნენ, რუსეთმა დაარღვია ეს შეთანხმება და სეპარატისტული რეგიონების დამოუკიდებლობა აღიარა. შესაბამისად, დაძაბულობა გრძელდება, რადგან რუსეთის არმიას კვლავ ოკუპირებული აქვს აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი/სამხრეთ ოსეთი. მაგალითად, 2013 წლის ზაფხულში რუსეთის სასაზღვრო ძალებმა მავთულხლართის ღობეები აღმართეს საქართველოსა და სამხრეთ ოსეთის სადემარკაციო ხაზის ზოგიერთი ნაწილის გასწვრივ. მომავალში ასეთი ქმედებები დაძაბულობას გაამწვავებს. რუსეთი ეწინააღმდეგება ასევე ნატოს აღმოსავლეთით გაფართოებას, რაც პოტენციურად ყოფილი საბჭოთა კავშირის ისეთი ქვეყნების მოცვას გულისხმობს როგორც საქართველოა. საქართველოს ხელისუფლებამ გარკვეული ნაბიჯები გადადგა რუსეთთან ურთიერთობების გასაუმჯობესებლად, მაგრამ ამ ნაბიჯებს დღეისათვის რაიმე ოფიციალური ან იურიდიული ცვლილება ორი ქვეყნის ურთიერთობებში არ მოუტანია.

ურთიერთობები აზერბაიჯანსა და სომხეთს შორის კვლავ დაძაბულია და ამ ორ ქვეყანას შორის ძალადობის ცალკეული შემთხვევები აღინიშნება.

ასევე დაძაბულობა აღინიშნება თურქეთსა და რუსეთს შორისაც. ორი ქვეყნის ურთიერთობაში მწვავე დაძაბულობა მოჰყვა 2015 წლის ინციდენტს, როცა თურქეთის საბრძოლო თვითმფრინავმა თურქეთ-სირიის საზღვარზე რუსეთის ავიაგამანადგურებელი ჩამოაგდო. უთანხმოებას იწვევს კონფლიქტი სირიაშიც, სადაც რუსეთი და თურქეთი ერთმანეთთან დაპირისპირებულ ძალებს ემხრობიან.

უკრაინასა და რუსეთს შორის არსებულმა გეოპოლიტიკურმა დაძაბულობამაც შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს საქართველოს ეკონომიკაზე. უკრაინაში კრიზისი 2013 წლის მიწურულს დაიწყო და ამჟამად ეკონომიკა აღდგენის პროცესშია, თუმცა ზუსტი პროგნოზირება რთულია. შეერთებულმა შტატებმა და ევროკავშირმა სავაჭრო სანქციები დაუწესა რუსეთს, ასევე რუსეთის და ყირიმის სხვადასხვა თანამდებობის პირს, მათ შორის რამდენიმე რუსულ ბანკსა და კომპანიას. უკრაინაში არსებულმა პოლიტიკურმა არასტაბილურობამ, სამოქალაქო არეულობებმა და სამხედრო კონფლიქტმა, რუსეთსა და უკრაინას შორის გეოპოლიტიკური კონფლიქტის გაგრძელებამ ან ესკალაციამ, ასევე, დაწესებული სანქციების და ნავთობის ფასების ვარდნის თუ ვალუტის გაუფასურების შედეგად რუსეთის ეკონომიკის შემდგომმა ვარდნამ, გაურკვევლობის ზრდამ, რეგიონული, პოლიტიკური და ეკონომიკური არასტაბილურობის მატებამ და რუსეთთან საქართველოს ურთიერთობების გაუარესებამ შესაძლოა ნეგატიური გავლენა იქონიოს საქართველოს პოლიტიკურ თუ ეკონომიკურ სტაბილურობაზე.

2019 წლის 8 ივლისიდან რუსეთიდან საქართველოს მიმართულებით პირდაპირი საჰაერო ფრენები აიკრძალა, რამაც გავლენა იქონია ტურიზმის სექტორზე. ამავდროულად, რუსეთიდან ტურისტული ნაკადების შემცირებამ მნიშვნელოვანი გავლენა იქონია სავალუტო ბაზარზე. 8 ივლისიდან მოყოლებული ლარმა გაუფასურება დაიწყო და ისტორიულ მაქსიმუმს 27 სექტემბერს მიაღწია, როცა 1 აშშ დოლარი 2.98 ლარს გაუტოლდა (ლარის 6%-იანი გაუფასურება). საქართველოს ეროვნული ბანკის შეფასებით რუსეთიდან პირდაპირი საჰაერო ფრენების აკრძალვით ქვეყანამ ტურიზმიდან დაახლოებით 300 მლნ აშშ დოლარით ნაკლები შემოსავალი მიიღო მოსალოდნელთან შედარებით. ამასთან, აღნიშნული შოკის მიუხედავად, საქართველოს საგარეო ბალანსი 2019 წელს გაუმჯობესდა 2018 წელთან შედარებით.

2020 წელს გამწვავდა კონფლიქტი აზერბაიჯანსა და სომხეთს შორის მთიან ყარაბაღში. სომხეთის პრემიერმინისტრმა, ნიკოლ ფაშინიანმა განაცხადა, რომ მთიან ყარაბაღში აზერბაიჯანმა სამხედრო იერიში მიიტანა. გამოცხადდა საომარი მდგომარეობა და საყოველთაო სამხედრო მობილიზაცია. 2020 წლის 10 ოქტომბერს მოსკოვში ხელი მოეწერა ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმებას, თუმცა 11 ოქტომბერს სომხეთი და აზერბაიჯანი ერთმანეთის მხრიდან ქალაქების დაბომბვას იუწყებოდნენ. აზერბაიჯანმა სომხეთი ღამით დიდ ქალაქებზე თავდასხმაში დაადანაშაულა და მიუთითა, რომ ამ ქვეყანამ დაარღვია მოსკოვში 10 ოქტომბერს მიღწეული ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმება.

ყარაბაღის კონფლიქტის გაგრძელებამ შესაძლოა უარყოფითი გავლენა მოახდინოს რეგიონში და მათ შორის საქართველოში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების განხორციელებასა და ტურიზმის სექტორზე.

ასევე, საქართველოს პოლიტიკურ თუ ეკონომიკურ სტაბილურობაზე შეიძლება იმოქმედოს ნებისმიერმა ვითარებამ ქვემოთ ჩამოთვლილთაგან:

- რუსეთთან საქართველოს ურთიერთობების, მათ შორის სასაზღვრო და ტერიტორიულ დავებთან დაკავშირებული ურთიერთობის, გაუარესება;
- ცვლილებები საქართველოს როგორც ენერგომატარებლების სატრანზიტო ქვეყნის მნიშვნელობაში;
- ცვლილებები საქართველოსთვის გაწეული დახმარების მოცულობაში ან ქართველი მწარმოებლების შესაძლებლობაში, ხელი მიუწვდებოდეთ მსოფლიოს საექსპორტო ბაზრებთან;
- რეგიონის ქვეყნებს შორის ურთიერთობების მნიშვნელოვანი გაუარესება .
- რეგიონის ქვეყნებში ეკონომიკური და ფინანსური მდგომარეობის გაუარესება.

2.2. საქართველოს მეზობელი ბაზრების დესტრუქციას შესაძლოა ჰქონდეს უარყოფითი გავლენა საქართველოს ეკონომიკაზე;

საქართველოს ეკონომიკა დამოკიდებულია მის რეგიონში არსებული ქვეყნების (აზერბაიჯანი, სომხეთი, რუსეთი, თურქეთი) ეკონომიკებზე. აზერბაიჯანი და სომხეთი ისტორიულად წარმოადგენდა ორ უდიდეს ბაზარს საქართველოს ექსპორტისათვის და საქსტატის მიხედვით, მათმა წილმა საქართველოს მთლიან ექსპორტში, 2019 წელს შეადგინა 13.2% და 11.0%, შესაბამისად. 2020 წლის პირველ ხუთ თვეში კი აზერბაიჯანის წილი მცირედით გაიზარდა, ხოლო სომხეთის წილი მნიშვნელოვნად შემცირდა საქართველოს მთლიან ექსპორტში და შესაბამისად შეადგინა 13.5% და 5.4%. რუსეთი არის ასევე ერთ-ერთი უდიდესი ბაზარი საქართველოს ექსპორტისათვის. საქსტატის მიხედვით, მისი წილი მთლიან ექსპორტში 2016 წლისთვის შეადგენდა 9.8%-ს, 2017-ში 14.5% და 2018-ში 13.0%-ს, ხოლო 2019 წელს 13.2%-ს. რუსეთის წილი 2020 წლის პირველ ხუთ თვეში 12.7%-ს გაუტოლდა. თურქეთი წარმოადგენს უდიდეს იმპორტიორს საქართველოსთვის, და საქსტატის მიხედვით მისი წილი საქართველოს მთლიან იმპორტში შეადგენდა 16.1%-ს 2018 წელს, ხოლო 17.6%-ს 2019 წელს. თურქეთის წილი კვლავ მაღალ დონეზე შენარჩუნდა 2020 წლის პირველი ხუთი თვის მონაცემებით და მთლიანი იმპორტის 16.1% შეადგინა. Turkstat-ის მონაცემებით, თურქეთის ეკონომიკა 2018 წელს 2.8%-ით გაიზარდა. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ეკონომიკა 2018 წლის მეოთხე კვარტალში 2.8%-ით შემცირდა, რომელიც გაგრძელდა 2019 წელს (-2.3% პირველ კვარტალში და -1.6% მეორე კვარტალში) და ეს ძირითადად გამოწვეული იყო პოლიტიკური არასტაბილურობით, არახელსაყრელი გეოპოლიტიკური მოვლენებით, თურქული ლირის მკვეთრი გაუფასურებით და მაღალი

ინფლაციით (წლიური ინფლაცია 20.3% იყო 2018 წლის დეკემბერში, ხოლო 15.7% იყო 2019 წლის ივნისში). ეს ყველაფერი წარმოადგენს პოტენციურ დაბრკოლებებს შემდგომი ეკონომიკური ზრდისთვის. ბოლო რამდენიმე წელია, საქართველოს დამოკიდებულება ექსპორტის, ტურიზმის და ფულადი გზავნილების კუთხით რუსეთიდან მნიშვნელოვნად გაიზარდა. მაგალითად, 2019 წელს საქართველოდან რუსეთში ექსპორტირებული საქონელი საქართველოს მშპ-ის 2.8%-ს შეადგენდა, ტურიზმიდან მიღებული შემოსავლები მშპ-ის 3.9% იყო, ხოლო რუსეთიდან განხორციელებული ფულადი გზავნილები მშპ-ის 2.4% იყო. ასეთი მაღალი დამოკიდებულება ერთ ქვეყანაზე გარკვეული რისკების მატარებელია და თუ რა ნეგატიური ეფექტები ექნება მას საქართველოს ეკონომიკაზე დამოკიდებული ექნება ნებისმიერ პოლიტიკურ, ეკონომიკურ თუ საგარეო კრიზისების სიმძიმეზე, რასაც, თავის მხრივ, შესაძლოა ჰქონდეს არსებითი უარყოფითი გავლენა კომპანიის ბიზნესზე, ფინანსურ მდგომარეობასა და საოპერაციო შედეგებზე. ნებისმიერმა შემდგომმა ეკონომიკურმა ჩავარდნამ ან კრიზისმა საქართველოს მეზობელ ქვეყნებში, შესაძლოა ძლიერი ნეგატიური გავლენა იქონიოს ქვეყნის ეკონომიკაზე. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში ვირუსის გავრცელება წლის პირველ ნახევარში მინიმალურ მაჩვენებელზე შენარჩუნდა, მეორე ნახევრიდან ვირუსის ახალი შემთხვევების ზრდა შეინიშნება. 2020 წლის 3 ნოემბრის მდგომარეობით, ქვეყანაში 15,527 აქტიური შემთხვევაა (ჯამში 44,522 შემთხვევა, გამოჯანმრთელებულია 28,633 ადამიანი). 1 მილიონ მოსახლეზე ჯამური შემთხვევების მიხედვით საქართველო 61-ე ადგილზე იმყოფება მსოფლიოში. ამავდროულად რეგიონში კიდევ უფრო მძიმე სურათს ვხედავთ, რასაც გავლენა ექნება მეზობელი ქვეყნების ეკონომიკებზე და შემდეგ უკვე არაპირდაპირი არხებით მოსალოდნელია რომ გადმოეცემა საქართველოსაც. თუმცა მზარდი გაურკვევლობის პირობებში რთულია დაზუსტებით ითქვას რა ეფექტი ექნება რეგიონში განვითარებულ მოვლენებს საქართველოს ეკონომიკაზე.

3. კონკურენციასა და ბაზრის მოთხოვნებთან დაკავშირებული რისკები

3.1. კომპანია ოპერირებს მუდმივად მზარდ კონკურენტულ ბაზარზე, რომელიც ყოველ წელს უფრო და უფრო იზრდება;

საქართველოში სადაზღვევო სექტორი გამოირჩევა მზარდი კონკურენციით, 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით რეგისტრირებულია 17 სადაზღვევო კომპანია, 16 მათგანი ფლობს სიცოცხლის და არასიცოცხლის დაზღვევის ლიცენზიას, ხოლო ერთი მათგანი (გრინ დაზღვევა) მხოლოდ არასიცოცხლის დაზღვევის ლიცენზიას. 2020 წელს ბაზარს დაემატა მეთვრამეტე მოთამაშე. კონკურენციის კუთხით სადაზღვევო ბაზარი საკმაოდ კონცენტრირებულია. 2019 წელს გრინ დაზღვევა საქართველოს მიერ მოზიდული სადაზღვევო პრემიების მოცულობამ 3.2 მლნ ლარი შეადგინა (ბაზრის დაახლ. 1%), შესაბამისად კომპანიას სადაზღვევო ბაზრის მცირე წილი უჭირავს. კომპანია განიცდის სერიოზულ გავლენას კონკურენტებისგან, რომლებიც ცდილობენ შესაბამისი პოზიციონირებით და მომხმარებელთა პრეფერენციების დაკმაყოფილებით მნიშვნელოვანი წილი მოიპოვონ ბაზარზე. კომპანიას გაწერილი აქვს სამომავლო განვითარების სტრატეგია, იმისთვის რომ გაიმყაროს ბაზარზე პოზიცია და გაზარდოს წილი, დეტალური ინფორმაციისთვის იხილეთ ქვეთავი „კომპანიის სტრატეგია და სამომავლო მიზნები“, თუმცა მიუხედავად ამისა არსებობს რისკი, რომ კომპანიამ ვერ მოახერხოს სამომავლო სტრატეგიული გეგმების ეფექტური და დროული განხორციელება, რამაც შესაძლოა ვერ უზრუნველყოს მდგრადი კონკურენტული უპირატესობის მოპოვება, კლიენტების მოზიდვა და ოპერაციული საქმიანობის გამართულად წარმართვა. აღნიშნულმა რისკ ფაქტორებმა შესაძლოა დააზარალოს კომპანიის საოპერაციო და ფინანსური მდგომარეობა.

კომპანიის მნიშვნელოვან რისკს წარმოადგენს სადაზღვევო ბაზარზე არსებული მძაფრი კონკურენცია, რაც შეიძლება გახდეს ტარიფების შემცირების მიზეზი, რაც უარყოფითად აისახება კომპანიის სამომავლო ზრდის პერსპექტივებსა და საოპერაციო საქმიანობაზე.

აღნიშნული რისკების შესამცირებლად კომპანია მნიშვნელოვან ყურადღებას უთმობს კლიენტების ლოიალურობას, ნერგავს სხვადასხვა ინოვაციურ პროდუქტებს და ზრდის არსებული პროდუქტების ხელმისაწვდომობას.

4. საკანონმდებლო და სასამართლო სისტემებთან დაკავშირებული რისკები

4.1. პოლიტიკური და სამთავრობო არასტაბილურობა საქართველოში მნიშვნელოვან უარყოფით გავლენას მოახდენს ადგილობრივ ეკონომიკასა და კომპანიის ბიზნესზე;

1991 წელს ყოფილი საბჭოთა კავშირიდან დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ საქართველომ მნიშვნელოვანი პოლიტიკური ტრანსფორმაცია განიცადა ფედერალური სოციალისტური სახელმწიფოს შემადგენლობაში მყოფი რესპუბლიკიდან დამოუკიდებელ სუვერენულ დემოკრატიამდე.

საქართველო რამდენიმე გამოწვევის წინაშე დგას, რომელთაგან ერთ-ერთი შემდგომი ეკონომიკური და პოლიტიკური რეფორმების გატარებაა. თუმცა ბიზნესისა და ინვესტორებისთვის ხელსაყრელი რეფორმების გატარება შესაძლოა აღარ გაგრძელდეს ან უკუსვლა განიცადოს; ასევე, ასეთი რეფორმები და ეკონომიკური ზრდა შესაძლოა შეფერხდეს რაიმე ისეთი ცვლილებით, რომელიც კოალიცია „ქართული ოცნების“ მთავრობის მოქმედების გაგრძელებასა თუ სტაბილურობაზე იქონიებს გავლენას, ან/და პრეზიდენტის, პარლამენტისა თუ სხვა ინსტიტუტების მიერ სარეფორმო პოლიტიკის გატარებაზე უარის თქმის შედეგად.

2010 წლის ოქტომბერში საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა ცვლილებები საქართველოს კონსტიტუციაში, რომლებიც ითვალისწინებდა პარლამენტის მმართველობითი უფლებამოსილების გაფართოებას, საქართველოს პრემიერ-მინისტრის უფლებამოსილებების გაზრდას და პრეზიდენტის ფუნქციების შეკვეცას. 2013 წლის მარტში პარლამენტმა ერთხმად დაუჭირა მხარი საკონსტიტუციო ცვლილებებს, რომლებითაც კიდევ უფრო შეიკვეცა საქართველოს პრეზიდენტის ფუნქციები. საქართველოს პარლამენტის, პრეზიდენტის ან პრემიერ-მინისტრის უფლებამოსილებების ნებისმიერმა შემდგომმა ცვლილებამ შესაძლოა პოლიტიკური კრიზისი ან პოლიტიკური დესტაბილიზაცია გამოიწვიოს ან სხვაგვარი უარყოფითი შედეგი მოუტანოს პოლიტიკურ კლიმატს საქართველოში.

2020 წლის 31 ოქტომბერს გაიმართა საქართველოს პარლამენტის არჩევნები. წინასწარი მონაცემებით მმართველი პარტია მოახერხებს პარლამენტში ერთპარტიული უმრავლესობის შექმნას. ამ ფაქტმა უკმაყოფილება გამოიწვია ოპოზიციის ლიდერებსა და მათ მხარდამჭერებში. ოპოზიციურმა მარტიებმა ახალი მოწვევის პარლამენტის ბოიკოტზე შეთანხმებას მოაწერეს ხელი. მომავალში პოლიტიკურმა დამაბულობამ/არეულობამ შესაძლოა უარყოფითი ზეგავლენა იქონიოს ადგილობრივ ეკონომიკაზე და, შესაბამისად, კომპანიის ბიზნესზე.

4.2. შესაძლოა თავი იჩინოს გამოწვევებმა, რომლებიც დაკავშირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციით, რასაც თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ ღრმა და ყოვლისმომცველი შეთანხმება მოითხოვს;

2014 წლის 27 ივნისს საქართველომ ხელი მოაწერა ევროკავშირთან ასოცირების შესახებ შეთანხმებას და დააარსა ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცე ევროკავშირთან, რაც ითვალისწინებს ევროკავშირთან ორმხრივი ვაჭრობის ლიბერალიზაციას.

მოსალოდნელია, რომ ევროკავშირთან გაფორმებული ასოცირების შესახებ შეთანხმების განხორციელება წარმოქმნის ახალ შესაძლებლობებს ბიზნესისათვის, თუმცა შესაძლოა გამოწვევებიც შექმნას საწარმოებისათვის, საოჯახო მეურნეობებისა და სახელმწიფოსათვის. ევროკავშირთან ხელმოწერილი ასოცირების შესახებ შეთანხმებისა და თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ ღრმა და ყოვლისმომცველი შეთანხმების განხორციელებისათვის საჭიროა, რომ საქართველომ მოახდინოს თავისი კანონმდებლობის შესაბამისობის დამყარება ევროკავშირის სავაჭრო და სექტორულ კანონმდებლობასთან, რაც გამოწვევებთან იქნება დაკავშირებული, განსაკუთრებით გარემოს დაცვისა და მომხმარებლის უსაფრთხოების, მათ შორის პროდუქტისა და ინფორმაციის უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ სფეროებში.

მას შემდეგ, რაც საქართველო 2000 წელს ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის წევრი გახდა, იგი თანდათანობით ახდენდა თავისი სავაჭრო სფეროს კანონმდებლობის ჰარმონიზაციას ევროკავშირის ნორმებსა და პრაქტიკასთან. ბოლოდროინდელი ცვლილებები რეგულირებაში მოიცავს შრომის კოდექსში 2013 წელს შეტანილ ცვლილებებს, რომლებიც მიზნად ისახავდა საქართველოს შრომის სფეროში არსებული რეგულაციების დაახლოებას ევროკავშირთან ხელმოწერილი ასოცირების შესახებ შეთანხმებისა და თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ ღრმა და ყოვლისმომცველი შეთანხმების საფუძველზე ნაკისრ ვალდებულებებთან. აღნიშნული ცვლილებები დამსაქმებლებისგან მოითხოვდა ზეგანაკვეთურად ნამუშევარი საათების ანაზღაურებას, გაზრდილ კომპენსაციას სამსახურიდან გათავისუფლებისას (ერთიდან ორი თვის ხელფასის ოდენობით), მუშაკთა გაძლიერებულ უფლებებს დამსაქმებლების გადაწყვეტილებათა სასამართლოში გასაჩივრებისთვის, სამსახურიდან გათავისუფლების აკრძალვას მკაფიო მიზეზის გარეშე და გარანტირებულ საბაზისო სამუშაო პირობებს.

შესაძლებელია ადგილი ჰქონდეს სხვა ცვლილებებს სამთავრობო პოლიტიკაში, მათ შორის ცვლილებებს ადრე გამოცხადებული სამთავრობო ინიციატივების განხორციელებაში ან მათდამი მიდგომაში. გარდა ამისა, ევროკავშირთან ხელმოწერილი ასოცირების შესახებ შეთანხმების განხორციელებამ შესაძლოა მნიშვნელოვანი ტვირთი დააკისროს მარეგულირებელ უწყებებს, მათი რესურსები მიმდინარე რეფორმებიდან სხვა მიმართულებით გადაიტანოს და შეანელოს მათი ეფექტიანობა.

ევროკავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციის მისაღწევად განხორციელებული, რეგულირების სფეროში მოსალოდნელი ცვლილებების შედეგად კომპანიას შესაძლოა მოეთხოვოს მისი პოლიტიკისა და პროცედურების შეცვლა კანონებსა და რეგულაციებში შეტანილ ნებისმიერ ცვლილებებთან შესაბამისობის დასამყარებლად. მაგალითად, კომპანიამ ცვლილებები შეიტანა თავის შრომით ხელშეკრულებებში, რათა აესახა შრომის კოდექსში შეტანილი ზემოხსენებული ცვლილებები. კომპანია ელის, რომ მოხდება კიდევ ახალი ცვლილებები, თუმცა მას არ შეუძლია იმის პროგნოზირება, თუ რამხელა ზეგავლენას მოახდენს მასზე ეს ცვლილებები ან რამდენად შეძლებს შესაბამისობის დამყარებას ნებისმიერ ასეთ ცვლილებებთან.

გარდა ამისა, ევროასოცირების ხელშეკრულების ფარგლებში ხდება ფასიან ქაღალდებთან დაკავშირებული კანონმდებლობის დაახლოება ევროპის კანონმდებლობასთან. მაგალითისთვის, 2020 წელს ძალაში შევიდა მთელი რიგი საკანონმდებლო ცვლილებები, რომლებიც სწორედ ევროპის კანონმდებლობასთან დაახლოების მიზანს ემსახურებოდა, მათ შორის: ფასიან ქაღალდებში შეტანილი ცვლილება ინსაიდერული ინფორმაციის გამოყენებით ვაჭრობის, ბაზრის მანიპულაციისა და ინსაიდერული ინფორმაციის არამართლზომიერი გამჟღავნების აკრძალვის შესახებ, ასევე შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებით იხვეწება საჯარო ფასიანი ქაღალდების ემიტენტების გამჭვირვალობის ჩარჩო. განისაზღვრება მოთხოვნები მათ მიერ პერიოდული ფინანსური ინფორმაციის წარდგენასა და გამოქვეყნებასთან დაკავშირებით. ამას გარდა,

დაგეგმილია ცვლილებები მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონსა და კონკურენციის შესახებ კანონში, რის გამოც კომპანიას, როგორც ანგარიშვალდებულ საწარმოს შესაძლოა დამატებითი რეგულაციები შეეხო.

4.3. *საქართველოს საგადასახადო სისტემაში არსებულმა ბუნდოვანებამ შესაძლოა მომავალში გამოიწვიოს კომპანიის საგადასახადო ვალდებულებების კორექტირება ან კომპანიისთვის ჯარიმების დაკისრება. ასევე შესაძლებელია, შეიცვალოს საქართველოში მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობა და პოლიტიკა;*

უფრო განვითარებული საბაზრო ეკონომიკის მქონე ქვეყნებთან შედარებით საქართველოში საგადასახადო კანონმდებლობა დიდი ხანი არ არის, რაც არსებობს. ეს პრობლემებს ქმნის საგადასახადო კანონმდებლობის შესრულებისას, რადგან აღნიშნული კანონმდებლობა ბუნდოვანია ან განსხვავებულ ინტერპრეტაციას ექვემდებარება, რაც რისკს უქმნის კომპანიებს, რომ საგადასახადო კანონმდებლობასთან შესაბამისობის მათი მცდელობა შესაძლოა ექვს ქვემ დააყენონ საგადასახადო ორგანოებმა.

გარდა ამისა, აღნიშნული საგადასახადო კანონმდებლობა ცვლილებებს და დამატებებს განიცდის, რამაც უჩვეულო სირთულეები შეიძლება შეუქმნას კომპანიას და მის საქმიანობას. ახალი საგადასახადო კოდექსი 2011 წლის 1 იანვარს შევიდა ძალაში. საგადასახადო კოდექსის სხვადასხვა დებულების ინტერპრეტაციასთან დაკავშირებით განსხვავებული აზრები არსებობს სახელმწიფო სამინისტროებსა და ორგანიზაციებს შორის და მათ შიგნითაც, მათ შორის საგადასახადო ორგანოებშიც, რაც ქმნის გაურკვევლობას, არათანმიმდევრულობას და კოლიზიურ შემთხვევებს. ამასთან, საგადასახადო კოდექსი ითვალისწინებს საქართველოს საგადასახადო ორგანოების მიერ წინასწარი საგადასახადო გადაწყვეტილების მიღებას გადასახადის გადამხდელის მიერ წამოჭრილ საგადასახადო საკითხებზე. მაშინ, როდესაც კომპანიას მიაჩნია, რომ კომპანია ამჟამად ასრულებს საგადასახადო კანონმდებლობას, შესაძლებელია, რომ სათანადო ორგანოებმა განსხვავებული პოზიცია დაიჭირონ მათ ინტერპრეტაციასთან დაკავშირებით, რასაც შეუძლია გამოიწვიოს საგადასახადო კორექტირებები ან ჯარიმები. იმის რისკიც არსებობს, რომ რეგულარული საგადასახადო შემოწმებების შედეგად კომპანიას ჯარიმები და საურავები დაეკისროს.

გარდა ამისა საგადასახადო კანონმდებლობა და მთავრობის საგადასახადო პოლიტიკა შეიძლება შეიცვალოს მომავალში, მათ შორის მთავრობის შეცვლის შედეგად (იხილეთ „პოლიტიკურ და მთავრობის არასტაბილურობას საქართველოში შეუძლია მნიშვნელოვანი უარყოფითი გავლენა მოახდინოს ადგილობრივ ეკონომიკაზე და ჩვენზე“). ამგვარი ცვლილებები შეიძლება მოიცავდეს ახალი გადასახადების შემოღებას ან კომპანიის ან მისი მომხმარებლების მიმართ გამოყენებული გადასახადების განაკვეთის გაზრდას, რაც, თავის მხრივ, სერიოზულ უარყოფით გავლენას მოახდენს კომპანიის ბიზნესზე.

2016 წლის მაისიდან ამოქმედდა ცვლილებები კორპორაციულ საშემოსავლო გადასახადთან დაკავშირებულ წესებში. დაბეგვრას ექვემდებარება მხოლოდ განაწილებული მოგება, რომელიც განისაზღვრება როგორც ფულადი ან არაფულადი დივიდენდი, განაწილებული მფლობელებს - კერძო პირებს ან არარეზიდენტ იურიდიულ პირებს - შორის - რეინვესტირებული მოგება აღარ იბეგრება. აღსანიშნავია, რომ აღნიშნული ცვლილება არ მოქმედებს ფინანსური სექტორის კომპანიებზე და მათთვის ძველი მეთოდით ხდება მოგების დაბეგვრა (დასაბეგრი მოგების 15%-

ის ოდენობით). საგადასახადო კოდექსის ყველა მნიშვნელოვანი ცვლილება ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან.

5. მარეგულირებელ ჩარჩოსთან დაკავშირებული რისკები

5.1. რეგულაციებმა ინდუსტრიაში შესაძლოა უარყოფითად იმოქმედოს კომპანიის საქმიანობაზე

სადაზღვევო ინდუსტრია ბაზარზე მკაცრად კონტროლირებადი სფეროა. საქართველოს დაზღვევის საზედამხედველო სამსახური სხვადასხვა რეგულაციებით მნიშვნელოვნად აკონტროლებს არსებულ რისკებს და ცდილობს მათ შემცირებას. არსებობს მთელი რიგი რეგულაციები, რომელთა უგულვებელყოფა და დაუკმაყოფილებლობა მატერიალურ გავლენას იქონიებს კომპანიის საქმიანობაზე, მათ შორის შესაძლოა გამოიწვიოს მოქმედი ლიცენზიის შეჩერება და შედეგად კომპანიის ლიკვიდაცია. მარეგულირებელი მოთხოვნები და კომპანიის მათთან შესაბამისობა განხილულია ქვეთავში „სადაზღვევო საქმიანობის რეგულირება საქართველოში“.

გარდა ამისა, შესაძლოა სადაზღვევო საქმიანობისთვის საჭირო ლიცენზიებზე კონტროლი გამკაცრდეს, ან გაძვირდეს, რაც კომპანიის მომგებიანობას შეამცირებს. ამგვარი რეგულაციების შემოღება კომპანიისგან დამოუკიდებლად განვითარებული მოვლენაა, რომლის წინასწარ განსაზღვრა რთულია და რასაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა ჰქონდეს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე.

5.2. თუ მომავალში კომპანია ვერ შეასრულებს ფულის გათეთრებასთან ან ტერორისტთა დაფინანსებასთან დაკავშირებულ რაიმე მოქმედ რეგულაციებს, ან თუ კომპანია მათთან იქნება ასოცირებული, ამან შესაძლოა უარყოფითი ზეგავლენა მოახდინოს კომპანიაზე

მართალია, კომპანია იცავს მოქმედი კანონმდებლობის ყველა მოთხოვნას, რომელიც მიმართულია იმისაკენ, რომ თავიდან იქნეს აცილებული კომპანიის გამოყენება ფულის გათეთრების ხელშემწყობ საშუალებად, არ არსებობს გარანტია იმისა, რომ ეს ზომები სრულად ეფექტიანი გამოდგება. თუ მომავალში კომპანია ვერ შეასრულებს დროული ანგარიშგების მოთხოვნებს ან ფულის გათეთრების საწინააღმდეგო სხვა რეგულაციებს, ან თუ იგი ასოცირებული იქნება ფულის გათეთრებასთან ან ტერორისტთა დაფინანსებასთან, ამან შესაძლოა არსებითი უარყოფითი ზეგავლენა მოახდინოს კომპანიაზე. გარდა ამისა, ამგვარ საქმიანობაში მონაწილეობას შეიძლება მოჰყვეს მარეგულირებელი ჯარიმები და სანქციები.

ემიტენტის საქმიანობისთვის დამახასიათებელი რისკები

6. მომგებიანობასა და ეფექტურ მართვასთან დაკავშირებული რისკები:

- 6.1. *იმ შემთხვევაში, თუ დაზღვევის მომენტში კომპანია ვერ მოახერხებს პოტენციური რისკის საფუძვლიან შეფასებას და შესაბამისად ვერ შეძლებს სადაზღვევო პროდუქტისთვის შესაფერისი ტარიფის განსაზღვრას, შესაძლოა კომპანიას მიადგეს მნიშვნელოვანი ფინანსური ზარალი.*

კომპანიის წარმატება მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია რისკის აღების მომენტში მისი მაღალი სიზუსტით და საფუძვლიანად შეფასებაზე. პრემიის პროცენტის/ტარიფის მაღალი კორელაცია რისკთან მიმართებით, არის კომპანიის მომგებიანობის ერთ-ერთი ძირითადი წინაპირობა. იმისთვის რომ კომპანიამ სწორი ფასწარმოქმნა მოახდინოს, აუცილებელია დიდი რაოდენობით ინფორმაციის მოგროვება, საფუძვლიანი ანალიზი, მჭიდრო მონიტორინგი და ტენდენციებში ცვლილებების დროული იდენტიფიცირება, იმისთვის რომ მოხდეს მოსალოდნელი ზარალების მაქსიმალური სიზუსტით პროგნოზირება. აღნიშნული პროცესის შეუფერხებელი და ეფექტური განხორციელება დამოკიდებულია შემდეგ რისკებსა და გაურკვევლობებთან, საიდანაც ზოგიერთი მათგანი კომპანიის კონტროლს მიღმაა: საკმარის და სანდო ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობა და კომპანიის მხრიდან ადეკვატური ანალიზი; გაურკვევლობები რაც თანდაყოლილი და დამახასიათებელია შეფასებებსა და დაშვებებისთვის; ტარიფების გამოთვლის ტექნიკების შერჩევა და ა.შ.

აღნიშნული რისკებისა და გაურკვევლობების მისაღებ დონემდე შემცირების მიზნით კომპანია მიმართავს სხვადასხვა საერთაშორისოდ აღიარებულ მეთოდებს, როგორცაა კვალიფიციური და სწორედ დატრენინგებული ანდერრაიტერების ყოლა, რისკების გადაზღვევა, საერთაშორისოდ აღიარებულ რისკის შეფასების სტატისტიკური ანალიზის მეთოდების გამოყენება და ა.შ

- 6.2. **კორპორატიული მართვის სტანდარტებთან შეუსაბამობის რისკები.**

კორპორატიული მართვის საერთაშორისო სტანდარტებთან შეუსაბამობამ შესაძლოა ხელი შეუშალოს კომპანიის გამჭვირვალობას, წარდგენილი ინფორმაციის დამოუკიდებლობის ხარისხს, ობიექტურობასა და სანდოობას ნებისმიერი კომპანიით დაინტერესებული მხარისთვის. აღნიშნული სტანდარტების დაუცველობის შემთხვევაში შესაძლოა ზიანი მიადგეს კომპანიის იმიჯს, ფინანსურ მდგრადობასა და საქმიანობის განვითარებას.

პროსპექტის გამოშვების თარიღისთვის კომპანიას არ აქვს საერთაშორისო პრინციპებზე დაფუძნებული კორპორატიული მართვის კოდექსი. კომპანიის სამეთვალყურეო საბჭო შედგება ოთხი წევრისგან, საიდანაც ორი არის დამოუკიდებელი წევრი. კომპანიას ჰყავს აუდიტის კომიტეტი.

აღსანიშნავია რომ სადაზღვევო ინდუსტრიის მკაცრი მარეგულირებელი გარემოდან გამომდინარე კომპანიის მარეგულირებელი ორგანოს „სსიპ საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის“ მოთხოვებიდან გამომდინარე კომპანია უზრუნველყოფს, როგორც ფინანსური, ასევე საოპერაციო ინფორმაციის დროულად, გამჭვირვალედ და საჯაროდ წარმოდგენას.

- 6.3. *სადაზღვევო პორტფელის დივერსიფიცირების სტრატეგიის არაეფექტურად განხორციელების შემთხვევაში არსებობს რისკი იმისა, რომ კომპანიას მიადგეს მნიშვნელოვანი ფინანსური ზიანი.*

სადაზღვევო რისკის მისაღებ დონემდე განეიტრალების მიზნით სადაზღვევო კომპანიები ახდენენ სადაზღვევო კონტრაქტების პორტფელის, როგორც შინაარსობრივ ასევე გეოგრაფიულ დივერსიფიცირებას, რითიც მცირდება გაუთვალისწინებელი უარყოფითი შედეგების გავლენის რისკი პორტფელზე.

გრინ დაზღვევა საქართველო მომხმარებლებს სთავაზობს სხვადასხვა ტიპის სადაზღვევო პოლისებს, როგორცაა სატრანსპორტო, ასევე ქონების, ტვირთის, პასუხისმგებლობის, მოგზაურობის და ა.შ. მოზიდული პრემიის მიხედვით სამ მსხვილ სადაზღვევო კატეგორიას განეკუთვნება: ავტომობილსატრანსპორტო საშუალების მფლობელის პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევა, სახმელეთო ტრანსპორტის დაზღვევა და სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული გარანტიები, მათი პროპორციულობა 2019 წლის განმავლობაში შეადგენდა 70%, 25%, 5%, ხოლო დანარჩენი ტიპის დაზღვევებს როგორცაა პროფესიული პასუხისმგებლობის, სამოგზაურო, ქონების და სხვა ჯამურად შეადგენდა უმნიშვნელო 0.43%-ს.

როგორც ზემოთ აღნიშნა კომპანია დიდწილად დამოკიდებულია ავტოსატრანსპორტო საშუალების მფლობელის პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევაზე, რაც ითვალისწინებს უცხო ქვეყანაში რეგისტრირებული ავტომობილების საქართველოს საზღვის გადმოკვეთისას სავალდებულო დაზღვევას. კომპანია აღნიშნულ საქმიანობას აწარმოებს „სავალდებულო დაზღვევის ცენტრის“ წევრობის ფარგლებში. დეტალური ინფორმაცია აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით გამჟღავნებულია თავში „ძირითადი საქმიანობა“.

სადაზღვევო კანონის მიხედვით იმისთვის, რომ კომპანიას ნება დაერთოს მიაწოდოს აღნიშნული ტიპის დაზღვევა, აუცილებელია დაკმაყოფილდეს ყოველწლიური მინიმალური მოთხოვნა: სახმელეთო სატრანსპორტო საშუალებათა დაზღვევის (გარდა სარკინიგზო ტრანსპორტისა) და სახმელეთო ტრანსპორტის გამოყენებასთან დაკავშირებული სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევის სახეობებში ჯამურად გამომუშავებული პრემია არანაკლებ 800,000 ლარის ოდენობით.

აღნიშნული მოთხოვნა კიდევ ერთხელ უსვავს ხაზს კომპანიის საოპერაციო და სტრატეგიულ საქმიანობისთვის სახმელეთო ტრანსპორტის დაზღვევის ფუნდამენტურ მნიშვნელობას.

იმისთვის რომ კომპანიამ წარმატებით მოახდინოს არადივერსიფიცირებული რისკის ნეიტრალიზაცია, აუცილებელია წამოწიოს ისეთ პროდუქტებზე მოთხოვნა როგორცაა: ქონების დაზღვევა, სახელმწიფო გარანტიები, პასუხისმგებლობის დაზღვევა და ა.შ.

აღნიშნული სტრატეგიის განვითარება იგეგმება მარკეტინგული არხების აქტიური გამოყენებით. დეტალებისთვის გთხოვთ იხილეთ ქვეთავი: „სამომავლო სტრატეგია და მიზნები“.

6.4. კომპანიის კლიენტების ბაზის კონცენტრაციის მაღალმა მაჩვენებელმა შესაძლოა უარყოფითად იმოქმედოს კომპანიის ბაზრის წილსა და მიმდინარე საოპერაციო და ფინანსურ საქმიანობაზე;

2019 და 2018 წლების მდგომარეობით კომპანიის მიერ აღებულ ჯამურ სადაზღვევო თანხების (ნეტო ვალდებულების, ე.ი. აღებული რისკის) მიხედვით ტოპ 3, 5 და 10 მომხმარებლის წილობრივი მაჩვენებელი სადაზღვევო პროდუქტების დონეზე შემდეგნაირად გამოიყურება:

	ავტოსატრანსპორტო საშუალებების დაზღვევა		საბანკო გარანტიები		სხვა სახეობები	
	2019	2018	2019	2018	2019	2018
1-3	92.30%	91.50%	17.10%	32.90%	78.90%	64.70%
1-5	94.50%	93.70%	23.20%	43.70%	90.60%	85%
1-10	96.20%	95.40%	37.80%	63.60%	100%	100%

კომპანიის შემოსავლის მთავარ წყარო (2019: 70%, 2018: 60%): „ავტომოტორანსპორტის მფლობელთა სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევა“-ში პოლისები ფორმდება ინდივიდუალურად და კონცენტრაციის რისკი კომპანიას არ გააჩნია აღნიშნული ტიპის დაზღვევაში.

საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ავტოსატრანსპორტო საშუალებების დაზღვევაში ტოპ სამი კლიენტის წილი თითქმის აბსოლუტური მნიშვნელობის არის და ძირითადად მოიცავს ავტობუსებისა და ტრაილერების დაზღვევას სტანდარტული პირობებით (დეტალური ინფორმაცია იხილეთ ქვეთავში „ძირითადი საქმიანობა“. მიუხედავად იმისა, რომ ავტოსატრანსპორტო საშუალებების დაზღვევას მხოლოდ 25% უკავია 2019 წელს, (2018: 29%), 3.1. პუნქტში განხილულია ამ მიმართულების კრიტიკულობა კომპანიის საოპერაციო საქმიანობასთან მიმართებით.

იმ შემთხვევაში თუ კომპანია არ მოახდენს კლიენტების ბაზის დივერსიფიცირებას, არსებობს რისკი იმისა, რომ კომპანიას მიადგეს მნიშვნელოვანი მატერიალური ზარალი, არსებული კლიენტების დაკარგვის შემთხვევაში.

ხოლო რაც შეეხება საბანკო გარანტიებსა და სხვა სახეობებს, მათ ჯამურად მცირე წილი უკავიათ კომპანიის ერთიან შემოსავლებში, 2019 წლის განმავლობაში 5% (2018: 11%) და მათ არ აქვთ მატერიალური გავლენა კომპანიის საოპერაციო საქმიანობაზე.

6.5. იმ შემთხვევაში თუ კომპანია ვერ შეინარჩუნებს შიდა კონტროლის ეფექტურ სისტემას, შესაძლოა ზიანი მიადგეს ფინანსური აღრიცხვა-ანგარიშგების სიზუსტეს, რაც მატერიალური ზიანის მომტანი იქნება კომპანიის ბიზნეს საქმიანობის, საოპერაციო შედეგების და ფინანსურ პოზიციისთვის.

იმისთვის რომ თავიდან იქნეს აცილებული თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობები, მოხდეს მარეგულირებელთან უტყუარი და დროული პერიოდული ანგარიშგებების წარდგენა აუცილებელია შიდა ფინანსური და სააღრიცხვო კონტროლის პროცედურების დანერგვა და ეფექტური ფუნქციონირება. შიდა კონტროლის სისტემების დანერგვისა და მონიტორინგისთვის კომპანიას შექმნილი ჰყავს შიდა აუდიტის სამსახური. იმ შემთხვევაში თუ კომპანია ვერ შესძლებს უზრუნველყოს გამჭვირვალე და უტყუარი შიდა მაკონტროლებელი პოლიტიკის გატარება შესაძლოა წარმოიშვას მნიშვნელოვანი რისკები შემდეგი მიმართულებებით: არაზუსტი ინფორმაციის წარდგენის გამო მარეგულირებლისგან დაკისრებული ჯარიმები და წარდგენილი ფინანსური ანგარიშებისადმი ინვესტორების მხრიდან უნდობლობა, რამაც შესაძლოა მატერიალური უარყოფითი ეფექტი იქონიოს ბიზნესზე, კომპანიის ფინანსურ პოზიციასა და საოპერაციო შედეგებზე.

7. საოპერაციო რისკები:

7.1. გაუთვალისწინებელმა სტიქიურმა უბედურებებმა, შესაძლოა კომპანიას მიაყენოს მატერიალური ფინანსური ზარალი.

კომპანია მომხმარებლებს სთავაზობს ავტოსატრანსპორტო საშუალებათა დაზღვევას, ქონების დაზღვევას, ტვირთების დაზღვევას და სხვა. ბუნებრივი კატასტროფების, როგორცაა სეტყვა, ქარიშხალი, წყალდიდობა, ხანძარი და ა.შ. შედეგად დაზღვეულ ქონებას შესაძლოა მიადგეს მნიშვნელოვანი ზიანი. ბუნებრივი კატაკლიზმების შემთხვევები და სიმძიმე არაპროგნოზირებადია, შესაბამისად მიღებული ზარალის მოცულობა დამოკიდებულია, როგორც დაზარალებულების რაოდენობაზე, ასევე მოვლენის მასშტაბსა და სიმწვავეზე. კომპანიას არ აქვს აღიარებული კატასტროფული შემთხვევების რეზერვი, შესაბამისად მძიმე კატასტროფებმა ან კატასტროფათა ჯაჭვისგან მიყენებულმა ზიანმა შესაძლოა გადააჭარბოს არსებულ რეზერვებს და

კომპანიის საოპერაციო შედეგებსა და ფინანსურ მაჩვენებლებზე მნიშვნელოვნად უარყოფითი გავლენა იქონიოს.

7.2. კვალიფიციური კადრების დეფიციტმა ბაზარზე, შესაძლოა შეაფერხოს კომპანიის განვითარება და ეფექტური ფუნქციონირება;

ინდუსტრიის სპეციფიკიდან გამომდინარე კომპანიის წარმატება მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია კვალიფიციური საკადრო რესურსების ხელმისაწვდომობაზე და მათ განვითარებისთვის ზრუნვაზე. იმ შემთხვევაში თუ კომპანია ვერ შეძლებს გარედან მოიხიდოს ან/და შეინარჩუნოს უმაღლესი მენეჯმენტი, გამოცდილი ანდერრაიტერები და ზოგადად კვალიფიკაციური კადრები, კომპანიას შესაძლოა გაუჭირდეს სპეციალიზებულ ბაზარზე კონკურენტული პოზიციის შენარჩუნება, შედეგად შესაძლოა მნიშვნელოვნად შეფერხდეს კომპანიის საოპერაციო საქმიანობა, შესუსტდეს შიდა კონტროლის მექანიზმების დაგეგმვა, მონიტორინგი და მენეჯმენტი, რაც უარყოფითად აისახება კომპანიის ფინანსურ შედეგებზე.

7.3. საინფორმაციო ტექნოლოგიების სისტემებმა შესაძლოა ვერ უზრუნველყოს კონფიდენციალური ინფორმაციის სათანადოდ დაცვა, რამაც შესაძლოა მატერიალური ზიანი მიაყენოს კომპანიის ბიზნეს საქმიანობას.

საინფორმაციო სისტემები ერთ-ერთ კრიტიკულ როლს თამაშობს კომპანიის ყოველდღიურ საოპერაციო საქმიანობაში. კომპანია ფლობს მონაცემთა ბაზას და დიდი რაოდენობით პერსონალურ ინფორმაციას დაზღვეულების შესახებ.

გარდა ამისა, მომხმარებლის შესახებ ინფორმაციაზე ვრცელდება მონაცემთა დაცვის კანონმდებლობა. სისტემის ნებისმიერმა გაუმართაობამ, რომელიც იწვევს წყვეტას მომსახურებაში ან კომპანიის სისტემების ხელმისაწვდომობაში, შესაძლოა უარყოფითად იმოქმედოს კომპანიის ოპერაციებზე ან შეაფერხოს შემოსავლების მიღება. კონფიდენციალური ინფორმაციის უსაფრთხოების რისკების შემცირების მიზნით კომპანიას ემსახურება ინფორმაციული ტექნოლოგიების ჯგუფი სს. „სს ასია სოფთვეარ“ (445488473), რომელიც იყენებს გარკვეული პროგრამულ კიბერ-უსაფრთხოების მექანიზმებს. მიუხედავად ამისა მომსახურე კომპანიის სერვერები შესაძლოა დაუცველი აღმოჩნდეს პოტენციური კომპიუტერული ვირუსებისგან, შეჭრისგან და მსგავსი არალეგალური მანიპულაციებისგან. ნებისმიერმა ასეთმა ქმედებამ შეიძლება გამოიწვიოს წყვეტა, დაგვიანება, მონაცემების დაკარგვა ან მანიპულირება ანდა სისტემების მიუწვდომლობა. გარდა ამისა, კომპანიას შეიძლება დაეკისროს პასუხისმგებლობა მის სისტემებში დაცული პირადი ინფორმაციის მოპარვის ან ბოროტად გამოყენების გამო.

8. საკრედიტო რისკი:

8.1. კომპანია შესაძლოა დადგეს მნიშვნელოვანი საკრედიტო რისკის წინაშე, რამაც შესაძლოა გამოიწვიოს ფინანსური ზარალის დადგომის ალბათობა და უარყოფითად იმოქმედოს კომპანიის საოპერაციო საქმიანობაზე.

საკრედიტო რისკი წარმოადგენს კომპანიის ფინანსური დანაკარგების რისკს იმ შემთხვევაში, თუ დაზღვეული ან გადამზღვეველი ვერ შეასრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს და ვერ უზრუნველყოფს გათვალისწინებულ გადახდებს. შესაბამისად კომპანიის საკრედიტო რისკი დამოკიდებულია თითოეული მომხმარებლის გადახდისუნარიანობაზე.

კომპანიას შემუშავებული აქვს საკრედიტო რისკების შეფასების შიდა პოლიტიკა, რომლის მიხედვითაც კომპანია ახდენს ყოველი ახალი დაზღვეულის შეფასებას მასთან ხელშეკრულების გაფორმებამდე და პირობების შეთავაზებამდე, ასევე ხდება ლიმიტების დაწესება თითოეული მომხმარებლისთვის ინდივიდუალურად.

8.2. იმ შემთხვევაში თუ დამდგარი ზარალების სიხშირე და მათი მოცულობა გადაჭარბებს სადაზღვევო ზარალების რეზერვს კომპანიას შესაძლოა მიადგეს მატერიალური ფინანსური ზიანი.

კომპანია აღიარებს სადაზღვევო ხელშეკრულებებიდან წარმოშობილ ვალდებულებებს, რაც მოიცავს გადასახდელი სადაზღვევო ზარალების რეზერვს, ყველა მომხდარ, როგორც გაცხადებულ (Reported But Not Settled, "RBNS") ისე განუცხადებელ (Incurred But Not Reported, "IBNR") შემთხვევათა ხარჯის შეფასებას. მომხდარი, მაგრამ განუცხადებელი ზარალების რეზერვის (IBNR) დათვლა ხდება წარსული სტატისტიკიდან გამომდინარე, ჯაჭვისური კიბის მეთოდით, აქტუარული დათვლების საფუძველზე. მართალია მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი ზარალის რეზერვი გონივრული და ადეკვატურია შეფასებულ რისკთან მიმართებით, არ არსებობს სრული რწმუნებულობა, რომ კალკულაციის ცვლადების ხელსაყრელმა თუ არასახარბიელო სამომავლო ცვლილებებმა, შესაძლოა ზარალის განსხვავებული შედეგი აჩვენონ.

მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის მიერ დაწესებულია სავალდებულო რეზერვების გაანგარიშების პოლიტიკა და მენეჯმენტი ცდილობს აღიაროს ხელთ არსებული ინფორმაციის გამოყენებით რეზერვის მაქსიმალურად ადეკვატური შეფასება, პროცესს აქვს მისთვის დამახასიათებელი გაურკვევლობის რისკი, რისი რეალიზების შემთხვევაშიც, ზარალის საბოლოო ხარჯი შესაძლოა მატერიალურად განსხვავდებოდეს შექმნილი რეზერვისგან.

9. ლიკვიდურობასა და დაფინანსებასთან დაკავშირებული რისკები

9.1. დაფინანსების ხელმისაწვდომობის ნაკლებობის რისკი კომპანიის სტრატეგიული განვითარებისთვის.

პროსპექტის გამოშვების თარიღისთვის კომპანია მთლიანად საწესდებო კაპიტალით არის დაფინანსებული. დასახული სტრატეგიული განვითარების გეგმის განსახორციელებლად და ბაზარზე მძაფრი კონკურენციის პირობებში წილის შესანარჩუნებლად, კომპანიას შესაძლოა დასჭირდეს დამატებითი კაპიტალის მოძიება. არსებობს რისკი იმისა, რომ კომპანიამ ვერ შეძლოს საჭირო ოდენობის კაპიტალის მოზიდვა ან/და ვერ შეძლოს მოიზიდოს კაპიტალი მისთვის მისაღები პირობებით ან/და მისთვის საჭირო დროის მონაკვეთში. რამაც შესაძლოა გაზარდოს კომპანიის კაპიტალის ღირებულება და უარყოფითად იმოქმედოს კომპანიის ფინანსურ შედეგებზე.

9.2. კომპანიას შესაძლოა შეექმნას შეფერხება გადაზღვევის ხელმისაწვდომობასთან და გაზრდილ გადაზღვევის ხარჯებთან დაკავშირებით, რამაც შესაძლოა მნიშვნელოვნად შეასუსტოს ბიზნეს განვითარება, და უარყოფითად იმოქმედოს კომპანიის საოპერაციო და ფინანსურ შედეგებზე.

იმისთვის, რომ მოხდეს სადაზღვევო რისკის და მასთან დაკავშირებული ზარალის მთლიანი ან ნაწილობრივი გადაცემა და ზედამხედველობის სამსახურის მიერ დაწესებულ რეგულაციებთან თანხვედრა (ნეტო ვალდებულებებსა და საზედამხედველო კაპიტალს შორის ზღვრული თანფარდობის წესი), კომპანია მიმართავს გადაზღვევის ხელშეკრულებას. მიმდინარედ კომპანია თანამშრომლობს ოთხ ადგილობრივ გადაზღვევის ლიცენზიის მქონე სადაზღვევო კომპანიასთან.

გადაზღვევის ხელმისაწვდომობა და ფასი დამოკიდებულია ბაზარზე არსებულ პირობებზე და კომპანიის კონტროლს მიღმაა.

ვინაიდან მასშტაბის სიმცირის გამო კომპანია თანამშრომლობს მხოლოდ ადგილობრივ გადამზღვევ კომპანიებთან, გადაზღვევის ხარჯები აღემატება სხვა ფართომასშტაბიანი კონკურენტი სადაზღვევო კომპანიების გადაზღვევის ხარჯებს, რომლებიც თანამშრომლობენ საერთაშორისო გადამზღვევ კომპანიებთან.

არ არსებობს გარანტია იმისა, რომ კომპანია მომავალშიც მოახერხებს გადაზღვევის ხელშეკრულებების მისთვის ხელსაყრელი ტარიფებით გაფორმებას, რაც შესაძლოა უარყოფითად აისახოს მის მომგებიანობაზე.

10. რეპუტაციული რისკი:

10.1. დამდგარი სადაზღვევო ვალდებულებების დადგენილ ვადაში და დროულად შეუსრულებლობამ შესაძლოა მნიშვნელოვნად იმოქმედოს კომპანიის რეპუტაციაზე და უარყოფითი გავლენა მოახდინოს კომპანიის საოპერაციო და ფინანსურ საქმიანობაზე.

კომპანიის სადაზღვევო საქმიანობის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს დამდგარი ვალდებულებების დროულად შესრულება და სადაზღვევო ვალდებულებების დადგენილ ვადაში ანაზღაურება. ვადების დარღვევის შემთხვევაში შესაძლოა დაზღვეულის მიერ კომპანიის წინააღმდეგ შეტანილი იყოს არსებითი სარჩელი, რაც დაკავშირებული იქნება გაზრდილ ადმინისტრაციულ ხარჯებთან და შესაძლოა მნიშვნელოვანი უარყოფითი გავლენა მოახდინოს კომპანიის რეპუტაციაზე და სანდოობაზე. პროსპექტის გამოშვების თარიღისთვის ასეთი დავების მოცულობა არ ცდება 5,000 ლარს. დეტალებისთვის გთხოვთ იხილოთ ქვეთავი „სასამართლო დავები“.

შესავაზებელი ფასიანი ქაღალდებისათვის დამახასიათებელი რისკები

საყურადღებოა, რომ აღნიშნული შეთავაზებით ხდება, როგორც არსებული აქციონერების მიერ დაკავებული აქციების განთავსება, ასევე განუთავსებელი აქციების განთავსება და სავაჭროდ დაშვება.

11. „აქციების“ საბაზრო ფასთან, ლიკვიდურობასთან და სარგებელთან დაკავშირებული რისკები

11.1. აქციების სავაჭრო ფასი და ლიკვიდურობა შეიძლება იყოს ცვალებადი და აქციებისთვის შესაძლოა არ არსებობდეს აქტიური სავაჭრო ბაზარი.

აქციების საბაზრო ფასი შეიძლება მნიშვნელოვნად მერყეობდეს ისეთი მიმდინარე ან მოსალოდნელი ცვლილებების საპასუხოდ, როგორებიცაა: კომპანიის საოპერაციო შედეგების ფაქტობრივი ან მოსალოდნელი ცვლილებები; კომპანიის კონკურენტების საოპერაციო შედეგების ფაქტობრივი ან მოსალოდნელი ცვლილებები; ბიზნესის არასახარბიელო განვითარება; კომპანიის მარეგულირებელი გარემოს ცვლილება; ფასიანი ქაღალდების ანალიტიკოსის ფინანსური შეფასების ცვლილება; აქციების დიდი რაოდენობით გაყიდვა ან მოსალოდნელი გაყიდვა; ასევე ბევრი სხვა ფაქტორი, რომელიც კომპანიაზე ახდენს გავლენას, მათ შორის საქართველოს ეკონომიკური და საბაზრო პირობები. გარდა ამისა, ბოლო წლებში გლობალური ფინანსური ბაზრების ფასმა და მოცულობამ მნიშვნელოვანი რყევები განიცადა. თუ ასეთი რამ მომავალშიც განმეორდა, ეს, კომპანიის საქმიანობის, ფინანსური მდგომარეობის და ოპერაციის შედეგების მიუხედავად, უარყოფითად იმოქმედებს აქციების საბაზრო ფასზე. თუ აქციების აქტიური სავაჭრო ბაზარი განვითარდება, არანაირი გარანტია არ არსებობს იმისა, რომ საქართველოში თუ სხვაგან განვითარებული მოვლენები არ გამოიწვევს ბაზარზე რყევებს ან ეს რყევები უარყოფით გავლენას არ მოახდენს ლიკვიდურობასა თუ აქციების ფასზე ან/და ეკონომიკური და საბაზრო პირობები რაიმე სხვა სახის უარყოფით გავლენას არ მოახდენს. აქციები შესაძლოა შეთავაზების ფასთან შედარებით დისკონტიტ/პრემიუმით გაიყიდოს იმ მომენტისათვის არსებული მსგავსი აქციების ბაზრის, ზოგადი ეკონომიკური პირობების, კომპანიის ფინანსური პირობების ან სხვა ფაქტორების გათვალისწინებით, რომლებიც შესაძლოა არ ექვემდებარებოდეს კომპანიის კონტროლს.

ასევე, არ არსებობს იმის გარანტია, რომ აქციების აქტიური სავაჭრო ბაზარი განვითარდება. არც იმის გარანტია არსებობს, რომ განვითარების შემთხვევაში ამგვარი ბაზარი შენარჩუნდება. თუ აქციების აქტიური სავაჭრო ბაზარი არ განვითარდება ან არ შენარჩუნდება, ამან შესაძლოა არსებითად უარყოფითად იმოქმედოს აქციების ბაზარზე ბევრი ფაქტორის გამო, რომელთა გარკვეული ნაწილი შესაძლოა არ ექვემდებარებოდეს კომპანიის კონტროლს. თუ აქციებით ვაჭრობა მათი პირველადი გამოშვების შემდეგ ხდება, შესაძლოა ისინი გაიყიდოს შეთავაზების ფასთან შედარებით დისკონტირებულ ფასად იმ მომენტისათვის არსებული მსგავსი აქციების ბაზრის, ზოგადი ეკონომიკური პირობებისა და კომპანიის ფინანსური მდგომარეობის გათვალისწინებით.

12. აქციების და მათი ფლობის საკანონმდებლო/მარეგულირებელ ჩარჩოსთან დაკავშირებული რისკები

12.1. აქციებში კაპიტალდაბანდება გულისხმობს ინვესტიციის კანონიერებასთან დაკავშირებული მოსაზრებების გათვალისწინებას

ცალკეული ინვესტორების საინვესტიციო საქმიანობა ექვემდებარება ინვესტიციების კანონიერების მარეგულირებელ კანონმდებლობასა და ნორმატიულ აქტებს, ან ცალკეული უწყებების ზედამხედველობას ან რეგულირებას. ყველა პოტენციურმა ინვესტორმა კონსულტაციები უნდა გაიაროს საკუთარ იურიდიულ მრჩეველთან იმის გადასაწყვეტად, თუ რამდენად და რა მოცულობით (i) არის აქციები მათთვის კანონიერი კაპიტალდაბანდება და (iii) სხვა რა შეზღუდვები ეხება აქციების შეძენას.

12.2. ინვესტიციის კანონიერების დადგენა

ინვესტორებმა კონსულტაცია უნდა გაიარონ მათ სამართლებრივ მრჩეველებთან იმის განსასაზღვრად, თუ რამდენად და რა ფარგლებში წარმოადგენენ „აქციები“ კანონიერ ინვესტიციას ამგვარი ინვესტორებისთვის და რამდენად და რა ფარგლებში არის შესაძლებელი „აქციები“ გამოყენებულ იქნას სხვადასხვა ტიპის სესხის უზრუნველყოფის საგნად. გარდა ამისა, ფინანსურმა ინსტიტუტებმა კონსულტაცია უნდა გაიარონ მათ სამართლებრივ მრჩეველებთან ან მარეგულირებლებთან, რათა განსაზღვრონ „აქციებთან“ სათანადო მოპყრობის რეჟიმი, რისკზე-დაფუძნებული კაპიტალის ან მსგავსი წესების საფუძველზე. ინვესტორებს, რომელთა საინვესტიციო საქმიანობა არის საინვესტიციო კანონმდებლობის ან გარკვეული ორგანოების მიერ შემუშავებული რეგულაციების საგანი, შესაძლებელია შეზღუდული ჰქონდეთ ინვესტიციების განხორციელება ზოგიერთი ტიპის ფასიან ქაღალდებში, მათ შორის, „აქციებში“. ინვესტორებმა უნდა შეისწავლონ და გაანალიზონ მსგავსი შეზღუდვები „აქციებში“ ინვესტიციის განხორციელებამდე.

12.3. საქართველოს კანონმდებლობაში ნებისმიერმა ცვლილებამ მომავალში შეიძლება არსებითად უარყოფითი გავლენა მოახდინოს აქციებზე, მათ შორის საქართველოს საფონდო ბირჟაზე მათ რეგისტრაციაზე

აქციების პირობები ეფუძნება წინამდებარე პროსპექტის გამოცემის თარიღისთვის მოქმედ საქართველოს კანონმდებლობას. არ არსებობს რაიმე გათვლა/პროგნოზი იმისა, თუ რა გავლენას იქონიებს მათზე საქართველოს რომელიმე სასამართლო განჩინება, ცვლილება კანონმდებლობაში ან ადმინისტრაციულ პრაქტიკაში წინამდებარე პროსპექტის შედგენის თარიღის შემდეგ.

კომპანიას სურს მიმართოს საქართველოს საფონდო ბირჟას, რათა აქციები დარეგისტრირდეს და სავაჭროდ დაიშვას საქართველოს საფონდო ბირჟაზე. ფასიანი ქაღალდების კანონმდებლობაში შესაძლოა განხორციელდეს ცვლილებები, მათ შორის გამორიცხული არ არის შევიდეს ისეთი სახის ცვლილებებიც, რომლებმაც შესაძლოა უარყოფითად იმოქმედოს აქციების განთავსებაზე, მათ რეგისტრაციაზე, განთავსებებზე, საფონდო ბირჟაზე სავაჭროდ დაშვებაზე, ასევე გარიგებების დადების და ანგარიშსწორების პროცედურებზე როგორც საბირჟო ასევე არასაბირჟო მეორად ბაზარზე.

12.4. აქციების გასხვისება ექვემდებარება გარკვეულ შეზღუდვებს

აქციები არ ყოფილა და არ იქნება რეგისტრირებული აშშ-ის 1933 წლის ფასიანი ქაღალდების შესახებ კანონის („აშშ-ის ფასიანი ქაღალდების შესახებ კანონი“) ან რომელიმე შტატის კანონმდებლობის საფუძველზე. პოტენციურ ინვესტორებს არ შეეძლებათ ფასიანი ქაღალდების შეთავაზება ან რეალიზაცია გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც თავისუფლდება აშშ-ის ფასიანი ქაღალდების კანონის და რომელიმე შტატის ფასიანი ქაღალდების კანონმდებლობით

გათვალისწინებული რეგისტრაციის მოთხოვნებისგან ან/და იმ ოპერაციებში, რომლებიც არ ექვემდებარება აღნიშნულ მოთხოვნებს. პოტენციური ინვესტორების ვალდებულებაა, უზრუნველყონ, რომ მათ მიერ აქციების შეთავაზება და რეალიზაცია შეერთებულ შტატებსა თუ სხვა ქვეყნებში აკმაყოფილებდეს ფასიანი ქაღალდების შესაბამისი კანონმდებლობის მოთხოვნებს.

13. განზავების რისკი

13.1. განზავების რისკი

პროსპექტის დამტკიცების თარიღისთვის, კომპანიის წესდების მიხედვით, აქციონერებს არ აქვთ უპირატესი შესყიდვის უფლება. შესაბამისად, აქციების დამატებითი განთავსებისას, ისინი შესაძლოა აღმოჩნდნენ განზავების რისკის წინაშე, რაც გულისხმობს დამატებითი განთავსების შედეგად ახალი ინვესტორების შემოსვლას კომპანიაში და არსებული აქციონერების წილის შემცირებას.

14. სამომავლო დივიდენდებთან დაკავშირებული რისკები

14.1. სამომავლო დივიდენდებთან დაკავშირებული რისკები

ინვესტორმა უნდა გაითვალისწინოს, რომ მომავალში აქციებიდან დივიდენდების მიღების შესაძლებლობა დამოკიდებული იქნება კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე და კომპანიის პოლიტიკაზე დივიდენდების გაცემასთან დაკავშირებით. არსებობს რისკი, რომ კომპანიამ მომდევნო რამდენიმე წლის მანძილზე არ გასცეს დივიდენდი ან კომპანიის ფინანსური მდგომარეობის გამო ვერ მოხერხდეს დივიდენდის გაცემა.

15. პირდაპირ საჯარო შეთავაზებასთან (DPO) დაკავშირებული რისკები

15.1. კომპანიის კაპიტალის სტრუქტურა ითვალისწინებს შეთავაზებული B კლასის აქციების გარდა A და AA კლასის აქციებს, რომელთა მფლობელებსაც გააჩნიათ დამატებითი უფლებები შეთავაზებულთან მიმართებით;

კომპანიის აქციები იყოფა სამ A, AA და B ჯგუფად - 2020 წლის 31 მაისის მდგომარეობით გამოშვებულია (A) ჯგუფის 4,350,000 ცალი (4,350,000 ლარის ღირებულებით), (AA) ჯგუფის 1,650,000 ცალი (1,650,000 ლარის ღირებულებით) და (B) ჯგუფის 4,000,000 ცალი (4,000,000 ლარის ღირებულებით). 2020 წლის 10 სექტემბერს კომპანიამ გააკეთა ახალი 5,000,000 ცალი (B) კლასის აქციის ემისია და რეგისტრაცია. პროსპექტის გამოშვების თარიღისთვის აღნიშნული აქციები კომპანიის საემისიო ანგარიშზეა, მათი განთავსება მოხდება ამ პროსპექტის საფუძველზე. A და AA კლასის აქციონერებს გააჩნიათ დამატებითი უფლებები შეთავაზებულ B კლასის აქციების მფლობელთა უფლებებთან შედარებით. კერძოდ, აქციონერთა კრებაზე, AA კლასის 1 აქცია უზრუნველყოფს 15 ხმის უფლებას, ხოლო A და B კლასის 1 აქცია უზრუნველყოფს 1 ხმის უფლებას. ამასთანავე, სამეთვალყურეო საბჭოს წევრები აირჩვიან მხოლოდ AA და A კლასის აქციათა მფლობელების მიერ.

15.2. გარდა კანონმდებლობით განსაზღვრული შემთხვევებისა, შეთავაზების პერიოდში არ არსებობს ე.წ. ვაჭრობის დახურული პერიოდი, რომლის განმავლობაშიც კომპანიის არაპირდაპირ მფლობელებს/მმართველი ორგანოს წევრებს აკრძალვიათ აქციებში ინვესტირების განხორციელება;

შეთავაზების პერიოდში არ არსებობს ე.წ. ვაჭრობის დახურული პერიოდი, რაც ხელს შეუშლიდა კომპანიის მმართველებს/მფლობელებს გამოიყენონ მათ ხელთ არსებული შიდა ინფორმაცია კომპანიის შესახებ და შესაბამისად ივაჭრონ კომპანიის აქციებით, რაც საბოლოოდ აქციის ფასზე იქონიებს გავლენას. არსებობს რისკი, რომ ასეთ შემთხვევაში ახალი ინვესტორები აღმოჩნდნენ არასახარბიელო პირობებში.

თუმცა, აღსანიშნავია, რომ ინსაიდერული ვაჭრობის, ინსაიდერული ინფორმაციის არამართლზომიერი გამჟღავნებისა და ბაზრის მანიპულაციასთან დაკავშირებული განახლებული წესის თანახმად (მუხლი 9), მმართველობითი ფუნქციის მქონე პირებმა და მათთან დაკავშირებულმა პირებმა, თავის ან სხვა პირის სასარგებლოდ არ უნდა განახორციელონ გარიგებები ამ ემიტენტის ფასიან ქაღალდებზე ან/და ემიტენტის ფასიან ქაღალდებთან დაკავშირებულ სხვა ფინანსურ ინსტრუმენტებზე აღნიშნული ემიტენტის მიერ კანონმდებლობით გათვალისწინებული ნახევარი წლის ან წლიური ანგარიშგების გამოქვეყნებამდე სულ მცირე 30 კალენდარული დღით ადრე.

შესაბამისად, რადგან შეთავაზების პერიოდი ამ პროსპექტის დამტკიცებიდან 1 წლის პერიოდია, წლიური და ნახევარი წლის ანგარიშგებების გამოქვეყნებამდე 30 დღით ადრე შეზღუდული იქნება მმართველი ორგანოს წევრების მიერ აქციებში ინვესტირების განხორციელება.

15.3. არსებობს რისკი იმისა რომ არსებულმა აქციონერებმა არ მოისურვონ სავაჭროდ დაშვებული აქციების სრულად გასხვისება;

არსებობს იმის შესაძლებლობა, რომ არსებულმა, მნიშვნელოვანი წილის მფლობელმა აქციონერებმა (ორივემ ან ერთ-ერთმა) არ მოისურვონ საკუთრებაში არსებული აქციების გასხვისება, რათა შეინარჩუნონ კონტროლი კომპანიაზე.

მოზიდული სახსრების გამოყენება

პროსპექტის გამოშვების თარიღისთვის კომპანიას საბანკო ანგარიშებზე განთავსებული აქვს 6.8 მლნ ლარამდე თავისუფალი ფულადი რესურსი (მინიმალური კაპიტალის მოთხოვნის ბუფერის გამოკლებით). განთავსების შედეგად კომპანიის მფლობელობაში არსებული თავისუფალი რესურსები გაიზრდება სულ მცირე 11.8 მილიონ ლარამდე.

კომპანია გეგმავს აღნიშნული ფულადი რესურსების გამოყენებას ქვემოთ ჩამოთვლილი ძირითადი მიმართულებების მიხედვით:

სიცოცხლის დაზღვევის ბაზარზე დამკვიდრება:

კომპანიის უახლოეს სამომავლო სტრატეგიულ გეგმებში სიცოცხლის დაზღვევის ბაზარზე შესვლა და ოპერირების დაწყებაა. დეტალური სამოქმედო გეგმა გაწერილია ქვეთავში „სამომავლო სტრატეგია და მიზნები“. სიცოცხლის დაზღვევის ლიცენზიის მისაღებად საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურში წერილობითი განცხადების წარდგენის მომენტში კომპანიის კაპიტალის მინიმალური ოდენობა უნდა შეადგენდეს: – 7,200,000 ლარს; კაპიტალის მინიმალური ოდენობის შესაბამისი ფულადი სახსრები სადაზღვევო საქმიანობის განხორციელების ყველა ეტაპზე უწყვეტად უნდა იყოს განთავსებული (არანაკლებ 1-წლიანი პერიოდულობით) საქართველოში ლიცენზირებულ საბანკო დაწესებულებაში ამ მიზნით გახსნილ განცალკევებულ ანგარიშზე. შესაბამისად მოზიდული სახსრები კომპანიას დაეხმარება საზედამხედველო სამსახურის მინიმალური მოთხოვნების დაკმაყოფილებაში.

კომპანია დღეის მდგომარეობით სრულად აკმაყოფილებს სსიპ “საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური”-ს მიერ დადგენილ, საკუთარი კაპიტალის მინიმალური მოთხოვნის 4,200 ათასი ლარის (2020 წლის 31 დეკემბრისათვის) სავალდებულო ოდენობას.

ინვესტიციები მოძრავ/უძრავ ქონებაში:

პროსპექტის გამოშვების თარიღისთვის კომპანიას საოფისე ფართი აღებული აქვს ყოველთვიური იჯარის სანაცვლოდ. კომპანია სამომავლოდ განიხილავს საოფისე ფართის შექმნას, ისევე როგორც მომსახურების ცენტრების/სააგენტოების ქვეყნის მასშტაბით სხვადასხვა ლოკაციებზე გახსნას. იგეგმება საოფისე ინვენტარისა და პროგრამული უზრუნველყოფის განახლება (ჯამში 3-დან 5 მილიონ ლარამდე დიაპაზონში).

პორთფელის აქტიურ ზრდა და საოპერაციო საქმიანობის დაფინანსება:

მოზიდული სახსრები კომპანიას საშუალებას მისცემს, მოახდინოს რისკების დივერსიფიკაცია, როგორც პირდაპირი სადაზღვევო საქმიანობით, ასევე გადაზღვევის აქტივობების დაწყებით. ადგილობრივ ბაზარზე ოპერირებადი სადაზღვევო კომპანიების რისკების განთავსება/გადმოზღვევა გაზრდის კომპანიის ცნობადობას, ხოლო თანამშრომელების მაღალი კვალიფიკაცია, სპეციფიკური რისკების კუთხით, ხელს შეუწყობს ჯამური მოზიდული პრემიისა და შესაბამისად წმინდა მოგების ზრდას. გადამზღვევი კომპანიის იმიჯი დადებითად აისახება კლიენტების ლოიალობასა და ნდობაზე.

ქართულ ბაზარზე, უპრეცედენტოდ მაღალი კაპიტალიზაცია, პარტნიორული კავშირები, მეზობელი ქვეყნების სადაზღვევო კომპანიებთან და განთავსების შედეგად მოზიდული ფინანსები, მნიშვნელოვნად გაზრდის ჩართვის შესაძლებლობას საერთაშორისო გადაზღვევის სისტემაში.

განთავსებიდან მოზიდული სახსრებით, კომპანიას ასევე მიეცემა შესაძლებლობა, შექმნას საინვესტიციო და სასესხო პორტფელი, რაც კონკურენტულ უპირატესობას მიანიჭებს ფინანსურ ინსტიტუტებთან მოლაპარაკებისა და თანამშრომლობის წარმართვის კუთხით.

განთავსებიდან მოზიდული სახსრები, კომპანიას საშუალებას მისცემს განახორციელოს შემდეგი აქტივობები:

- მსხვილ კლიენტებთან ყველა პროდუქტის ჭრილში შეუფერხებელი მუშაობა;
- დიდი და სპეციფიკური რისკების ექსკლუზიურად დაზღვევა;
- ანაზღაურების მოქნილი და სწრაფი სისტემის დანერგვა;
- დიდი ფინანსური ანგარიშსწორება, გადამზღვევი პარტნიორისაგან თანხების მიღებამდე, მსხვილი კლიენტების ლოიალობის ზრდისათვის;
- პროცესების დიჯიტალიზაცია.

სარეგისტრაციო დოკუმენტი

დოკუმენტის მომზადებაზე პასუხისმგებელი პირები

- ეკა ცენტრამე - სს „გრინ დაზღვევა საქართველოს“ გენერალური დირექტორი
- ლევან ელიაური - სს „გრინ დაზღვევა საქართველოს“ ფინანსური დირექტორი

პასუხისმგებელი პირების განცხადებები

პასუხისმგებელი პირები აცხადებენ, რომ „რეგისტრაციის დოკუმენტში წარმოდგენილი ინფორმაცია მოიცავს მათთვის ცნობილ ყველა მნიშვნელოვან ფაქტს და არ არის გამოტოვებული იმგვარი ინფორმაცია, რასაც შეეძლო მნიშვნელოვანი გავლენა მოეხდინა წინამდებარე პროსპექტის შინაარსზე.“

ემიტენტის ფინანსური აუდიტორი

კომპანიის 2019 და 2018 წლის ფინანსური ანგარიშები შეამოწმა დამოუკიდებელმა აუდიტორულმა ფირმამ შპს „ნექსია თიეიმ“. საიდენტიფიკაციო ნომერი: 405040682, (SARAS-F-550338). მისამართი: საქართველო, ქ. თბილისი, ალექსიძის ქ. 12, კინგ დევიდ ბიზნეს ცენტრი, მე-6 სართული. ელექტრონული ფოსტა: info@nexia.ge

ემიტენტის შესახებ

სს „გრინ დაზღვევა საქართველო“ დაარსდა 2013 წლის 13 მაისს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. 2013 წლის ოქტომბრიდან კომპანია ფლობს სსიპ „საქართველოს სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის“ მიერ მინიჭებულ სადაზღვევო ლიცენზიას, სერტიფიკატის ნომრით #NL013. აღნიშნული ლიცენზიის ქვეშ კომპანია მომხმარებლებს სთავაზობს არასიცოცლის დაზღვევის ფართო არჩევანს.

შეთავაზებული დაზღვევის ძირითად ტიპებს განეკუთვნება: ავტოტრანსპორტის დაზღვევა, მოტოდაზღვევა, პასუხისმგებლობის დაზღვევა, ქონების დაზღვევა, ტვირთის და სამოგზაურო დაზღვევა.

კომპანიის იურიდიული მისამართი: საქართველო, თბილისი, ა. კალანდამის ქ. 4

კაპიტალიზაცია და დავალიანება

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია სს. „გრინ დაზღვევა საქართველოს“ კაპიტალიზაციის და დავალიანების სტრუქტურა შესაბამისი პერიოდების მიხედვით:

(000' ლარი)	20-მაი-2020* (არააუდირებული)	20-მაი-2020 (არააუდირებული)	31-დეკ-2019 (აუდირებული)	31-დეკ-2018 (აუდირებული)
პროცენტული ვალდებულებები, სულ	-	-	-	-
კაპიტალი:				
საწესდებო კაპიტალი	15,000	10,000	4,350	4,350
დამატებით შეტანილი კაპიტალი	700	-	-	6
გაუნაწილებელი მოგება	820	820	2,360	291
კაპიტალი, სულ	16,520	10,820	6,710	4,647
კაპიტალიზაცია და დავალიანება სულ	16,520	10,820	6,710	4,647

(* მონაცემები შესწორებულია იმ დაშვებით, რომ კომპანია განთავსებს 5,000 ათას ცალ აქციას და თითოეული აქციის ფასი იქნება 1.14 ლარი.

კომპანიის დაფუძნებიდან 2020 წლის 27 თებერვლამდე კომპანიის გამოშვებული და განთავსებული აქციები წარმოადგენდნენ ერთი ტიპის A კლასის აქციებს.

2020 წლის 27 თებერვალს განხორციელდა კომპანიის რეგისტრირებული ფასიანი ქაღალდების მესაკუთრეების ცვლილება, მოხდა საწესდებო კაპიტალის გაზრდა დამატებით 5,650 ათასი ცალი აქციით, რომელიც გამოშვებულ იქნა ორი ახალი კლასის აქცის AA და B. სახით თითოეული აქციის ნომინალური ღირებულება შეადგენს 1 ლარს. დეტალური ინფორმაცია თითოეული კლასის უფლებების შესახებ გამჟღავნებულია ქვეთავში „კაპიტალი“.

კომპანიის საწესდებო კაპიტალი წლების მიხედვით შემდეგნაირად გამოიყურებოდა:

აქციის კლასი	31 მაი 2020**	31 მაი 2020	31 დეკ 2019	31 დეკ 2018
A	4,350,000 ც.	4,350,000 ც.	4,350,000 ც.	4,350,000 ც.
AA	1,650,000 ც.	1,650,000 ც.	-	-
B	9,000,000 ც.	4,000,000 ც.	-	-
რაოდენობა სულ:	15,000,000 ც.	10,000,000 ც.	4,350,000 ც.	4,350,000 ც.

აქციონერთა კრებაზე AA კლასის 1 აქცია უზრუნველყოფს 15 ხმის უფლებას, A კლასის ისევე როგორც B კლასის თითო აქცია უზრუნველყოფს ერთი ხმის უფლებას. ამასთანავე, სამეთვალყურეო საბჭოს წევრები აირჩევიან მხოლოდ A და AA კლასის აქციათა მფლობელების მიერ.

პროსპექტის გამოშვების თარიღისთვის კომპანიის აქციებზე ჯამური ხმის უფლებები შემდეგნაირად გამოიყურება:

აქციის კლასი	თითო აქციის ხმის უფლება	ჯამური ხმის უფლება	
		31 მაი 2020**	31 მაი 2020
A	1	4,350,000 ხმა, 11%	4,350,000 ხმა, 13%

AA	15	24,750,000 ხმა, 65%	24,750,000 ხმა, 75%
B	1	9,000,000 ხმა, 24%	4,000,000 ხმა, 12%
სულ:		38,100,000 ხმა, 100%	33,100,000 ხმა, 100%

(**) მონაცემები დათვლილია იმ დაშვებით, რომ კომპანია მოახდენს გამოშვებულ 5,000,000 ცალი B კლასის აქციათა განთავსებას.

თებერვალში დამატებით 5,650 ათასი ცალი აქციის გამოშვებიდან ფულადი შემოსავლის სახით კომპანიაში შემოვიდა 3,290 ათასი ლარი, ხოლო დარჩენილი ნაწილის დაფარვაზე მიღებულ იქნა აქციონერთა გადაწყვეტილება და შეივსო კომპანიის გაუნაწილებელი მოგებიდან. ტრანზაქცია შეეხო შემდეგ საბალანსო მუხლებს: გაიზარდა ფული და ფულის ეკვივალენტები 3,291 ათასი ლარით, გაიზარდა კომპანიის საწესდებო კაპიტალი 5,650 ათასი ლარით, ხოლო კომპანიის გაუნაწილებელი მოგება შემცირდა 2,359 ათასი ლარით. გამოშვებული აქციებიდან შემოსული ფულადი სახსრები სრულად განთავსდა კომპანიის საბანკო ანგარიშზე.

შესაბამისად 2020 წლის 31 მაისის მდგომარეობით აქციონერებს დადგენილ ვადაში აქვთ დამატებით გამოშვებული აქციების ღირებულების გადახდის (კაპიტალის შევსების) ვალდებულება შესრულებული.

ძირითადი საქმიანობა

“გრინ დაზღვევა საქართველოს“ ძირითად საქმიანობას წარმოადგენს სადაზღვევო საქმიანობა, არასიცოცხლის დაზღვევის ლიცენზიის შესაბამისად. კომპანიას სადაზღვევო ლიცენზია მიენიჭა 2013 წლის 11 ოქტომბერს, ლიცენზიის სერტიფიკატის ნომერია #NL013, გამოშვებულია სსიპ „საქართველოს სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის მიერ“.

კომპანია ახორციელებს აღნიშნული ლიცენზიის ქვეშ არსებული სადაზღვევო პროდუქტების დაზღვევას. პრიორიტეტული პროდუქტების სამი ჯგუფი და მიმართულებაა: ავტომოტოტრანსპორტის მფლობელთა სამოქალაქო პასუხისმგებლობის, ავტოსატრანსპორტო საშუალებების, სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული და სხვა ვალდებულებების დაზღვევა, 2020 წლის 5 თვიანი პერიოდის განმავლობაში მთლიან მოზიდულ პრემიაში შესაბამისი პროპორციულობით: 61%, 32%, 6% (2019: 70%, 25%, 5%)

კომპანიის საქმიანობის ძირითად პროდუქტს წარმოადგენს ავტოსატრანსპორტო საშუალებების დაზღვევა, მათ შორის მოტოციკლის დაზღვევა. კომპანიამ საქართველოს სადაზღვევო ბაზარზე პირველმა დანერგა მოტოციკლის დაზღვევა. აღნიშნული დაზღვევა წარმოადგენს ერთ-ერთ მოთხოვნად პროდუქტს.

გრინ დაზღვევა საქართველო ძირითადად სადაზღვევო ხელშკრულებებს/პოლისებს აფორმებს ქვემოთმოცემულ დაზღვევის სახეობებში.

დაზღვევის სახეობა:	დაზღვევის ქვეტიპი:
სამოგზაურო დაზღვევა	-
დაზღვევა უბედური შემთხვევებისგან	დაზღვევა უბედური შემთხვევისგან მგზავრების, მძღოლის ან ეკიპაჟის დაზღვევა უბედური შემთხვევისგან
სახმელეთო სატრანსპორტო საშუალებათა დაზღვევა (გარდა სარკინიგზო ტრანსპორტისა)	სახმელეთო ავტოსატრანსპორტო საშუალებათა დაზღვევა (ავტოკასკო) სხვა სახმელეთო სატრანსპორტო საშუალებათა დაზღვევა
სახმელეთო ტრანსპორტის გამოყენებასთან დაკავშირებული სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევა	ავტომოტოტრანსპორტის მფლობელთა სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევა სახმელეთო ტრანსპორტის გამოყენებასთან დაკავშირებული სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევა სახმელეთო გადაზიდვების სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევა
სარკინიგზო სატრანსპორტო საშუალებათა დაზღვევა	-
საჰაერო სატრანსპორტო საშუალებათა დაზღვევა (კორპუსის დაზღვევა)	საჰაერო გადაზიდვის პასუხისმგებლობის დაზღვევა სხვა პასუხისმგებლობის დაზღვევა, რომელიც დაკავშირებულია საჰაერო ტრანსპორტის გამოყენებასთან
მცურავ სატრანსპორტო საშუალებათა გამოყენებასთან დაკავშირებული პასუხისმგებლობის დაზღვევა	საზღვაო გადაზიდვის პასუხისმგებლობის დაზღვევა სხვა პასუხისმგებლობის დაზღვევა, რომელიც დაკავშირებულია მცურავი ტრანსპორტის გამოყენებასთან
ტვირთების დაზღვევა	-
ქონების დაზღვევა	-
დაზღვევა საფინანსო დაკარგებისგან	-
ვალდებულებათა შესრულების დაზღვევა	საბაჟო ვალდებულებების შესრულების გარანტიები/ფინანსური რისკის დაზღვევის პოლისები სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული გარანტიები სხვა სახის გარანტიები
საკრედიტო ვალდებულებათა დაზღვევა	-
სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევა	პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევა დამქირავებლის პასუხისმგებლობის დაზღვევა სხვა სახის პასუხისმგებლობის დაზღვევა

კომპანიის მიერ წლის განმავლობაში და სააღრიცხვო თარიღში არსებული მოქმედი პოლისების რაოდენობა პროდუქტების დონეზე წარმოდგენილია შემდეგნაირად:

დაზღვევის სახეობა	2019		2018	
	წლის განმავლობაში გაფორმებული პოლისები	სააღრიცხვო თარიღისთვის მოქმედი პოლისების რაოდენობა	წლის განმავლობაში გაფორმებული პოლისები	სააღრიცხვო თარიღისთვის მოქმედი პოლისების რაოდენობა
ავტომობილტრანსპორტის მფლობელთა სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევა	956,350	67,595	721,036	54,339
სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული გარანტიები	745	108	1,247	186
სახმელეთო სატრანსპორტო საშუალებათა დაზღვევა (გარდა სარკინიგზო ტრანსპორტისა):	253	140	264	157
სახმელეთო ტრანსპორტის გამოყენებასთან დაკავშირებული სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევა	55	40	62	57
სამოგზაურო დაზღვევა	24	3	251	7
უბედური შემთხვევის დაზღვევა	3	2	1	1
სახმელეთო გადამზიდველის სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევა	3	3	8	7
ქონების დაზღვევა	2	2	1	1
სხვა სახის გარანტიები	2	3	1	3
პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევა	2	2	2	2
პოლისების რაოდენობა სულ:	957,439	67,898	722,873	54,760


2019 წელს მოზიდული პოლისების რაოდენობა 34%-ით აღემატება წინა წლის მაჩვენებელს. პოლისების რაოდენობით თითქმის აბსოლუტური წილი ავტომობილტრანსპორტის მფლობელთა სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევას უჭირავს (99.9%) (2018: 99.7%). პოლისების ვადიანობა მერყეობს საშუალოდ 15 დღიდან 1 წლამდე.

2020 წლის პირველი კვარტლის ანალოგიური მონაცემები შემდეგნაირად გამოიყურება:

2020 წლის I კვ.		
	წლის განმავლობაში გაფორმებული პოლისები	სააღრიცხვო თარიღისთვის მოქმედი პოლისების რაოდენობა
სახმელეთო ტრანსპორტის გამოყენებასთან დაკავშირებული სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევა	159,491	33,860
ვალდებულებების შესრულების დაზღვევა	130	76
სახმელეთო სატრანსპორტო საშუალებათა დაზღვევა (გარდა სარკინიგზო ტრანსპორტისა)	44	163
სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევა	7	9
უბედური შემთხვევის დაზღვევა	4	4
სამოგზაურო დაზღვევა	2	-
ქონების დაზღვევა	-	1
პოლისების რაოდენობა სულ:	159,678	34,113

2020 წლის პირველი კვარტლის მონაცემებით აქტიური პოლისების რაოდენობა შემცირებულია 49.8%-ით და შეადგენს 34,113 აქტიურ პოლისს. მთლიან აქტიურ პოლისებში ავტოტრანსპორტის მფლობელთა სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევას უჭირავს 99.3%. შემცირება გამოწვეული სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევის აქტიური პოლისების რაოდენობის შემცირებით მარტის თვეში, აღნიშნულ პროდუქტზე შემცირდა მოთხოვნა, რაც აიხსნება პანდემიის ეფექტით. დეტალური ინფორმაცია „ავტომოტოტრანსპორტის მფლობელთა სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევის“ როგორც სადაზღვევო პროდუქტის შესახებ წარმოდგენილია ქვემოთ.


მთლიანი მოზიდული პრემიის მიხედვით სადაზღვევო პროდუქტების გადანაწილება შემდეგნაირად გამოიყურება:



ავტომოტოტრანსპორტის მფლობელთა სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევა

წმინდა მოზიდული პრემიის უდიდესი წილი, ამ შემთხვევაშიც მოდის ავტომოტოტრანსპორტის მფლობელთა სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევაზე 2019 წლის განმავლობაში - 70%, რაც შეადგენდა 2,262 ათას ლარს, ხოლო 2018-ში - 60%, 1,733 ათას ლარს.

სავალდებულო დაზღვევის ფარგლებში გაცემული პოლისების რაოდენობა და მოზიდული პრემია წლების განმავლობაში შემდეგნაირად გამოიყურება:



აღნიშნული დაზღვევა ითვალისწინებს საქართველოს ტერიტორიაზე მოძრავი უცხო სახელმწიფოში რეგისტრირებული ავტოსატრანსპორტო საშუალების მფლობელის სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევას.

უცხო სახელმწიფოში რეგისტრირებული ავტოსატრანსპორტო საშუალების საქართველოს ტერიტორიაზე შემოსვლისას ავტოსატრანსპორტო საშუალების მფლობელი/მძღოლი, „საქართველოს ტერიტორიაზე მოძრავი უცხო სახელმწიფოში რეგისტრირებული ავტოსატრანსპორტო საშუალების მფლობელის სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად ვალდებულია დააზღვიოს თავისი სამოქალაქო პასუხისმგებლობა მის მფლობელობაში არსებულ ავტოსატრანსპორტო საშუალებაზე საქართველოს ტერიტორიაზე მისი ყოფნის სრული პერიოდით. სავალდებულო დაზღვევით ანაზღაურდება ამ ავტოსატრანსპორტო საშუალების მონაწილეობით და მისგან გამომდინარე დამდგარი სადაზღვევო შემთხვევის შედეგად გამოწვეული ზიანი.

სადაზღვევო პრემიის ოდენობა რეგულირებულია „საქართველოს ტერიტორიაზე მოძრავი უცხო სახელმწიფოში რეგისტრირებული ავტოსატრანსპორტო საშუალების მფლობელის სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევის შესახებ“ საქართველოს კანონით.

სადაზღვევო პოლისის პერიოდულობა განისაზღვრება ამავე კანონით და შეადგენს: 15, 30, 90 ან 365 დღეს.

ავტოსატრანსპორტო საშუალების კატეგორიის და დაზღვევის პერიოდის მიხედვით სადაზღვევო პრემიის ოდენობა შემდეგნაირად გამოიყურება:

პოლისის პერიოდი / ტრანსპორტის ტიპი *	15 დღე	30 დღე	90 დღე	1 წელი
მოტოციკლი	20 ლ	35 ლ	70 ლ	215 ლ
მსუბუქი ავტომობილი	30 ლ	50 ლ	90 ლ	295 ლ
ავტობუსი	45 ლ	75 ლ	140 ლ	480 ლ
სატვირთო ავტომობილი	60 ლ	100 ლ	170 ლ	610 ლ

* შენიშვნა: ავტოსატრანსპორტო საშუალების მფლობელის სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევას კომპანია აწვდის „სავალდებულო დაზღვევის“ ცენტრის საშუალებით, რომელიც აერთიანებს ბაზარზე ოპერირებად 17 სადაზღვევო კომპანიას. მოზიდული პრემია და ზარალი თანაბრად ნაწილდება ცენტრში შემავალ კომპანიებზე. დეტალური ინფორმაცია ცენტრის შესახებ წარმოდგენილია ქვემოთ.

სადაზღვევო შემთხვევა და რისკები, რომლებიც ანაზღაურდება სავალდებულო დაზღვევით:

უცხო სახელმწიფოში რეგისტრირებული ავტოსატრანსპორტო საშუალების მოძრაობისას ამ ავტოსატრანსპორტო საშუალების მონაწილეობით წარმოქმნილ მოვლენაზე, რომლის დროსაც დაზარალებულის (მესამე პირის) სიცოცხლეს, ჯანმრთელობას ან/და ქონებას მიადგა ზიანი.

- დაზარალებულის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის (აგრეთვე ქმედ-უნარიანობის შეზღუდვისათვის) მიყენებული ზიანისათვის სადაზღვევო ლიმიტის - 30,000 ლარის ფარგლებში ანაზღაურება.
- დაზარალებულის ქონებისთვის მიყენებული ზიანის სადაზღვევო ლიმიტის - 25,000 ლარის ფარგლებში ანაზღაურება.

შემდეგი ტიპის ზიანი არ ექვემდებარება ანაზღაურებას:

1. სპეციალურად გამოყოფილ ადგილზე ავტოსატრანსპორტო საშუალების გამოყენებით შეჯიბრების, გამოცდის, სწავლების ჩატარებისას მიყენებულ ზიანს;
2. დაზარალებულის განზრახი ქმედებით გამოწვეულ ზიანს;
3. დაუძლეველი ძალით გამოწვეულ ზიანს (საომარი მოქმედება, ხანძარი, აფეთქება);
4. ბირთვული ენერგიით, ასეთი ნივთიერების ან/და სახიფათო ტვირთის გადაზიდვით გამოწვეულ ზიანს;
5. სამხედრო ოპერაციით, სამხედრო მანევრით, სამხედრო გადატრიალებით, ტერორისტული აქტით გამოწვეულ ზიანს.

2018 წლის 26 იანვარს დაფუძნდა სავალდებულო დაზღვევის ცენტრი, რომელიც დაზღვევის ამ სახეობის მართვისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით შექმნილი ნებაყოფლობითი საზოგადოებაა და მის ძირითად ფუნქცია მოვალეობებს კლიენტების უწყვეტ რეჟიმში მომსახურება, დაზღვევის პოლისის რეალიზაცია და ზარალის რეგულირება შეადგენს.

ცენტრის თანადამფუძნებლები და წევრები იყვნენ დაფუძნების მომენტისთვის საქართველოს ბაზარზე ლიცენზირებული ყველა მზღვეველი ორგანიზაცია, მათ შორის გრინ დაზღვევა საქართველო.

ცენტრი ფუნქციონირებს 9 ფილიალით: სარფი, სადახლო, ყაზბეგი და წითელი ხიდი.

ცენტრის მიღებული მთლიანი შემოსავალი ისევე როგორც ზარალი თანაბრად ნაწილდება ყველა წევრ ორგანიზაციაზე. 2020-ის 5 თვის მონაცემებით გრინ დაზღვევა საქართველოს მთლიანი მოზიდული პრემია შეადგენდა 610 ათას ლარს, (2019 სრული წელი: 2,262 ათასი ლარი).

ცენტრის მონაწილე ორგანიზაციების/მზღვეველების კანონით გაწერილი სავალდებულო მოთხოვნები:

„საქართველოს ტერიტორიაზე მოძრავი უცხო სახელმწიფოში რეგისტრირებული ავტოსატრანსპორტო საშუალების მფლობელის სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევის შესახებ“ კანონის მიხედვით სავალდებულო დაზღვევის ამ სახეობაში მონაწილეობის მსურველი ყველა სადაზღვევო ორგანიზაცია/მზღვეველი ვალდებულია ჰქონდეს სავალდებულო დაზღვევის ამ სახეობაში საქმიანობის განხორციელების დაწყებიდან:

	3 თვის განმავლობაში	6 თვის განმავლობაში	ყოველი 12 თვის განმავლობაში
პირდაპირი დაზღვევის საქმიანობიდან სახმელეთო სატრანსპორტო საშუალებათა დაზღვევის (გარდა სარკინიგზო ტრანსპორტისა) და სახმელეთო ტრანსპორტის გამოყენებასთან დაკავშირებული სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევის (გარდა სავალდებულო დაზღვევისა) სახეობებში ჯამურად გამომუშავებული პრემია*	>=200,000	>=400,000	>=800,000
	ან	ან	ან
პირდაპირი დაზღვევის საქმიანობიდან გამომუშავებული პრემია*	>=2,500,000	>=5,000,000	>=10,000,000

(*) გამომუშავებული პრემიისთვის საანგარიშო პერიოდის ათვლა იწყება მზღვევის მიერ სავალდებულო დაზღვევის ამ სახეობაში სადაზღვევო საქმიანობის დაწყების თვის 1 რიცხვიდან.

დადგენილი მინიმალური მოთხოვნების შესრულებას აკონტროლებს საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური. აღნიშნული მოთხოვნის დარღვევის გამოვლენის შემთხვევაში საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო

ზედამხედველობის სამსახური ვალდებულია მზღვეველს აუკრძალოს სავალდებულო დაზღვევის ამ სახეობაში საქმიანობა.

გრინ დაზღვევა საქართველო წევრი ორგანიზაციაა ცენტრის დაარსებიდან, ე.ი. 2018 წლის იანვრიდან, შესაბამისად მასზე მოქმედებს მოთხოვნა „ყოველი 12 თვის განმავლობაში პირდაპირი დაზღვევის საქმიანობიდან სახმელეთო სატრანსპორტო საშუალებათა დაზღვევის (გარდა სარკინიგზო ტრანსპორტისა) და სახმელეთო ტრანსპორტის გამოყენებასთან დაკავშირებული სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევის სახეობებში ჯამურად გამომუშაებული პრემია არანაკლებ 800,000 ლარი“. 2020 წლის 31 მაისის მდგომარეობით უკანასკნელი 12 თვის განმავლობაში კომპანიის ჯამური პრემია 828 ათას ლარს. (2019: 851 ათასი ლარი, 2018: 852 ათასი ლარი), აღნიშნული არ მოიცავს ავტოტრანსპორტის მფლობელთა სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევის პრემიას.

სახმელეთო სატრანსპორტო საშუალებათა დაზღვევა

სიდიდით მეორე სადაზღვევო პროდუქტია სახმელეთო სატრანსპორტო საშუალებათა დაზღვევა, რომელიც 2019 წლის განმავლობაში მთლიანი მოზიდული პრემიის 25%-ს იკავებდა და შეადგენდა 814 ათას ლარს (2018: 29%, 842 ათასი ლარი).


კომპანია მომხმარებლებს სთავაზობს სატრანსპორტო საშუალებებთან, დაკავშირებული შემდეგი რისკების დაზღვევას:

- ქურდობა, ძარცვა, ყაჩაღობა;
- სატრანსპორტო საშუალების დაზიანება/სრული განადგურება გამოწვეული ავტოსაგზაო შემთხვევით;
- სატრანსპორტო საშუალების დაზიანება/სრული განადგურება გამოწვეული სტიქიური უბედურებებით, ხანძრით, აფეთქებით, მეხის დაცემით და ა.შ.;
- სატრანსპორტო საშუალების დაზიანება/სრული განადგურება გამოწვეული მესამე პირის მართლსაწინააღმდეგო ქმედებით.


სატრანსპორტო საშუალებებში ერთიანდება: ავტომობილი, მოტოციკლი, კვადროციკლი, ბაგი და ა.შ

სადაზღვევო ლიმიტები და პოლისის ტარიფი განისაზღვრება ინდივიდუალურად თითოეული მომხმარებლის და სადაზღვევო ობიექტის ჯეროვანი ანალიზისა და შესწავლა-შეფასების შედეგად.

დაზღვევის ფარგლებში გაცემული პოლისების რაოდენობა და მოზიდული პრემია წლების განმავლობაში შემდეგნაირად გამოიყურება:



მომხმარებელთა ტიპების მიხედვით, დაზღვევის ამ მიმართულებით კომპანიის ძირითად კლიენტებს განეკუთვნებიან კორპორატიული კლიენტები. 2019 წლის განმავლობაში მთლიანი გაფორმებული პოლისების 88.9%, ხოლო 2018-ში 89.3% მოდიოდა კორპორატიულ კლიენტებზე. მთლიან მოზიდულ პრემიაში კორპორატიული კლიენტების წილი შეადგენს 96.3%. (2018: 97.8%)



სადაზღვევო ანაზღაურების გაცემის ფორმა და ვადები

სატრანსპორტო საშუალების დაზიანება:

სატრანსპორტო საშუალების დაზიანების შემთხვევაში დამზღვევის მიერ სადაზღვევო ანაზღაურების მიღებაზე უფლების დადგენის, ასევე სადაზღვევო ანაზღაურების სიდიდის დადგენისა და ყველა სათანადო დოკუმენტაციის წარმოდგენიდან არაუგვიანეს 5 საბანკო დღის შემდგომ გაიცემა სადაზღვევო ანაზღაურება.

ქურდობა, ძარცვა, ყაჩაღობა:

ქურდობის, ძარცვის და ყაჩაღობის შემთხვევაში, თუ სატრანსპორტო საშუალება არ იქნა აღმოჩენილი პოლიციაში განცხადების მომენტიდან 45 კალენდარული დღის განმავლობაში, გაიცემა სადაზღვევო ანაზღაურება.

შემთხვევის დადგომის მომენტისთვის დგება ზარალის შეფასების აქტი (ხარჯთაღრიცხვის აქტი), ხოლო შემდგომ სადაზღვევო შემთხვევის აქტი, რომლითაც მხარეები თანხმდებიან სადაზღვევო ანაზღაურების საბოლოო მოცულობაზე, რის შემდეგაც ანაზღაურების თანხა, ზემოთხსენებულ ვადებში ირიცხება დამზღვევის მიერ მითითებულ საბანკო ანგარიშზე.

სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული და სხვა ვალდებულებების შესრულების გარანტიები

მოზიდული პრემიის მიხედვით რიგით მესამე ყველაზე მსხვილი სადაზღვევო პროდუქტი არის სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული და სხვა ვალდებულებების შესრულების გარანტიები.

სახელმწიფო შესყიდვების ეროვნული სააგენტოს მოთხოვნების შესაბამისად სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის მიზნით პრეტენდენტი ვალდებულია წარადგინოს გარანტია - შესყიდვის ობიექტის სახელშეკრულებო ღირებულების 1%-ის ოდენობით.

კომპანიას აღნიშნული სადაზღვევო პროდუქტიდან 2019 წლის განმავლობაში მოზიდული აქვს ჯამურად 155 ათასი ლარის ოდენობის პრემია, რაც მთლიანი მოზიდული პრემიის 5%-ს შეადგენდა. (2018: 276 ათასი ლარი, 10%).

აღებული სადაზღვევო ვალდებულებები

კომპანიის მიერ სადაზღვევო საქმიანობის ფარგლებში აღებული სადაზღვევო ვალდებულებები დაზღვევის სახეების და წლების მიხედვით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

კომპანიის მიერ აღებული სადაზღვევო ვალდებულება წარმოადგენს დაზღვევის ხელშეკრულებით განსაზღვრული სადაზღვევო თანხას/სადაზღვევო ანაზღაურების ლიმიტს, სხვა სიტყვებით, კომპანიის მიერ აღებულ მთლიან თანხობრივად გამოხატულ რისკს.

აღებული სადაზღვევო ვალდებულებები (‘000 ლარი)	31 მაისი 2020	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
ავტომოტოტრანსპორტის მფლობელთა სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევა	550,241	1,392,402	1,181,248
სახმელეთო ავტოსატრანსპორტო საშუალებათა დაზღვევა (ავტოკასკო):	15,172	10,637	10,183
სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული გარანტიები	969	1,201	1,036
სხვა სახმელეთო სატრანსპორტო საშუალებათა დაზღვევა	934	618	312
სახმელეთო ტრანსპორტის გამოყენებასთან დაკავშირებული სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევა	523	520	723
სამოგზაურო დაზღვევა	-	481	1,075
სხვა სახის გარანტიები	245	441	288
პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევა	300	300	300
ქონების დაზღვევა	111	175	75
დაზღვევა უბედური შემთხვევებისაგან	105	50	-
სახმელეთო გადამზიდველის სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევა	16	43	94
მგზავრების, მძღოლის ან ეკიპაჟის დაზღვევა უბედური შემთხვევებისაგან	16	14	13
აღებული სადაზღვევო ვალდებულებები სულ:	575,132	1,406,882	1,195,347

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას სადაზღვევო საქმიანობის ფარგლებში აღებული აქვს ჯამურად 1,406,882 ათასი ლარის (მილიარდ ოთხას ექვსი მილიონ რვაას ოთხმოცდარვა ათასი) ღირებულების სადაზღვევო ვალდებულება. 2020 წლის 31 მაისის მდგომარეობით აღებული სადაზღვევო ვალდებულებები შეადგენს 575,132 ათას ლარს (ხუთას სამოცდათხუთმეტი მილიონ ას ოცდათორმეტი ათასი) რაც წინა წელთან შედარებით შემცირებულია 59%-ით.

შემცირება გამოწვეულია პანდემიის ეფექტით ქვეყანათაშორისი მიმოსვლის შეზღუდვის შედეგად ავტომოტოტრანსპორტის მფლობელთა სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევის სახეობაში აქტიური პოლისების რაოდენობის კლებით. კერძოდ, პანდემიის გავლენით პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევის აქტიურ პოლისებში შემცირდა მსუბუქი ავტომობილების წილი. 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ავტოტრანსპორტის მფლობელთა პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევის აქტიურ პოლისებში მსუბუქი და სატვირთო ავტომობილების წილი შემდეგნაირად ნაწილდებოდა 62% და 37%.

31 მაისის მდგომარეობით მსუბუქი ავტომობილების წილი მთლიან აქტიურ პოლისებში შემცირდა 12%-მდე. თუმცა მსუბუქი ავტომობილების წილის კლება აქტიურ პოლისებსა და შესაბამისად აღებულ სადაზღვევო ვალდებულებებში, პირდაპირპროპორციულად არ ისახება კომპანიის გამომუშავებულ პრემიასა და გამოუმუშავებელ პრემიის რეზერვზე, ვინაიდან მსუბუქი ავტომობილების სავალდებულო

დაზღვევის პრემია თითო პოლისზე, სატვირთო ავტომობილების პრემიასთან შედარებით 50%-ით ნაკლებია. ავტომობილის ტიპის და პერიოდების მიხედვით დაზღვევის ამ სახეობაში არსებული პოლისების ტარიფები და აქტიური პოლისების რაოდენობა გამყდარებულია ქვეთავში „ძირითადი საქმიანობა - ავტომოტოტრანსპორტის მფლობელთა სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევა“.

2019 და 2018 წლების მდგომარეობით კომპანიის მიერ აღებულ ჯამურ სადაზღვევო თანხების (ნეტო ვალდებულებების, ე.ი. აღებული რისკის) მიხედვით ტოპ 3, 5 და 10 მომხმარებლის წილობრივი მაჩვენებელი სადაზღვევო პროდუქტების დონეზე შემდეგნაირად გამოიყურება:

	ავტოსატრანსპორტო საშუალებების დაზღვევა		საბანკო გარანტიები		სხვა სახეობები	
	2019	2018	2019	2018	2019	2018
1-3	92.30%	91.50%	17.10%	32.90%	78.90%	64.70%
1-5	94.50%	93.70%	23.20%	43.70%	90.60%	85%
1-10	96.20%	95.40%	37.80%	63.60%	100%	100%

„ავტომოტოტრანსპორტის მფლობელთა სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევა“-ში პოლისები ფორმდება ინდივიდუალურად და კონცენტრაციის რისკი ამ ტიპის დაზღვევაში არ არსებობს.

კომპანიის შემოსავლის მთავარ წყარო (2019: 70%, 2018: 60%): „ავტომოტოტრანსპორტის მფლობელთა სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევა“-ში პოლისები ფორმდება ინდივიდუალურად და კონცენტრაციის რისკი ამ ტიპის დაზღვევაში არ არსებობს.

საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ავტოსატრანსპორტო საშუალებების დაზღვევაში ტოპ სამი კლიენტის წილი თითქმის აბსოლუტური მნიშვნელობის არის. თუმცა ავტოსატრანსპორტო საშუალებების დაზღვევას მხოლოდ 25% უკავია 2019 წლის მოზიდულ პრემიაში, (2018: 29%).

ხოლო რაც შეეხება საბანკო გარანტიებსა და სხვა სახეობებს, მათ ჯამურად მცირე წილი უკავიათ კომპანიის ერთიან შემოსავლებში, 2019 წლის განმავლობაში 5% (2018: 11%) და მათ არ აქვთ მატერიალური გავლენა კომპანიის საოპერაციო საქმიანობაზე..

2020 წლის 1 იანვრიდან, სადაზღვევო კომპანიებს დაუწესდათ ერთი რისკით აღებული ნეტო ვალდებულებების საზედამხედველო კაპიტალთან ფარდობის მაქსიმალური ზღვრები. კერძოდ, სადაზღვევო კომპანიის მიერ აღებული ნეტო ვალდებულებების მაქსიმალური ოდენობა ერთ რისკთან (ერთ პოლისთან) მიმართებაში განისაზღვრა საზედამხედველო კაპიტალის 15%-ით. პროსპექტის გამოშვების თარიღის მდგომარეობით აღებული მაქსიმალური ნეტო ვალდებულება ინდივიდუალური პოლისის დონეზე შეადგენს 180 ათას დოლარს, რაც წარმოადგენს კაპიტალის 5.09%-ს.


მარკეტინგული სტრატეგია

მარკეტინგული სტრატეგია ეფუძნება კომპანიის მისიას, ღირებულებებსა და ამოცანებს. აქტივობების ძირითად მიზანს წარმოადგენს ბრენდის ცნობადობის ამაღლება და ლოიალობის გაზრდა, პოტენციური და არსებული მომხმარებლების მოთხოვნების იდენტიფიკაცია, პროდუქტების გაყიდვების სტიმულირება, სოციალური პასუხისმგებლობის კამპანიების განხორციელება. გრინ დაზღვევა საქართველო ბაზარზე პოზიციონირება კომპანიად, რომელიც მომხმარებლებს სთავაზობს მრავალფეროვან და მაღალხარისხიან მათზე მორგებულ პროდუქტებს და მომსახურებას, ასევე არის სოციალურად აქტიური. კომპანია იყენებს მარკეტინგული კომუნიკაციების სხვადასხვა საშუალებებს: რეკლამა, საზოგადოებრივი ურთიერთობები, პირდაპირი მარკეტინგი, სპონსორობა და სხვა.

ძირითადი საკომუნიკაციო არხებია - ინტერნეტი, გარე რეკლამა, რადიო, მოკლექტექსტური შეტყობინება, ბეჭდვითი მედია და ტელევიზია.


წლის ბოლომდე მარკეტინგული მიმართულებით დაბიუჯეტირებული ხარჯები აჭარბებს 141 ათას ლარს, საიდანაც ძირითადი მიმართულებები პროპორციულად შემდეგნაირად ნაწილდება.

მარკეტინგული აქტივობები



ბრენდინგი ძირითადად აერთიანებს ბრენდბუქის შექმნას, ვებ დიზაინისა და კონტენტის ფორმირებას, რეკლამის დიზაინის შემუშავებას და ა.შ.

მარკეტინგის საშუალებების უფრო დეტალური გაშლა სარეკლამო წყაროების მიხედვით წარმოდგენილია ჩართის სახით:



ძირითადი ბაზრები

სადაზღვევო ბაზრის ზოგადი მიმოხილვა და ზრდის პოტენციალი


საქართველოს სადაზღვევო ბაზრის ისტორია 1990 წლიდან იწყება, როდესაც პირველი სადაზღვევო კომპანია „ალდაგი“ დაარსდა, დღესდღეობით კი ბაზარზე 17 ლიცენზირებული კომპანია ოპერირებს. საქართველოში სადაზღვევო ბაზრის განვითარებას მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი ჯანმრთელობის დაზღვევის სახელმწიფო პროგრამების შემუშავებამ, რაც ქვეყანაში 2007 წლიდან დაიწყო. პირველი სახელმწიფო დაზღვევის პროგრამა თბილისსა და იმერეთის რეგიონში რეგისტრირებულ სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფ 196,000 ადამიანს შეეხო, 2012 წლამდე კი სხვა რეგიონებიც მოიცვა და 2012 წლისთვის სახელმწიფო სადაზღვევო პროგრამით დაზღვეულთა რაოდენობამ 1.6 მლნ ადამიანს გადააჭარბა. 2013-14 წლებში სახელმწიფომ მიდგომა შეცვალა და საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამა წამოიწყო, რამაც ქვეყნის მასშტაბით თითოეული მოქალაქე მინიმალური სადაზღვევო პაკეტით უზრუნველყო. გარდა ამისა, 2014 წლიდან დაიწყო სახელმწიფოს მიერ სუბსიდირებული აგრო დაზღვევის პროგრამა, რამაც ქართველ ფერმერებს მოსავლის დაზღვევის შესაძლებლობა და მოტივაცია მისცა. ხსენებულმა სახელმწიფო პროგრამებმა ხელი შეუწყო დაზღვევის მიმართ ცნობადობის ამაღლებას ქვეყანაში, რამაც გაზარდა მოთხოვნა როგორც ჯანმრთელობის, ისე სხვა ტიპის ნებაყოფლობით დაზღვევაზე.

შედეგად, საქართველოს სადაზღვევო ბაზარზე მოზიდული პრემიების მოცულობა 2009-19 წლებში წელიწადში საშუალოდ 6%-ით გაიზარდა და 2019 წელს 625 მლნ ლარი შეადგინა. ამავე პერიოდში სექტორის სადაზღვევო მოგება წლიურად საშუალოდ 5%-ით იზრდებოდა და 2019 წელს 157 მლნ ლარი შეადგინა. რაც შეეხება წმინდა მოგების მაჩვენებლებს, 2019 წელს სადაზღვევო ბაზრის წმინდა მოგება 25.2 მლნ ლარი იყო (-2.9% CAGR 2009-19 წლებში). უნდა აღინიშნოს, რომ სადაზღვევო სექტორი დიდ ადამიანურ რესურსს მოითხოვს, რაც ზრდის სექტორის საოპერაციო ხარჯებს. სადაზღვევო ბაზრის განვითარებასთან ერთად, სახელფასო ხარჯები 2009 წელთან შედარებით 2019 წელს გასამმაგდა, ხოლო, სახელფასო ხარჯების წილი ჯამურ საოპერაციო დანახარჯებში ამავე პერიოდში 46%-დან 57%-მდე გაიზარდა. შედეგად, გაზრდილმა სახელფასო და სხვა საოპერაციო დანახარჯებმა გავლენა იქონია სექტორის მომგებიანობის შემცირებაზე.

აღსანიშნავია, რომ 2020 წლის I ნახევარში სექტორის მიერ მოზიდულმა პრემიამ 376.9 მლნ ლარი შეადგინა, რაც წინა წლის იმავე პერიოდთან შედარებით 9.1%-იანი ზრდაა. სექტორის ზრდა მეტწილად განპირობებულია ჯანმრთელობის (171.4 მლნ ლარი, +18% წ/წ), ქონებისა (59.0 მლნ ლარი, +27% წ/წ) და საფინანსო დანაკარგების (5.1 მლნ ლარი, +2.3x წ/წ) დაზღვევით მოზიდული პრემიის ზრდით. ასევე, გაიზარდა სიცოცხლისა (26.3 მლნ, +10% წ/წ) და უბედური შემთხვევის (7.2 მლნ, +15% წ/წ) დაზღვევით მოზიდული პრემიების მოცულობა 2020 წლის I ნახევარში, რაც დიდწილად ბანკების მხრიდან მოცულობითი სესხების გაცემის დროს სავალდებულო დაზღვევის მოთხოვნით აიხსნება. რაც შეეხება დაზღვევის სხვა სახეობებს, Covid-19 პანდემიით გამოწვეულმა ეკონომიკურმა შოკმა, საერთაშორისო მოგზაურობის შეწყვეტამ და მთავრობის მიერ დაწესებულმა შეზღუდვებმა მათ უმრავლესობაზე უარყოფითად იმოქმედა, განსაკუთრებით დაზარადა დაზღვევის ისეთი კატეგორიები, რომლებიც საერთაშორისო ან ადგილობრივ მოგზაურობასთან/მგზავრობასთან არის დაკავშირებული, მაგალითად: სახმელეთო ტრანსპორტის გამოყენებასთან დაკავშირებული სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევით მოზიდული პრემია 2020 წლის I ნახევარში 19%-ით შემცირდა და 20.2 მლნ ლარი შეადგინა, სახმელეთო ტრანსპორტის დაზღვევით (გარდა სარკინიგზო ტრანსპორტისა) მოზიდული პრემიის ზრდა შენედა და 2020 წლის I ნახევარში მხოლოდ 2% შეადგინა (59.0 მლნ ლარამდე) მაშინ, როდესაც ამ კატეგორიის ზრდა 2019 წლის პირველ ნახევარში 27% წ/წ იყო, ხოლო 2018 წლის პირველ ნახევარში 15% წ/წ, საჰაერო ტრანსპორტისა და მასთან დაკავშირებული სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევით მოზიდული პრემია განახევრდა 2020 წლის I ნახევარში (3.4 მლნ ლარი, -57% წ/წ), ასევე განახევრდა სამოგზაურო დაზღვევით მოზიდული პრემია (1.9 მლნ ლარი, -51% წ/წ) და ა.შ

უნდა აღინიშნოს, რომ 2020 წლის I ნახევრის მონაცემებში დაზღვევის ცალკეულ კატეგორიებზე კოვიდ-19-ის ეფექტი სრულად არ არის ასახული, კერძოდ, საერთაშორისო მოგზაურობასთან/მოგზაურობასთან დაკავშირებულ დაზღვევის სახეობებზე (სამოგზაურო დაზღვევა, სახმელეთო/საჰაერო ტრანსპორტისა და მათ გამოყენებასთან დაკავშირებული სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევა და ა.შ), რადგან საქართველოში საერთაშორისო მოგზაურობა სრულად 2020 წლის 18 მარტიდან შეწყდა, სახმელეთო ტრანსპორტით გადაადგილებაც 2020 წლის I კვარტლის ბოლოდან შეიზღუდა. დაზღვევის ამ კატეგორიებისთვის 2020 წლის II ნახევარი მეტი გამოწვევებით იქნება სავსე, რადგან სახმელეთო ტრანსპორტის სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევით მოზიდული პრემიის დიდი ნაწილი უცხოელი ვიზიტორებისგან იყო მოზიდული (მათთვის საქართველოს საზღვრის ავტომობილით გადმოკვეთის დროს ამ ტიპის დაზღვევა სავალდებულოა, საქართველოს მოსახლეობისთვის კი ჯერჯერობით ნებაყოფლობითი), პანდემიის პირობებში საერთაშორისო მოგზაურობა პრაქტიკულად შეჩერებულია, ადგილობრივი მოსახლეობა აქტიურ სოციალურ ცხოვრებას ერიდება, დასაქმებულთა ნაწილი ჯერ კიდევ დისტანციურად აგრძელებს მუშაობას და ნაკლებად უწევს ავტომობილით გადაადგილება, შედეგად, ავტომობილისა და მასთან დაკავშირებული სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევა პანდემიის პირობებში, თანაც შემცირებული მსყიდველუნარიანობის ფონზე არარელევანტური ხდება, რაც ზრდის გამოწვევებს 2020 წლის მეორე ნახევარში. დაზღვევის ამ კატეგორიების გაჯანსაღების ტემპი 2021 წელს Covid-19-ის ეპიდემიოლოგიურ მდგომარეობაზე და ეკონომიკის გააქტიურებაზე იქნება დამოკიდებული.


გრაფიკი 1: სადაზღვევო ბაზრის მომგებიანობის მაჩვენებლები, მლნ ლარი



შენიშვნა: კვარტალური მონაცემები არის წინასწარი და შესაძლებელია შეიცვალოს წყარო: საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური

2020 წლის I ნახევარში სადაზღვევო სექტორის წმინდა მოგებამ 29.2 მლნ ლარი შეადგინა, რაც წინა წლის იმავე პერიოდის მაჩვენებელზე 1.5-ჯერ მეტია, ხოლო აქტივების ჯამური მოცულობა 976.4 მლნ ლარია (+2.5% წ/წ).

გრაფიკი 2: სადაზღვევო ბაზრის აქტივები, მლნ ლარი




შენიშვნა: კვარტალური მონაცემები არის წინასწარი და შესაძლებელია შეიცვალოს


წყარო: საქართველოს და ზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური

მიუხედავად იმისა, რომ ბოლო 6 წლის განმავლობაში საქართველოში სადაზღვევო ბაზარი საკმაოდ სწრაფად განვითარდა, საქართველო მშპ-სთან მოზიდული პრემიების ფარდობით მნიშვნელოვნად ჩამორჩება სხვა განვითარებად ქვეყნებს, რაც მომავალში სადაზღვევო სექტორის ზრდის პოტენციალზე მიუთითებს. კერძოდ, 2018 წლის მონაცემებით, საქართველოში სადაზღვევო სექტორის მიერ მოზიდული პრემიების ფარდობა მშპ-სთან 1.3%-ს შეადგენს მაშინ, როდესაც აზიისა და წყნარი ოკეანის განვითარებად ქვეყნებში ეს მაჩვენებელი 3.8%-ია, განვითარებად EMEA ქვეყნებში კი 2.0%. გარდა ამისა, საქართველო სხვა განვითარებად ქვეყნებს ჩამორჩება ერთ სულ მოსახლეზე მოზიდული პრემიების მოცულობითაც, კერძოდ, 2018 წელს საქართველოში ეს მაჩვენებელი 54 აშშ დოლარია, რუსეთში 140 აშშ დოლარი, თურქეთში კი 127 აშშ დოლარი, რაც მოსახლეობის მსყიდველუნარიანობის ზრდასთან და სავალდებულო სადაზღვევო სქემებთან ერთად მომავალში სექტორის განვითარების შესაძლებლობას იძლევა.

გრაფიკი 3: მოზიდული პრემიების ფარდობა მშპ-სთან, 2018



გრაფიკი 4: მოზიდული პრემიების მოცულობა ერთ სულ მოსახლეზე, აშშ დოლარი, 2018




წყარო: საქართველოს და ზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური, გალტ ენდ თაგარტი, Swiss Re Institute

ასევე, აღსანიშნავია, რომ საქართველოს სადაზღვევო ბაზრის ზარალიანობის კოეფიციენტი მნიშვნელოვნად ჩამორჩება ევროპის მაჩვენებელს. ზარალიანობის კოეფიციენტი მიიღება წმინდა დამდგარი ზარალების შეფარდებით წმინდა გამომუშავებულ პრემიასთან, რაც საქართველოში 2018-19 წლების მონაცემებით, დაახლოებით 62%-ია, Insurance Europe (ევროპის დაზღვევისა და გადაზღვევის ფედერაცია) მონაცემების მიხედვით კი, 2018 წელს ევროპაში იმავე მაჩვენებელი 82%-ია.

სადაზღვევო ბაზრის ანალიზი დაზღვევის ძირითადი სახეობების მიხედვით

სადაზღვევო ბაზარი 2009 წელთან შედარებით დღეს უფრო დივერსიფიცირებულია, 2009 წელს მთლიანი სადაზღვევო ბაზრის მიერ მოზიდული პრემიის 68.6% ჯანმრთელობის დაზღვევას ეჭირა, 2019 წლის მონაცემებით, ამ კატეგორიის წილი 37.4%-მდე შემცირებული, თუმცა, ბაზარზე ისევ მოწინავე პოზიციას ინარჩუნებს. ჯანმრთელობის დაზღვევის შემდეგ, ბაზრის წილები შემდეგნაირად ნაწილდება: სახმელეთო ტრანსპორტის დაზღვევა (გარდა სარკინიგზო ტრანსპორტისა) - 17.9%, ქონების დაზღვევა (14.1%), სახმელეთო ტრანსპორტის გამოყენებასთან დაკავშირებული სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევა (8.9%), სიცოცხლის დაზღვევა (7.3%) და დაზღვევის სხვა სახეობები (14.3%).

სადაზღვევო ბაზრის ორ ყველაზე მსხვილ კატეგორიას - ჯანმრთელობისა და სახმელეთო ტრანსპორტის დაზღვევას ერთ-ერთი ყველაზე მაღალი ზარალიანობის კოეფიციენტი აქვს, 87% ჯანმრთელობის დაზღვევის შემთხვევაში, რაც ევროპის მაჩვენებელზე მაღალია (ევროპაში დაახლ. 79%), ხოლო, სახმელეთო ტრანსპორტის დაზღვევის შემთხვევაში 73%, რაც ოდნავ აღემატება ევროპის იმავე მაჩვენებელს (ევროპაში დაახლ. 69%). ქონებისა და სიცოცხლის დაზღვევის ზარალიანობის კოეფიციენტი დაახლოებით იგივეა (23%), რაც გაცილებით დაბალია ევროპის მაჩვენებლებზე (ევროპაში ქონების დაზღვევის ზარალიანობის კოეფიციენტი დაახლ. 45%-ია, სიცოცხლის დაზღვევის დაახლ. 92%, 2018 წლის მონაცემებით). სამოქალაქო პასუხისმგებლობის (მათ შორის სახმელეთო ტრანსპორტის გამოყენებასთან დაკავშირებული) ზარალიანობის კოეფიციენტები კი სხვა კატეგორიებთან შედარებით, ერთ-ერთი ყველაზე დაბალია, 11%-დან 19%-მდე.




წყარო: საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური, გალტ ენდ თაგარტი

შენიშვნა: სახმელეთო სატრანსპორტო საშუალებები არ მოიცავს სარკინიგზო ტრანსპორტს

როგორც ზემოთ არის აღნიშნული, ჯანმრთელობის სადაზღვევო ბაზრის განვითარება ძირითადად სახელმწიფოს ხელშეწყობამ განაპირობა, 2007-13 წლებში მოქმედებდა ჯანმრთელობის დაზღვევის სახელმწიფო პროგრამები კერძო სადაზღვევო კომპანიების ჩართულობით, რომელთაც 2013 წლის ბოლოსთვის 2 მლნ-მდე ადამიანი ჰყავდათ დაზღვეული, 2014 წელს კი საქართველოს მთავრობამ გააუქმა სადაზღვევო კომპანიების მონაწილეობა ჯანმრთელობის დაზღვევის სახელმწიფო პროგრამებში და შედეგად, 2014 წლის ბოლოსთვის ჯანმრთელობის პოლისით დაზღვეულთა რაოდენობა 535,505-მდე შემცირდა. 2020 წლის I კვარტლის მონაცემებით, 616,000-მდე ჯანმრთელობის დაზღვევის პოლისია მოქმედი, რომლის 55.3% კორპორატიულ მომხმარებლებზე მოდის, 38.8% და 5.9% კი სახელმწიფოსა და საცალო მომხმარებლებზე.


რაც შეეხება სახმელეთო ტრანსპორტის სადაზღვევო ბაზარს, დღესდღეობით საქართველოში რეგისტრირებული ავტოსატრანსპორტო საშუალებების მხოლოდ 7%-მდეა დაზღვეული (95,144 აქტიური პოლისი). საქართველოში 1.4 მლნ ავტოსატრანსპორტო საშუალებაა რეგისტრირებული, რომლის აბსოლუტური უმრავლესობა (87.2%) 10 წელზე მეტი ასაკისაა, ეს ფაქტი ბუნებრივია ხელს უშლის ავტოსადაზღვევო ბაზრის განვითარებას, რადგან არც მომხმარებლებს და არც სადაზღვევო კომპანიებს არ აქვთ მოძველებული ავტომობილების დაზღვევის მოტივაცია. მიუხედავად ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ ბოლო წლებში საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკა მიზანმიმართულია ავტოპარკის განახლებისაკენ, კერძოდ, 2017 წლიდან ავტომობილებზე აქციზის განაკვეთები შეიცვალა, წახალისდა შედარებით ახალი, ეკომეგობრული ავტომობილების ყიდვა და შეიზღუდა ძველი ავტომობილების იმპორტი - რიგ შემთხვევაში 2-ჯერ და 3-ჯერ მეტი აქციზის გადასახადის დაწესებით. გარდა ამისა, 2018 წლიდან ამოქმედდა ავტოსატრანსპორტო საშუალებების სავალდებულო პერიოდული ტექნიკური ინსპექტირება, გამკაცრდა მოთხოვნები საწვავზე, ვითარდება ინფრასტრუქტურა ელექტრომობილებისთვის და ა.შ. შედეგად, 2016-19 წლებში 0-7 წლამდე ავტომობილების წილი მთლიანი ავტომობილების იმპორტში 10%-დან 46%-მდე გაიზარდა. ავტოპარკის განახლება ბუნებრივია ხელს შეუწყობს ავტოსადაზღვევო ბაზრის განვითარებას, რისი ნიშნებიც უკვე აშკარაა, 2020 წლის I ნახევრის მდგომარეობით თითქმის 2-ჯერ მეტი ავტოსატრანსპორტო საშუალებაა დაზღვეული 2016 წლის I ნახევართან შედარებით (92,753 აქტიური პოლისი 2020-ში vs 53,201 აქტიური პოლისი 2016 წელს).

გრაფიკი 6: მოზიდული პრემიების დინამიკა დაზღვევის სახეობის მიხედვით, მლნ ლარი



წყარო: საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური

გრაფიკი 7: მსუბუქი ავტომობილების განბაჟების დინამიკა, '000



წყარო: შსს შემოსავლების სამსახური

სახმელეთო ტრანსპორტის გამოყენებასთან დაკავშირებული სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევა დღესდღეობით ბაზარზე სიდიდით მე-4 ადგილზეა. 2018 წლიდან ამ ტიპის დაზღვევა სავალდებულო გახდა უცხოეთში რეგისტრირებული ავტოსატრანსპორტო საშუალებებისათვის საქართველოს საზღვრის გადმოკვეთისას. შედეგად, ამ კატეგორიაში მოზიდული პრემიების მოცულობა 2018 წელს წინა წელთან შედარებით თითქმის გაოთხმაგდა და 43.0 მლნ ლარი შეადგინა, 2019 წელს კი 55.5 მლნ ლარი. აღსანიშნავია, რომ საქართველოს ყოველწლიურად საშუალოდ 6-7 მლნ ვიზიტორი სტუმრობს, რომლის დაახლ. 70% მეზობელი ქვეყნებიდან შემოსულ ვიზიტორებსა და საქართველოს არარეზიდენტ მოქალაქეებს უჭირავთ. მეზობელი ქვეყნებიდან შემოსული ვიზიტორების უმრავლესობა საქართველოს საკუთარი ავტომობილით სტუმრობს, რაც დაზღვევის ამ კატეგორიის განვითარებისთვის დიდად ხელშემწყობი ფაქტორია. გარდა ამისა, 2019 წლიდან სახმელეთო ტრანსპორტის გამოყენებასთან დაკავშირებული სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევა საქართველოში რეგისტრირებული ავტოსატრანსპორტო საშუალებებისთვისაც უნდა გამხდარიყო სავალდებულო, კანონპროექტი პარლამენტს 2018 წლის ბოლოს წარედგინა, თუმცა, კანონპროექტის განხილვის ვადა რამდენჯერმე გახანგრძლივდა და განხილვის საბოლოო თარიღი ჯერჯერობით არ არის ცნობილი. უნდა აღინიშნოს, რომ ამ რეგულაციის ამოქმედებას საქართველოს ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულება ავალდებულებს. რეგულაციის ამოქმედება კი კიდევ უფრო შეუწყობს ხელს სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევის ბაზრის განვითარებას.

ბაზრის დანარჩენი ორი მსხვილი კატეგორიის - ქონებისა და სიცოცხლის დაზღვევის განვითარებას ხელი შეუწყობს ბანკებისგან მსხვილი სესხების გაცემის დროს ქონებისა და/ან სიცოცხლის დაზღვევის მოთხოვნამ, რასაც ბანკი საკუთარი პორტფელის დასაცავად ითხოვს. ამ ფაქტს ისიც ადასტურებს, რომ წლის ბოლოსთვის მოქმედი სადაზღვევო პოლისების ფარდობა წლის დასაწყისიდან გაფორმებულ პოლისებთან მიმართებით, ამ ორ კატეგორიაში ერთ-ერთი ყველაზე მაღალია. კერძოდ, 2019 წლის ბოლოსთვის სიცოცხლის დაზღვევის შემთხვევაში ეს მაჩვენებელი 92% იყო, ქონების დაზღვევის შემთხვევაში 81%, დანარჩენ კატეგორიებში კი შედარებით დაბალი, მაგალითად: ჯანმრთელობის დაზღვევისთვის 73%, სახმელეთო ტრანსპორტის შემთხვევაში 66.3%, უბედური შემთხვევების დაზღვევისთვის 69% და ა.შ.

ემიტენტის ბიზნეს საქმიანობისთვის მნიშვნელოვანი მოვლენების აღწერა

ქვემოთ ქრონოლოგიურად არის ჩამოთვლილი ემიტენტის მნიშვნელოვანი ბიზნეს აქტივობები და მოვლენები:

2013 წელი

- კომპანია დაარსდა 100%-იანი თურქული ინვესტიციით (დეტალური ინფორმაციისთვის იხ. ქვეთავი: "ინფორმაცია ემიტენტის შესახებ");
- 11 ოქტომბერს მიიღო არასიცოცხლის დაზღვევის ლიცენზია;

2015 წელი

- 7 დეკემბერს რეორგანიზაციის შედეგად გარდაიქმნა სააქციო საზოგადოებად;

2020 წელი

- 27 თებერვალს შეიცვალა კომპანიის მნიშვნელოვანი წილის მფლობელი აქციონერები, კერძოდ კომპანიის აქციები შეიძინეს სს „მეტრო ავრასია ინვესთმენტ ჯორჯია“-მ - 50% და შპს „ახალი საინვესტიციო შესაძლებლობები“-მ - 50%;
- თებერვლიდან დაიწო კომპანიის რეზერვინგი, შეიცვალა კომპანიის სახელწოდება - „გრინ დაზღვევა საქართველო“ და სადაზღვევო ბაზარზე ახალი პოზიციონირებით წარსდგა.

სამომავლო სტრატეგია და მიზნები

მომხმარებელზე მორგებული უმაღლესი ხარისხის მომსახურების უწყვეტი მიწოდება:

დღეს საქართველოს სადაზღვევო ბაზარს მზარდი პოტენციალი გააჩნია, როგორც სეგმენტის გაფართოების, ასევე პროდუქტების მრავალფეროვნების მიმართულებით. საქართველოში სადაზღვევო სექტორის შეღწევადობა (insurance penetration rate), რაც გამოიხატება მთლიანი სადაზღვევო პრემიის ფარდობით მთლიან შიდა პროდუქტთან, დღეს არის ძალიან დაბალი, მაშინ როდესაც ევროკავშირის ქვეყნების საშუალო მაჩვენებელი 7-10%-ია. ეს ერთის მხრივ არის გამოწვევა და ამავე დროს შესაძლებლობა გრინ დაზღვევა საქართველოსთვის, რომელიც საქართველო ბაზრის ძირითად მოთამაშეებთან შედარებით ახალია ბაზარზე, იგი 2013 წელს დაარსდა. ეს ფაქტი იძლევა სეგმენტის გაფართოების და ინოვაციური პროდუქტების დანერგვის შესაძლებლობას. ასევე, ახალგაზრდა, სადაზღვევო ბაზრისთვის ამ ეტაპზე შეუღწევადი, მომხმარებლების საჭიროებებზე მორგებული პროდუქტების დანერგვას და სადაზღვევო პროდუქტის მომხმარებლის ასაკის დაწვეის შესაძლებლობას. გრინ დაზღვევა საქართველოს დაწყებული აქვს ინოვაციური და ბაზრისთვის ახალი პროდუქტების შექმნა, ასეთია მაგალითად მოტოციკლების და მოპედების დაზღვევა, ავტომობილის დაზღვევის სპეციალური შეთავაზება ახალგაზრდებისთვის, ქონების გაქირავების სპეციალური დაზღვევა და ა.შ.

მომხმარებელზე მორგებული სადაზღვევო პროდუქტების, უმაღლესი ხარისხის მომსახურების და სწორი საკომუნიკაცია სტრატეგიის შედეგად შესაძლებელია საზოგადოებისთვის სადაზღვევო პროდუქტები ყოველდღიური ცხოვრების ნაწილად იქცეს და ისევე როგორც განვითარებულ ქვეყნებში წარმოადგენდეს რისკის მართვის ერთ-ერთი ფინანსურ ინსტრუმენტს, რომლის საშუალებითაც შესაძლებელია რისკის შედეგად წარმოქმნილი ფინანსური ზარალის თავიდან აცილება და სადაზღვევო საზოგადოებაზე გადაცემა.

გრინ დაზღვევა საქართველოსთვის ბიზნესის წარმოების მომხმარებელზე ორიენტირებული გზა (A customer-centric way of doing business) არის სტრატეგიის მთავარი განმსაზღვრელი პირობა. კომპანიის კორპორატიული კულტურა, ბიზნეს გეგმები, საკომუნიკაციო სტრატეგია იქმნება მომხმარებლის საჭიროებების გარშემო და გათვალისწინებით.

2020 წლის თებერვლიდან სადაზღვევო კომპანია გრინ დაზღვევა საქართველო, ბაზარზე განახლებული პოზიციონირებით წარსდგა. გრინ დაზღვევა საქართველო თანამედროვე, ინოვაციური და საერთაშორისო სტანდარტების საფუძველზე მოქმედი ორგანიზაციაა, რომლის მიზანია მაღალი ხარისხის მომსახურებით, მოქნილი პროცედურებისა და თითოეული დაზღვეულის მოთხოვნებზე მორგებული სადაზღვევო პროდუქტების მიწოდებით მაქსიმალური კომფორტი შეუქმნას მომხმარებლებს. გააფართოვოს არსებული სადაზღვევო პროდუქტების არეალი, შექმნას ახალი და ხელმისაწვდომი პროდუქტები, მოიცვას ყველა სეგმენტი. კომპანიის ამოცანაა მომხმარებელზე მორგებული და ხელმისაწვდომი პროდუქტების და სერვისების შეთავაზების გზით გაზარდოს სადაზღვევო პროდუქტებზე მოთხოვნა, ცნობადობა და დაამყაროს გრძელვადიანი და გამჭვირვალე ურთიერთობა მომხმარებლებთან.

ამ ეტაპზე კომპანიაში მიმდინარეობს ორგანიზაციული სტრუქტურის დახვეწა, კრეატიონების მეთოდით ახალი პროდუქტების შექმნა და არსებული პროდუქტების გაუმჯობესება, რაშიც მნიშვნელოვნად დაეხმარება კომპანიას აღნიშნული განთავსებით მოზიდული კაპიტალი.

Covid-19 ის ფონზე მოვლენების ნეგატიურად განვითარების შემთხვევაში კომპანიას შემუშავებული აქვს სამომავლო სამოქმედო გეგმა:

მიუხედავად იმისა, რომ პანდემიის გავლენით მსუბუქი ავტომობილების შემოსვლის აკრძალვამ გაანახევრა სავალდებულო დაზღვევიდან მიღებული შემოსავლები, სატრანსპორტო საშუალებების დაზღვევის სახეობაში კომპანიამ შეძლო შემოსავლების იგივე დონეზე შენარჩუნება. აღნიშნული იქნა მიღწეული სხვადასხვა გასაღების არხების გამოყენებით, რაც გულისხმობს საცალო გაყიდვებზე კონცენტრაციას, გაყიდვების გუნდის კომპლექტაციას და მარკეტინგული საშუალებების გამოყენებას.

ამავე დროს გრინ დაზღვევა საქართველოს გუნდი ითვალისწინებს შესაძლო რისკებს და გარდა პრიორიტეტული პროდუქტებისა (ქონების დაზღვევა, ავტოსატრანსპორტო საშუალებების და ტვირთების დაზღვევა და პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევა), კომპანია მუშაობს ახალი პროდუქტების შექმნა და განვითარება, ცვლილებაზე, რაც თავის მხრივ მოიცავს უმუშევრობისა და სიცოცხლის დაზღვევის მიმართულებით ახალი პროდუქტების შექმნა/განვითარებას, ასევე, პროდუქტების დისტანციურად ხელმისაწვდომობის გაზრდაზე, ვებ გვერდის შესაბამისი განვითარების და პროგრამული უზრუნველყოფის გაუმჯობესების გზით.

კომპანიამ განახორციელა პროდუქტების მიხედვით პოტენციური მომხმარებლების ბაზების ფორმირება და აღნიშნული ბაზების განახლების პროცესი უწყვეტ რეჟიმში მიმდინარეობს. კომპანიამ მოახდინა პოტენციური მომხმარებლების საჭიროებების შესწავლა და ამ მოთხოვნებზე მორგებული შეთავაზებების მომზადება. ამ ნაწილში ხდება სწორედ პანდემიის შესაძლო მეორე ტალღის გათვალისწინება. პანდემიამ ერთის მხრივ გააჩინა გამოწვევები სექტორისთვის და შესაბამისად გრინ დაზღვევა საქართველოსთვის, თუმცა ამავე დროს გაჩნდა ახალი შესაძლებლობები და მოთხოვნა დაზღვევის სხვადასხვა პროდუქტების მიმართ, გრინ დაზღვევა საქართველო ახალ ინოვაციურ პროდუქტებთან ერთად მუშაობს ასევე უმუშევრობის დაზღვევის პროდუქტის მიმართულებით, რომელზე მოთხოვნაც სწორედ ამ პერიოდში გაჩნდა .

პანდემიამდე პერიოდში კომპანია მუშაობდა სადაზღვევო აგენტების ქსელის გარეშე და მიღწეული შედეგი არ ითვალისწინებს გაყიდვების სტიმულირების ისეთ უმნიშვნელოვანეს მიმართულებას, როგორცაა აქტიური მარკეტინგული კამპანიები და პირდაპირი გაყიდვების ქსელი. ივნისიდან კომპანიამ დაიწყო გაყიდვების ჯგუფის ფორმირება და უწყვეტად მიმდინარეობს აღნიშნული ჯგუფის გაზრდა და განვითარება. რაც მოიცავს როგორც ციფრულ, დისტანციურ, ასევე პერსონალურ გაყიდვებსაც. კომპანიის პირდაპირი გაყიდვები ხორციელდება სამი ტიპის სტრუქტურით : ტერიტორიული პრინციპით გაყიდვების აგენტების სტრუქტურა, პროდუქტზე ორიენტირებული გაყიდვების აგენტების სტრუქტურა და კლიენტზე ორიენტირებული , ბაზრის მიხედვით, გაყიდვების აგენტების სტრუქტურა. პირდაპირ გაყიდვებს ემატება გარე გაყიდვების აგენტების ქსელი, ონლაინ გაყიდვები და გაყიდვების მხარდამჭერი მარკეტინგული კამპანიები. ყველაფერი ერთად გვადლევს საშუალებას ვივარაუდოთ, რომ პანდემიამდე შედეგებს კომპანია გააუმჯობესებს მეორე ტალღის დაშვების შემთხვევაშიც.

სადაზღვევო პროცედურების გაციფრულება:

კომპანიაში დაწყებულია სადაზღვევო პროცედურების გაციფრულება, თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვა და ახალ პროგრამულ უზრუნველყოფაზე გადასვლა. მიმდინარე აქტივობებით კომპანიას ეძლევა საშუალება:

- მსხვილ ფინანსურ ინსტიტუტებთან პროგრამული სინქრონიზაციის, რაც გაზრდის კომპლექსური პროდუქტების შეთავაზებისა და ჯვარედინი გაყიდვების შესაძლებლობას;
- ავტომატიზირება ამცირებს სავალდებულო ადამიანური რესურსს და დაზოგავს ადმინისტრაციულ ხარჯს, ასევე ამცირებს შეცდომების დაშვების ალბათობას, რაც ძალიან მნიშვნელოვანია ბიზნესის საქმიანობის დროს.
- პროცესების სრულად დიჯიტალიზაცია საშუალებას მისცემს კომპანიას ონლაინ პლატფორმაზე გადაყვანოს კომპანიის ბიზნეს პროცესები: გაყიდვები, კლიენტების მომსახურება და ზარალების რეგულირება/ანაზღაურება;
- სწრაფი და ეფექტური რეპორტირება საშუალებას მისცემს კომპანიის მენეჯმენტს უმოკლეს ვადებში მოახდინონ რეაგირება ბაზრის ცვალებადობაზე.

მსოფლიოში სწრაფად იზრდება მობილური სადაზღვევო პოლისის მართვის პლატფორმები და სადაზღვევო ტექნოლოგიის (insurtech) ინდუსტრია. კომპანიის სამომავლო გეგმა გახდეს ერთ-ერთი მოწინავე ამ მიმართულებით. ბიზნესი და ტექნოლოგიური ინოვაციები მჭიდროდ არის დაკავშირებული ერთმანეთთან და, ამდენად, ბიზნესის ტექნოლოგიური უზრუნველყოფის საჭიროება სწრაფად იზრდება. ტექნოლოგიების განვითარებამ უდიდესი გავლენა მოახდინა ფინანსურ სექტორზეც. ფინანსური ტექნოლოგიები, ანუ ფინტექი ინსურტექი გულისხმობს ფინანსური მომსახურების სფეროში ტექნოლოგიებისა და ინოვაციური ბიზნეს მოდელების გამოყენებას.

დღეს კომპანიები, რომლებიც უახლეს ტექნოლოგიებს იყენებენ, მომხმარებლებს უფრო ეფექტურ ფინანსურ სერვისებს სთავაზობენ. საქართველოში, ერთ-ერთმა პირველმა სწორედ საფინანსო ინდუსტრიამ დაიწყო ფინტექის გამოყენება, ხოლო ინსურტექის მხოლოდ ჩანასახებია დღეს ქართულ სადაზღვევო ბაზარზე წარმოდგენილი. მსოფლიო მასშტაბით ინსურტექი მნიშვნელოვანი მიმართულებაა, რომელმაც მთლიანად შეცვალა სადაზღვევო პროდუქტების, სერვისების და პროცედურების მართვის საშუალებები.

სადაზღვევო პროდუქტები:

გრინ დაზღვევა საქართველოსთვის პრიორიტეტული პროდუქტების სამი ჯგუფი და მიმართულებაა ქონების დაზღვევა, ავტოსატრანსპორტო საშუალებების და ტვირთების დაზღვევა და პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევა. აღნიშნული მიმართულებებით მიმდინარეობს ახალი პროდუქტების შექმნა და არსებული პროდუქტების განვითარება, ცვლილება. ამავე დროს, პროდუქტების დისტანციურად ხელმისაწვდომობის გაზრდა, ვებ გვერდის შესაბამისი განვითარება და პროგრამული უზრუნველყოფის გაუმჯობესება.

პროდუქტების მიხედვით პოტენციური მომხმარებლების ბაზების ფორმირება, მათი საჭიროებების შესწავლა და ამ მოთხოვნებზე მორგებული შეთავაზებების მომზადება.

კომპანიისთვის ერთ-ერთი ძირითადი სამომავლო სტრატეგია არის ჯანმრთელობის დაზღვევის სფეროში საოპერაციო საქმიანობის დაწყება. პროსპექტის გამოშვების თარიღისთვის კომპანია აქტიურ მოლაპარაკებებშია შესაბამისი პროგრამული პაკეტის შესაძენად, რომელიც გააერთიანებს მომხმარებლებზე მაქსიმალურად მორგებულ ყველა საჭირო მოდულს. აღნიშნულ სფეროში ოპერირებისთვის აუცილებელია დამატებით სიცოცხლის დაზღვევის საქმიანობის ლიცენზია, რომლის აღებასაც კომპანია უახლოეს მომავალში გეგმავს. პროსპექტის გამოშვების თარიღისთვის მიმდინარეობს დაზღვევის კანონით გათვალისწინებული დოკუმენტაციის შეგროვება/წარდგენა სსიპ საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო

სამსახურში. სიცოცხლის დაზღვევის ლიცენზიის მისაღებად საზედამხედველო სამსახურში წერილობითი განაცხადის წარდგენის მომენტი კომპანიის კაპიტალის სავალდებულო მინიმალური ოდენობა შეადგენს 7,200,000 ლარს. პროსპექტის გამოშვების თარიღისთვის კომპანია შესაბამისობაშია აღნიშნულ მოთხოვნასთან. 2020 წლის 29 სექტემბერს მოხდა განცხადებისა და კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა დოკუმენტის წარდგენა დაზღვევის ზედამხედველობის სამსახურში. წარდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის შემდეგ ლიცენზიის გაცემაზე შესაბამის გადაწყვეტილებას ზედამხედველობის სამსახური მიიღებს განაცხადის შეტანიდან 1 თვის განმავლობაში. ამ მიმართულებით კონკურენტული უპირატესობის მოპოვება იგეგმება სწრაფი საოპერაციო ხაზის აწყობით, პროვაიდერების მრავალფეროვნებით, ძლიერი გაყიდვების გუნდისა და ჯანმრთელობის დაზღვევის ანდერრაიტინგში გამოცდილი კადრების შერჩევით.

მარკეტინგის მიმართულებასა და გასაღების არხებზე კონცენტრაცია:

კომპანიის მარკეტინგული სტრატეგია ეფუძნება კომპანიის მისიას, ღირებულებებსა და ამოცანებს. აქტივობების ძირითად მიზანს წარმოადგენს ბრენდის ცნობადობის ამაღლება, სადაზღვევო პროდუქტების და სერვისების პოპულარიზაცია და ლოიალობის გაზრდა, პოტენციური და არსებული მომხმარებლების მოთხოვნების იდენტიფიკაცია, გაყიდვების სტიმულირება, სოციალური პასუხისმგებლობის კამპანიების განხორციელება. გრინ დაზღვევა საქართველო საფინანსო ბაზარზე პოზიციონირდება კომპანიად, რომელიც მომხმარებლებს სთავაზობს მრავალფეროვან და მაღალხარისხიან მათზე მორგებულ მომსახურებას, არის სოციალურად აქტიური და მიზნად ისახავს ბიზნესის სტაბილური განვითარების ხელშეწყობას.

კომპანია იყენებს მარკეტინგული კომუნიკაციების სხვადასხვა საშუალებებს - რეკლამა, საზოგადოებრივი ურთიერთობები, პირდაპირი მარკეტინგი, სპონსორობა და სხვა. ძირითადი საკომუნიკაციო არხებია - პირდაპირი კომუნიკაცია, საკომუნიკაციო კამპანიები, ინტერნეტი, გარე რეკლამა, რადიო, სმს, ბეჭდვითი მედია და ტელევიზია.

პრიორიტეტული მიმართულებაა დისტანციური პროდუქტებისა და მომსახურების განვითარება. თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით, კომპანია მომხმარებლებს შესთავაზებს ახალ და გამარტივებულ მომსახურებას, რომელიც დაზოგავს მათ დროს და ხელს შეუწყობს გრინ დაზღვევა საქართველოს, როგორც ინოვაციური პოზიციონირებას.

გრინ დაზღვევა საქართველო, როგორც სოციალური პასუხისმგებლობის მქონე ფინანსური ინსტიტუტი, ორიენტირებულია საკუთარი წვლილი შეიტანოს ქვეყნის მდგრად ეკონომიკურ განვითარებაში. კომპანიისთვის კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა ბიზნესის მოდელთან ინტეგრირებულ თვითრეგულირების ფორმას წარმოადგენს და ასახულია კომპანიის ძირითად ღირებულებებში.

კომპანია არის გაეროს გლობალური შეთანხმების ინიციატივის წევრი, UN Women - გაეროს ქალთა ორგანიზაციისა და საქართველოს "პრო ბონო" ქსელის წევრი. კომპანიის პროფესიული რესურსები აქტიურად არის მიმართული საზოგადოების სხვადასხვა მოწყვლადი ჯგუფების დასახმარებლად.

კომპანიისთვის სოციალური პასუხისმგებლობა რჩება, მარკეტინგული და საზოგადოებასთან ურთიერთობის აქტივობების და საკომუნიკაციო არხის, ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ნაწილად. კომპანია აქტიურად გააგრძელებს ჩართულობას სოციალურ აქტივობაში, რომელიც მიმართული იქნება მდგრადობის, ქალთა უფლებების, გარემოს დაცვის, პრო-ბონო აქტივობებისა და ფინანსური განათლების მხარდასაჭერად.

მარკეტინგული სტრატეგიის ერთ-ერთ მიმართულებად განიხილება კონტენტ მარკეტინგი, რომელიც 2020 წელს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კომპანიისთვის. კონტენტ მარკეტინგის ფარგლებში ხდება როგორც მომხმარებელთა ინფორმირება პროდუქტების შესახებ, ასევე იმ ძირითადი ღირებულებებისა და მესიჯების გავრცელება, რომელზეც დგას კომპანიის მისია და ხედვა. კონტენტ მარკეტინგის ფარგლებში

მიმდინარეობს შიდა კომუნიკაციის ნაწილიც, რაც განაპირობებს ბაზარზე კომპანიის როგორც პასუხისმგებლიანი დამსაქმებლის პოზიციონირებას.

2020-22 წლებში დაგეგმილია ბიუჯეტის მნიშვნელოვანი ზრდა, რაც უფრო ეფექტურს გახდის კომპანიის მარკეტინგულ აქტივობებს. ბიუჯეტის დიდი წილი სარეკლამო და საკომუნიკაციო არხებზე მოდის, მათ შორის ყველაზე დიდი ადგილი ინტერნეტს და სოციალურ მედიას უკავია, რაც ყველაზე ეფექტურ სარეკლამო არხად განიხილება. გზაა.

ამასთან ბიუჯეტის მნიშვნელოვან ნაწილს დაიკავებს გარე რეკლამა, სარეკლამო სახის მოკლე ტექსტური შეტყობინებები.

2020-22 წლებში, მეტი აქცენტი გაკეთდება ონლაინ ლიდების გენერაციაზე, რასაც სარეკლამო კამპანიის სახე მიეცემა. კონკრეტული პროდუქტებისთვის შეიქმნება ერთ გვერდიანი ვებ-გვერდი (ე.წ. Landing Page) და ონლაინ განაცხადის ფორმა, საიდანაც მოხდება რეკლამიდან შემოსული მომხმარებლის კონვერსია.

რეკრუტინგი:

კომპანიის მომხმარებელი ყოველთვის სრულად არის ინფორმირებული ხელშეკრულების/შეთანხმების პირობებსა და ვადებზე. ორგანიზაციის თანამშრომლების მხრიდან კლიენტებისადმი დამოკიდებულება ეფუძნება პროფესიული ეთიკის მაღალ სტანდარტებსა და მორალურ ღირებულებებს.

კომპანია განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს თანამშრომლებისათვის შრომის უსაფრთხო პირობების შექმნას და დაცვას, უზრუნველყოფს მათი განვითარების ხელშეწყობი და წამახალისებელი გარემოს შექმნას.

კომპანიამ დაიწყო აქტიური კამპანია ტალანტების მოსაზიდად და შექმნა შესაბამისი სტრატეგია სამოქმედო გეგმით. მიზანია რეკრუტინგის მართვა ისე, როგორც იმართება ინტერნეტ მარკეტინგი, ანუ მართვა კონტენტით (შინაარსი) და ვიზიტორების ტრაფიკით (ვიზიტორების შესვლა საიტზე). შეიქმნება კარიერის ვებგვერდი და სოციალური მედიის გვერდები, რომელიც იფუნქციონირებს როგორც დამოუკიდებელი ვებგვერდი (ეს მიდგომა საკმაოდ პოპულარულია დიდი კორპორაციებში, მაგ: გუგლი მართავს 12 ასეთ ვებგვერდს). ვებგვერდი შეიქმნება სამი კატეგორიის კანდიდატებისთვის: „სტუდენტი“, „ახალგაზრდა პროფესიონალი“ და „პროფესიონალი“, იმისდა მიხედვით თუ ვინაა ვიზიტორი - სტუდენტი თუ პროფესიონალი.

რეკრუტინგის ერთ-ერთი სტრატეგია სტაჟირების პროგრამაც. სტაჟირების დაგეგვა და სტაჟიორების შერჩევა მოხდება კომპანიის ნებისმიერ პოზიციაზე. სტაჟიორების შესარჩევად გრინ დაზღვევა საქართველო წამყვან უნივერსიტეტებთან თანამშრომლობს აქტიურად.

კომპანიის ერთ-ერთ მთავარ ამოცანას წარმოადგენს სადაზღვევო ბიზნესის პოპულარიზაცია, ცნობადობის გაზრდა და ცოდნის გაზიარება, დარგის განვითარება. კომპანია ქმნის ტრენინგ ცენტს, სადაც აქტიურად მომზადდებიან დარგის სპეციალისტები , დაინერგება განვითარების და გადამზადების პროგრამები.


ემიტენტის კონკურენტული გარემო და ბაზარზე მისი პოზიციის აღწერა

2019 წელს სადაზღვევო ბაზარზე მოზიდული პრემიების მიხედვით, ჯი პი აი ჰოლდინგი ბაზრის ყველაზე მსხვილი მოთამაშეა 17.1%-იანი წილით, რომელსაც ალდაგი მოსდევს 15.9%-იანი წილით, შემდეგი მოთამაშეები კი ასე ინაწილებენ ბაზრის წილებს: იმედი L (13.5)%, თიბისი დაზღვევა (13.0%), არდი დაზღვევა (8.7%), უნისონი (5.8%) და სხვები (26.1%).

სს გრინ დაზღვევა საქართველო ბაზრის ძირითად მოთამაშეებთან შედარებით ახალია ბაზარზე და ბაზრის უმნიშვნელო წილს იკავებს და საკმაოდ მძლავრ კონკურენციას განიცდის, იგი 2013 წელს დაარსდა და მომხმარებელს არასიცოცხლის დაზღვევის ფართო არჩევანს სთავაზობს. 2019 წელს კომპანიის მიერ მოზიდული სადაზღვევო პრემიების მოცულობამ 3.2 მლნ ლარი შეადგინა (ბაზრის საკმაოდ უმნიშვნელო ნაწილი დაახლ. 1%), პრემიების მოცულობა დაზღვევის სხვადასხვა კატეგორიაზე შემდეგნაირად ნაწილდება: სახმელეთო ტრანსპორტის გამოყენებასთან დაკავშირებული სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევა - 70.0%, სახმელეთო ტრანსპორტის (გარდა სარკინიგზო ტრანსპორტისა) დაზღვევა - 25.1%, ვალდებულებათა შესრულების დაზღვევა - 4.8% და სხვები (0.2%).


უნდა აღინიშნოს, რომ პროსპექტის გამოშვების თარიღისთვის ემიტენტი სადაზღვევო ბაზარზე ყველაზე დაბალი ზარალიანობის კოეფიციენტით გამოირჩევა. 2019 წლის მონაცემებით, კომპანიის ზარალიანობის კოეფიციენტი მხოლოდ 5%-ია, მაშინ, როდესაც ბაზრის წამყვანი მოთამაშეების: ჯი პი აი ჰოლდინგის ანალოგიური მაჩვენებელი 78%-ია, ალდაგის 42%, იმედი L-ის 71%, ბაზრის საშუალო მაჩვენებელი კი 62%-ია. გრინ დაზღვევასა (ძველი სახელწოდება „კამარა“) და სხვა კომპანიების ზარალიანობის კოეფიციენტებს შორის საგრძნობი სხვაობა გამოწვეულია იმით, რომ კომპანია დიდწილად ნაკლებად ზარალიან სადაზღვევო კატეგორიებში ოპერირებს, მაგ: სახმელეთო ტრანსპორტის სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევის ბაზრის საშუალო ზარალიანობის კოეფიციენტი 19%-ია მაშინ, როდესაც ჯანმრთელობის სადაზღვევო ბაზრის ანალოგიური მაჩვენებელი 87%-ია, სადაც მაგალითად იმედი L და ჯი პი აი ჰოლდინგი ოპერირებენ. ვინაიდან გრინ დაზღვევა საქართველო უახლოეს მომავალში სიცოცხლის დაზღვევის სექტორში ოპერირების დაწყებას აპირებს, მოსალოდნელია რომ არსებული ზარალიანობის კოეფიციენტი შედარებით აიწევს.

გრაფიკი 8: სადაზღვევო ბაზრის განაწილება მოზიდული პრემიის მიხედვით, 2019



წყარო: საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური


გრაფიკი 9: სადაზღვევო კომპანიები ზარალიანობის კოეფიციენტის მიხედვით, 2019



წყარო: გალტ ენდ თაგარტი

გრაფიკი 10: სადაზღვევო კომპანიების მიერ მთლიანი მოზიდული პრემია და ნეტო ანაზღაურებული ზარალი ერთ აქტიურ პოლისზე, 2019, ლარი


სახმელეთო ტრანსპორტის სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევა სახმელეთო ტრანსპორტის დაზღვევა



წყარო: გალტ ენდ თაგარტი, საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური

სახმელეთო ტრანსპორტის სადაზღვევო ბაზარზე ყოველ აქტიურ პოლისზე მოზიდული პრემიის მიხედვით გრინ დაზღვევა საქართველოა ბაზრის ლიდერი, კომპანიის მოზიდული პრემია ყოველ აქტიურ პოლისზე 5,815 ლარია და ბაზრის საშუალო მაჩვენებელს 5-ჯერ აღემატება, ემიტენტს კომპანიები ქართუ დაზღვევა და საქართველოს სადაზღვევო ჯგუფი მოსდევს ყოველ აქტიურ პოლისზე მოზიდული 4,251 და 3,045 ლარით. ბაზრის დანარჩენი მოთამაშეების მიერ მოზიდული პრემია ერთ აქტიურ პოლისზე 640 ლარიდან 1,450 ლარის ფარგლებში მერყეობს. ზარალიანობის თვალსაზრისით, სახმელეთო ტრანსპორტის დაზღვევის ბაზარზე იგივე კომპანიები: ქართუ და გრინ დაზღვევა საქართველოს ყველაზე ეფექტურად ოპერირებენ, მათი ზარალიანობის მაჩვენებელი (ნეტო ანაზღაურებული ზარალი ერთ აქტიურ პოლისზე) 63 ლარი და 100 ლარია, შესაბამისად, მაშინ, როდესაც ბაზრის საშუალო მაჩვენებელი 546 ლარია.

რაც შეეხება ვალდებულებათა შესრულების დაზღვევის ბაზარს, აქ კომპანია უნისონია ლიდერი, მის მიერ ყოველ აქტიურ პოლისზე მოზიდული პრემია 4,709 ლარია, რაც 2.4-ჯერ აღემატება ბაზრის საშუალო მაჩვენებელს, უნისონს კომპანიები ალდაგი და ალფა მოსდევს ყოველ აქტიურ პოლისზე მოზიდული 4,282 და 3,613 ლარით. გრინ დაზღვევა საქართველოს მიერ მოზიდული პრემია ერთ აქტიურ პოლისზე 1,393 ლარია. ზარალიანობის მაჩვენებლის მიხედვით, კომპანია ევროინს ჯორჯიას შემდეგ, კომპანიები გრინ დაზღვევა საქართველო და ჯი პი აი ჰოლდინგი ოპერირებენ ყველაზე ეფექტურად, რომელთა ნეტო ანაზღაურებული ზარალი ერთ აქტიურ პოლისზე 8 ლარი, 107 ლარი და 110 ლარია, შესაბამისად. ბაზრის საშუალო მაჩვენებელი კი 832 ლარია.




წყარო: გალტ ენდ თაგარტი, საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური

ინვესტიციები

ემიტენტს არ განუხორციელებია რაიმე სახის მნიშვნელოვანი ინვესტიცია უკანასკნელი 2 წლის განმავლობაში.

ემიტენტის ჯგუფის სტრუქტურა

ემიტენტის ჯგუფის სტრუქტურა 2020 წლის 31 ივლისის მდგომარეობით:



* სხვა წლის მფლობელი აქციონერებიდან არც ერთი აქციონერი არ ფლობს 5%-ზე მეტ წილს.

ემიტენტი არის „გრინ დაზღვევა საქართველო“.

2020 წლის 3 აგვისტოს ჩატარებული აქციონერთა საერთო კრების მიერ მიღებულ იქნა გადაწყვეტილება საზოგადოების 100%-იანი წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებულიყო შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „საქართველოს უძრავი ქონების საზოგადოება“ – „Georgian Real Estate Society“, რომლის დირექტორად დანიშნა დემიტრი ქუმსიშვილი (პ/ნ. 01020009589). საზოგადოების საწესდებო კაპიტალი განისაზღვრა 125,000 დოლარის ექვივალენტი ლარით. 2020 წლის 12 ოქტომბერს მოწვეული აქციონერთა რიგგარეშე კრების მიერ მიღებულ იქნა გადაწყვეტილება შპს „უძრავი ქონების საზოგადოების“ 100%-იანი წილის გასხვისების შესახებ დემიტრი ქუმსიშვილზე (პ/ნ. 01020009589), წილი ნასყიდობის ღირებულება შეფასდა 220 ლარად, რაც წარმოადგენს კომპანიის დაარსების თვითღირებულებას.

შვილობილი კომპანიის გასხვისება განხორციელდა 2020 წლის 21 ოქტომბერს. შვილობილი კომპანიის დაარსებიდან მისი გასხვისების დღემდე არ აღსრულებულა არანაირი ფინანსური ოპერაცია, მათ შორის არ მომხდარა გაცხადებული საწესდებო კაპიტალის (125,000 აშშ დოლარის) შევსება პარტნიორების მიერ.

ფინანსური მდგომარეობა


კომპანიის ფინანსური უწყისები გამჟღავნებულია შესაბამის თავებში (საბალანსო უწყისი, გვ. 106 მოგება-ზარალის უწყისი, გვ. 107; ფულადი ნაკადების მოძრაობის უწყისი, გვ. 108)

მთლიანი აქტივები

საბალანსო უწყისი (000' ლარი)	არააუდირებული 2020 (31 მაისი)	აუდირებული 2019 (31 დეკემბერი)	აუდირებული 2018 (31 დეკემბერი)
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	11	13	17
არამატერიალური აქტივები	56	41	47
გადავადებული საგადასახადო აქტივი	-	1	2
გადავადებული აკვიზიციური ხარჯები	-	4	12
აქტივი გამოყენების უფლებით	62	97	-
მთლიანი გრძელვადიანი აქტივები	129	156	78
მოკლევადიანი აქტივები			
გადავადებული საგადასახადო აქტივი	1	-	-
გადავადებული აკვიზიციური ხარჯები	5	-	-
წინასწარ-გადახდები	24	24	35
სადაზღვევო მოთხოვნები	602	216	319
მოთხოვნა რეგრესიდან	109	10	-
ბანკებში განთავსებული თანხები	10,721	6,995	4,542
ფული და ფულის ეკვივალენტები	583	421	383
მთლიანი მოკლევადიანი აქტივები	12,045	7,666	5,279
სულ აქტივები	12,174	7,822	5,357

2020 წლის 31 მაისის მდგომარეობით, კომპანიის მთლიანი აქტივები 56%-ით გაიზარდა 2019 წლის დეკემბერთან შედარებით და 12,2 მილიონი ლარი შეადგინა. (31/12/2019: 7,8 მლნ ლარი). ძირითადი ზრდა განპირობებულია ბანკებში განთავსებული თანხების ზრდით.

ემიტენტის აქტივები ძირითადი კლასების მიხედვით შემდეგნაირად გამოიყურება:



კომპანიის ლიკვიდური აქტივები: ფული და ფულის ეკვივალენტები და ბანკებში განთავსებული თანხები ჯამურად 2020 წლის 31 მაისის მდგომარეობით შეადგენს 11,304 ათას ლარს (31/12/2019: 7,416). სადაზღვევო

სფეროს რეგულაციებიდან გამომდინარე კომპანია ვალდებულია უზრუნველყოს გარკვეული დონის ლიკვიდურობა, კაპიტალის უზრუნველსაყოფად. კაპიტალის მინიმალური ოდენობის შესაბამისი ფულადი სახსრები უწყვეტად უნდა იყოს განთავსებული ქართულ ბანკებში, არანაკლებ 1-წლიანი პერიოდულობით. ამ ფულადი სახსრების გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის წერილობითი თანხმობის საფუძველზე. პროსპექტის გამოშვების თარიღისთვის კაპიტალის უზრუნველსაყოფად კანონით მოთხოვნილი ბანკში განსათავსებელი ფულადი სახსრები შეადგენს 4,2 მლნ ლარს. დეტალური ინფორმაცია მარეგულირებლის მოთხოვნებთან დაკავშირებით წარმოდგენილია ქვეთავში „სადაზღვევო საქმიანობის რეგულირება საქართველოში“.

თითოეული აქტივთა კლასის დეტალური ჩაშლა განხილულია ქვემოთ.

ბანკებში განთავსებული თანხები

საბანკო ანაბრები წარმოდგენილია საქართველოს ბანკებში მოკლევადიანი (სამი თვიდან ერთ წლამდე) განთავსებებით. ლარში არსებულ დეპოზიტებს ერიცხება 8-11%, ხოლო აშშ დოლარის დეპოზიტები განთავსებულია 2.5%-3.4%-ის ფარგლებში. ბანკებში განთავსებული თანხები კლასიფიცირებულია, როგორც დაბალრისკიანი.

2020 წლის 31 მაისის მდგომარეობით ბანკებში განთავსებული თანხები წინა პერიოდთან შედარებით გაიზარდა 53%-ით და შეადგინა 10,721 ათასი ლარი (31/12/2019: 6,995 ათასი ლარი), რაც განპირობებულია იმით, რომ 2020 წლის თებერვალში გაიზარდა კაპიტალი, დამატებით მოხდა 5,650 ათასი ცალი აქციის გამოშვება, აქციაზე ღირებულებით 1 ლარის ოდენობით. აღნიშნული ტრანზაქციიდან ფულადი შემოსავლის სახით კომპანიაში შემოვიდა 3,290 ათასი ლარი, ხოლო დარჩენილი ნაწილის დაფარვაზე მიღებულ იქნა აქციონერთა გადაწყვეტილება და შეივსო კომპანიის გაუნაწილებელი მოგებიდან. ტრანზაქცია შეეხო შემდეგ საბალანსო მუხლებს: გაიზარდა ფული და ფულის ეკვივალენტები 3,291 ათასი ლარით, გაიზარდა კომპანიის საწესდებო კაპიტალი 5,650 ათასი ლარით, ხოლო კომპანიის გაუნაწილებელი მოგება შემცირდა 2,359 ათასი ლარით. აქციების გამოშვებიდან შემოსული ფულადი სახსრები სრულად განთავსდა კომპანიის საბანკო ანგარიშებზე.

საბანკო ანაბრები წლების მიხედვით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2020 (31-მაი)	2019 (31-დეკ)	2018 (31-დეკ)
ბანკში განთავსებული თანხები აშშ დოლარში	7,686,162	6,956,936	4,441,402
ბანკში განთავსებული თანხები ლარში	3,035,000	38,021	100,521
სულ ბანკებში განთავსებული თანხები	10,721,162	6,994,957	4,541,923

2020 წლის 31 მაისის მდგომარეობით საბანკო ანგარიშზე განთავსებული თანხის 72% მოდის აშშ დოლარში განთავსებულ თანხებზე, ხოლო დანარჩენი განთავსებულია ეროვნულ ვალუტაში. (31/12/2019: 99%, 1%)

საბანკო ანაბრები ბანკების მიხედვით ნაწილდება შემდეგნაირად:

ბანკის დასახელება	31 მაისი 2020	31 დეკემბერი, 2019	31 დეკემბერი, 2018
სს "საქართველოს ბანკი"	7,005,125	3,624,982	1,707,635
სს "ტერაბანკი"	2,000,943	-	-
სს "ზირაათ ბანკი საქართველო"	1,588,050	1,297,160	1,339,841
სს "თიბისი ბანკი"	127,044	117,042	101,151

სს "იშბანკი საქართველო"	-	1,955,773	1,393,296
სულ ბანკებში განთავსებული თანხები:	10,721,162	6,994,957	4,541,923

კომპანიის მიერ ბანკებში განთავსებული ჯამური თანხების 65% მოდის საქართველოს ბანკში განთავსებულ მოკლევადიან დეპოზიტზე (31/12/2019: 52%).

სადაზღვევო მოთხოვნები

სადაზღვევო მოთხოვნები გულისხმობს საანგარიშგებო თარიღისთვის გაფორმებული სადაზღვევო ხელშეკრულების ფარგლებში სადაზღვევო პრემიიდან მისაღებ თანხებს. 2020 წლის 31 მაისის მდგომარეობით მთლიანი მოთხოვნები სადაზღვევო პრემიიდან გაზრდილია 179%-ით წინა პერიოდთან შედარებით და შეადგენს 602 ათას ლარს. (31/12/2019: 216 ათასი ლარი).

სადაზღვევო მოთხოვნები სადაზღვევო პროდუქტების და წლების მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

სადაზღვევო პროდუქტი	კოდი	31 მაისი 2020	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
ავტომობილების დაზღვევა (ავტოკასკო)	MI	534,034	7,812	179,113
ავტოსატრანსპორტო მფლობელის სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევა	MTPL	56,696	207,876	140,677
მანქანა-დანადგარების დაზღვევა	CPM	3,694	-	-
მოტოციკლების დაზღვევა (კორპუსი)	MCI	2,055	2,820	2,123
ქონების დაზღვევა	PI	10	35	21
სამოგზაურო დაზღვევა (გარე)	TR	2	2	2
საერთაშორისო ექსპედიტორის პასუხისმგებლობის დაზღვევა (TIR)	FI	-	(1)	(1)
ვალდებულებათა შესრულების დაზღვევა (გარანტია)	FRP	(933)	(1,133)	(542)
პასუხისმგებლობის დაზღვევა	GTPL	-	-	-
დაზღვევა უბედური შემთხვევებისაგან	PA	-	-	-
მთლიანი მოთხოვნები სადაზღვევო პრემიიდან		595,558	217,411	321,393
საეჭვო მოთხოვნების კორექტირება		(165,030)	(1,512)	(2,202)
მოთხოვნები სადაზღვევო საქმიანობიდან Regress		171,892	-	0
		602,420	215,899	319,191

2020 წლის 31 მაისის მდგომარეობით მთლიანი სადაზღვევო მოთხოვნების ძირითადი წილი დაახლოებით 90% მოდის ავტომობილების დაზღვევის პროდუქტის ფარგლებში გაფორმებული სადაზღვევო ხელშეკრულებიდან მისაღებ პრემიებზე, მაშინ როცა 2019 წელს ძირითადი წილი 96% მოდიოდა ავტოსატრანსპორტო მფლობელის სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევის ფარგლებში გაფორმებულ პრემიებიდან მისაღებ თანხებზე. 2019 წლის ბოლოს ავტოკასკოს დაზღვევის ძირითადი პოლისები ამოწურვის ფაზაში იყო შესაბამისად სადაზღვევო მოთხოვნები ამ მიმართულებით წინა და მიმდინარე წელთან შედარებით შემცირებულია, თუმცა 2020 წლიდან ხელშეკრულებები განახლდა.

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები 2020 წლის 31 მაისის მდგომარეობით გაზრდილია 39%-ით წინა პერიოდთან შედარებით და მიაწია 583 ათას ლარს. (31/12/2019: 421 ათასი ლარი). ვინაიდან კომპანიის ოპერაციები ხორციელდება ეროვნულ ვალუტაში, ბალანსის 81%, 471 ათასი ლარი წარმოადგენს ფულად სახსრებს ეროვნულ ვალუტაში (31/12/2019: 92%, 389 ათასი ლარი).

ფული და ფულის ეკვივალენტები წლების და ვალუტების მიხედვით წარმოდგენილია ქვემოთ:

	<i>2020</i>	<i>2019</i>	<i>2018</i>
	<i>(31-მაი)</i>	<i>(31-დეკ)</i>	<i>(31-დეკ)</i>
ფული ბანკში ეროვნულ ვალუტაში	470,797	388,847	174,549
ფული ბანკში უცხოურ ვალუტაში	112,172	32,208	208,588
ნაღდი ფული სალაროში	381	43	56
სულ ფული და ფულის ეკვივალენტები	583,350	421,098	383,193


მთლიანი ვალდებულებები და კაპიტალი

საბალანსო უწყისი (000' ლარი)	არააუდირებული 2020 (31 მაისი)	აუდირებული 2019 (31 დეკემბერი)	აუდირებული 2018 (31 დეკემბერი)
გრძელვადიანი ვალდებულებები			
საიჯარო ვალდებულება	-	14	-
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები	-	14	-
მოკლევადიანი ვალდებულებები			
ვალდებულებები სადაზღვევო კონტრაქტებიდან	828	391	405
საიჯარო ვალდებულების მიმდინარე ნაწილი	72	80	-
საგადასახადო ვალდებულებები	56	220	139
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	398	407	166
სულ მიმდინარე ვალდებულებები	1,354	1,098	710
სულ ვალდებულებები	1,354	1,112	710
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	10,000	4,350	4,350
დამატებით შეტანილი კაპიტალი	-	-	6
გაუნაწილებელი მოგება	820	2,360	291
სულ კაპიტალი	10,820	6,710	4,647
სულ ვალდებულებები და კაპიტალი	12,174	7,822	5,357

2020 წლის 31 მაისის მდგომარეობით კომპანიის ვალდებულებები შედგება მთლიანად მოკლევადიანი 1 წლამდე ვალდებულებებისგან, რაც გაზრდილია 22%-ით წინა პერიოდთან შედარებით და შეადგენს 1,354 ათას ლარს (31/12/2019: 1,098 ათასი ლარი).

კომპანიის ვალდებულებები ძირითადი კატეგორიების მიხედვით შემდეგნაირად გამოიყურება:

ვალდებულებების განაწილება



2020 წლის 31 მაისის მდგომარეობით ვალდებულებების მნიშვნელოვანი წილი 61% მოდის მოკლევადიან ვალდებულებებზე სადაზღვევო კონტრაქტებიდან. (31/12/2019: 35%).

ვალდებულებები სადაზღვევო კონტრაქტებიდან

2020 წლის 31 მაისის მდგომარეობით ვალდებულებები სადაზღვევო კონტრაქტებიდან გაზრდილია 112%-ით წინა პერიოდთან შედარებით და შეადგენს 828 ათას ლარს (31/12/2019: 391 ათასი ლარი). სადაზღვევო ხელშეკრულებებიდან წარმოშობილი ვალდებულებები მოიცავს გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვს და გადასახდელი სადაზღვევო ზარალების რეზერვს. 2020 წლის 31 მაისის მდგომარეობით მათი პროპორციულობა მთლიან სადაზღვევო ვალდებულებებში 95% და 5%-ია შესაბამისად. (31/12/2019: 89% და 11%).

ვალდებულებები სადაზღვევო კონტრაქტებიდან წლების მიხედვით შემდეგნაირად გამოიყურება:

	2020 <i>(31-მაი)</i>	2019 <i>(31-დეკ)</i>	2018 <i>(31-დეკ)</i>
გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვი	784,982	346,855	348,230
განცხადებული, მაგრამ დაურეგულირებელი ზარალების რეზერვი	42,614	43,648	56,499
მომხდარი, მაგრამ განუცხადებელი ზარალების რეზერვი	413	413	716
სულ ვალდებულებები სადაზღვევო კონტრაქტებიდან	828,009	390,916	405,445

გამოუმუშავებელი პრემია არის წლის განმავლობაში მოზიდული პრემიის ის ნაწილი, რომელიც დაკავშირებულია საანგარიშგებო თარიღის შემდეგ არსებულ რისკის პერიოდებთან. გამოუმუშავებული პრემია გამოითვლება ყოველდღიური სიხშირით, პროპორციულად. მომდევნო პერიოდებთან დაკავშირებული პროპორცია გადავადებულია, როგორც გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვი. შესაბამისად გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვი (Unearned Premium Reserve – UPR) წარმოადგენს მიღებული ან მისაღები პრემიის იმ ნაწილს, რომელიც დაკავშირებულია საანგარიშგებო თარიღისთვის ამოუწურავ რისკებთან.

რეზერვის აღიარება ხდება ხელშეკრულების ძალაში შესვლისას და პრემიის დარიცხვისას და აღირიცხება, როგორც შემოსავალი პრემიიდან ხელშეკრულების პერიოდში, ხელშეკრულების სადაზღვევო სქემის შესაბამისად. ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის აქტიურ პოლისებზე გამოუმუშავებელი პრემიის საბალანსო ღირებულება გამოითვლება სადაზღვევო პერიოდსა და თითოეული სადაზღვევო პოლისის ვადის ამოწურვამდე დარჩენილი დროის საფუძველზე.

UPR აღიარდება კონტრაქტის გაფორმებისას, ამ კონტრაქტის ვადის განმავლობაში მისაღები პრემიის ოდენობით. 2020 წლის 31 მაისი მდგომარეობით სადაზღვევო ვალდებულებების ზრდა მთლიანად დაკავშირებულია გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვის ზრდისგან, რომელიც წინა პერიოდთან შედარებით გაზრდილია 126%-ით და შეადგენს 785 ათას ლარს. (31/12/2019: 367 ათასი ლარი).

გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვი წლებისა და სადაზღვევო პროდუქტების დონეზე შემდეგნაირად გამოიყურება:

დაზღვევის სახეობა	კოდი	31 მაისი 2020	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
ავტომობილების დაზღვევა (ავტოკასკო)	MI	595,658	142,291	174,786
ავტოსატრანსპორტო მფლობელის სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევა	MTPL	127,213	149,655	126,140

ვალდებულებათა შესრულების დაზღვევა (გარანტია)	FRP	30,462	36,520	29,381
პასუხისმგებლობის დაზღვევა	GTPL	10,443	-	-
მანქანა-დანადგარების დაზღვევა	CPM	6,582	-	-
დაზღვევა უბედური შემთხვევებისაგან	PA	5,427	13	-
მოტოციკლების დაზღვევა (კორპუსი)	MCI	4,945	11,658	9,061
სახმელეთო ტრანსპორტის გამოყენებასთან დაკავშირებული სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევა	TPL.MI	2,198	2,398	3,401
პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევა	LI	1,958	3,569	3,568
მგზავრისა და მძღოლის უბედური შემთხვევა	MA	46	11	9
საერთაშორისო ექსპედიტორის	FI	40	565	1,694
პასუხისმგებლობის დაზღვევა				
ქონების დაზღვევა	PI	10	138	-
სამოგზაურო დაზღვევა (გარე)	TR	-	37	190
გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვი:		784,982	346,855	348,230

ავტომობილის დაზღვევის პრემიის რეზერვი წარმოადგენს მთლიანი გამოუმუშავებელი რეზერვის 76%-ს და შეადგენს 596 ათას ლარს. (2019 წლის 5 თვე: 142 ათასი ლარი, 41%). ავტომობილების დაზღვევის გამოუმუშავებელი პრემია გაოთხმაგებულია წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან მიმართებით, რაც განპირობებულია ამ მიმართულებით გაფორმებული სადაზღვევო პოლისების თანხობრივი და რაოდენობრივი ზრდით, კერძოდ 2020 წლის მაისში მოხდა ავტომობილების დაზღვევის (ავტოკასკო)-ს სახეობაში მნიშვნელოვანი პოლისების განახლება. დეტალური ინფორმაცია გაფორმებული პოლისების რაოდენობის შესახებ წარმოადგენილია ქვეთავში „ძირითადი საქმიანობა“.

გადასახდელი სადაზღვევო ზარალების რეზერვი განისაზღვრება ყველა მომხდარი, მაგრამ დაურეგულირებელი სადაზღვევო შემთხვევის საბოლოო ხარჯის შეფასებაზე დაყრდნობით. ასეთი შემთხვევები შეიძლება იყოს განცხადებული (Reported But Not Settled - RBNS) ან განუცხადებელი (Incurred But Not Reported - IBNR). განცხადებასა და დაურეგულირებას შორის არსებული დროის პერიოდის გამო, საბოლოო ხარჯი დაზუსტებით არ არის ცნობილი საანგარიშგებო თარიღში. მომხდარი, მაგრამ განუცხადებელი ზარალების რეზერვის (IBNR) დათვლა ხდება წარსული სტატისტიკიდან გამომდინარე, ჯაჭვისებური კიბის მეთოდით, აქტუარული დათვლების საფუძველზე.

განცხადებული მაგრამ დაურეგულირებელი, ისევე როგორც მომხდარი მაგრამ განუცხადებელი ზარალების რეზერვი 2020 წლის 5 თვის მდგომარეობით შეადგენს შესაბამისად 42,648 და 413 ლარს, რაც უმნიშვნელო ცვლილებაა წინა წლის შესადარის პერიოდთან მიმართებით. ნახსენები რეზერვები სრულად დაკავშირებულია ავტოსატრანსპორტო მფლობელის სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევის სახეობასთან.

სხვაობა გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვს, ზარალის რეზერვსა და მოსალოდნელ სადაზღვევო მოთხოვნებს შორის აღირიცხება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

საოპერაციო შედეგები

მოგება-ზარალის უწყისი (000' ლარი)	არაუდირებული	არაუდირებული	აუდირებული	აუდირებული
	2020 (იანვარი-მაისი)	2019 (იანვარი-მაისი)	2019 (სრულიწელი)	2018 (სრულიწელი)
მთლიანი გამომუშავებული პრემია	1,001	1,168	3,244	2,885
გადამზღვეველის კუთვნილი პრემია	(1)	-	-	(8)
წმინდა გამომუშავებული პრემია	1,000	1,168	3,244	2,877
ანაზღაურებული სადაზღვევო ზარალები	(46)	(49)	(151)	(342)
ცვლილება ვალდებულებებში სადაზღვევო კონტრაქტებიდან	1	29	15	(25)
წმინდა სადაზღვევო ზარალი და მოთხოვნების დარეგულირების ხარჯები	(45)	(20)	(136)	(367)
შემოსავალი რეგრესიდან	4	23	16	194
აკვიზიციური ხარჯები	(10)	(23)	(39)	(449)
გაუფასურების რეზერვის აღდგენა	0	0	28	-
სადაზღვევო საქმიანობის შედეგი	949	1,148	3,113	2,255
საპროცენტო შემოსავალი	116	85	237	96
საპროცენტო ხარჯი	(3)	(3)	(8)	-
სხვა შემოსავალი	-	2	2	9
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	(511)	(519)	(1,277)	(1,063)
სხვა საოპერაციო ხარჯი	(373)	(6)	(11)	(23)
საკურსო სხვაობის წმინდა შედეგი	786	249	371	151
მოგება დაბეგრამდე	964	956	2,427	1,425
მოგების გადასახადი	(145)	(143)	(364)	(230)
წმინდა მოგება და მთლიანი სრული შემოსავალი	819	813	2,063	1,195
სხვა სრული შემოსავალი	-	-	6	-
სულ წლის სრული შემოსავალი	819	813	2,069	1,195

წმინდა გამომუშავებული პრემია

წმინდა გამომუშავებული პრემია განისაზღვრება როგორც სხვაობა მთლიან მოზიდულ პრემიასა და გადამზღვეველის პრემიას შორის, რაც თავის მხრივ გულისხმობს წლის განმავლობაში აღიარებულ გადამზღვევი კომპანიებისთვის დასათმობ პრემიას.

2020 და 2019 წლების განმავლობაში კომპანია არ მოუხდენია მნიშვნელოვანი რისკების გადაზღვევა, შესაბამისად მთლიანი გამომუშავებული პრემია წმინდა გამომუშავებული პრემიის ტოლია. გადაზღვევის ვალდებულება განხილულია ქვეთავში „მარეგულირებელი გარემო“.

2020 წლის 5 თვის მონაცემებით წმინდა გამომუშავებული პრემია შემცირებულია 14%-ით წინა პერიოდთან შედარებით და შეადგენს 1,001 ათას ლარს. (2019 5 თვე: 1,168 ათასი ლარი). შემცირება ძირითადად გამოწვეულია ავტომობილტრანსპორტის მფლობელთა სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევისთვის გაცემული პოლისების შემცირებით. მოზიდული პრემია ამ სადაზღვევო პროდუქტში 2020 წლის პირველი 5 თვის განმავლობაში შემცირებულია 17%-ით წინა პერიოდთან შედარებით და შეადგენს 610,353 ათას ლარს, რაც მთლიანი წმინდა გამომუშავებული პრემიის 61%-ია. (2019 5 თვე: 736 ათასი ლარი, 63%) პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევიდან მოზიდული წმინდა პრემიის შემცირება გამოწვეულია პანდემიის ეფექტით, რომლის კვალდაკვალ ქვეყანათაშორის მიმოსვლა შემცირდა,

შესაბამისად შემცირდა პოლისზე მოთხოვნაც. დეტალური ინფორმაციისთვის სავალდებულო დაზღვევის ამ პროდუქტის შესახებ იხილეთ ქვეთავში „ძირითადი საქმიანობა“.

წმინდა გამომუშავებული პრემია წლების მიხედვით წარმოდგენილია შემდეგი სახით:

	2020 (იან-მაი)	2019 (იან-მაი)	2019 (სრული წელი)	2018 (სრული წელი)
ავტომოტოტრანსპორტის მფლობელთა სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევა	610,353	736,009	2,238,008	1,733,110
სახმელეთო სატრანსპორტო საშუალებათა დაზღვევა	324,727	347,815	843,457	842,765
სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული და სხვა ვალდებულებების შესრულების გარანტიები	55,260	77,417	147,467	275,525
სახმელეთო ტრანსპორტის გამოყენებასთან დაკავშირებული სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევა	2,421	3,468	8,330	9,713
პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევა	1,611	1,605	3,879	2
სახმელეთო გადამზიდველის სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევა	524	1,308	2,786	5,271
სამოგზაურო დაზღვევა	71	427	949	3,250
ქონების დაზღვევა	128	48	286	1,578
სხვა სახის პასუხისმგებლობის დაზღვევა	5,676	53	164	10,220
სულ	1,000,771	1,168,150	3,245,326	2,885,312
გადაზღვევის ხარჯები	(1,181)	-	-	(7,993)
წმინდა პრემია	999,590	1,168,150	3,245,326	2,877,319

ანაზღაურებული სადაზღვევო ზარალები

სადაზღვევო ზარალები მოიცავს ყველა იმ სადაზღვევო შემთხვევის შედეგად დამდგარ ზარალს, რომლებიც მოხდა საანგარიშებო პერიოდის განმავლობაში, მიუხედავად იმისა, იყო განცხადებული თუ არა.

2020 წლის 5 თვის განმავლობაში ანაზღაურებული სადაზღვევო ზარალები უმნიშვნელოდ, 5% არის შემცირებული წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით და შეადგენს 46 ათას ლარს. (2019 წლის 5 თვე: 49 ათასი ლარი).

ავტომოტოსატრანსპორტო მფლობელის სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევის ფარგლებში მომხდარ ზარალებს უკავია მთლიანი ანაზღაურებული ზარალების ძირითადი 88%-იანი წილი. (2019 5 თვე: 80%, 2019 სრული წელი: 82%).

ანაზღაურებული სადაზღვევო ზარალები წლების მიხედვით წარმოდგენილია შემდეგი სახით:

	2020 (იან-მაი)	2019 (იან-მაი)	2019 (სრული წელი)	2018 (სრული წელი)
ავტომოტოსატრანსპორტო მფლობელის სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევის ზარალი	40,875	39,244	122,812	59,776
სახმელეთო სატრანსპორტო საშუალებათა დაზღვევის ზარალი (მოტოციკლი)	-	2,000	12,154	27,147
სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული და სხვა ვალდებულებების შესრულების დაზღვევის ზარალი	4,000	4,352	11,927	217,164

სახმელეთო ტრანსპორტის გამოყენებასთან დაკავშირებული სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევის ზარალი	-	1,875	1,875	-
სახმელეთო სატრანსპორტო საშუალებათა დაზღვევის ზარალი (ავტომობილი)	1,605	1,406	1,807	37,925
სულ ანაზღაურებული სადაზღვევო ზარალები	46,480	48,877	150,575	342,012

საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები 2020 წლის პირველი 5 თვის განმავლობაში უმნიშვნელოდ 2%-ით შემცირდა წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან მიმართებით და შეადგენს 511 ათას ლარს (2019 5 თვე: 519 ათასი ლარი). საერთო და ადმინისტრაციული ხარჯების ძირითადი, 65% განეკუთვნება სახელფასო და პრემიების ხარჯისა და საწევრო შენატანებისგან.

უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის ხელფასი და სხვა განაცემი გამჟღავნებულია ქვეთავში „ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან“.

საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები წლების მიხედვით წარმოდგენილია შემდეგი სახით:

	2020 (იან-მაი)	2019 (იან-მაი)	2019 (სრული წელი)	2018 (სრული წელი)
ხელფასი და სხვა სარგებელი	228,696	291,209	737,071	494,721
საწევრო შენატანები	103,914	124,907	272,576	303,152
ცვთა და ამორტიზაცია	43,535	28,926	88,782	26,051
საკონსულტაციო ხარჯი	46,060	22,710	59,022	37,631
საზედამხედველო საფასური	10,008	11,682	32,453	28,853
აუდიტის ხარჯი	-	-	14,160	11,800
იჯარის ხარჯი	-	14,000	14,000	84,000
კომუნალური ხარჯი	4,771	4,266	10,459	9,529
მივლინების ხარჯი	-	7,960	7,960	2,521
კომუნიკაციის ხარჯი	3,490	3,004	7,809	9,475
ბანკის ხარჯი	2,968	2,168	5,216	5,512
საწვავის ხარჯი	-	2,283	5,096	11,612
რეკლამის ხარჯი	61,253	-	4,877	2,473
სხვა საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	6,151	5,960	17,156	35,404
სულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	510,846	519,075	1,276,637	1,062,734

სხვა საოპერაციო ხარჯები

სხვა საოპერაციო ხარჯები 2020 წლის 5 თვის მდგომარეობით შეადგენს 373 ათას ლარს, რაც მთლიანად შედგება კომპანიის ურთიერთდაკავშირებულ მხარესთან შპს „მეტრო ჯორჯია“-სთან გაფორმებული მარკეტინგული ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტის პირგასამტეხლოსგან. დეტალური ინფორმაცია აღნიშნულთან დაკავშირებით გამჟღავნებულია ქვეთავში „ფულადი ნაკადების მოძრაობის მიმოხილვა“.

ფულადი ნაკადების მოძრაობის მიმოხილვა

საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული/(გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები

ფინანსური სახსრების ანგარიშგება (<i>'000 ლარი</i>)	2020 (5 თვე) <i>არააუდირებული</i>	2019 (5 თვე) <i>არააუდირებული</i>	2019 (სრული წელი) <i>აუდირებული</i>	2018 (სრული წელი) <i>აუდირებული</i>
ფულადი ნაკადების საოპერაციო საქმიანობიდან:				
მიღებული სადაზღვევო პრემია	957	1,033	2,989	2,480
რეგრესები	5	23	34	170
მიღებული სხვა საოპერაციო შემოსავალი	165	170	272	(80)
გადახდილი სადაზღვევო ზარალები	(11)	(10)	(28)	(282)
გადახდილი აკვიზიციური ხარჯები	(10)	(19)	(31)	(348)
გადახდილი ხელფასები და სარგებელი	(173)	(235)	(600)	(353)
გადახდილი საოპერაციო გადასახადი	(357)	(284)	(435)	(189)
ადმინისტრაციული და სხვა გადახდილი ხარჯები	(513)	(89)	(215)	(307)
მიღებული პროცენტი	35	12	226	98
სხვა საოპერაციო ხარჯები	(190)	(77)	-	-
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	(92)	524	2,212	1,189

წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან 2020 წლის პირველი 5 თვის განმავლობაში უარყოფითია, რაც განპირობებულია ადმინისტრაციული და სხვა გადასახდელი ხარჯების ზრდისგან, რამაც 5 თვიან პერიოდის განმავლობაში შეადგინა 513 ათასი ლარი. 2020 წლის პანდემიის დაწყების შემდეგ კომპანია იძულებული გახდა შეეწყვიტა კომპანიის ურთიერთდაკავშირებულ მხარესთან შპს „მეტრო ჯორჯია“-სთან გაფორმებული სამ წლიანი მარკეტინგული კონტრაქტი, რაც ითვალისწინებდა ავტობუსებში სარეკლამო რგოლებისა და ფლაერების განთავსებას. კონტრაქტის შეწყვეტის გამო კომპანიას დაეკისრა ხელშეკრულებით განსაზღვრული პირგასამტეხლო 116 ათასი დოლარის ოდენობით. აღნიშნული ხარჯი ასახულია საოპერაციო ფულად გასავლებში ადმინისტრაციულ და სხვა გადასახდელეების ქვეშ.

საინვესტიციო და ფინანსურ საქმიანობიდან მიღებული/(გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები

ფინანსური სახსრების ანგარიშგება (<i>'000 ლარი</i>)	2020 (5 თვე) <i>არააუდირებული</i>	2019 (5 თვე) <i>არააუდირებული</i>	2019 (სრული წელი) <i>აუდირებული</i>	2018 (სრული წელი) <i>აუდირებული</i>
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან:				
საბანკო ანაზღაურებზე თანხების განთავსება	(3,041)	(444)	(7,870)	(5,484)
საბანკო ანაზღაურების თანხების გამოტანა	-	-	5,798	3,578
არამატერიალური აქტივების შეძენა	(21)	-	(6)	-
ძირითადი საშუალებების შეძენა	(3)	(1)	(2)	-
ძირითადი საშუალებების რეალიზაცია	3	-	-	-
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	(3,062)	(445)	(2,080)	(1,906)

ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან:				
აღებული სესხები	-	-	-	49
სესხების დაფარვა	-	-	-	(51)

კაპიტალის ზრდა	3,291	-	-	700
იჯარის გადახდა	(21)	(21)	(70)	-
წმინდა ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	3,270	(21)	(70)	698

2020 წლის განმავლობაში კომპანიას ჰქონდა 3,291 ათასი ლარის წმინდა ფულადი შემოსავალი ფინანსური საქმიანობიდან, რაც განაპირობა კაპიტალის გაზრდამ. 2020 წლის თებერვალში კომპანიამ დამატებით გამოუშვა 5,650 ცალი აქცია, ღირებულებით 5,650 ათასი ლარი. ფულადი შემოსავლის სახით კომპანიაში შემოვიდა 3,291 ათასი ლარი, ხოლო დარჩენილი 2,359 ათასი ლარი შეივსო კომპანიის გაუნაწილებელი მოგებიდან. გამოშვებული აქციებიდან შემოსული ფულადი სახსრები სრულად განთავსდა კომპანიის საბანკო ანგარიშზე და აისახა წმინდა ფულად ნაკადებში საინვესტიციო საქმიანობიდან.

წინა პერიოდის რეკლასიფიკაცია

კომპანიაში, ფინანსური ანგარიშგების უკეთ წარდგენის მიზნით, მოახდინა ცალკეულ ელემენტებში კლასიფიკაციის ცვლილება. აღნიშნული რეკლასიფიკაციები არ წარმოადგენს შეცდომის გასწორებას.

რეკლასიფიკაციებმა შემდეგი გავლენა იქონია კომპანიის 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაზე.

ეფექტი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაზე:

31 დეკემბერი 2018 (‘000 ლარი)	წინა ანგარიშის მიხედვით	რეკლასიფიკაცია	კორექტირებული თანხები
ბანკებში განთავსებული თანხები	4,648	(106)	4,542
ფული და ფულის ეკვივალენტები	270	113	383
მისაღები მოთხოვნები	7	(7)	-
გადავადებული საგადასახადო ვალდებულება	139	(139)	-
საგადასახადო ვალდებულებები	-	139	139
საგადასახადო აქტივები	2	(2)	-
გადავადებული საგადასახადო აქტივი	-	2	2

ინფორმაცია კაპიტალისა და სასესხო ვალდებულებების შესახებ

2020 წლის 31 მაისის და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის არ გააჩნია სასესხო ვალდებულებები.

ფინანსური კოვენანტების მიმოხილვა

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის არ გააჩნია სასესხო ვალდებულებები, შესაბამისად კომპანია სესხებთან დაკავშირებული კოვენანტებით შეზღუდული არ არის.

კაპიტალი

კომპანიის დაფუძნებიდან 2020 წლის 27 თებერვლამდე კომპანიის გამოშვებული და განთავსებული აქციები შედგებოდა ჩვეულებრივი (A) ტიპის 4,350,000 ცალი აქციისგან, ნომინალური ღირებულებით 1 ლარი.

2020 წლის 27 თებერვალს განხორციელდა კომპანიის რეგისტრირებული ფასიანი ქაღალდების მესაკუთრეების ცვლილება, მოხდა საწესდებო კაპიტალის გაზრდა დამატებით 5,650 ათასი ცალი აქციით, რომელიც გამოშვებულ იქნა ორი ახალი კლასის აქცის AA და B. სახით თითოეული აქციის ნომინალური ღირებულება შეადგენს 1 ლარს. დეტალური ინფორმაცია თითოეული კლასის უფლებების შესახებ გამჟღავნებულია ქვეთავში „კაპიტალი“.

კომპანიის საწესდებო კაპიტალი წლების მიხედვით შემდეგნაირად გამოიყურებოდა:

აქციის კლასი	31 მაი 2020	31 დეკ 2019	31 დეკ 2018
A	4,350,000 ც.	4,350,000 ც.	4,350,000 ც.
AA	1,650,000 ც.	-	-
B	4,000,000 ც.	-	-
რაოდენობა სულ:	10,000,000 ც.	4,350,000 ც.	4,350,000 ც.

თებერვალში დამატებით 5,650 ათასი ცალი აქციის გამოშვებიდან ფულადი შემოსავლის სახით კომპანიაში შემოვიდა 3,290 ათასი ლარი, ხოლო დარჩენილი 2,360 ათასი ლარი შეივსო კომპანიის გაუნაწილებელი მოგებიდან. გამოშვებული აქციებიდან აწეული კაპიტალი სრულად განთავსდა კომპანიის საბანკო ანგარიშზე.

2020 წლის 31 მაისის მდგომარეობით აქციონერებს დადგენილ ვადაში აქვთ დამატებით გამოშვებული აქციების ღირებულების გადახდის (კაპიტალის შევსების) ვალდებულება შესრულებული.

2020 წლის 31 მაისის მდგომარეობით აქციები იყოფა სამ A, AA და B ჯგუფად - გამოშვებულია (A) ჯგუფის 4,350,000 ცალი (4,350,000 ლარის ღირებულებით), (AA) ჯგუფის 1,650,000 ცალი (1,650,000 ლარის ღირებულებით) და (B) ჯგუფის 4,000,000 ცალი აქცია (4,000,000 ლარის ღირებულებით).

2020 წლის 10 სექტემბერს კომპანიამ გააკეთა ახალი 5,000,000 ცალი (B) კლასის აქციის ემისია და რეგისტრაცია. პროსპექტის გამოშვების თარიღისთვის აღნიშნული აქციები კომპანიის ნომინალურ მფლობელობაშია, მათი განთავსება მოხდება ამ პროსპექტის საფუძველზე.

აქციონერთა კრებაზე AA კლასის 1 აქცია უზრუნველყოფს 15 ხმის უფლებას, A კლასის ისევე როგორც B კლასის თითო აქცია უზრუნველყოფს ერთი ხმის უფლებას. ამასთანავე, სამეთვალყურეო საბჭოს წევრები აირჩევიან მხოლოდ A და AA კლასის აქციათა მფლობელების მიერ.

სადაზღვევო საქმიანობის რეგულირება საქართველოში

საქართველოში სადაზღვევო ბაზრის რეგულირების მიზნით 1997 წელს შეიქმნა კანონი დაზღვევის შესახებ. ეს კანონი ადგენს სადაზღვევო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების ძირითად პრინციპებს, აწესრიგებს ურთიერთობებს სადაზღვევო ორგანიზაციებს შორის, ასევე, სადაზღვევო ორგანიზაციებსა და ფიზიკურ/იურიდიულ პირებს შორის. გარდა ამისა, სადაზღვევო საქმიანობები რეგულირდება საქართველოს კონსტიტუციით, სამოქალაქო კოდექსით, სხვა კანონებითა და ნორმატიული აქტებით.

2009 წლის სექტემბრიდან სადაზღვევო სექტორის ზედამხედველობის ფუნქცია საქართველოს ეროვნულმა ბანკმა შეითავსა, 2013 წლიდან კი შეიქმნა ახალი მარეგულირებელი ორგანო - დამოუკიდებელი საჯარო სამართლის იურიდიული პირი, „საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური, რომელმაც 2015 წლიდან „საქართველოს სადაზღვევო კომპანიათა ასოციაცია“-სთან ურთიერთანამშრომლობით მიზნად დაისახა საქართველოს სადაზღვევო ბაზარზე ეფექტიანობის ამაღლება და სადაზღვევო ურთიერთობების განვითარება საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინებით.

2013 წლიდან სადაზღვევო კომპანიებს დაევალია ფინანსური ანგარიშგებების დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის მიერ დადგენილი ფორმით წარმოება და წარდგენა. სადაზღვევო კომპანიების მიერ ყოველთვიური, კვარტალური და წლიური ანგარიშგებების წარდგენა უნდა მოხდეს მომდევნო თვის არაუგვიანეს 20 რიცხვისა.

ასევე, 2013 წლიდან სადაზღვევო კომპანიებს დაეკისრათ სადაზღვევო რეზერვების წარმოების ვალდებულება. სადაზღვევო რეზერვები წარმოებული უნდა იქნას არასიცოცხლისა და სიცოცხლის დაზღვევის სახეობების შემთხვევაში გამოუმუშავებელი პრემიისთვის; განცხადებული, მაგრამ დაურეგულირებელი ზარალებისთვის; მომხდარი, მაგრამ განუცხადებელი ზარალებისთვის, ასევე, სიცოცხლისა და არასახელმწიფო საპენსიო დაზღვევისთვის. გარდა ამისა, დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური ზღუდავს სადაზღვევო რეზერვების დასაფარად დასაშვებ აქტივების ჩამონათვალს და ადგენს თითოეული აქტივის სადაზღვევო რეზერვებთან თანაფარდობის მაქსიმალურ კოეფიციენტებს, იმისათვის, რომ სადაზღვევო კომპანიების საინვესტიციო პოლიტიკამ უზრუნველყოს კომპანიის ფინანსური მდგრადობა და ზარალების ეფექტურად ანაზღაურება. მაგალითად, სადაზღვევო რეზერვების დასაფარად გამოყენებული უნდა იქნას მხოლოდ შემდეგი აქტივები: OECD-ის წევრი ქვეყნების და/ან განვითარებული ქვეყნების მთავრობებისა და ადგილობრივი თვითმმართველობების მიერ გამოშვებული ფასიანი ქაღალდები, მათ შორის საქართველოს (ჯამურად, მთავრობისა და თვითმმართველობის ფასიანი ქაღალდებში შესაძლებელია სადაზღვევო რეზერვების ოდენობის მაქს. 50%-ის ინვესტირება, ცალ-ცალკე სადაზღვევო რეზერვების ოდენობის მაქს. 30%-ის ინვესტირება); საქართველოს, OECD-ის წევრი ქვეყნების და/ან განვითარებული ქვეყნების ორგანიზებულ ბაზარზე განთავსებული ობლიგაციები და პრივილეგირებული აქციები (ჯამურად, სადაზღვევო რეზერვების ოდენობის მაქს. 15%, ცალ-ცალკე სადაზღვევო რეზერვების ოდენობის მაქს. 3%); ამავე ქვეყნებში რეგისტრირებული კომპანიების მიერ გამოშვებული ფასიანი ქაღალდები (რომლებიც მიმოქცევაში არიან ორგანიზებული ბაზრის გარეთ), ამ მიმართულებით ჯამურად დასაშვებია სადაზღვევო რეზერვების ოდენობის მაქს. 10%-ის ინვესტირება, ცალ-ცალკე 2.5%-ის) და ა.შ.

2018 წლის 1 იანვრიდან, სადაზღვევო კომპანიებს დაუწესდათ კაპიტალის მინიმალური მოთხოვნები. კაპიტალი მინიმალური მოთხოვნები განისაზღვრა დაზღვევის სახეობების მიხედვით და მოთხოვნების შესრულების ვადები დაიყო სამ ეტაპად. კაპიტალის მინიმალური მოთხოვნები და შესრულების ვადები მოცემულია ცხრილში:

	სიცოცხლის დაზღვევა/ ყველა სახეობის დაზღვევის გადაზღვევა	არასიცოცხლის დაზღვევა	არასიცოცხლის დაზღვევა (ვალდებულებათა შესრულების, საკრედიტო ვალდებულებებისა და სავალდებულო ფორმის პასუხისმგებლობის დაზღვევა)
2018 წ. 31 დეკ-მდე	2.2 მლნ ლარი	2 მლნ ლარი	2 მლნ ლარი
2018 წ. 31 დეკ-დან	4.2 მლნ ლარი	3.4 მლნ ლარი	4.2 მლნ ლარი
2020 წ. 31 დეკ-დან	7.2 მლნ ლარი	4.8 მლნ ლარი	7.2 მლნ ლარი

გარდა ამისა, ახალი კომპანიების მიერ სადაზღვევო საქმიანობის ლიცენზიის მოსაპოვებლად საჭიროა 2020 წლის დეკემბრიდან მოქმედი კაპიტალის მინიმალური მოთხოვნების დაკმაყოფილება. კაპიტალის მინიმალური ოდენობის შესაბამისი ფულადი სახსრები უწყვეტად უნდა იყოს განთავსებული ქართულ ბანკებში, არანაკლებ 1-წლიანი პერიოდულობით. ამ ფულადი სახსრების გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის წერილობითი თანხმობის საფუძველზე.

2020 წლის 1 იანვრიდან, სადაზღვევო კომპანიებს დაუწესდათ ერთი რისკით აღებული ნეტო ვალდებულებების საზედამხედველო კაპიტალთან ფარდობის მაქსიმალური ზღვრები. კერძოდ, სადაზღვევო კომპანიის მიერ აღებული ნეტო ვალდებულებების მაქსიმალური ოდენობა ერთ რისკთან მიმართებაში განისაზღვრა საზედამხედველო კაპიტალის 15%-ით. გარდა ამისა, სადაზღვევო კომპანიებს მიეცათ მხოლოდ იმ გადამზღვეველ კომპანიებთან თანამშრომლობის უფლება, რომელთაც თანამშრომლობის გაფორმებამდე 18 თვით ადრე გააჩნდათ კვალიფიციური სარეიტინგო სააგენტოების მიერ მიანიჭებული განსაზღვრული საკრედიტო რეიტინგი ან აკმაყოფილებდნენ დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის მიერ განსაზღვრულ გადახდისუნარიანობის კოეფიციენტებს.

მარეგულირებლის მოთხოვნებთან შესაბამისობა

მოთხოვნა	მოთხოვნა	ფაქტიური მაჩვენებელი 31 მაისი 2020	თანხვედრაშია (კი/არა)
ინვესტირებას დაქვემდებარებული რეზერვების ჯამური ოდენობა	345,512 ლარი	491,575 ლარი	კი
საზედამხედველო კაპიტალის მინიმალური მოთხოვნა	4,200,000 ლარი	10,520,323 ლარი	კი
ნეტო ვალდებულებების საზედამხედველო კაპიტალთან ფარდობის მაქსიმალური ზღვარი	15%	5.6%	კი

საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო საზედამხედველო სამსახურთან კომპანია ახდენს ყოველთვიურ რეპორტირებას და მოწმდება, როგორც ფინანსური ასევე საოპერაციო თანხვედრა კანონით გაწერილ მოთხოვნებთან. კომპანია მუდმივად თანხვედრაშია მარეგულირებლის მოთხოვნებთან. თითოეული ძირითადი მოთხოვნასთან თანხვედრა უფრო დეტალურად განხილულია ქვემოთ.

სადაზღვევო რეზერვები:

შექმნილი სადაზღვევო რეზერვები წლების მიხედვით წარმოდგენილია, როგორც საერთაშორისო ფინანსური აღრიცხვის სტანდარტების (IFRS-ის) მიხედვით, ასევე საზედამხედველო სამსახურის მოთხოვნების გათვალისწინებით.

(‘000 ლარი)	2020 (31-მაი)	2019 (31-დეკ)	2018 (31-დეკ)
გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვი	784,982	346,855	348,230
განცხადებული, მაგრამ დაურეგულირებელი ზარალების რეზერვი	42,614	43,648	56,499
მომხდარი, მაგრამ განუცხადებელი ზარალების რეზერვი	413	413	716
სულ ვალდებულებები სადაზღვევო კონტრაქტებიდან <i>(დათვლილი საერთაშორისო ფინანსური აღრიცხვის სტანდარტების გათვალისწინებით)</i>	828,009	390,916	405,445
მომხდარი, მაგრამ განუცხადებელი ზარალების რეზერვის დამატება <i>დაქვეითვის კომპონენტები:</i>	161,785	161,785	153,008
გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვის (25%)	(196,245)	(86,714)	(87,058)
გადამზღვევლის წილი გამოუმუშავებელ პრემიის რეზერვში (75%)	(2,820)	-	-
წმინდა სადაზღვევო მოთხოვნები	(445,216)	(161,924)	(239,393)

ინვესტირებას დაქვემდებარებული რეზერვების ჯამური ოდენობა (დათვლილი საზედამხედველო სამსახურის მოთხოვნების მიხედვით)	345,513	304,063	232,002
ფაქტიური განთავსება საბანკო დაწესებულებებში	491,575	310,325	316,590
<i>თანხვედრაშია (კი/არა)</i>	<i>კი</i>	<i>კი</i>	<i>კი</i>

პროსპექტის გამოშვების თარიღისთვის კომპანიის მიერ შექმნილი სადაზღვევო რეზერვები დაანგარიშებულია საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო საზედამხედველო სამსახურის მითითებების მიხედვით და სრულ თანხვედრაშია კანონის მოთხოვნებთან.

საზედამხედველო კაპიტალის მინიმალური მოთხოვნა:

('000 ლარი)	31 მაისი 2020	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
საზედამხედველო კაპიტალი	10,520	6,335	4,353
მინიმალური საწესდებო კაპიტალის მოთხოვნა	4,200	4,200	4,200
საზედამხედველო კაპიტალის ზედმეტობა/(დანაკლისი)	6,320	2,135	153
მინიმალურ საწესდებო კაპიტალთან			

საქართველოს მოქმედ ბანკებში კომპანიას უჭირავს კაპიტალის მინიმალური მოთხოვნის 100% და მეტი, უფრო კონკრეტულად 2020 წლის 31 მაისის მდგომარეობით ბანკებში განთავსებული თანხები შეადგენს 10,721 ათას ლარს. შესაბამისად პროსპექტის გამოშვების თარიღისთვის კომპანიის კაპიტალი სრულ თანხვედრაშია კანონით გაწერილ კაპიტალის მინიმალურ მოთხოვნასთან.

ნეტო ვალდებულებების საზედამხედველო კაპიტალთან ფარდობის მაქსიმალური ზღვარი:

კომპანიის მიერ აღებული ნეტო ვალდებულებები წარმოდგენილია ქვეთავში „ძირითადი საქმიანობა“. პროსპექტის გამოშვების თარიღისთვის ერთ რომელიმე რისკთან მიმართებით აღებული ნეტო ვალდებულება არ აჭარბებს კანონით დადგენილ 15%-იან ზღვარს კაპიტალთან მიმართებით. აღნიშნული თარიღის მდგომარეობით აღებული მაქსიმალური ნეტო ვალდებულება ინდივიდუალური პოლისის დონეზე შეადგენს 180 ათას დოლარს, რაც წარმოადგენს კაპიტალის 5.09%-ს.

მენეჯმენტი და მმართველობა

კომპანიის მნიშვნელოვან, სტრატეგიულ გადაწყვეტილებებს, კანონით და ამ წესდებით დადგენილი წესით იღებს აქციონერთა საერთო კრება. კომპანიისთვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღებას, გენერალურ დირექტორსა და დირექტორებზე ზედამხედველობას და კონტროლს, კანონით და ამ წესდებით დადგენილი წესით, ახორციელებს აქციონერთა კრების მიერ არჩეული სამეთვალყურეო საბჭო. სამეთვალყურეო საბჭოს წევრები აირჩევიან (A) და (AA) ჯგუფის აქციათა მფლობელების მიერ. კომპანიის დირექტორი პასუხისმგებელია კომპანიის ყოველდღიურ მართვაზე, გარდა იმ ფუნქციებისა, რომელიც აქციონერთა საერთო კრების და სამეთვალყურეო საბჭოს კომპეტენციებში შედის. სამეთვალყურეო საბჭოს ნიშნავს აუდიტის კომიტეტის წევრებს.

აქციონერთა საერთო კრება (საერთო კრება)

საერთო კრება არის კომპანიის უმაღლესი მმართველი ორგანო და საქართველოს კანონმდებლობისა და კომპანიის დებულების თანახმად, უფლებამოსილია, მიიღოს გადაწყვეტილებები, მათ შორის, თუმცა არა მარტო, შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით:

- მიიღოს ცვლილებები სააქციო საზოგადოების წესდებაში;
- მიიღოს გადაწყვეტილება საზოგადოების რეორგანიზაციის ან ლიკვიდაციის შესახებ;
- მიიღოს გადაწყვეტილება საზოგადოების საწესდებო კაპიტალის გაზრდისა და დამატებითი აქციების გამოშვების, პრივილეგირებული აქციებისა თუ აქციებში კონვერტირებადი სხვა ფასიანი ქაღალდების გამოშვების შესახებ;
- მთლიანად ან ნაწილობრივ გააუქმოს აქციონერის მიერ ფასიანი ქაღალდების უპირატესი შესყიდვის უფლება (ფასიანი ქაღალდების გამოშვების გზით კაპიტალის გაზრდის შემთხვევაში);
- მიიღოს ან უარყოს გენერალური დირექტორის ან სამეთვალყურეო საბჭოს წინადადება მოგების გამოყენების შესახებ, ან როცა ეს ორგანოები ვერ იძლევიან წინადადებას, მიიღოს გადაწყვეტილება წმინდა მოგების გამოყენების შესახებ;
- მხოლოდ (A) და (AA) აქციონერებმა აარჩიონ სამეთვალყურეო საბჭოს წევრები ან გამოიწვიონ/გაანთავისუფლონ ისინი;
- დაამტკიცოს გენერალური დირექტორის და სამეთვალყურეო საბჭოს ანგარიშები;
- აირჩიოს აუდიტორი;
- მიიღოს გადაწყვეტილებები სამეთვალყურეო საბჭოსა და დირექტორების წინააღმდეგ სასამართლო პროცესებში მონაწილეობის შესახებ;
- მიიღოს გადაწყვეტილებები საზოგადოების ქონების შეძენის, გასხვისების, დატვირთვის შესახებ, რომელთა ღირებულება შეადგენს ან აღემატება საზოგადოების აქტივების ღირებულების ნახევარს. გარდა ისეთი გარიგებებისა, რომლებიც წარმოადგენს ჩვეულებრივ სამეწარმეო საქმიანობას.

წესდების თანახმად, მორიგ საერთო კრებას ყოველწლიურად იწვევს სამეთვალყურეო საბჭო არაუგვიანეს 2 თვისა საზოგადოების წლიური ბალანსის შედგენიდან.

საერთო კრება გადაწყვეტილებაუნარიანია, თუ მასზე წარმოდგენილია ხმების ნახევარზე მეტის მქონე აქციონერები. თუ კრება არ არის გადაწყვეტილებაუნარიანი, მაშინ თავმჯდომარის მიერ განსაზღვრულ ვადაში მოიწვევა ახალი კრება, რომელიც გადაწყვეტილებაუნარიანია, თუ მასზე წარმოდგენილია ხმების არანაკლებ 25%-ის მქონე აქციონერები. თუ კრება კვლავ არ არის გადაწყვეტილებაუნარიანი, მაშინ

თავმჯდომარის მიერ განსაზღვრულ ვადაში მოიწვევა ახალი კრება, რომელიც გადაწყვეტილებაუნარიანია წარმოდგენილი ხმის მქონე პარტნიორის (პარტნიორების) რაოდენობის მიუხედავად.

საერთო კრებაზე გადაწყვეტილებები მიიღება საზოგადოების ხმის უფლების მქონე აქციების არანაკლებ 51%-ის მფლობელ აქციონერების თანხმობით.

სამეთვალყურეო საბჭო

კომპანიის სამეთვალყურეო საბჭო შედგება ოთხი (4) წევრისგან. სამეთვალყურეო საბჭოს წევრებს ნიშნავს და ათავისუფლებს აქციონერთა საერთო კრება. სამეთვალყურეო საბჭოს თითოეული წევრი აირჩევა ერთი (1) წლის ვადით. თუმცა, ამ ვადის გასვლის შემდეგ სამეთვალყურეო საბჭოს წევრების უფლებამოსილება გრძელდება მომდევნო საერთო კრებამდე, თუ ახალი სამეთვალყურეო საბჭოს წევრი არ არის არჩეული.

სამეთვალყურეო საბჭოს სხდომები ტარდება მინიმუმ კვარტალში ერთხელ. სამეთვალყურეო საბჭო გადაწყვეტილებაუნარიანია თუ მას ესწრება წევრთა 2/3. თუ სამეთვალყურეო საბჭო არ არის გადაწყვეტილებაუნარიანი, თავმჯდომარეს (მისი არყოფნისას - მის მოადგილეს) შეუძლია არა უგვიანეს 8 დღისა მოიწვიოს ახალი სხდომა, რომელიც გადაწყვეტილებაუნარიანი იქნება თუ მას ესწრება სულ მცირე ნახევარ. თუ სამეთვალყურეო საბჭო კვლავ არ არის გადაწყვეტილებაუნარიანი, მაშინ სამეთვალყურეო საბჭოს უწყდება უფლებამოსილება და თავმჯდომარე (მისი არყოფნისას - მისი მოადგილე) იწვევს საერთო კრებას.

სამეთვალყურეო საბჭო იღებს გადაწყვეტილებას წევრების 2/3-ით.

სამეთვალყურეო საბჭოს ამოცანებსა და კომპეტენციებში შედის, მაგრამ არ შემოიფარგლება, შემდეგი:

- კომპანიის დირექტორის დანიშვნა და გათავისუფლება და დირექტორის საქმიანობის ზედამხედველობა;
- საჭიროების შემთხვევაში იწვევს საერთო კრებას;
- კომპანიასთან დაკავშირებული პოლიტიკის და მარეგულირებელი დოკუმენტების დამტკიცება და შესწორება;
- დირექტორის წლიური ანგარიშის განხილვა და მოგების განაწილება;
- კომპანიის წარმოდგენა სასამართლო პროცესზე დირექტორის წინააღმდეგ;
- წლიური ბიუჯეტის დამტკიცება;
- საზოგადოების აქციებისა და სხვა ფასიანი ქაღალდების საფონდო ბირჟაზე სავაჭროდ დაშვების შესახებ გადაწყვეტილების მიღება;

კომპანიის სამეთვალყურეო საბჭოს წევრები

კომპანიის აქციონერთა 2020 წლის თებერვლის გადაწყვეტილების შესაბამისად, სამეთვალყურეო საბჭოს წევრებად დანიშნენ დიმიტრი ქუმსიშვილი, შალვა ახრახაძე და ოზგურ გუვენ.

კომპანიის აქციონერთა 2020 წლის ოქტომბერში მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე, სამეთვალყურეო საბჭოს შეემატა მეოთხე წევრი - ლაშა ნიკოლაძის სახით.

დიმიტრი ქუმსიშვილი - სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე

დიმიტრი გრინ დაზღვევა საქართველოს სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის პოზიციას იკავებს 2020 წლის თებერვლიდან. იგი ფლობს 20+ წლიან მენეჯერულ და მმართველობით გამოცდილებას სხვადასხვა კერძო თუ საჯარო სექტორში. მიღებული აქვს მონაწილეობა ისეთი მნიშვნელოვანი პროექტების განხორციელებაში როგორცაა: საპენსიო სისტემის რეფორმა, კაპიტალის ბაზრების განვითარება, მოგების გადასახადის რეფორმა, დეპოზიტების დაზღვევის სისტემა და ა.შ.

დიმიტრის აქვს მმართველი პარტნიორად მუშაობის გამოცდილება "Rational Solution-სა" და „სინერჯი კაპიტალ-ში“.

2017-2018 წლებში იგი იკავებდა საქართველოს ეკონომიკის და მდგრადი განვითარების მინისტრის და საქართველოს პირველი ვიცე პრემიერის, ხოლო 2016-2017 წლებში ფინანსთა მინისტრის პოზიციას.

განათლება მიღებული აქვს ი. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში და ფლობს აღრიცხვა-ანგარიშგების, კონტროლისა და აუდიტის ბაკალავრის ხარისხს.

2005-2007 წლებში გავლილი აქვს MBA პროგრამა Cerma School of Management-ში.

შალვა ახრახაძე - სამეთვალყურეო საბჭოს დამოუკიდებელი წევრი და აუდიტის კომიტეტის თავმჯდომარე

შალვა კომპანიას სამეთვალყურეო საბჭოს წევრად შეუერთდა 2020 წლის 27 თებერვლიდან. 2015 წლიდან დღემდე ის არის შპს „ფინანსური ლაბორატორიის“ დამაარსებელი და აღმასრულებელი დირექტორი. აქვს მრავალწლიანი სამუშაო გამოცდილება უმაღლესი რგოლის მენეჯმენტში, მათ შორის 2010-2012 წლებში მუშაობდა უფროს ფინანსურ მენეჯერად სადაზღვევო კომპანია ირაოში. შალვას დამთავრებული აქვს თავისუფალი უნივერსიტეტის MBA პროგრამა და არის CFA პროგრამის ქართვის მფლობელი.

ოზგურ გუვენ - სამეთვალყურეო საბჭოს წევრი

ოზგური გრინ დაზღვევა საქართველოს სამეთვალყურეო საბჭოს წევრად დაინიშნა 2020 წლის 27 თებერვლიდან. მას აქვს მრავალწლიანი სამუშაო გამოცდილება აგრო წარმოების, ფერმერობის და მდგრადი განვითარების მიმართულებით, როგორც მმართველი დირექტორი და დირექტორთა საბჭოს წევრი. მანამდე იკავებდა გენერალური მდივნის პოზიციას ანკარას საკრებულოში. 2009-2011 წლებში წარმოადგენდა ევროპის საბჭოს საპარლამენტო ანსამბლეაში თავმჯდომარის მრჩეველს. ოზგურს განათლება მიღებული აქვს ცენტრალური ფლორიდის უნივერსიტეტში ბიზნესის, ხოლო Bilkent University-ში ტურიზმისა და სასტუმროს მომსახურების მიმართულებით.

ლაშა ნიკოლაძე - სამეთვალყურეო საბჭოს დამოუკიდებელი წევრი

ლაშა ნიკოლაძე გრინ დაზღვევა საქართველოს სამეთვალყურეო საბჭოს წევრად დაინიშნა 2020 წლის 12 ოქტომბრიდან. მას აქვს მრავალწლიანი სამუშაო გამოცდილება სადაზღვევო სფეროში, მიღებული აქვს აქტიური მონაწილეობა სადაზღვევო კანონმდებლობისა და ნორმატიული აქტების შემუშავებაში, ასევე აქვს ჩატარებული არაერთი ადგილობრივი და საერთაშორისო სემინარი და კონფერენცია სადაზღვევო სექტორთან დაკავშირებით. 2013-2014 წლებში იკავებდა სსიპ საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის უფროსის თანამდებობას. 2013 წელს ლაშა იკავებდა სადაზღვევო მრჩეველისა და ადმინისტრაციული საბჭოს წევრის პოზიციას საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში. 1995-2012 წლებში წარმოადგენდა სს სადაზღვევო კომპანია

იმედი ელ-ის საოპერაციო დირექტორსა და კომპანიის აქციონერს. ლაშას განათლება მიღებული აქვს ი. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში მათემატიკისა და კიბერნეტიკის მიმართულებით.

კომპანიის მენეჯმენტი

ეკა ცენტერაძე - გენერალური დირექტორი

ეკა გენერალური დირექტორის პოზიციას 2015 წლის დეკემბრიდან იკავებს. 2015 წლის აპრილიდან დეკემბრამდე ამავე კომპანიაში გენერალური დირექტორის მოადგილის პოზიციას იკავებდა. ეკა ამავედროულად სს „თამ“ თბილავიამშენის“ სამეთვალყურეო საბჭოს წევრია 2012 წლიდან მოყოლებული. 20120 წლიდან 2020 წლამდე იყო ს.ს. „თამ“ თბილავიამშენის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე. 2010 წლის იანვრიდან 2011 წლის დეკემბრამდე იგი შ.პ.ს. „სადაზღვევო კომპანია პარტნიორში“ იურიდიული დეპარტამენტის უფროსის თანამდებობას იკავებდა. ეკას აქვს სადაზღვევო სექტორში მუშაობის 20 წლიანი გამოცდილება. ეკას ფლობს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაგისტრის ხარისხს სამართლის მიმართულებით.

ლევან ელიაური - ფინანსური დირექტორი

ლევანი ფინანსური დირექტორის პოზიციას 2016 წლის ნოემბრიდან იკავებს. 2014-2016 წლებში იგი ამავე კომპანიის უფროსი ბუღალტრის თანამდებობას იკავებდა. 2002-2010 წლებში ლევანი წარმოადგენდა შპს „პლუს ელექტრონიკსის“, შპს „ბრონზ ტელეკომისა“ და შპს „დელტა ტელეკომ საქართველოს“ ფინანსურ დირექტორს. 1994-1996 წლებში იკავებდა „კაპიტალ ბანკის“ საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის პოზიციას. ლევანი ფლობს თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომისტი და ფინანსისტის ბაკალავრის ხარისხებს.

ილია პარასკევოვი - გაყიდვების დირექტორი

ილია პარასკევოვი გაყიდვების დირექტორის პოზიციას 2016 წლიდან იკავებს. მას აქვს 16 წლიანი სამუშაო გამოცდილება სხვადასხვა სადაზღვევო კომპანიების გაყიდვების მენეჯმენტში, მათ შორის სადაზღვევო კომპანია ქართუ, არდისა და იმედი L-ში.

ილია ფლობს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაკალავრის ხარისხს ეკონომიკისა და ბიზნესის მიმართულებით.

ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან

ბასს (IAS) 24-ის (დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები) მიხედვით, მხარეები დაკავშირებულად ითვლება, თუ ერთ მხარეს აქვს უნარი, გააკონტროლოს მეორე მხარე ან მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს მეორე მხარის ფინანსურ და საოპერაციო გადაწყვეტილებებზე. თითოეული შესაძლო ურთიერთკავშირის განხილვისას ყურადღება ექცევა ურთიერთობის შინაარსს და არა მხოლოდ სამართლებრივ ფორმას.

დაკავშირებულმა მხარეებმა შეიძლება დადონ ისეთი გარიგებები, როგორსაც არ დადებდნენ არადაკავშირებული მხარეები და დაკავშირებულ მხარეებს შორის დადებული გარიგებები შეიძლება არ დაიდოს იმავე პირობებითა და თანხებით, როგორც დაიდებოდა გარიგებები არადაკავშირებულ მხარეებს შორის. დაკავშირებულ მხარეებთან დადებული ყველა გარიგება, რომელიც ქვემოთ არის განხილული, განხორციელდა საბაზრო პირობებით.

2018 და 2019 წლების 31 დეკემბრის და 2020 წლის 31 მაისის მდგომარეობით დაკავშირებულ მხარეებთან ნაშთი არ ფიქსირდება. ასევე, არ განხორციელებულა ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან, გარდა უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობისთვის გაცემული ანაზღაურებისა.

(000' ლარი)	2020 (იანვარი-მაისი)	2019 (იანვარი-მაისი)	2019 (სრული წელი)	2018 (სრული წელი)
უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის ხელფასი და სხვა განაცემი	40	50	134	107

საბალანსო უწყისი

კომპანიის საბალანსო უწყისი წარმოდგენილია ქვემოთ:

საბალანსო უწყისი <i>(000' ლარი)</i>	2020 (31 მაისი) <i>არააუდირებული</i>	2019 (31 დეკემბერი) <i>აუდირებული</i>	2018 (31 დეკემბერი) <i>აუდირებული</i>
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	11	13	17
არამატერიალური აქტივები	56	41	47
გადავადებული საგადასახადო აქტივი	-	1	2
გადავადებული აკვიზიციური ხარჯები	-	4	12
აქტივი გამოყენების უფლებით	62	97	-
მთლიანი გრძელვადიანი აქტივები	129	156	78
მოკლევადიანი აქტივები			
გადავადებული საგადასახადო აქტივი	1		
გადავადებული აკვიზიციური ხარჯები	5		
წინასწარ-გადახდები	24	24	35
სადაზღვევო მოთხოვნები	602	216	319
მოთხოვნა რეგრესიდან	109	10	-
ბანკში განთავსებული თანხები	10,721	6,995	4,542
ფული და ფულის ეკვივალენტები	583	421	383
მთლიანი მოკლევადიანი აქტივები	12,045	7,666	5,279
სულ აქტივები	12,174	7,822	5,357
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	10,000	4,350	4,350
დამატებით შეტანილი კაპიტალი	-	-	6
გაუნაწილებელი მოგება	820	2,360	291
სულ კაპიტალი	10,820	6,710	4,647
გრძელვადიანი ვალდებულებები			
საიჯარო ვალდებულება	-	14	-
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები	-	14	-
მოკლევადიანი ვალდებულებები			
ვალდებულებები სადაზღვევო კონტრაქტებიდან	828	391	405
საიჯარო ვალდებულების მიმდინარე ნაწილი	72	80	-
საგადასახადო ვალდებულებები	56	220	139
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	398	407	166
სულ მიმდინარე ვალდებულებები	1,354	1,098	710
სულ ვალდებულებები	1,354	1,112	710
სულ კაპიტალი და ვალდებულებები	12,174	7,822	5,357

მოგება-ზარალის უწყისი

კომპანიის მოგება-ზარალის უწყისი წარმოდგენილია ქვემოთ:

მოგება-ზარალის უწყისი (<i>'000 ლარი</i>)	2020 (<i>5 თვე</i>) <i>არააუდირებული</i>	2019 (<i>5 თვე</i>) <i>არააუდირებული</i>	2019 (<i>სრული წელი</i>) <i>აუდირებული</i>	2018 (<i>სრული წელი</i>) <i>აუდირებული</i>
მთლიანი მოზიდული პრემია	1,001	1,168	3,244	2,885
გადამზღვევის კუთვნილი პრემია	(1)	-	-	(8)
წმინდა მოზიდული პრემია	1,000	1,168	3,244	2,877
ანაზღაურებული სადაზღვევო ზარალები	(46)	(49)	(151)	(342)
ცვლილება ვალდებულებებში სადაზღვევო კონტრაქტებიდან	1	29	15	(25)
წმინდა სადაზღვევო ზარალი და მოთხოვნების დარეგულირების ხარჯები	(45)	(20)	(136)	(367)
შემოსავალი რეგრესიიდან	4	23	16	194
აკვიზიციური ხარჯები	(10)	(23)	(39)	(449)
გაუფასურების რეზერვის აღდგენა	0	0	28	-
სადაზღვევო საქმიანობის შედეგი	949	1,148	3,113	2,255
საპროცენტო შემოსავალი	116	85	237	96
საპროცენტო ხარჯი	(3)	(3)	(8)	-
სხვა შემოსავალი	-	2	2	9
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	(511)	(519)	(1,277)	(1,063)
სხვა საოპერაციო ხარჯი	(373)	(6)	(11)	(23)
საკურსო სხვაობის წმინდა შედეგი	786	249	371	151
მოგება დაბეგრამდე	964	956	2,427	1,425
მოგების გადასახადი	(145)	(143)	(364)	(230)
წმინდა მოგება და მთლიანი სრული შემოსავალი	819	813	2,063	1,195
სხვა სრული შემოსავალი	-	-	6	-
სულ წლის სრული შემოსავალი	819	813	2,069	1,195

ფულადი ნაკადების მოძრაობის უწყისი

კომპანიის ფულადი ნაკადების მოძრაობის უწყისი წარმოდგენილია ქვემოთ:

ფინანსური სახსრების ანგარიშგება	2020	2019	2019	2018
<i>(‘000 ლარი)</i>	(5 თვე)	(5 თვე)	(სრული წელი)	(სრული წელი)
	<i>არაუდირებული</i>	<i>არაუდირებული</i>	<i>აუდირებული</i>	<i>აუდირებული</i>
ფულადი ნაკადების საოპერაციო საქმიანობიდან:				
მიღებული სადაზღვევო პრემია	957	1,033	2,989	2,480
რეგრესები	5	23	34	170
მიღებული სხვა საოპერაციო შემოსავალი	165	170	272	(80)
გადახდილი სადაზღვევო ზარალები	(11)	(10)	(28)	(282)
გადახდილი აკვიზიციური ხარჯები	(10)	(19)	(31)	(348)
გადახდილი ხელფასები და სარგებელი	(173)	(235)	(600)	(353)
გადახდილი საოპერაციო გადასახადი	(357)	(284)	(435)	(189)
ადმინისტრაციული და სხვა გადახდილი ხარჯები	(513)	(89)	(215)	(307)
მიღებული პროცენტი	35	12	226	98
სხვა საოპერაციო ხარჯები	(190)	(77)	-	-
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	(92)	524	2,212	1,189
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან:				
საბანკო ანაზღაურებზე თანხების განთავსება	(3,041)	(444)	(7,870)	(5,484)
საბანკო ანაზღაურების თანხების გამოტანა			5,798	3,578
არამატერიალური აქტივების შეძენა	(21)	-	(6)	-
ძირითადი საშუალებების შეძენა	(3)	(1)	(2)	-
ძირითადი საშუალებების რეალიზაცია	3	-	-	-
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	(3,062)	(445)	(2,080)	(1,906)
ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან:				
აღებული სესხები	-	-	-	49
სესხების დაფარვა	-	-	-	(51)
კაპიტალის ზრდა	3,291	-	-	700
იჯარის გადახდა	(21)	(21)	(70)	-
წმინდა ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	3,270	(21)	(70)	698
სავალუტო კურსის ცვლილების გავლენა ფულსა და ფულის ეკვივალენტებზე	46	2	(24)	59
ფულისა და ფულის ეკვივალენტების წმინდა ცვლილება	116	58	62	(19)
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები 1 იანვრის მდგომარეობით	421	383	383	343
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები, 31 დეკემბერი/მაისი	583	443	421	383

დივიდენდების პოლიტიკა

გენერალური დირექტორი ადგენს წლიურ ანგარიშს, ანგარიშს სამეურნეო მდგომარეობის და წმინდა მოგების განაწილების შესახებ. აღნიშნული ანგარიშები წარედგინება სამეთვალყურეო საბჭოს, მოწონების შემთხვევაში სამეთვალყურეო საბჭო ანგარიშებს დასამტკიცებლად გადასცემს საერთო კრებას.

დივიდენდები გადახდით იქნება თითოეული აქციონერის პროპორციული წილის შესაბამისად, აქციონერების წილი მოგებაში განისაზღვრება აქციათა რაოდენობისა და კლასის შესაბამისად. შესატანები, რომლებიც სრულად არ არის შეტანილი, მონაწილეობენ მოგების განაწილებაში შენატანის სიდიდის პროპორციულად.

2020-2017 წლებში კომპანიას არ გაუცია დივიდენდი. 2020 წლის 27 თებერვალს აქციონერებისთვის დამატებით გამოშვებული 2,360 ათასი ლარის აქციების ჩაფარვა მოხდა გაუნაწილებელი მოგებიდან. დეტალური ინფორმაცია აღნიშნულ ტრანზაქციასთან დაკავშირებით გამჟღავნებულია ქვეთავში „კაპიტალიზაცია და დავალიანება“.

სასამართლო დავები

პროსპექტის წარდგენის თარიღიდან უკანასკნელი 3 წლის განმავლობაში სასამართლოებსა და კერძო არბიტრაჟში არ ფიქსირდება არცერთი დავა სს „გრინ დაზღვევა საქართველო“-ს წინააღმდეგ.

სს „გრინ დაზღვევა საქართველო“-ს მიერ ინიცირებულ სარჩლების/საარბიტრაჟო პრეტენზიების ჯამური მოცულობა არ აღემატება 5,000 (ხუთი ათას) ლარს.

ემიტენტის ფინანსურ ან კომერციულ მდგომარეობაში მნიშვნელოვანი ცვლილებების აღწერა

2020 წლის თებერვალში განხორციელდა კომპანიის რეგისტრირებული ფასიანი ქაღალდების მესაკუთრეების ცვლილება. კერძოდ ახალი მესაკუთრეები გახდნენ: სს „მეტრო ავრასია ინვესტიმენტ ჯორჯია“ – 50% და შპს „ახალი საინვესტიციო შესაძლებლობები“ – 50%.

2020 წლის 27 თებერვალს კომპანიამ შეიცვალა სახელწოდება სს „საერთაშორისო სადაზღვევო კომპანია კამარა“ და ფუნქციონირებას აგრძელებს სს „გრინ დაზღვევა საქართველო“-ს სახელით.

აქციონერთა მიერ 2020 წლის თებერვლის თვეში მიღებულ იქნა გადაწყვეტილება საზოგადოების საწესდებო კაპიტალის 10,000,000 ლარამდე გაზრდის შესახებ და გამოშვებულ იქნა ახალი კლასის აქციები. აქციონერებმა დადგინდეს ვადაში შეასრულეს დამატებით გამოშვებული აქციების ღირებულების გადახდის (კაპიტალის შევსების) ვალდებულება.

2020 წლის თებერვლის შემდეგ პროსპექტის შედგენის თარიღამდე არ მომხდარა ემიტენტის ფინანსურ ან კომერციულ საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა მნიშვნელოვანი ცვლილება.

კაპიტალი

2020 წლის თებერვლამდე აქციები შედგებოდა ჩვეულებრივი (A) ტიპის 4,350,000 ცალი აქციისგან, ნომინალური ღირებულებით 1 ლარი.

2020 წლის 31 მაისის მონაცემებით, საზოგადოების საწესდებო კაპიტალი დაყოფილია აქციებად. კაპიტალი შედგენს 10,000,000 (ათ მილიონ) ცალ აქციას. 1 აქციის ნომინალური ღირებულება განისაზღვრება 1 (ერთი) ლარით.

2020 წლის 31 მაისის მდგომარეობით აქციები იყოფა სამ A, AA და B ჯგუფად - გამოშვებული და განთავსებულია (A) ჯგუფის 4,350,000 ცალი (4,350,000 ლარის ღირებულებით), (AA) ჯგუფის 1,650,000 ცალი (1,650,000 ლარის ღირებულებით) და (B) ჯგუფის 4,000,000 ცალი აქცია (4,000,000 ლარის ღირებულებით).

2020 წლის 10 სექტემბერს კომპანიამ გააკეთა ახალი 5,000,000 ცალი (B) კლასის აქციის ემისია და რეგისტრაცია. პროსპექტის გამოშვების თარიღისთვის აღნიშნული აქციები კომპანიის ნომინალურ მფლობელობაშია, მათი განთავსება მოხდება ამ პროსპექტის საფუძველზე.

აქციონერთა კრებაზე AA კლასის 1 აქცია უზრუნველყოფს 15 ხმის უფლებას, A კლასის ისევე როგორც B კლასის თითო აქცია უზრუნველყოფს ერთი ხმის უფლებას. ამასთანავე, სამეთვალყურეო საბჭოს წევრები აირჩვიან მხოლოდ A და AA კლასის აქციათა მფლობელების მიერ.

აქციონერთა უფლებები და ვალდებულებები:

კომპანიის აქციონერები წლების მიხედვით მოცემულია ცხრილის სახით:

აქციონერი	აქციის კლასი	რაოდენობა			წილი
		2020	2019	2018	
ჩეთინ აიდინ	A	-	2,654,000	2,654,000	61%
ჰუსეინ იამან	A	-	1,696,000	1,696,000	39%
სს „მეტრო ავრასია ინვესთმენტ ჯორჯია“	A	2,175,000	-	-	47%
	AA	825,000	-	-	
შპს „ახალი საინვესტიციო შესაძლებლობები“	B	1,720,000	-	-	50%
	A	2,175,000	-	-	
	AA	825,000	-	-	
სხვა ინვესტორები	B	2,000,000	-	-	3%
განთავსებული აქციების რაოდენობა სულ:		10,000,000	4,350,000	4,350,000	
სს „გრინ დაზღვევა საქართველო“	B	5,000,000	-	-	-
გამოშვებული აქციების რაოდენობა სულ:		15,000,000	4,350,000	4,350,000	

პროსპექტის გამოშვების თარიღისთვის კომპანიის აქციებზე ჯამური ხმის უფლებები შემდეგნაირად გამოიყურება:

აქციის კლასი	თითო აქციის ხმის უფლება	ჯამური ხმის უფლება	
		31 მაი 2020*	31 მაი 2020
A	1	4,350,000 ხმა, 11%	4,350,000 ხმა, 13%
AA	15	24,750,000 ხმა, 65%	24,750,000 ხმა, 75%
B	1	9,000,000 ხმა, 24%	4,000,000 ხმა, 12%
სულ:		38,100,000 ხმა, 100%	33,100,000 ხმა, 100%

(*) მონაცემები დათვლილია იმ დაშვებით რომ კომპანია მოახდენს გამოშვებული 5,000,000 ცალი აქციის განთავსებას.

კომპანიის აქციონერს უნდა ჰქონდეს და დაეკისროს წესდებითა და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული უფლებები და ვალდებულებები.

ფასიანი ქაღალდების შესახებ კანონის მე-14 მუხლის მიხედვით, ფასიანი ქაღალდების მნიშვნელოვანი წილის შექმნის შემთხვევაში, ფასიანი ქაღალდების მფლობელი ვალდებულია ეს ინფორმაცია გაასაჯაროს. კერძოდ, იმ ემიტენტის წილობრივი ფასიანი ქაღალდების მფლობელი, რომელსაც გამოშვებული აქვს ხმის უფლების მქონე საჯარო წილობრივი ფასიანი ქაღალდები, ვალდებულია საქართველოს ეროვნულ ბანკს და აღნიშნულ ემიტენტს წარუდგინოს შეტყობინება, თუ მის მფლობელობაში არსებული ემიტენტის ხმის უფლების მქონე ფასიანი ქაღალდების წილი მიაღწევს, გადააჭარბებს ან ჩამოსცდება შემდეგ ზღვრულ ოდენობას: 5%-ს, 10%-ს, 15%-ს, 20%-ს, 25%-ს, 30%-ს, 50%-ს, 75%-ს. აღნიშნული შეტყობინების წარდგენის ვალდებულება ეკისრება ამ პუნქტით გათვალისწინებული ფასიანი ქაღალდების არსებულ მფლობელს, აგრეთვე ყოფილ მფლობელს (ზღვრული ოდენობის ჩამოცდენისას). (დეტალებისთვის, გთხოვთ იხილოთ ფასიანი ქაღალდების შესახებ კანონმდებლობა).

ასევე, ემიტენტზე, (რადგან მას ექნება გამოშვებული საჯარო ფასიანი ქაღალდი), ვრცელდება ინსაიდერული ინფორმაციის გამოყენებით ვაჭრობასა და ბაზრის მანიპულაციასთან, ასევე ინსაიდერული ინფორმაციის არამართლზომიერი გამჟღავნებასთან დაკავშირებული აკრძალვები, კერძოდ:

- ინსაიდერული ინფორმაციის გამოყენებით ვაჭრობა/ვაჭრობის მცდელობა;
- მესამე პირისთვის ინსაიდერულ ვაჭრობასთან დაკავშირებით რეკომენდაციის მიცემა ან მესამე პირის ინსაიდერულ ვაჭრობაზე დაყოლიება;
- ინსაიდერული ინფორმაციის არამართლზომიერი გამჟღავნება;
- ბაზრის მანიპულაცია/მანიპულაციის მცდელობა.

(დეტალებისთვის, გთხოვთ იხილოთ ფასიანი ქაღალდების შესახებ კანონმდებლობა).

კომპანიის წესდების მიხედვით აქციონერთა უფლება-მოვალეობებს განეკუთვნება:

- თანაბარ პირობებში, შესაბამისი კლასის აქციონერებს უნდა ჰქონდეთ თანაბარი უფლებები და ვალდებულებები.
- აქციონერთა წილი მოგებაში განისაზღვრება აქციათა რაოდენობისა და კლასის შესაბამისად. შესატანები, რომლებიც სრულად არ არის შეტანილი, მონაწილეობენ მოგების განაწილებაში შენატანის სიდიდის პროპორციულად.
- აქციონერს შეუძლია თავისი ხმის უფლება გამოიყენოს საკუთრი ინტერესებიდან გამომდინარე, გარდა იმ შემთხვევისა, როცა მოსალოდნელი გადაწყვეტილება ეხება მასთან გარიგების დადებას ან მისი ანგარიშის დამტკიცებას.

- აქციონერს უფლება აქვს, საერთო კრებაზე, დღის წესრიგის თითოეული პუნქტის გამო მოსთხოვოს განმარტება საზოგადოების გენერალურ დირექტორს და სამეთვალყურეო საბჭოს და გამოთქვას თავისი აზრი.
- აქციების 5%-ის მფლობელ აქციონერებს უფლება აქვთ, მოითხოვონ სამეურნეო მოქმედებების ან მთლიანად წლიური ბალანსის სპეციალური შემოწმება, თუ ისინი მიიჩნევენ, რომ ადგილი აქვს დარღვევებს.
- ნებისმიერი კლასის აქციების 5%-ის მფლობელ აქციონერებს ან აქციონერთა ჯგუფს უფლება აქვთ, ბოლო აქციონერთა კრების ჩატარებიდან მინიმუმ 1 თვის გასვლის შემდგომ, სამეთვალყურეო საბჭოს მოსთხოვონ საზოგადოების აქციონერთა რიგგარეშე კრების ჩატარება. მოთხოვნა წერილობით უნდა წარედგინოს და შეიცავდეს საზოგადოების საქმიანობასთან შესაბამისობაში მყოფ დღის წესრიგის საკითხებს. სამეთვალყურეო საბჭო ვალდებულია წერილის მიღებიდან 3 თვის განმავლობაში ჩაატაროს საერთო კრება.
- ხმების 5%-ის მფლობელ აქციონერებს უფლება აქვთ, შესაბამის მმართველობის ორგანოსგან მოითხოვონ საზოგადოების სახელით დადებული გარიგების ასლები ან/და ინფორმაცია დასადები გარიგებების შესახებ.
- თუ საზოგადოებამ არ განახორციელა თავისი მოთხოვნა მესამე პირების მიმართ, აქციონერს შეუძლია საზოგადოების ნაცვლად ან მის სასარგებლოდ თავისი სახელით შეიტანოს სარჩელი აღნიშნული მოთხოვნის განსახორციელებლად. იგი მიიჩნევა სათანადო მოსარჩლეს, თუ ასეთი სარჩელის აღმდრის-მოთხოვნით დაასაბუთებს, რომ სარჩელის აღმდრა ეწინააღმდეგება საზოგადოების ინტერესებს. სასამართლოს მიერ აქციონერის სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში საზოგადოება ვალდებულია აუნაზღაუროს აქციონერს ადვოკატის ხარჯები. საზოგადოება თავისუფლდება ამ ხარჯების ანაზღაურებისგან თუ დაამტკიცებს, რომ სარჩელის დაკმაყოფილება საზიანო აღმოჩნდა საზოგადოებისთვის. თუ აქციონერის სარჩელი არ დაკმაყოფილდა, აქციონერს ეკისრება საზოგადოების ხარჯების ანაზღაურება, რომელიც წარმოიშვა მის მოთხოვნასთან დაკავშირებით.
- აქციონერები ვალდებული არიან უზრუნველყონ მათი შესაბამისი შენატანების შეტანა კომპანიის საწესდებო კაპიტალში, რათა აქციების შესაბამისი რაოდენობა რეგისტრირებული იქნას მათ სახელზე;
- აქციონერები ვალდებული არიან დაიცვან წესდებით განსაზღვრული პირობები;

საერთო კრება

აქციონერთა წლიური კრების მოწვევა ხდება დირექტორის მიერ - ყოველწლიურად. საზოგადოების წლიური აუდიტირებული ბალანსის შედგენიდან არაუგვიანეს ორი თვისა.

კრების ჩატარების დრო, მისამართი და დღის წესრიგი აქციონერებმა უნდა შეიტყონ კრების ჩატარებამდე არანაკლებ 20 დღით ადრე კანონმდებლობით დადგენილ ბეჭდვითი ორგანოს ან მოსაწვევის (მათ შორის ელექტრონული ფორმის ოფიციალური შეტყობინების) საშუალებით. სხვა შემთხვევებში ტარდება რიგგარეშე საერთო კრება დირექტორების ან სამეთვალყურეო საბჭოს ან ამ კანონით განსაზღვრულ სხვა შემთხვევაში – აქციონერების მოთხოვნით. სამეთვალყურეო საბჭო ადგენს საერთო კრების სააღრიცხვო დღეს, რომელიც არ შეიძლება იყოს კრების მოწვევამდე 45 დღეზე ადრე და კრების მოწვევის გამოცხადების თარიღზე გვიან. აქციონერთა კრებაში მონაწილეობის უფლება აქვთ მხოლოდ იმ აქციონერებს, რომლებსაც აქციაზე საკუთრების უფლება ჰქონდათ სააღრიცხვო დღისთვის.

საერთო კრება გადაწყვეტილებაუნარიანია, თუ მასზე წარმოდგენილია ხმების ნახევარზე მეტის მქონე აქციონერები. თუ კრება არ არის გადაწყვეტილებაუნარიანი, მაშინ კრების მოიწვევა წესდებით დადგენილი წესის შესაბამისად.

საერთო კრება იღებს გადაწყვეტილებას შემდეგ საკითხებზე: ცვლილებები სააქციო საზოგადოების წესდებაში, საზოგადოების რეორგანიზაციის ან ლიკვიდაციის შესახებ; ფილიალების და წარმომადგენლობითი ოფისების შექმნისა და ლიკვიდაციის შესახებ, სამეთვალყურეო საბჭოს ან დირექტორების წინადადება მოგების გამოყენების შესახებ, ხოლო როცა ეს ორგანოები ვერ იძლევიან ერთიან წინადადებას – იღებს გადაწყვეტილებას წმინდა მოგების გამოყენების შესახებ, დირექტორებისა და სამეთვალყურეო საბჭოს ანგარიშების დამტკიცება, საზოგადოების ქონების შექმნის, გასხვისების (ან ერთმანეთთან დაკავშირებული ასეთი გარიგებების) ან დატვირთვის შესახებ, რომელთა ღირებულება შეადგენს საზოგადოების აქტივების ღირებულების ნახევარზე მეტს, გარდა ისეთი გარიგებებისა, რომლებიც წარმოადგენს ჩვეულ სამეწარმეო საქმიანობას, სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა შრომის ანაზღაურების საკითხი, გარე აუდიტორის არჩევა-გათავისუფლება. ხოლო, სამეთვალყურეო საბჭოს წევრების არჩევა-გამოიწვევა და სამეთვალყურეო საბჭოს წევრის არჩევის ვადის განსაზღვრის უფლებამოსილება გააჩნია მხოლოდ (A) და (AA) კლასის აქციათა მფლობელებს.

აქციათა გამოსყიდვა

აქციონერს უფლება აქვს, კანონით დადგენილი წესით საზოგადოებას მოსთხოვოს თავისი აქციების შეფასება და გამოსყიდვა, თუ მან საერთო კრებაზე მხარი არ დაუჭირა ისეთ გადაწყვეტილებას, რომელიც ლახავს აქციონერის უფლებებს, ან ეხება საწარმოს რეორგანიზაციას. აღნიშნულთან დაკავშირებით საერთო კრების მოწვევის შესახებ შეტყობინებაში დეტალურად უნდა აღწეროს გადასაწყვეტი საკითხი, მასთან დაკავშირებული გამოსყიდვის მოთხოვნის უფლება და მისი განხორციელების წესი.

აქცია უნდა იქნეს გამოსყიდული მისი საბაზრო ღირებულებით, რომელიც ჩამოყალიბებული იყო საერთო კრების მოწვევის შესახებ განხორციელებული შეტყობინების გაცხადებიდან წინა დღეს, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა აქციათა დაბალი ლიკვიდურობის გამო ან სხვა მიზეზებით კანონით დადგენილია აქციათა სამართლიანი ღირებულების განსაზღვრის სხვა წესი. აქციების გამოსყიდვის თანხა გადახდილი უნდა იქნეს გადაწყვეტილების მიღებიდან არა უგვიანეს 30 დღისა. იმ შემთხვევაში თუ აქციონერი არ ეთანხმება გადაწყვეტილებას უფლებამოსილია მართოს სასამართლოს ამ გადაწყვეტილების შეტყობინებიდან 14 დღის განმავლობაში.

სავალდებულო სატენდერო შეთავაზება

იმ შემთხვევაში თუ აქციონერი ან შეთანხმების საფუძველზე მოქმედ აქციონერთა ჯგუფი შეიძენს აქციათა პაკეტს, რის შედეგადაც აკონტროლებს სააქციო საზოგადოების ხმათა საერთო 1/2-ზე მეტს, იგი ვალდებულია, ამ ფაქტის დადგომიდან არა უგვიანეს 45 დღისა განახორციელოს კანონით გათვალისწინებული სატენდერო შეთავაზება ყველა დარჩენილი აქციის გამოსყიდვის თაობაზე, ან იმავე ვადაში ჩამოიყვანოს მისი კონტროლის ქვეშ არსებული ხმების საერთო რაოდენობის 1/2-ზე ქვევით. გარდა იმ შემთხვევისა როცა: ხმათა საერთო რაოდენობის 1/2-ზე მეტი მყიდველის ხელში აღმოჩნდა შესაბამისად განხორციელებული სატენდერო შეთავაზებით, რომელშიც ის ყველა დარჩენილი აქციის გამოსყიდვას სთავაზობდა სხვა აქციონერებს ან პირი აღნიშნულ აქციებს ფლობს სხვა პირის ან პირების სასარგებლოდ, მათ შორის. ასეთ შემთხვევაში სავალდებულო სატენდერო შეთავაზების ვალდებულება ეკისრება პირს ან შეთანხმების საფუძველზე მოქმედ პირთა ჯგუფს, რომელიც პირდაპირ ან არაპირდაპირ აკონტროლებს სააქციო საზოგადოების ხმათა საერთო რაოდენობის 1/2-ზე მეტს.

სავალდებულო სატენდერო შეთავაზების დროს აქციის გამოსასყიდ ფასს ადგენს აუდიტორი ან საბროკერი კომპანია. შეფასების ხარჯები ანაზღაურდება მყიდველის მიერ. სატენდერო შეთავაზების დასრულებამდე

მყიდველს არა აქვს მისი კონტროლის ქვეშ არსებული, 50%-ზე მეტი ხმების საერთო კრებაზე გამოყენების უფლება.

ინტელექტუალური საკუთრება

ნებისმიერი და ყველა ინფორმაცია, გამოგონება, დიზაინი, მეთოდები, სავაჭრო სახელი ან სავაჭრო ნიშანი, რომელიც წარმოქმნილი და განვითარებულია საზოგადოების მიერ (შემდგომში: „**ინტელექტუალური საკუთრება**“) იქნება საზოგადოების ექსკლუზიურ საკუთრებაში. თითოეული აქციონერი მიიღებს იმგვარ ზომებს, რაც საჭიროა იმისათვის, რათა საზოგადოების უფლებები ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებით დაცული იყოს და ავალდებულებს ნებისმიერ პირს ან საწარმოს, რომლებიც მომსახურებას უწევენ საზოგადოებას, და აქვს ინტელექტუალური საკუთრების გამოყენების უფლება, რათა ხელი მოაწერონ შეუცვლელ ვალდებულებას, რომ დაუყოვნებლივ გადასცენ საზოგადოებას, პირველივე მოთხოვნის საფუძველზე, ყველა უფლება და წილი ინტელექტუალურ საკუთრებაში.

კონფიდენციალურობა

თითოეულმა აქციონერმა (შემდგომში: „**მიმღები მხარე**“) უმკაცრესი კონფიდენციალურობით უნდა შეინახოს კონფიდენციალური ინფორმაცია (როგორც ამგვარი ტერმინი შემდგომში არის განმარტებული), რომელიც ეკუთვნის ან რომელსაც ფლობენ სხვა აქციონერები ან საზოგადოება (შემდგომში: „**გამამჟღავნებელი მხარე**“). აღნიშნული მიზნებისთვის კონფიდენციალური ინფორმაცია ნიშნავს ყველა არასაჯარო ინფორმაციას, რაც შეზღუდვების გარეშე, მოიცავს: ყველა ინფორმაციას, მონაცემს, ტექნოლოგიას, ნოუ-ჰაუსს, გამოგონებას, აღმოჩენას, დიზაინს, პროცესებს, ფორმულირებებს, მოდელებს, ფასებს, მარკეტინგს, მიმწოდებლებს და გაყიდვების მონაცემებს, კლიენტებისა და სავარაუდო ან პოტენციური კლიენტების ვინაობას და მოთხოვნებს, საქმიანობის წარმოების მეთოდებს, მარკეტინგულ ოპერაციასა და შესახებ ინფორმაციას, და/ან სავაჭრო და საქმიანობის საიდუმლოებებს, რომელიც შეიძლება გადაეცეს ან სხვაგვარად გაუმჟღავნდეს მიმღებ მხარეს გამამჟღავნებელი მხარის მიერ ან მისი სახელით ან რასაც მიმღები მხარე მიიღებს გამამჟღავნებელი მხარის მიერ. მიმღები მხარე არ გამოიყენებს კონფიდენციალურ ინფორმაციას რაიმე სხვა მიზნით, გარდა იმისა, რაც მოცემულია წინამდებარე წესდებაში და არ გაუმხელს რაიმე კონფიდენციალურ ინფორმაციას რომელიმე პირს გამამჟღავნებელი მხარის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, გარდა იმ შემთხვევისა, როცა მიმღები მხარე ავალდებულებს თითოეულ ასეთ ადამიანს იმოქმედოს მიმღები მხარის ვალდებულებათა შესაბამისად.

ვალდებულებები, რომლებიც მოცემულია ზედა აბზაცში, არ ვრცელდება ინფორმაციაზე, რომელიც (ა) წარმოადგენს ან გახდება საჯარო ინფორმაცია რაიმე სხვა მიზეზით, გარდა წინამდებარე წესდების დარღვევისა; (ბ) ცნობილი იყო მიმღების მხარისთვის მის გამჟღავნებამდე, როგორც ზემოთ ითქვა, იმის გათვალისწინებით, რომ გამჟღავნებისთანავე, მიმღები მხარე აცნობებს ამგვარ ფაქტს გამამჟღავნებელ მხარეს და წერილობით დაადასტურებს, რომ ამგვარი ფაქტი ცნობილი იყო მიმღები მხარისათვის; (გ) კანონიერად არის გადაცემული ან გამჟღავნებული მიმღების მხარისთვის მესამე მხარის მიერ, რომელსაც არ გააჩნია კონფიდენციალურობის ვალდებულება გამამჟღავნებელი მხარის მიმართ; (დ) მიმღებმა მხარემ უნდა გამჟღავნოს ნებისმიერი მოქმედი სამართლის ან კანონის თანახმად ან აგრეთვე საფონდო ბირჟის წესების და პროცესუალური ნორმების მიხედვით, რომელიც ვრცელდება მიმღებ მხარეზე ან მის ფილიალებზე; ან (ე) ეხება ექსკლუზიურად საზოგადოების საქმიანობას ან ბიზნესს.

კონკურენციის აკრძალვა

არცერთმა აქციონერმა, პირდაპირ ან არაპირდაპირ, არ უნდა გაუწიოს კონკურენცია საზოგადოების ბიზნეს საქმიანობას მანამ, სანამ ამგვარი მხარე არის საზოგადოების აქციონერი, გარდა საჯარო ვაჭრობის კომპანიებში პასიური ინვესტიციების განხორციელებისა, რომელთა ოდენობაც არ აჭარბებს ამგვარი კომპანიების განადგებული კაპიტალის არაუმეტეს 5%-ს. ზემოხსენებული შეზღუდვა ვრცელდება საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ, ნებისმიერ ტერიტორიაზე, სადაც საზოგადოება აწარმოებს თავის სამეწარმეო საქმიანობას ან აწარმოებს აქტიურ მოლაპარაკებებს, თორმეტი თვის მანძილზე იმ თარიღამდე, როდესაც ამგვარმა მხარემ შეწყვიტა აქციონერობა.

საზოგადოების რეორგანიზაცია

საზოგადოების რეორგანიზაცია ხორციელდება აქციონერთა საერთო კრების გადაწყვეტილებით. ამგვარი გადაწყვეტილების შემთხვევაში, რეორგანიზაციისა და შესაბამისი რეგისტრაციების პროცედურების აღსრულება, ზედამხედველობა და კონტროლი დაეკისრება სამეთვალყურეო საბჭოს.

სავალდებულო რეორგანიზაცია ჩატარდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ შემთხვევებში და დადგენილი წესით.

საზოგადოების რეორგანიზაცია მოიცავს მის შესაძლო შეერთებას, დაყოფას, განცალკევებას ან იურიდიული სტატუსის შეცვლას მოქმედი კანონმდებლობის თანახმად.

საზოგადოების ლიკვიდაცია

გადაწყვეტილება საზოგადოების ლიკვიდაციის შესახებ მიიღება საერთო კრების ან სასამართლოს მიერ, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ შემთხვევებში, ლიკვიდაციის სპეციფიკური მიზეზების მითითებით.

თუკი საზოგადოება ხდება ვალაუვალი, სამეთვალყურეო საბჭო დაუყოვნებლივ, არასათანადო გაჭიანურების გარეშე, მაგრამ არაუგვიანეს 3 სამუშაო დღისა შეატყობინებენ აქციონერებს და მიუთითებენ რაიმე გეგმას ლიკვიდაციის მიზეზების აღმოსაფხვრელად. აღნიშნულ საკითხზე მოიწვევა საგანგებო საერთო კრება, რომლითაც აქციონერებმა უნდა შეიმუშავონ ვალაუვალობის მიზეზების აღმოფხვრის გეგმები ან გადაწყვიტონ დირექტორების აღჭურვა შესაბამისი უფლებამოსილებით, რათა მათ შეავსოს ვაკუუმების განაცხადი, პეტიცია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

თუ მიიღება გადაწყვეტილება ლიკვიდაციის შესახებ, აქციონერთა საერთო კრება დანიშნავს ლიკვიდაციის კომისიას ან ლიკვიდატორს.

იმ შემთხვევაში თუ ლიკვიდაციის პროცედურები სრულდება სასამართლოს მიერ, ლიკვიდაციის კომისია (ლიკვიდატორი) დაინიშნება უფლებამოსილი მოსამართლის მიერ.

ლიკვიდაციის პერიოდში საზოგადოების ხელმძღვანელობას განხორციელებს ლიკვიდაციის კომისია (ლიკვიდატორი).

ლიკვიდაცია ჩატარდება საქართველოს იმ დროს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით და, აგრეთვე, შესაბამისი სალიკვიდაციო გეგმებით, რომელიც მიღებული და დამტკიცებულია საერთო კრების და/ან კრედიტორების და/ან სასამართლოს მიერ.

„დაზღვევის შესახებ“ საქართველოს კანონის 27-ე პრიმა მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, მზღვეველის სადაზღვევო საქმიანობის ლიცენზიის გაუქმების შედეგად იწყება მისი ლიკვიდაციის პროცესი.

აუდიტის კომიტეტი

აუდიტის კომიტეტი შეიქმნა სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე. აუდიტის კომიტეტის ძირითადი ფუნქციაა შიდა აუდიტისა და კომპანიის გარე აუდიტორების ფუნქციონირების ხელშეწყობა. აუდიტის კომიტეტი შედგება სამი წევრისაგან, რომელსაც ნიშნავს სამეთვალყურეო საბჭო. აუდიტის კომიტეტში შედის ერთი სამეთვალყურეო საბჭოს დამოუკიდებელი წევრი. აუდიტის კომიტეტის სხვა წევრებს ასევე ნიშნავს კომპანიის სამეთვალყურეო საბჭო.

აუდიტის კომიტეტის ფუნქციაა:

- ზედამხედველობა გაუწიოს:
 - ფინანსური ანგარიშგების შედგენის პროცესს
 - ხარისხის კონტროლის, რისკების მართვის და საჭიროების შემთხვევაში ფინანსური ინფორმაციის შიდა აუდიტის ეფექტიანობას.
- ფინანსური ანგარიშგების/კონსოლიდირებული ანგარიშგების აუდიტის განხორციელებას ხარისხის კონტროლის სისტემის მონიტორინგის ანგარიშში ასახული დასკვნების გათვალისწინებით.
- აუდიტორის/აუდიტორული ფირმის დამოუკიდებლობას შესაბამის სფეროში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

აუდიტის კომიტეტი კომპლექტდება კანონით დადგენილი წესის შესაბამისად.

აუდიტის კომიტეტის თავმჯდომარეა შალვა ახრაბაძე, ხოლო წევრები არიან ოზგურ გუვენი და დიმიტრი ქუმსიშვილი.

მატერიალური ხელშეკრულებები

პროსპექტის შედგენამდე 2 წლის განმავლობაში არ დადებულია რაიმე ხელშეკრულება, რომელიც უკავშირდება არსებით (მატერიალურ) ფაქტს და რომლის მხარეცაა ემიტენტი, ან ნებისმიერი სხვა კონტრაქტი (რომელიც არ არის ჩვეულებრივი ბიზნეს-ოპერაციების შედეგი), რომლითაც ემიტენტს ნაკისრი აქვს გარკვეული ვალდებულება ან მინიჭებული აქვს უფლება, რომელიც მატერიალურია პროსპექტის მომზადების თარიღისთვის.

დოკუმენტების ჩამონათვალი, რომლებიც ნახსენებია/მითითება არის გაკეთებული რეგისტრაციის დოკუმენტში:

რეგისტრაციის დოკუმენტში ნახსენებია შემდეგი დოკუმენტები:

- აუდირებული ფინანსური ანგარიშგებები - 2018 და 2019 წლები (ატვირთულია კომპანიის ვებ-გვერდზე www.greenig.ge);
- კომპანიის წესდება - (ატვირთულია საჯარო რეესტრის პორტალზე napr.gov.ge);
- ხელშეკრულება განთავსების აგენტსა და ემიტენტს შორის (დოკუმენტის გაცნობა ფიზიკური ფორმით შესაძლებელია ემიტენტის მისამართზე);

ფასიანი ქაღალდების მიმოხილვა

განაცხადი საბრუნავი კაპიტალის შესახებ

კომპანიის საბრუნავი კაპიტალი (მოკლევადიან აქტივებს მინუს მოკლევადიანი ვალდებულებები) 2020 წლის 31 მაისის მდგომარეობით არის 10,691 ათასი ლარი და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 6,568 ათასი ლარი იყო (31/12/2018: 4,569 ათასი ლარი), რაც მისაღებ დონეზეა.

კომპანიის მიმდინარე და ლიკვიდური (ლიკვიდური აქტივები შეფარდებული მოკლევადიან ვალდებულებებთან) კოეფიციენტები სტაბილურია, 8.90 და 6.95 იყო 2020 წლის 31 მაისის და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შესაბამისად. 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კი 7.39.

კომპანიის საბრუნავი კაპიტალი სავარაუდოდ მისი მიმდინარე ოპერაციების დასაფინანსებლად.

განუთავსებელი აქციების განთავსების შედეგად საბრუნავი კაპიტალი 17,665 ათას ლარამდე გაიზარდება.

კომპანიის მიმდინარე და ლიკვიდური კოეფიციენტები განთავსების შედეგად იქნება 14.05.

შეთავაზების განხორციელებაში ჩართული პირების ინტერესების აღწერა

შეთავაზების განხორციელებაში ჩართული პირების ინტერესების აღწერა

კომპანიის ფინანსური მრჩეველი და განთავსების აგენტია სს „გალტ & თაგარტი“ - (ს/ნ 211359206), მის: საქართველო, თბილისი 0179, აღმაშენებლის გამზ. N79, ტელ: (995 32) 2444-132 (995 32) 24401-111; ელ-ფოსტა: st@gt.ge.

ფინანსური მრჩეველის და განთავსების აგენტის ანაზღაურება მოცემული ტრანზაქციისთვის არ აღემატება 300,000 ლარს.

ინტერესთა კონფლიქტი

კომპანიასა და ფინანსურ მრჩეველს/განთავსების აგენტს შორის არ არის ინტერესთა კონფლიქტი, მხარეები არ წარმოადგენენ დაკავშირებულ და/ან აფილირებულ კომპანიებს.

ფასიანი ქაღალდების სავაჭროდ დაშვება ბირჟაზე

ემიტენტს გამიზნული აქვს წინამდებარე პროსპექტის დამტკიცების შემდგომ მიმართოს საქართველოს საფონდო ბირჟას განაცხადით აქციების სავაჭრო სისტემაში და საფონდო ბირჟის ლისტინგში დაშვების თაობაზე.

ფასიანი ქაღალდების მფლობელების მიერ წილის გასხვისება

ფასიანი ქაღალდების გაყიდვის შეთავაზებას ახორციელებს ს.ს. “მეტრო ავრასია ინვესტმენტ ჯორჯია” (საიდენტიფიკაციო კოდი 404392359; რეგისტრირებული მისამართი გოგოლის ქ. 1, ბათუმი საქართველო). 2020 წლის 31 ივლისის მდგომარეობით სს “მეტრო ავრასია ინვესტმენტ ჯორჯია“ არის სს გრინ დაზღვევა საქართველოს აქციების 47.2%-ის მფლობელი და შპს „ახალი საინვესტიციო შესაძლებლობები“ (საიდენტიფიკაციო კოდი 402154734; რეგისტრირებული მისამართი: თამარ მეფის გამზ. N17, თბილისი, საქართველო). 2020 წლის 31 მაისის მდგომარეობით შპს „ახალი საინვესტიციო შესაძლებლობები“ არის სს გრინ დაზღვევა საქართველოს აქციების 50.0%-ის მფლობელი.

შესათავაზებელია B ჯგუფის 4,000,000 ცალი, ხმის უფლების მქონე აქცია და ემიტენტის მიერ განთავსების შედეგად ამავე კლასის, B ჯგუფის 5,000,000 ცალი, ხმის უფლების მქონე განუთავსებელი აქცია.

აქციების გაყიდვაზე შეზღუდვა არ არის.

წილის განზავება

კომპანიის წილის მფლობელების სს „მეტრო ავრასია ინვესტმენტ ჯორჯია“-ს და შპს „ახალი საინვესტიციო შესაძლებლობები“-ს კაპიტალში წილისა და ხმის უფლების შედარება და ასევე 2020 წლის 31 ივლისის მდგომარეობით ერთ აქციაზე გაანგარიშებული წმინდა აქტივების კოეფიციენტისა და აქციაზე საბაზრო ფასის კოეფიციენტის შედარება საჯარო შეთავაზებამდე და საჯარო შეთავაზებით განხორციელებული ცვლილების შემდეგ მოცემულია ქვემოთ ცხრილში:

	საჯარო განთავსებასა და შეთავაზებამდე	საჯარო განთავსებით და შეთავაზებით განხორციელებული ცვლილების შემდეგ ²
სააქციო კაპიტალში წილი	100%	66.67%
სს „მეტრო ავრასია ინვესტმენტ ჯორჯია“	47.2%	31.47%
შპს „ახალი საინვესტიციო შესაძლებლობები“	50.0%	33.33%
სხვა არსებული აქციონერები	2.8%	1.87%
ხმის უფლება	არსებული ხმების 100%	არსებული ხმების 87%
სს „მეტრო ავრასია ინვესტმენტ ჯორჯია“	49.2%	42.7%
შპს „ახალი საინვესტიციო შესაძლებლობები“	50.0%	43.4%
სხვა არსებული აქციონერები	0.8%	0.7%
ერთ აქციაზე გაანგარიშებული წმინდა აქტივების კოეფიციენტი (2020 წლის 31 მაისის მდგომარეობით, (აქტივებს მინუს ვალდებულებები, გამოშვებულ აქციებთან)	1.08	1.10

² დათვლილია იმ დაშვებით, რომ მოხდება 5,000,000 ცალი, B კლასის აქციის საჯარო განთავსება;

შეთავაზების პირობები, მოსალოდნელი გრაფიკი და შეთავაზებაში მონაწილეობისათვის საჭირო პროცედურები

აქციების პირობები

5,000,000 ლარის ჯამური ნომინალური ღირებულების, ხმის უფლების მქონე, ჩვეულებრივი კლასის, B ჯგუფის განუთავსებელი აქციები, გამოშვებულია „კომპანიის“/„ემიტენტის“ აქციონერთა საერთო კრების 2020 წლის 3 აგვისტოს მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად.

აქციების პირობები და აქციონერთა უფლებები განისაზღვრება წინამდებარე პროსპექტითა და კომპანიის წესდებით. წესდებებსა და პროსპექტს შორის ურთიერთსაწინააღმდეგო/ურთიერთგამომრიცხავი დათქმების აღმოჩენის შემთხვევაში, უპირატესობა მიენიჭება წესდების პირობებს, გარდა პროსპექტის ამ თავისა (აქციების გამოშვების პირობები). ეჭვის გამოსარიცხად, აქციების გამოშვების პირობებით დადგენილ რეგულაციას ენიჭება უპირატესობა წესდებასთან მიმართებით.

წინამდებარე პროსპექტის შედგენის თარიღისთვის ემიტენტისთვის არ არის ცნობილი და არ მომხდარა წერილობითი ან ვერბალური შეთანხმება მის მენეჯმენტთან სამეთვალყურეო საბჭოს წევრებთან ან/და მნიშვნელოვანი წილის მქონე აქციონერებთან შეთავაზებაში მონაწილეობის და აღნიშნული ფასიანი ქაღალდების შექმნის შესახებ. არ არსებობს პირი, რომელთანაც მოხდა შეთანხმება აქციათა შეთავაზების 5%-ზე მეტი წილის გამოწერის შესახებ.

განთავსების ხელშეკრულება ჩაითვლება შესრულებულად აქციების სრულად განთავსების შემდგომ.

ფორმა, ნომინალური ღირებულება და საკუთრების უფლება

აქციები გამოშვებულია დემატერიალიზებული ფორმით, ელექტრონული ჩანაწერის სახით. ერთი აქციის ნომინალური ღირებულებაა 1 ლარი.

საკუთრების უფლება აქციაზე დასტურდება რეგისტრაციით: (i) ფასიანი ქაღალდების რეესტრში („ფასიანი ქაღალდების რეესტრი“), რომლის წარმოებასაც უზრუნველყოფს ემიტენტი „შეთავაზების ძირითად პირობებში“ მითითებული რეგისტრატორის მეშვეობით ემიტენტსა და „რეგისტრატორს“ შორის გაფორმებული ხელშეკრულების პირობების შესაბამისად; და/ან (ii) სხვა რეესტრებში/ჩანაწერებში, რომელსაც აწარმოებს აქციების ნებისმიერი „ნომინალური მფლობელი“. „ფასიანი ქაღალდების რეესტრი“ და (ii) პუნქტში მითითებული სხვა რეესტრები/ჩანაწერები შემდგომში მოიხსენიება როგორც „რეესტრი“.

1. აქციების შეთავაზების პროცედურა

განუთავსებელი აქციების შეთავაზებას ემიტენტის სახელით და მასთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე განახორციელებს განთავსების აგენტი. საჯარო შეთავაზების დაწყებამდე, განუთავსებელი აქციებით დაინტერესების მიზნით, განთავსების აგენტს ან/და მის უფლებამოსილ შუამავალს/შუამავლებს უფლება აქვთ დააგზავნონ დამტკიცებული პროსპექტი პოტენციურ ინვესტორებთან.

საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ პროსპექტის დამტკიცების შემდეგ, ემიტენტი მოახდენს აქციების საჯარო შეთავაზებას საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. ემიტენტი გამოაქვეყნებს შეტყობინებას აქციების შეთავაზების შესახებ საკუთარ ვებ-გვერდზე. ემიტენტი, განთავსების აგენტი, ან/და განთავსების პროცესში ჩართული ფინანსური შუამავალი პოტენციურ ინვესტორებს, მათი სურვილის შესაბამისად, მიაწვდიან პროსპექტის ელექტრონულ ბმულს, ან დასკანერებულ ვარიანტს ან პროსპექტის დაბეჭდილ

ასლს. საბოლოო პროსპექტი მიეწოდება პოტენციურ ინვესტორებს (მათ შორის, ემიტენტის ვებ-გვერდზე გამოქვეყნების გზით) საჯაროდ შეთავაზებული აქციების გაყიდვის თარიღამდე, დაწყებისთანავე ან/და გაყიდვის პროცესში.

პოტენციურ ინვესტორებს შეუძლიათ აქციების შესყიდვაზე ინტერესი გამოხატონ შესყიდვის შესახებ განაცხადის / შეტყობინების მიწოდებით ნებისმიერ განთავსების აგენტთან. აქციების ყიდვის სურვილის შეტყობინება დასაშვებია ელექტრონული კომუნიკაციის ან/და განთავსების აგენტის მიერ ნებადართული ნებისმიერი სხვა საშუალებებით. აქციების შესყიდვის შესახებ განაცხადის მიღების ბოლო ვადას ერთპიროვნულად განსაზღვრავს განთავსების აგენტი. თუ განაცხადების მიღების საბოლოო თარიღს დაემთხვა დასვენების დღე, მაშინ ასეთი თარიღის წინა სამუშაო დღე ჩაითვლება აქციების შესყიდვის შესახებ განაცხადის მიღების საბოლოო თარიღად.

შეთავაზების საბოლოო მოცულობა და ფასი პოტენციური ინვესტორებისათვის აქციების შეთავაზების პროცესში, აქციების შესყიდვაზე გამოვლენილი მოთხოვნების მოცულობიდან / პირობებიდან გამომდინარე (Book-building-ის შედეგად) დგინდება.

თუ Book-building-ის პროცესში პოტენციური ინვესტორებისაგან აქციების შესყიდვის თაობაზე განაცხადებით გამოხატულია ინტერესი იმაზე მეტი აქციის შეძენაზე, ვიდრე ამ პროსპექტით არის გათვალისწინებული, მაშინ განაცხადების დაკმაყოფილება მოხდება ნაწილობრივ, შემოსულ განაცხადებში მითითებული ოდენობების პროპორციულად ან სხვაგვარად, ემიტენტის გადაწყვეტილებისამებრ. ამასთანავე, იმ შემთხვევაში, თუ პოტენციური ინვესტორის განაცხადი დაკმაყოფილდა მხოლოდ ნაწილობრივ, პოტენციური ინვესტორი უფლებამოსილია უარი განაცხადოს ან გააგრძელოს აქციების შესყიდვის პროცესში მონაწილეობა. ამგვარი გადაწყვეტილების თაობაზე განთავსების აგენტს უნდა ეცნობოთ დაუყოვნებლივ (არაუგვიანეს მომდევნო სამუშაო დღის 14.00 საათამდე (თბილისის დროით)) მას შემდეგ, რაც ინვესტორს ეცნობება მისი განაცხადის კორექტირების (აქციების ოდენობის თვალსაზრისით) შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, განთავსების აგენტი უფლებამოსილია, თავისი შეხედულებისამებრ, კვლავ განიხილოს ინვესტორის საწყისი განაცხადი (მოთხოვნილი ფასიანი ქაღალდების სრულ ოდენობაზე), ან უარი განაცხადოს მასზე.

შეთავაზების საბოლოო მოცულობის განსაზღვრის (Book-building-ის) დასრულების შემდგომ განთავსების აგენტი განაცხადებს აღნიშნული მოცულობის შესახებ და იმ ინვესტორებს, რომელთა განაცხადებიც (მათ შორის, შეცვლილი რაოდენობით) დაკმაყოფილდა, მიაწვდის შესაბამის შეტყობინებას (ინდივიდუალურად ან ჯგუფურად). შეტყობინებაში მითითებულ უნდა იქნას აქციების ის ოდენობა, რომლის ფარგლებშიც დაკმაყოფილდა პოტენციური ინვესტორის განაცხადი. შეთავაზების საბოლოო ოდენობის შესახებ გამოცხადების მომენტიდან იმ პოტენციურ ინვესტორთა („ხელმომწერი ინვესტორები“) განაცხადებს, რომლებიც დაკმაყოფილდა, ექნება გამოუთხოვადი და მავალდებულებელი ძალა „ხელმომწერი ინვესტორისათვის“.

„ხელმომწერი ინვესტორები“ ვალდებული არიან შესაბამისი ოდენობის აქციების შესასყიდი თანხები სრულად განათავსონ საბროკერო ანგარიშზე „გამოშვების თარიღამდე“ არანაკლებ 2 სამუშაო დღით ადრე. „ხელმომწერი ინვესტორის“ მიერ აღნიშნული საბროკერო ანგარიში გახსნილი უნდა იქნას განთავსების აგენტთან. ამავე ანგარიშზე ხდება „ხელმომწერი ინვესტორის“ მიერ შესყიდული აქციების მიწოდება ემიტენტის მიერ „გამოშვების თარიღზე“. გამონაკლის შემთხვევებში, განთავსების აგენტს შეუძლია ერთპიროვნულად დართოს ნება „ხელმომწერი ინვესტორს“ აქციების გამოსასყიდი თანხები, ნაცვლად

განთავსების აგენტთან გახსნილი საბროკერო ანგარიშისა, მიმართოს ემიტენტის ნომინალური მფლობელობის ანგარიშზე განთავსების აგენტთან. ასეთ შემთხვევაში, აქციების მიწოდება „ხელმომწერი ინვესტორისათვის“ ხდება „რეგისტრატორთან“ ან სხვა უფლებამოსილ „ნომინალურ მფლობელთან“ არსებულ „ხელმომწერი ინვესტორის“ ანგარიშზე.

აქციების განთავსების შემდეგ „აქციონერებს“ შეუძლიათ ფლობდნენ ახალი აქციებს სხვა „ნომინალურ მფლობელთან“ გახსნილ ანგარიშ(ებ)ზე ან „რეგისტრატორში“ ჩანაწერის სახით.

2. აქციების გასხვისება

აქციების გასხვისება ხდება საქართველოს კანონმდებლობით (მათ შორის, „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ კანონით“) დადგენილი წესით საქართველოს იურისდიქციის ფარგლებში. აქციების გასხვისება და საკუთრების უფლების გადაცემა მხოლოდ მაშინ არის ნამდვილი, თუ ამგვარი გასხვისების შედეგად აქცი(ებ)ზე საკუთრების უფლების ცვლილება დარეგისტრირდება შესაბამის „რეესტრში“.

აქციების გამოშვების შემდგომ შეძლებისდაგვარად მოკლე ვადებში, ემიტენტი მიმართავს საქართველოს საფონდო ბირჟას განაცხადით აქციების სავაჭრო სისტემაში და საფონდო ბირჟის ლისტინგში დაშვების თაობაზე. სავაჭრო სისტემაში დაშვების თაობაზე დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში, შესაძლებელი გახდება აქციებით გარიგებების დადება საქართველოს საფონდო ბირჟაზე საფონდო ბირჟის წესებისა და ბირჟაზე დაშვებული ფასიანი ქაღალდების თაობაზე კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად.

ახალი და არსებული აქციების ნებისმიერი გასხვისების (როგორც პირველად, ისე მეორე ბაზარზე) წინაპირობას წარმოადგენს აქციების გამოშვების მე-4 პუნქტით (ქვემოთ) განსაზღვრული ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულება და ამავდროულად, საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის მიერ „დაზღვევის შესახებ“ საქართველოს კანონის (მისი ყველა განახლების და ცვლილების ჩათვლით) 28-ე მუხლის მე-52 და მე-6 პუნქტების შესაბამისად არ მოხდება დასაბუთებული უარის გამოცხადება. ყოველგვარი ექვის გამოსარიცხად, ახალი და არსებული აქციების გასხვისება იქნება ბათილი და არ წარმოშობს სამართლებრივად ქმედით უფლებებს და ვალდებულებებს თუ ჯეროვნად და სრულად არ არის შესრულებული აქციების გამოშვების მე-3 და მე-4 პუნქტით და დაზღვევის შესახებ საქართველოს კანონით (მისი ყველა განახლების და ცვლილების ჩათვლით) განსაზღვრული ყველა მოთხოვნა.

3. პოტენციური ინვესტორის ვალდებულება

პოტენციური ინვესტორი ან/და (ახალი თუ არსებული) აქციების ნებისმიერი პოტენციური მყიდველი ან/და (ახალი თუ არსებული) აქციების ნებისმიერი პოტენციური გამყიდველი როგორც პირველად, ისე მეორე ბაზარზე ვალდებულია კომპანიის მნიშვნელოვანი წილის გასხვისებისას კომპანიას და საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურს წინასწარ წერილობით აცნობოს აღნიშნული პოტენციური გარიგების შესახებ და მათ წარუდგინოს „დაზღვევის შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-5 პუნქტის „ზ“ და „ი“ ქვეპუნქტებით (მასში დრო და დრო შესული ცვლილებებისა და დამატებების გათვალისწინებით) განსაზღვრული დოკუმენტაცია/ინფორმაცია, აგრეთვე მონაცემები/ინფორმაცია მნიშვნელოვანი წილის შემქენი პირის ფინანსური მდგომარეობისა და ფულის წარმოშობის შესახებ გარიგების ღირებულების ფარგლებში და ვალდებულია ჯეროვნად შეასრულოს დაზღვევის შესახებ საქართველოს კანონის (მისი ყველა განახლების და ცვლილების ჩათვლით) მოქმედი რედაქციით განსაზღვრული ყველა ვალდებულება. კომპანიის მნიშვნელოვანი წილის გასხვისება

ჩათვლება ნამდვილად მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ პოტენციური ინვესტორის მიერ მოხდება ზემოხსენებული ვალდებულების ჯეროვნად და სრულად შესრულება და ამავდროულად, საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის მიერ „დაზღვევის შესახებ“ საქართველოს კანონის 28-ე მუხლის მე-52 და მე-6 პუნქტების შესაბამისად არ მოხდება დასაბუთებული უარის გამოცხადება.

კომპანიის მნიშვნელოვანი წილი განიმარტება დაზღვევის შესახებ საქართველოს კანონის (მისი ყველა განახლების და ცვლილების ჩათვლით) მოქმედი რედაქციის შესაბამისად.

„დაზღვევის შესახებ“ კანონის მუხლი 22 პრიმა მუხლით დგინდება მზღვეველის მნიშვნელოვანი წილის მფლობელი აქციონერის, სამეთვალყურეო საბჭოს წევრებისა და დირექტორების შესაფერისობის კრიტერიუმები.

ასევე, ფასიანი ქაღალდების შესახებ კანონის მე-14 მუხლის მიხედვით, ფასიანი ქაღალდების მნიშვნელოვანი წილის შეძენის შემთხვევაში, ფასიანი ქაღალდების მფლობელი ვალდებულია ეს ინფორმაცია გაასაჯაროს. კერძოდ, იმ ემიტენტის წილობრივი ფასიანი ქაღალდების მფლობელი, რომელსაც გამოშვებული აქვს ხმის უფლების მქონე საჯარო წილობრივი ფასიანი ქაღალდები, ვალდებულია საქართველოს ეროვნულ ბანკს და აღნიშნულ ემიტენტს წარუდგინოს შეტყობინება, თუ მის მფლობელობაში არსებული ემიტენტის ხმის უფლების მქონე ფასიანი ქაღალდების წილი მიაღწევს, გადააჭარბებს ან ჩამოსცდება შემდეგ ზღვრულ ოდენობას: 5%-ს, 10%-ს, 15%-ს, 20%-ს, 25%-ს, 30%-ს, 50%-ს, 75%-ს. აღნიშნული შეტყობინების წარდგენის ვალდებულება ეკისრება ამ პუნქტით გათვალისწინებული ფასიანი ქაღალდების არსებულ მფლობელს, აგრეთვე ყოფილ მფლობელს (ზღვრული ოდენობის ჩამოცდენისას). (დეტალებისთვის, გთხოვთ იხილოთ ფასიანი ქაღალდების შესახებ კანონის მე-14 მუხლი <https://matsne.gov.ge/document/view/18196?publication=36>).

4. სხვა პირობები

აქციების მარეგულირებელი სხვა პირობები, მისგან გამომდინარე უფლებები, ვალდებულებები და შეზღუდვები განსაზღვრულია კომპანიის წესდებაში, რომელიც დანართი #1-ის სახით ერთვის წინამდებარე პროსპექტს. წესდებასა და პროსპექტში არსებულ ურთიერთსაწინააღმდეგო ინფორმაციის არსებობის შემთხვევაში, უპირატესობა ენიჭება წესდებაში არსებულ ინფორმაციას. წესდების ცვლილების შემთხვევაში, პროსპექტში გამჟღავნებული ინფორმაციის განახლებული ვერსია (რაც წესდებით ივარდება), ინვესტორებს შეეძლება ნახონ განახლებულ წესდებაში. წესდების ცვლილების შემთხვევაში, წესდების უახლოესი ვერსიის საჯაროდ ხელმისაწვდომობას უზრუნველყოფს კომპანია.

4. ტერმინთა განმარტება

წინამდებარე “პირობებში” გამოყენებულ ტერმინებს (თუკი კონტექსტი სხვაგვარად არ მოითხოვს) გააჩნიათ შემდეგი მნიშვნელობები:

"სამუშაო დღე" არის ნებისმიერი დღე (შაბათის და კვირის გარდა), როდესაც კომერციული ბანკები ახორციელებენ გადახდებს და აწარმოებენ ჩვეულებრივ საქმიანობას (მათ შორის, სავალუტო ოპერაციებს) თბილისში.

"გამოშვების თარიღი" ნიშნავს თარიღს, როდესაც ხდება ობლიგაციების გამოშვება, როგორც ეს მოცემულია პროსპექტის თავში - „შეთავაზების ძირითადი პირობები“.

"ნომინალური მფლობელი" ნიშნავს ფასიანი ქაღალდების ნომინალურ მფლობელს "ფასიანი ქაღალდების კანონით" განსაზღვრული მნიშვნელობით.

"ფასიანი ქაღალდების კანონი" ნიშნავს 1998 წლის 24 დეკემბერს მიღებულ საქართველოს კანონს „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ, მასში შეტანილი ცვლილებების გათვალისწინებით“;

5. მარეგულირებელი სამართალი და იურისდიქცია

- (ა) **მარეგულირებელი სამართალი:** პროსპექტი და აქციები, ასევე მათგან გამომდინარე ან მათთან დაკავშირებული ნებისმიერი არასახელშეკრულებო ვალდებულება, წესრიგდება და განიმარტება საქართველოს კანონდებლობის შესაბამისად.
- (ბ) **იურისდიქცია:** საქართველოს სასამართლოებს გააჩნიათ ექსკლუზიური კომპეტენცია პროსპექტთან ან აქციებთან დაკავშირებით წარმოშობილ ნებისმიერ დავაზე (მათ შორის ნებისმიერ სარჩელზე, დავაზე ან შეუთანხმებლობაზე პროსპექტის ან/და აქციების გამოშვებასთან, მოქმედების შეწყვეტასთან ან ნამდვილობასთან დაკავშირებით, ან პროსპექტიდან ან აქციებიდან გამომდინარე ნებისმიერ არასახელშეკრულებო ვალდებულებებთან დაკავშირებით).

ფასიანი ქაღალდების დაბეგვრა საქართველოში

ქვემოთ მოცემული ინფორმაცია წარმოადგენს ფასიან ქაღალდებთან დაკავშირებული ძირითადი საგადასახადო საკითხების ზოგად აღწერას. შესაბამისად, აღნიშნული არ წარმოადგენს აქციებთან დაკავშირებული საგადასახადო საკითხების ამომწურავ შეფასებას. აქციების პოტენციურმა შემძენებმა კონსულტაციები უნდა გაიარონ საკუთარ საგადასახადო მრჩეველებთან აქციების შეძენასთან, ფლობასთან და გასხვისებასთან დაკავშირებით, ასევე დივიდენდის და/ან სხვა შემოსავლების მიღების შესახებ და ამგვარი ქმედებების საგადასახადო შედეგების თაობაზე. მიმოხილვა ეფუძნება წინამდებარე პროსპექტის შედგენის თარიღისთვის მოქმედ კანონმდებლობას, რომელიც შეიძლება შეიცვალოს აღნიშნული თარიღის შემდეგ. ამ თავში წარმოდგენილი ინფორმაცია და ანალიზი შეეხება მხოლოდ საგადასახადო საკითხებს და პოტენციურმა ინვესტორებმა არ უნდა გამოიყენონ ეს ინფორმაცია ან ანალიზი სხვა სფეროებში, მათ შორის აქციებთან დაკავშირებული ტრანზაქციების ნამდვილობასთან მიმართებით.

დივიდენდის დაბეგვრა გადახდის წყაროსთან

საქართველოს საგადასახადო კოდექსის თანახმად, „აქციების“ მფლობელებისათვის, თუ ასეთი მფლობელები წარმოადგენენ რეზიდენტ ან არარეზიდენტ ფიზიკურ პირებს ან არარეზიდენტ იურიდიულ პირებს, გადახდილი დივიდენდი ექვემდებარება გადახდის წყაროსთან დაბეგვრას 5 (ხუთ) პროცენტის განაკვეთით. გარდა ამისა, ზემოთ მითითებული გადახდის წყაროსთან დაბეგრილი დივიდენდი არ ჩაითვლება ამ პირის ერთობლივ შემოსავალში და შემდგომ დაბეგვრას არ ექვემდებარება.

„აქციების“ მფლობელი რეზიდენტი იურიდიული პირისთვის, რომელიც არ ექვემდებარება დაბეგვრას მოგების განაწილებისას, გადახდილი დივიდენდი გადახდის წყაროსთან არ იბეგრება და დივიდენდების მიმღები საწარმოს მიერ არ ჩაირთვება ერთობლივ შემოსავალში. „აქციების“ მფლობელი რეზიდენტი იურიდიული პირისთვის, რომელიც ექვემდებარება დაბეგვრას მოგების განაწილებისას, გადახდილი დივიდენდი გადახდის წყაროსთან არ იბეგრება და დაიბეგრება საქართველოს კანონმდებლობით

დადგენილი წესის შესაბამისად, ასეთი იურიდიული პირის მიერ მოგების განაწილებისას (15%-იანი განაკვეთით).

საქართველოში მიღებული დივიდენდის წყაროსთან დასაკავებელ გადასახადზე შესაძლოა ასევე გავლენა იქონიოს საქართველოსა და არარეზიდენტი აქციონერის რეზიდენტობის ქვეყანას შორის არსებულმა ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების შესახებ საერთაშორისო შეთანხმებამ.

აქციების გასხვისების დაბეგვრა

რეზიდენტი იურიდიული პირის მიერ საქართველოში საჯარო შეთავაზების გზით გამოშვებული და საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ აღიარებულ ორგანიზებულ ბაზარზე სავაჭროდ დაშვებული წილობრივი ფასიანი ქაღალდის მიწოდებით მიღებული შემოსავალი გათავისუფლებულია დაბეგვრისაგან საქართველოს რეზიდენტი და არარეზიდენტი ფიზიკური და არარეზიდენტი იურიდიული პირებისათვის.

თუ ზემოხსენებული საგადასახადო შეღავათი არ ვრცელდება, აქციის გასხვისებისას შესაძლოა წარმოიშვას შემდეგი საგადასახადო ვალდებულებები:

- აქციის მფლობელი არარეზიდენტი იურიდიული პირების მიერ აქციების რეალიზაციით მიღებული ნამეტი შემოსავლის დაბეგვრა

არარეზიდენტი იურიდიული პირების მოგება (დასაბეგრი ობიექტი - საწყის და სარეალიზაციო ფასებს შორის არსებული სხვაობა) 15 პროცენტის განაკვეთით. თუ ამგვარი რეალიზაცია საგადასახადო ვალდებულებას წარმოშობს, გამყიდველი არარეზიდენტი იურიდიული პირი ვალდებული იქნება სწორად მოახდინოს გადასახადის ანგარიშგება და გადახდა საგადასახადო ორგანოში ან თუ რეალიზაცია ხორციელდება საქართველოში მოქმედი საბროკერო კომპანიის საშუალებით, ეს კომპანია იქნება პასუხისმგებელი ამ გადასახადის წყაროსთან დაკავებაზე. საქართველოში მოგების გადასახადის გადახდაზე შესაძლოა გავლენა იქონიოს ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების შესახებ საერთაშორისო შეთანხმებამ, რომელიც საქართველოს აქვს გაფორმებული ქვეყანასთან, რომლის რეზიდენტიც არის გამყიდველი პირი.

- აქციის მფლობელი არარეზიდენტი ფიზიკური პირების მიერ აქციების რეალიზაციით მიღებული ნამეტი შემოსავლის დაბეგვრა

არარეზიდენტი ფიზიკური პირების შემოსავალი (დასაბეგრი ობიექტი - საწყის და სარეალიზაციო ფასებს შორის არსებული სხვაობა) იბეგრება 20 პროცენტის განაკვეთით. თუ ამგვარი რეალიზაცია საგადასახადო ვალდებულებას წარმოშობს, გამყიდველი არარეზიდენტი ფიზიკური პირი ვალდებული იქნება სწორად მოახდინოს გადასახადის ანგარიშგება და გადახდა საგადასახადო ორგანოში ან, თუ რეალიზაცია ხორციელდება საქართველოში მოქმედი საბროკერო კომპანიის საშუალებით, ეს კომპანია იქნება პასუხისმგებელი ამ გადასახადის წყაროსთან დაკავებაზე. საქართველოში მოგების გადასახადის გადახდაზე შესაძლოა გავლენა იქონიოს ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების შესახებ საერთაშორისო შეთანხმებამ, რომელიც საქართველოს აქვს გაფორმებული ქვეყანასთან, რომლის რეზიდენტიც არის გამყიდველი პირი.

გამონაკლისები შეიძლება გავრცელდეს აქციების ცალკეულ მფლობელებზე, თუ ისინი აქციებს ფლობენ ორ კალენდარულ წელზე მეტი ხნით და არ იყენებენ მათ ეკონომიკურ საქმიანობაში.

- აქციების მფლობელი რეზიდენტი იურიდიული პირების მიერ აქციების რეალიზაციით მიღებული ნამეტი შემოსავლის დაბეგვრა

რეზიდენტი იურიდიული პირის, რომელიც არ ექვემდებარება დაბეგვრას მოგების განაწილებისას, მიერ აქციების გასხვისებისას მიღებული ნამეტი შემოსავალი (საწყის და სარეალიზაციო ფასებს შორის არსებული სხვაობა) ჩაირთვება მის ერთობლივ შემოსავალში. საქართველოს რეზიდენტი იურიდიული პირის, რომელიც ექვემდებარება დაბეგვრას მოგების განაწილებისას, მიერ აქციების გასხვისებისას მიღებული ნამეტი შემოსავალი (საწყის და სარეალიზაციო ფასებს შორის არსებული სხვაობა) იბეგრება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად, მოგების განაწილებისას (15%-იანი განაკვეთით).

- აქციების მფლობელი რეზიდენტი ფიზიკური პირების მიერ აქციების რეალიზაციით მიღებული ნამეტი შემოსავლის დაბეგვრა

რეზიდენტი ფიზიკური პირების შემოსავალი (დასაბეგრი ობიექტი - საწყის და სარეალიზაციო ფასებს შორის არსებული სხვაობა) იბეგრება 20 პროცენტის განაკვეთით. თუ რეალიზაცია ხორციელდება საქართველოში მოქმედი საბროკერო კომპანიის საშუალებით, ის იქნება პასუხისმგებელი წყაროსთან შესაბამისი გადასახადების დაკავებაზე.

გამონაკლისები შეიძლება გავრცელდეს აქციების ცალკეულ მფლობელებზე, თუ ისინი აქციებს ფლობენ ორ კალენდარულ წელზე მეტი ხნით და არ იყენებენ მათ ეკონომიკურ საქმიანობაში.

დამატებული ღირებულების გადასახადი

აქციების რეალიზაცია (მიწოდება) თავისუფლდება დამატებული ღირებულების გადასახადისგან საქართველოში.

დანართი #1

სააქციო საზოგადოება
„გრინ დაზღვევა საქართველო“

წ ე ს დ ე ბ ა

(ახალი რედაქცია)

2020

სააქციო საზოგადოება

„გრინ დაზღვევა საქართველო“

მუხლი 1. საზოგადოების ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა, საფირმო სახელწოდება, საზოგადოების იურიდიული მისამართი

1. სააქციო საზოგადოება „გრინ დაზღვევა საქართველო“-ს აქციონერებს, წინამდებარე წესდებით გათვალისწინებული წესის შესაბამისად, სურთ მოაწესრიგონ მათი, როგორც საზოგადოების აქციონერების ურთიერთობის ძირითადი ასპექტები.
2. საზოგადოების ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმაა: სააქციო საზოგადოება.
3. საზოგადოების საფირმო სახელწოდებაა:
 - ქართულად: სააქციო საზოგადოება „გრინ დაზღვევა საქართველო“;
 - შემოკლებით: სს „გრინ დაზღვევა საქართველო“;
 - ინგლისურად: „GREEN INSURANCE GEORGIA“ Joint Stock Company;
 - შემოკლებით: „GREEN INSURANCE GEORGIA“ JSC.
4. საზოგადოების იურიდიული მისამართია: საქართველო, ქ. თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, ა. კალანდაძის ქ. #4.
5. საზოგადოების ელექტრონული საფოსტო მისამართია: info@greenig.ge
6. საზოგადოება საკუთარ ვალდებულებებზე პასუხს აგებს მთელი თავისი ქონებით. საზოგადოების აქციონერი პასუხს არ აგებს სააქციო საზოგადოების ვალდებულებებისათვის.
7. საზოგადოება შექმნილია განუსაზღვრელი ვადით.
8. საზოგადოების სამეურნეო წელი არის კალენდარული წელი.

მუხლი 2. საზოგადოების საქმიანობის საგანი

1. საზოგადოების საქმიანობის ძირითადი მიზანია მოგების მიღება.
2. საზოგადოების საქმიანობის ძირითადი საგანია სადაზღვევო საქმიანობა, აგრეთვე სადაზღვევო რისკის, ზარალის მოცულობისა და შემთხვევის უტყუარობის შეფასებასთან დაკავშირებული საქმიანობა, დაზღვევის სფეროში საკონსულტაციო მომსახურება;
3. საზოგადოებას შეუძლია განახორციელოს ნებისმიერი საქმიანობა, რაც პირდაპირ ან არაპირდაპირ ემსახურება საზოგადოების ინტერესებს და აკრძალული არ არის საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით.
4. საქმიანობას, რომლის განსახორციელებლად საქართველოს კანონმდებლობა ითვალისწინებს სპეციალურ ნებართვას (ლიცენზირება, სერტიფიცირება, ნებართვის მოპოვება), საზოგადოება წარმართავს მხოლოდ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით სათანადო ლიცენზიის (ნებართვის, სერტიფიკატის) მიღების შემდეგ.

ვაკე აქციონერი

მუხლი 3. საწესდებო კაპიტალი. აქციონერთა რეესტრი

1. საზოგადოების კაპიტალი შეადგენს 10 000 0000 (ათ მილიონ) ლარს.
2. საწესდებო კაპიტალი დაყოფილია 10 000 000 (ათი მილიონი) აქციად, რომელთაგან თითოეულის ნომინალური ღირებულებაა 1 (ერთი) ლარი. კაპიტალი დაყოფილია შემდეგი კლასის აქციებად:
 - A კლასი - 4,350,000 (ოთხი მილიონ სამასორმოცდაათი ათასი) ცალი აქცია.
 - AA კლასი - 1,650,000 (ერთი მილიონ ექვსასორმოცდაათი ათასი) ცალი აქცია.
 - B კლასი - 4,000,000 (ოთხი მილიონი) ცალი აქცია.
3. აქცია არის არამატერიალიზებული სახელობითი ფასიანი ქაღალდი, რომელიც ადასტურებს სააქციო საზოგადოების ვალდებულებებს პარტნიორის (აქციონერის) მიმართ და აქციონერის უფლებებს სააქციო საზოგადოებაში. ერთი კლასის აქციები თანაბარი უფლებებით უზრუნველყოფენ მათ მფლობელებს.
4. ამ მუხლით გათვალისწინებული აქციათა კლასების გარდა, აქციონერთა საერთო კრების გადაწყვეტილებით სააქციო საზოგადოებამ შესაძლებელია გაითვალისწინოს სხვა კლასის აქციების არსებობაც. ასევე საზოგადოებას უფლება აქვს კანონმდებლობით დადგენილი წესის მიხედვით გამოუშვას ნებისმიერ სახის ფასიანი ქაღალდები ან/და აქციებში კონვერტირებადი სხვა ფასიანი ქაღალდები.
5. აქციონერთა საერთო კრებაზე, AA კლასის 1 (ერთი) აქცია უზრუნველყოფს 15 (თხუთმეტი) ხმის უფლებას, A კლასის 1 (ერთი) აქცია უზრუნველყოფს ერთი ხმის უფლებას, ხოლო B კლასის 1 (ერთი) აქცია უზრუნველყოფს ერთი ხმის უფლებას შემდეგი შეზღუდვით - B კლასის აქციათა მფლობელი არ მონაწილეობს სამეთვალყურეო საბჭოს წევრის არჩევის ან მისი უკან გამოწვევის/განთავისუფლების პროცესში.
მხოლოდ (A) და (AA) კლასის აქციათა მფლობელებს ენიჭებათ უფლება აირჩიონ საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს წევრები ან გამოიწვიონ/გათავისუფლონ ისინი სამეთვალყურეო საბჭოდან.
6. საზოგადოების აქციონერს წარმოადგენს პირი, რომლის საკუთრების უფლება აქციაზე დასტურდება საზოგადოების აქციათა რეესტრში ჩანაწერით ან ნომინალური მფლობელის ჩანაწერით. აქციონერს უნდა მიეცეს ამონაწერი საზოგადოების აქციათა რეესტრიდან ან ნომინალური მფლობელის ამონაწერი.
7. საზოგადოების აქციათა რეესტრის წარმოება უნდა განხორციელდეს დამოუკიდებელი რეგისტრატორის მეშვეობით.
8. აქციების გადაცემა ხორციელდება აქციათა რეესტრში რეესტრის წარმოებაზე უფლებამოსილი პირის მიერ შესაბამისი ცვლილების შეტანით. აქციათა გასხვისება არ ჩაითვლება დასრულებულად მათი აქციონერთა რეესტრში საბოლოოდ დარეგისტრირებამდე.

მუხლი 4. აქციონერთა უფლებები და მოვალეობები

1. აქციონერთა ერთადერთი მოვალეობაა შეიტანოს შესატანი კუთვნილი რაოდენობის აქციების მისაღებად.
2. აქციონერთა წილი მოგებაში განისაზღვრება აქციათა რაოდენობისა და კლასის შესაბამისად. შესატანები, რომლებიც სრულად არ არის შეტანილი, მონაწილეობენ მოგების განაწილებაში შენატანის სიდიდის პროპორციულად. დივიდენდის განაწილების შესახებ (რაოდენობა, პერიოდულობა) გადაწყვეტილებას იღებს აქციონერთა საერთო კრება.
3. აქციონერს უფლება აქვს, საერთო კრებაზე, დღის წესრიგის თითოეული პუნქტის გამო მოსთხოვოს განმარტება საზოგადოების გენერალურ დირექტორს და სამეთვალყურეო საბჭოს და გამოთქვას თავისი აზრი.

კვა ევანგელიძე

თუ მოთხოვნა წერილობით იქნა დაყენებული საერთო კრებამდე ათი დღით ადრე, მაშინ იგი უნდა შესრულდეს ან განიხილოს დღის წესრიგის ერთ-ერთ საკითხად. ინფორმაციის გაცემაზე უარი შეიძლება ითქვას მხოლოდ საზოგადოების არსებითი ინტერესების საფუძველზე, რაც წერილობით უნდა იქნეს დასაბუთებული.

4. აქციონერს შეუძლია თავისი ხმის უფლება გამოიყენოს საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე, გარდა იმ შემთხვევისა, როცა მოსალოდნელი გადაწყვეტილება ეხება მასთან გარიგების დადებას ან მისი ანგარიშის დამტკიცებას.

5. აქციონერები თავიანთ ხმის უფლებას ახორციელებენ საერთო კრებაზე.

6. აქციების 5%-ის მფლობელ აქციონერებს უფლება აქვთ, მოითხოვონ სამეურნეო მოქმედებების ან მთლიანად წლიური ბალანსის სპეციალური შემოწმება, თუ ისინი მიიჩნევენ, რომ ადგილი აქვს დარღვევებს.

7. ნებისმიერი კლასის აქციების 5%-ის მფლობელ აქციონერებს ან აქციონერთა ჯგუფს უფლება აქვთ სამეთვალყურეო საბჭოს მოთხოვონ საზოგადოების აქციონერთა რიგგარეშე კრების ჩატარება. მოთხოვნა წერილობით უნდა იქნეს წარდგენილი და შეიცავდეს დღის წესრიგის საკითხებს, რომელთა შინაარსი უნდა შესაბამისობაში იყოს საზოგადოების მიზნებსა და საქმიანობის ხასიათთან. ასეთ შემთხვევაში სამეთვალყურეო საბჭო ვალდებულია წერილობითი მოთხოვნის მიღებიდან არა უგვიანეს 3 თვისა ჩაატაროს საერთო კრება. სამეთვალყურეო საბჭო ან გენერალური დირექტორი, ნებისმიერი კლასის აქციების 5%-ის მფლობელი აქციონერები ან აქციონერთა ჯგუფი უფლებამოსილი არიან შეიტანონ დამატებები აქციონერთა მიერ წარმოდგენილ დღის წესრიგში. ნებისმიერი კლასის აქციების 5%-ის მფლობელ აქციონერებს ან აქციონერთა ჯგუფს რიგგარეშე კრების მოწვევის მოთხოვნის დაყენების უფლება აქვთ ბოლო კრების ჩატარებიდან არა უადრეს 1 თვისა.

8. თუ ნებისმიერი კლასის აქციების 5%-ის მფლობელი აქციონერები ან აქციონერთა ჯგუფი (კრების ინიციატორები) მიმართავენ სამეთვალყურეო საბჭოს რიგგარეშე კრების ჩატარების მოთხოვნით და ამ კრების ერთადერთი საკითხი არის გენერალური დირექტორის გადაყენების მოთხოვნა, მაშინ კრება ტარდება ამ პუნქტით გათვალისწინებული წესების მიხედვით.

9. თუ სამეთვალყურეო საბჭოს მიერ რიგგარეშე კრების ჩატარების მოთხოვნიდან 20 დღის ვადაში არ იქნა მოწვეული რიგგარეშე კრება, მაშინ ამ კრების ჩატარების უფლება აქვთ კრების ინიციატორებს, რომლებმაც ამ მოთხოვნით მიმართეს სამეთვალყურეო საბჭოს ან გენერალურ დირექტორს. ამ შემთხვევაში კრების ინიციატორები საზოგადოების ყველა აქციონერს დაზღვეული წერილით უგზავნიან რიგგარეშე საერთო კრების ჩატარების შესახებ მოსაწვევს ამ პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად, დღის წესრიგის ერთადერთი საკითხის მითითებით. დაუშვებელია დღის წესრიგში დამატებითი საკითხის შეტანა. ამ შემთხვევაში რიგგარეშე კრება უფლებამოსილია, თუ მას ესწრება ხმათა საერთო რაოდენობის არანაკლებ 75%-ის მქონე პარტნიორი (პარტნიორები). თუ კვორუმი არ შედგა, კრების ინიციატორებს შეუძლიათ ხელახლა მოიწვიონ კრება არა უადრეს პირველი კრების მოწვევიდან 20 დღისა. კრების ინიციატორები ხელახალ რიგგარეშე კრებას მოიწვევენ ამ პუნქტით დადგენილი წესით. ეს კრება უფლებამოსილია, თუ მას ესწრება ხმათა საერთო რაოდენობის არანაკლებ 75%-ის მქონე პარტნიორი (პარტნიორები). თუ კვორუმი არ შედგა, კრების ინიციატორებს უფლება აქვთ, მიმართონ სასამართლოს საზოგადოების იურიდიული მისამართის მიხედვით, რომელიც სამეთვალყურეო საბჭოს ან გენერალურ დირექტორს ავალებს რიგგარეშე კრების გადაწყვეტილების მიღებიდან 3 თვეში ჩატარებას.

10. ხმების 5%-ის მფლობელ აქციონერებს უფლება აქვთ, შესაბამისი მმართველობის ორგანოსგან მოითხოვონ საზოგადოების სახელით დადებული გარიგების ასლები ან/და ინფორმაცია დასადები გარიგებების შესახებ.

ვა ნენგეოპაძე

11. თუ საზოგადოებამ არ განახორციელა თავისი მოთხოვნა მესამე პირების მიმართ, აქციონერს შეუძლია საზოგადოების ნაცვლად და მის სასარგებლოდ თავისი სახელით შეიტანოს სარჩელი აღნიშნული მოთხოვნის განსახორციელებლად. იგი მიიჩნევა სათანადო მოსარჩელედ, თუ ასეთი სარჩელის აღძვრის მოთხოვნით საზოგადოებისადმი მიმართვიდან 90 დღის განმავლობაში საზოგადოება არ აღძრავს სარჩელს ან ვერ დაასაბუთებს, რომ სარჩელის აღძვრა ეწინააღმდეგება საზოგადოების ინტერესებს. სასამართლოს მიერ აქციონერის სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში საზოგადოება ვალდებულია აუნაზღაუროს აქციონერს სარჩელთან დაკავშირებული, კეთილგონიერების ფარგლებში გაწეული სასამართლოსგარეშე ხარჯები, ადვოკატის ხარჯების ჩათვლით. საზოგადოება თავისუფლდება ამ ხარჯების ანაზღაურების მოვალეობისაგან, თუ იგი დაამტკიცებს, რომ სარჩელის დაკმაყოფილება საზიანო აღმოჩნდა საზოგადოებისათვის. თუ აქციონერი მიჩნეულ იქნა არასათანადო მოსარჩელედ ან სარჩელი არ დაკმაყოფილდა, აქციონერს ეკისრება საზოგადოების მიერ კეთილგონიერების ფარგლებში გაწეული იმ ხარჯების ანაზღაურება, რომლებიც წარმოიშვა აქციონერის მოთხოვნასთან დაკავშირებით.

მუხლი 5. აქციათა გამოსყიდვა

1. აქციონერს უფლება აქვს „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით საზოგადოებას მოსთხოვოს თავისი აქციების შეფასება და გამოსყიდვა, თუ მან საერთო კრებაზე მხარი არ დაუჭირა ისეთ გადაწყვეტილებას, რომელიც არსებითად ლახავს აქციონერის უფლებებს, ან ეხება საზოგადოების რეორგანიზაციას.

2. აქციათა გამოსყიდვის თაობაზე გადაწყვეტილების მისაღებად საერთო კრების მოწვევის შესახებ შეტყობინებაში დეტალურად უნდა აღწეროს გადასაწყვეტი საკითხი, მასთან დაკავშირებული გამოსყიდვის მოთხოვნის უფლება და მისი განხორციელების წესი.

3. აქციათა გამოსყიდვის თაობაზე გადაწყვეტილების მიღებიდან 45 დღის ვადაში აქციონერს უფლება აქვს საზოგადოებას მოსთხოვოს თავისი აქციების გამოსყიდვა.

4. აქციონერს უფლება არა აქვს საზოგადოებას მოსთხოვოს აქციათა გამოსყიდვა, თუ:

- სრულად არა აქვს შეტანილი ამ აქციების შესაბამისი შესატანი;
- აქციები შეიძინა ამ მუხლის მეორე პუნქტით გათვალისწინებული შეტყობინების დაგზავნის შემდეგ.

5. აქცია გამოსყიდული უნდა იქნეს მისი საბაზრო ღირებულებით, რომელიც ჩამოყალიბებული იყო ამ მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად განხორციელებული შეტყობინების წინა დღეს, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა აქციათა დაბალი ლიკვიდურობის გამო ან სხვა მიზეზებით კანონით დადგენილია აქციათა სამართლიანი ღირებულების განსაზღვრის სხვა წესი. ასეთი წესის გამოყენებისას სამეთვალყურეო საბჭომ სათანადოდ უნდა დაასაბუთოს თავისი გადაწყვეტილება.

6. სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილება გამოსასყიდი აქციების რაოდენობისა და გამოსყიდვის ფასის შესახებ მიღებული უნდა იქნეს ამ მუხლის მე-3 პუნქტში მითითებული ვადის გასვლიდან 30 დღის განმავლობაში, ხოლო აქციების გამოსყიდვის თანხა გადახდილი უნდა იქნეს გადაწყვეტილების მიღებიდან არა უგვიანეს 30 დღისა.

7. აქციონერს, რომელიც არ ეთანხმება სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრულ გამოსყიდვის პირობებს, უფლება აქვს, მიმართოს სასამართლოს ამ გადაწყვეტილების შეტყობინებიდან 14 დღის განმავლობაში.

კვა ცენცეოპი

8. აქციათა გამოსყიდვა არ დაიშვება თუ:

- აქციების გამოსყიდვისათვის გადასახდელი თანხა აღემატება საკუთარი კაპიტალის 25%-ს.
- გამოსყიდვის მომენტში საზოგადოება აკმაყოფილებს „გადახდისუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილ პირობებს, ან ასეთი პირობები შეიძლება წარმოიშვას აქციათა გამოსყიდვის შედეგად.

9. თუ გამოსასყიდად შემოთავაზებულია იმაზე მეტი აქცია, ვიდრე ეს დაშვებულია ამ მუხლის მე-8 პუნქტით, ისინი გამოსყიდულ უნდა იქნენ სხვადასხვა გამყიდველთაგან პროპორციულ საფუძველზე.

10. საზოგადოებას უფლება აქვს, შეიძინოს საკუთარი განთავსებული აქციები (სახაზინო აქციები) და შემდგომში გაასხვისოს საკუთარი შეხედულებისამებრ. სახაზინო აქციების რაოდენობა არც ერთ მომენტში არ უნდა აღემატებოდეს განთავსებული აქციების 25%. ხმის დათვლის, დივიდენდის განაწილების, ლიკვიდაციის დროს და აქციების ფლობიდან გამომდინარე სხვა უფლებების რეალიზაციის მიზნებისთვის (შემთხვევებში) საზოგადოების მფლობელობაში არსებული სახაზინო და შვილობილი საწარმოს კუთვნილი აქციები მხედველობაში არ მიიღება.

მუხლი 6. საზოგადოების ორგანოები

საზოგადოების მართვის ორგანოებია:

- საერთო კრება;
- სამეთვალყურეო საბჭო;
- დირექტორები.

მუხლი 7. საერთო კრება

1. ყოველწლიურად, წლიური ბალანსის შედგენიდან ორი თვის ვადაში, ტარდება მორიგი საერთო კრება, რომელზეც განიხილება წლიური შედეგები და დღის წესრიგით გათვალისწინებული სხვა შესაძლო საკითხები. სხვა შემთხვევაში ტარდება რიგგარეშე საერთო კრება გენერალური დირექტორის, ან სამეთვალყურეო საბჭოს ან საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ სხვა შემთხვევებში აქციონერთა მოთხოვნით.

2. სამეთვალყურეო საბჭო ადგენს საერთო კრების სააღრიცხვო დღეს, რომელიც არ შეიძლება იყოს კრების მოწვევამდე 45 დღეზე ადრე და კრების მოწვევის გამოცხადების თარიღზე გვიან.

3. საერთო კრების მოწვევა არ არის აუცილებელი, თუ ხმების 75%-ზე მეტის მფლობელი აქციონერი მიიღებს გადაწყვეტილებას განსახილველ საკითხთან დაკავშირებით. ეს გადაწყვეტილება კრების ოქმის ტოლფასია და ითვლება კრების გადაწყვეტილებად. ამ შემთხვევაში დანარჩენ აქციონერებს ეგზავნებათ შეტყობინება მიღებული გადაწყვეტილების შესახებ. თუ ამ პუნქტში აღნიშნულ აქციათა რაოდენობას ფლობს ერთ აქციონერზე მეტი, აქციონერთა საერთო კრების ჩატარება სავალდებულოა.

4. საერთო კრება მოიწვევა საზოგადოების იურიდიულ მისამართზე ან საქართველოს ტერიტორიის ნებისმიერ სხვა ადგილზე გენერალური დირექტორის მიერ კრების მოწვევის შეტყობინების შესახებ საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ბეჭდვით ორგანოში გამოქვეყნებიდან ან აქციონერთათვის მოსაწვევის გაგზავნიდან ოცი დღის შემდეგ. კრების მოწვევის შესახებ შეტყობინებასთან ერთად უნდა გამოქვეყნდეს დღის წესრიგი და გენერალური დირექტორის და სამეთვალყურეო საბჭოს რეკომენდაციები გადაწყვეტილებების მისაღებად.

ვაა ცენსეობაძე

5. საზოგადოების აქციათა არანაკლებ 1%-ის მფლობელებს საერთო კრებაზე მოსაწვევი ეგზავნებათ დაზღვეული წერილით.

6. საერთო კრებაში მონაწილეობის უფლება აქვთ მხოლოდ იმ აქციონერებს, რომლებსაც აქციაზე საკუთრების უფლება აქვთ სააღრიცხვო დღისათვის.

7. საერთო კრების ჩატარებამდე ათი დღის განმავლობაში აქციონერს შეუძლია შეამოწმოს კრებაში თავისი მონაწილეობის უფლება და წინასწარ მიიღოს კრებაში მონაწილეობის უფლებისა და მის განკარგულებაში არსებული ხმათა რაოდენობის დასტური. უფლებამოსილების შემოწმების პროცედურის აღწერა თან დაერთვის კრების მოწვევის შეტყობინებას.

8. აქციონერი ან მისი წარმომადგენელი კრების მუშაობაში მონაწილეობას იღებს პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის და კრებაზე წარმოდგენილ აქციათა რეესტრის მონაცემების საფუძველზე.

9. საერთო კრება გადაწყვეტილებაუნარიანია, თუ მასზე მონაწილეობს ან წარმოდგენილია საზოგადოების ხმის უფლების მქონე აქციების ნახევარზე მეტის მფლობელი აქციონერები (აქციონერი). თუ საერთო კრება არ არის გადაწყვეტილებაუნარიანი, მაშინ თავმჯდომარის მიერ განსაზღვრულ ვადაში, იმავე დღის წესრიგითა და ამ მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრული წესით მოიწვევა ახალი კრება, რომელიც გადაწყვეტილებაუნარიანია თუ მასში მონაწილეობენ ან წარმოდგენილია საზოგადოების ხმის უფლების მქონე აქციების არანაკლებ 25%-ის მფლობელი აქციონერები (აქციონერი).

თუ საერთო კრება კვლავ არ არის გადაწყვეტილებაუნარიანი, მაშინ თავმჯდომარის მიერ განსაზღვრულ ვადაში იმავე დღის წესრიგითა და ამ მუხლი მე-4 პუნქტით განსაზღვრული წესით მოიწვევა ახალი კრება, რომელიც გადაწყვეტილებაუნარიანია გამოცხადებული ან წარმოდგენილი ხმის მქონე აქციონერების (აქციონერის) რაოდენობის მიუხედავად.

10. აქციონერი კრებაზე შეიძლება წარმოდგენილი იყოს წარმომადგენლის მიერ, წერილობითი მინდობილობის საფუძველზე. ხმის უფლებაც შეიძლება განხორციელებული იქნას წარმომადგენლის მეშვეობით.

11. საერთო კრების მუშაობას ხელმძღვანელობს სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე, მისი არყოფნისას – მოადგილე, მოადგილის არყოფნისას კი – გენერალური დირექტორი. მათი არყოფნისას კრების თავმჯდომარეს ხმათა უბრალო უმრავლესობით ირჩევენ საერთო კრება.

მუხლი 8. საერთო კრების კომპეტენცია

1. საერთო კრება უფლებამოსილია:

- მიიღოს ცვლილებები საზოგადოების წესდებაში;
- მიიღოს გადაწყვეტილება საზოგადოების რეორგანიზაციის ან ლიკვიდაციის შესახებ;
- მიიღოს გადაწყვეტილება საზოგადოების საწესდებო კაპიტალის გაზრდისა და დამატებითი აქციების გამოშვების, პრივილიგირებული აქციებისა თუ აქციებში კონვერტირებადი სხვა ფასიანი ქაღალდების გამოშვების შესახებ;
- მთლიანად ან ნაწილობრივ გააუქმოს აქციონერის მიერ ფასიანი ქაღალდების უპირატესი შესყიდვის უფლება (ფასიანი ქაღალდების გამოშვების გზით კაპიტალის გაზრდის შემთხვევაში);
- მიიღოს ან უარყოს გენერალური დირექტორის ან სამეთვალყურეო საბჭოს წინადადება მოგების გამოყენების შესახებ, ან როცა ეს ორგანოები ვერ იძლევიან წინადადებას, მიიღოს გადაწყვეტილება წმინდა მოგების გამოყენების შესახებ;

ვაა ცენსეორაძე

- აირჩიოს სამეთვალყურეო საბჭოს წევრები ან გამოიწვიოს/გაათავისუფლოს ისინი სამეთვალყურეო საბჭოდან; (აღნიშნული წარმოადგენს მხოლოდ (A) და (AA) კლასის აქციონერ(ებ)ის ექსკლუზიურ უფლებამოსილებას)
- დაამტკიცოს გენერალური დირექტორის და სამეთვალყურეო საბჭოს ანგარიშები;
- აირჩიოს აუდიტორი;
- მიიღოს გადაწყვეტილებები სამეთვალყურეო საბჭოსა და დირექტორების წინააღმდეგ სასამართლო პროცესში მონაწილეობის შესახებ, ამ პროცესისათვის წარმომადგენლის დანიშვნის ჩათვლით;
- მიიღოს გადაწყვეტილებები საზოგადოების ქონების შექმნის, გასხვისების (ან ერთმანეთთან დაკავშირებული ასეთი გარიგებების) ან დატვირთვის შესახებ, რომელთა ღირებულება შეადგენს ან აღემატება საზოგადოების აქტივების ღირებულების ნახევარს, გარდა ისეთი გარიგებებისა, რომლებიც წარმოადგენს ჩვეულებრივ სამეწარმეო საქმიანობას.

2. საერთო კრებაზე გადაწყვეტილებები მიიღება საზოგადოების ხმის უფლების მქონე აქციების არანაკლებ 51%-ის მფლობელი აქციონერების თანხმობით.

3. საზოგადოების რეორგანიზაციის ან ლიკვიდაციის შესახებ გადაწყვეტილების მისაღებად საჭიროა საზოგადოების აქციათა რეესტრში რეგისტრირებული აქციების 2/3-ის მქონე აქციონერთა თანხმობა. საზოგადოების აქციათა რეესტრში რეგისტრირებული აქციების 2/3-ის მქონე აქციონერთა თანხმობა აგრეთვე საჭიროა წესდების ამ კონკრეტულ პუნქტში ცვლილების შესატანად.

4. ყველა სხვა საკითხზე გადაწყვეტილებებს თავიანთი უფლებამოსილების ფარგლებში იღებენ სამეთვალყურეო საბჭო და დირექტორები.

მუხლი 9. სამეთვალყურეო საბჭო

1. სამეთვალყურეო საბჭო შედგება არანაკლებ სამი წევრისაგან.

2. სამეთვალყურეო საბჭოს ყოველ წევრს საერთო კრება ირჩევს 1 (ერთი) წლის ვადით. სამეთვალყურეო საბჭოს წევრს უფლებამოსილება უგრძელდება ვადის გასვლის შემდეგ მორიგი საერთო კრების მოწვევამდე. ამასთანავე ერთი და იმავე პირის განმეორებით არჩევა შეუზღუდავია. ვადამდე გადარჩევა შესაძლებელია საერთო კრების მიერ ნებისმიერ დროს. ყოველ წევრს შეუძლია ნებისმიერ დროს გადადგეს. თუ წევრის გასვლიდან 6 თვის განმავლობაში არ აირჩა სამეთვალყურეო საბჭოს ახალი წევრი, მაშინ სასამართლოს საზოგადოების იურიდიული მისამართის მიხედვით შეუძლია ერთ-ერთი აქციონერის ან სამეთვალყურეო საბჭოს განაცხადით დანიშნოს ახალი წევრი.

3. სამეთვალყურეო საბჭოს წევრი შეიძლება იყოს ნებისმიერი პირი, რომელიც აკმაყოფილებს „დაზღვევის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად განსაზღვრულ შესაბამისობის კრიტერიუმებს.

4. სამეთვალყურეო საბჭო თავისი შემადგენლობიდან ირჩევს თავმჯდომარეს და მოადგილეს. თუ გადაწყვეტილება ვერ იქნა მიღებული, მაშინ უნდა გაიმართოს ფარული კენჭისყრა. თუ კანდიდატები ხმების თანაბარ რაოდენობას მიიღებენ, მათ შორის უხუცესი დაინიშნება თავმჯდომარედ.

5. თავმჯდომარე (მისი არყოფნისას – მისი მოადგილე) იწვევს სხდომებს, განსაზღვრავს დღის წესრიგს. ოქმს ადგენს თავმჯდომარე ან სხდომის მდივანი.

ვაა ცენსეორადე

6. სამეთვალყურეო საბჭოს სხდომები ტარდება კვარტალში ერთხელ მაინც. მოწვევა უნდა გაკეთდეს წერილობით (მათ შორის ელექტრონული ფოსტით გაგზავნილი შესაბამისი შეტყობინება), სულ ცოტა 8 დღით ადრე, სავარაუდო დღის წესრიგით. სამეთვალყურეო საბჭოს სხდომაზე სამეთვალყურეო საბჭოს წევრები შეიძლება სხვა წევრებით იყვნენ წარმოდგენილი, ოღონდ ერთი წევრი – ერთი სხვა წევრით.

7. სამეთვალყურეო საბჭოს სხდომა შესაძლოა ჩატარდეს სატელეფონო ან ვიდეო კონფერენციის საშუალებების გამოყენებით.

8. სამეთვალყურეო საბჭო გადაწყვეტილებაუნარიანია, თუ მას ესწრება წევრთა 2/3. თუ სამეთვალყურეო საბჭო არ არის გადაწყვეტილებაუნარიანი, თავმჯდომარეს (მისი არყოფნისას – მის მოადგილეს) შეუძლია არა უგვიანეს 8 დღისა მოიწვიოს ახალი სხდომა, რომელიც გადაწყვეტილებაუნარიანი იქნება, თუ მას ესწრება წევრთა სულ მცირე ნახევარი. თუ სამეთვალყურეო საბჭო კვლავ არ არის გადაწყვეტილებაუნარიანი, მაშინ სამეთვალყურეო საბჭოს უწყდება უფლებამოსილება და თავმჯდომარე (მისი არყოფნისას – მისი მოადგილე) იწვევს საერთო კრებას.

9. სამეთვალყურეო საბჭო იღებს გადაწყვეტილებებს წევრების 2/3-ით.

მუხლი 10. სამეთვალყურეო საბჭოს კომპეტენცია

1. სამეთვალყურეო საბჭოს ამოცანები და კომპეტენციებია:

- კონტროლს უწევს დირექტორების საქმიანობას;
- ნებისმიერ დროს შეუძლია მოითხოვოს დირექტორებისაგან საზოგადოების საქმიანობის ანგარიში;
- შეუძლია გააკონტროლოს და შეამოწმოს საზოგადოების ფინანსური დოკუმენტაცია, ასევე ქონებრივი ობიექტები, კერძოდ, საზოგადოების სალარო და ფასიანი ქაღალდებისა და საქონლის მდგომარეობა; მას შეუძლია ეს დაავალოს ცალკეულ წევრებს ან განსაზღვრულ ექსპერტებს;
- იწვევს საერთო კრებას, თუ ამას საზოგადოების აუცილებლობა მოითხოვს;
- ამოწმებს წლიურ ანგარიშებს, მოგების განაწილების წინადადებას და ამის თაობაზე მოახსენებს საერთო კრებას;
- ნიშნავს გენერალურ დირექტორს და დირექტორებს, ასევე, საქირებისამებრ, მათთან დებს და წყვეტს ხელშეკრულებებს.

2. მხოლოდ სამეთვალყურეო საბჭოს თანხმობით შეიძლება განხორციელდეს შემდეგი საქმიანობა:

- საწარმოს 50%-ზე მეტი წილის შეძენა და გასხვისება;
- ფილიალების დაარსება და ლიკვიდაცია;
- წლიური ბიუჯეტისა და გრძელვადიანი ვალდებულებების მიღება;
- ვალდებულებათა აღება და უზრუნველყოფა, რომლებიც აღემატება სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დადგენილ ოდენობას; დაუშვებელია სამეთვალყურეო საბჭოს წევრებისა და დირექტორების ვალდებულებათა უზრუნველყოფა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ამის თაობაზე გადაწყვეტილება მიღებულია საერთო კრების მიერ;
- დირექტორების უფლებამოსილების ფარგლების დადგენა;
- ახალი სახის ეკონომიკური საქმიანობის დაწყება ან არსებული სახის საქმიანობის შეწყვეტა;
- სამეურნეო პოლიტიკის ზოგადი პრინციპების დადგენა;
- სავაჭრო წარმომადგენლების (პროკურისტების) დანიშვნა და გამოწვევა;
- საზოგადოების აქციებისა და სხვა ფასიანი ქაღალდების საფონდო ბირჟაზე სავაჭროდ დაშვების შესახებ გადაწყვეტილების მიღება;

- ხელმძღვანელი პირებისათვის მოგებასა და მსგავს ურთიერთობებში მონაწილეობის განსაზღვრა, მათი საკენსიო უზრუნველყოფის პრინციპების დადგენა და საერთო კრებისთვის დასამტკიცებლად წარდგენა;
- საზოგადოების ქონების შეძენის ან გასხვისების (ან ერთმანეთთან დაკავშირებული ასეთი გარიგებების) შესახებ გადაწყვეტილებების მიღება, რომელთა ღირებულება აღემატება სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დადგენილ ოდენობას;
- იმ საკითხზე გადაწყვეტილების მიღება, რომელიც კანონით არ განეკუთვნება საერთო კრებისა და დირექტორების კომპეტენციას.

მუხლი 11. დირექტორები.

1. სამეთვალყურეო საბჭოს სხდომებს შორის პერიოდში საზოგადოების საქმიანობას წარმართავენ დირექტორები.
2. საზოგადოების დირექტორი შეიძლება იყოს ნებისმიერი პირი, რომელიც აკმაყოფილებს „დაზღვევის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად განსაზღვრულ შესაბამისობის კრიტერიუმებს.
3. საზოგადოებას ჰყავს 3 (სამი) დირექტორი, რომლებიც ცალ-ცალკე, ერთმანეთისგან დამოუკიდებლად წარმოადგენენ საზოგადოებას წინამდებარე წესდებით გათვალისწინებული კომპეტენციის ფარგლებში, ამავე წესდებით განსაზღვრული შეზღუდვების გათვალისწინებით.
4. დირექტორების უფლებამოსილების ვადა განისაზღვრება შემდეგნაირად: გენერალური დირექტორის უფლებამოსილების ვადაა 4 (ოთხი) წელი, ხოლო ფინანსური დირექტორისა და გაყიდვების დირექტორის უფლებამოსილების ვადა შეადგენს 1 (ერთი) წელს. ამასთანავე დირექტორების განმეორებით დანიშვნა შეუზღუდავია.
5. საზოგადოების გენერალური დირექტორი საზოგადოების მთავარი აღმასრულებელი პირია. საზოგადოების გენერალურ დირექტორს აქვს სრული ხელმძღვანელობითი და წარმომადგენლობითი უფლებამოსილება.
6. გენერალური დირექტორის უფლებამოსილება მოიცავს ყველა ფუნქციას გარდა იმისა, რომელიც ამ წესდების შესაბამისად მხოლოდ საერთო კრებასა და/ან სამეთვალყურეო საბჭოს კომპეტენციას მიეკუთვნება;

7. გენერალური დირექტორის კომპეტენციას განეკუთვნება:

- 7.1.1. საზოგადოების საერთო ადმინისტრაციული, ტექნიკური და ოპერატიული ხელმძღვანელობა;
- 7.1.2. საზოგადოების ინტერესების წარმოდგენა მესამე პირებთან ურთიერთობებში თავისი უფლებამოსილების ფარგლებში;
- 7.1.3. საერთო კრებისა და სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილებათა შესრულება და მათზე კონტროლი;
- 7.1.4. საზოგადოების მიმდინარე და პერსპექტიული გეგმებისა და პროგრამების შესრულების უზრუნველყოფა;
- 7.1.5. საზოგადოების ქონების მართვა, მისი ფულადი და სალიკვიდაციო სახსრების ჩათვლით სამეთვალყურეო საბჭოს მიერ განსაზღვრული უფლებამოსილების ფარგლებში;
- 7.1.6. კონტროლი საზოგადოების საბუღალტრო აღრიცხვასა და საფინანსო საქმიანობაზე;
- 7.1.7. საზოგადოების სახელით საბანკო ანგარიშების გახსნა და დახურვა, საზოგადოების ნებისმიერ ვალუტაში არსებული დეპოზიტების/ანაზრის ხელშეკრულებების გაფორმება/გაუქმება და შესაბამისი სახის ცვლილებების შეტანა (მათ შორის მოქმედების ვადის გაგრძელება);
- 7.1.8. საზოგადოების თანამშრომლების სამუშაოზე მიღება და განთავისუფლება, მათთან შრომითი ხელშეკრულებების დადება და შეწყვეტა;
- 7.1.9. სამეთვალყურეო საბჭოს მიერ მასზე დაკისრებული სხვა ფუნქციების შესრულება.
- 7.1.10. დაზღვევის (გადაზღვევის) ხელშეკრულებების გაფორმება, საბანკო გარანტიის გაცემა, იპოთეკის, გირავნობის და თავდებობის ხელშეკრულებების დადება.
- 7.1.11. წერილობითი მინდობილობების გაცემა სხვა პირებზე საზოგადოების წარმოდგენის მიზნით;
- 7.1.12. გადაწყვეტილების მიღება ყველა იმ საკითხზე, რომლებიც კანონით და ამ წესდებით არ განეკუთვნება საერთო კრების ან სამეთვალყურეო საბჭოს კომპეტენციას.

8. საზოგადოების ფინანსური დირექტორი წარმართავს საზოგადოების ფინანსურ საქმიანობას და წარმოადგენს საზოგადოებას საბანკო და ფინანსურ ინსტიტუტებთან ურთიერთობაში, თუ „საზოგადოების“ სახელით განსახორციელებელი გარიგების/ტრანზაქციის ღირებულება არ აღემატება 10,000 (ათი ათასი) აშშ დოლარს ან მის ექვივალენტს სხვა ვალუტაში.

9. ფინანსური დირექტორის კომპეტენციას განეკუთვნება:

- 9.1.1. საზოგადოებაში ერთიან სტანდარტებთან შესაბამისი ფინანსური აღრიცხვის სისტემის წარმოება;
 - 9.1.2. საზოგადოების სააღრიცხვო პოლიტიკის ფორმირებასა და შესრულებაზე ზედამხედველობის უზრუნველყოფა;
 - 9.1.3. გადასახადებისა და მოსაკრებლების სრულად და დადგენილ ვადებში გადახდის უზრუნველყოფა;
 - 9.1.4. ძირითად საშუალებათა ინვენტარიზაციის პროცესისა და ფიზიკურად და მორალურად გაცვეთილი ძირითადი საშუალებების ჩამოწერის უზრუნველყოფა;
 - 9.1.5. აუდიტისათვის სათანადო ინფორმაციისა და ასევე საგადასახადო სამსახურის შემოწმების განსახორციელებლად საჭირო ინფორმაციის დამუშავების უზრუნველყოფა;
 - 9.1.6. საზოგადოების მატერიალურ ფასეულობათა აღრიცხვისა და კონტროლის განხორციელება;
 - 9.1.7. მიმდინარე ფინანსური ოპერაციების მოქმედი საკანონმდებლო და ნორმატიული ბაზის საფუძველზე განხორციელება;
 - 9.1.8. დოკუმენტური აღრიცხვიანობისა და კონტროლის (დოკუმენტების მიმოქცევის სისტემის რეგულირება) უზრუნველყოფა;
 - 9.1.9. საფინანსო დეპარტამენტის მუშაობის ორგანიზება; საფინანსო დეპარტამენტის თანამშრომელთა მიერ კანონმდებლობის, საზოგადოების წესდების, შინაგანაწესის, შიდა ნორმატიული აქტების მოთხოვნათა დაცვის უზრუნველყოფა.
- 9.2 ფინანსური დირექტორი უფლებამოსილია წარმოადგინოს საზოგადოება დამოუკიდებლად, წინამდებარე წესდებით გათვალისწინებული კომპეტენციის ფარგლებში, ამავე წესდებით განსაზღვრული შეზღუდვების გათვალისწინებით.

10. გაყიდვების დირექტორი წარმართავს საზოგადოების გაყიდვების დეპარტამენტის საქმიანობას და წარმოადგენს საზოგადოებას დაზღვევის პროდუქტების რელიზაციის სფეროში თუ „საზოგადოების“ სახელით გასაფორმებელი გარიგების თანხა (დაზღვევის ხელშეკრულებით გათვალისწინებული სადაზღვევო თანხის ოდენობა) არ აღემატება 10,000 (ათი ათასი) აშშ დოლარს ან მის ექვივალენტს სხვა ვალუტაში.

11. გაყიდვების დირექტორის კომპეტენციას განეკუთვნება:

- 11.1. დაზღვევის პროდუქტების რელიზაციის განხორციელება;
 - 11.1.2. ბაზრის მოთხოვნილებებიდან გამომდინარე, ახალი პროდუქტების შექმნასთან დაკავშირებული ინიციატივების გამოჩენა;
 - 11.1.3. ახალი პროდუქტების ქსელში დანერგვის უზრუნველყოფა;
 - 11.1.4. ორგანიზაციაში და კერძო პირებთან მუშაობისას საზოგადოების იმიჯის დაცვასა და მომსახურების სტანდარტების უზრუნველყოფაზე პასუხისმგებლობა;
 - 11.1.5. გაყიდვების შემდგომი სერვისის უზრუნველყოფა, რაც გულისხმობს შემდეგს:
 - სადაზღვევო ხელშეკრულების შესაბამისად პოლისის გაცემა;
 - დავალიანებების ამოღება, უიმედო ვალების ჩამოწერა;
 - ხელშეკრულებების შეჩერება, შეწყვეტა, შეცვლა, განახლება და ამასთან დაკავშირებული საქმიანი მიმოწერის წარმოება კლიენტებთან.
 - 11.1.6. სადაზღვევო აგენტების საქმიანობაზე კოორდინაციისა და ხელმძღვანელობის გაწევა;
 - 11.1.7. საზოგადოების გაყიდვების წლიური გეგმის მომზადებისა და გეგმის დამტკიცების შემდგომ მისი შესრულების უზრუნველყოფა;
 - 11.1.8. სადაზღვევო პოლისების მოძრაობაზე მკაცრი კონტროლის უზრუნველყოფა;
- 11.2. გაყიდვების დირექტორი უფლებამოსილია წარმოადგინოს საზოგადოება დამოუკიდებლად, წინამდებარე წესდებით გათვალისწინებული კომპეტენციის ფარგლებში, ამავე წესდებით განსაზღვრული შეზღუდვების გათვალისწინებით.

12. დირექტორები ანგარიშვალდებულნი არიან სამეთვალყურეო საბჭოს წინაშე.

13. დირექტორებმა კეთილსინდისიერად და გულმოდგინედ უნდა შეასრულონ დაკისრებული ამოცანები. თუ ისინი არ შეასრულებენ თავის მოვალეობას, ვალდებულნი იქნებიან აუნაზღაურონ საზოგადოებას მიყენებული ზარალი.

მუხლი 12. წლიური ანგარიში და მოგების გამოყენება

1. გენერალური დირექტორი ადგენს წლიურ ანგარიშს და ანგარიშს სამეურნეო მდგომარეობის, ასევე წმინდა მოგების განაწილების წინადადებას სამეთვალყურეო საბჭოსთვის წარსადგენად. მოწონებულ წინადადებას სამეთვალყურეო საბჭო დასამტკიცებლად წარუდგენს საერთო კრებას.

თუ გენერალური დირექტორი და სამეთვალყურეო საბჭო ვერ შეთანხმდებიან წმინდა მოგების განაწილებაზე, მაშინ მათ წმინდა მოგების განაწილების ორივე წინადადება უნდა აცნობონ საერთო კრებას. საერთო კრების გადაწყვეტილებით შეიძლება მთელი წმინდა მოგება დარჩეს საწარმოში და გათვალისწინებულ იქნეს ახალი ანგარიშის დროს.

2. თუ წლიური შედეგების მიხედვით საზოგადოების წლიური შემოსავლები არასაკმარისია ხარჯების დასაფარად, საზოგადოებამ უნდა განაცხადოს ზარალის თაობაზე. აღნიშნული ზარალი გადაიხდება საზოგადოების ფონდებიდან და გაუნაწილებელი შემოსავლებიდან. თუ აღნიშნული ფონდები და გაუნაწილებელი შემოსავლები არასაკმარისია, ზარალი გადაიტანება შემდგომი ფინანსური წლისათვის.

3. არ შეიძლება აქციონერებს მიეცეთ სხვა საზღაური, გარდა საზოგადოების დივიდენდებისა. ამ წესის დარღვევის შემთხვევაში აქციონერი, რომელმაც ეს საზღაური მიიღო, ვალდებულია უკან დააბრუნოს იგი ან ფულადი სახით აანაზღაუროს წარმოშობილი ქონებრივი ზარალი. გენერალური დირექტორი და სამეთვალყურეო საბჭო ამ პრინციპის დარღვევისათვის საზოგადოების წინაშე პასუხს აგებენ სოლიდარულად. მთელი თავისი ქონებით, პირდაპირ და უშუალოდ. საერთო კრებას არ შეუძლია უარი თქვას ამ უფლების გამოყენებაზე. ეს უფლება შეიძლება გამოიყენონ საზოგადოების კრედიტორებმა, თუ საზოგადოებისაგან არ მიუღიათ თავიანთი მოთხოვნების კომპენსაცია.

4. აქციონერს შეუძლია სახელშეკრულებო ურთიერთობა ჰქონდეს საზოგადოებასთან და მიიღოს მისგან საზღაური, რომელიც არ წარმოადგენს დივიდენდს.

მუხლი 13. საზოგადოების ლიკვიდაცია/რეორგანიზაცია

1. საზოგადოების ლიკვიდაცია/რეორგანიზაცია ხორციელდება საერთო კრების გადაწყვეტილებით, რის შემდეგაც იწყება კრედიტორთა დაკმაყოფილების პროცესი.

2. საზოგადოების ლიკვიდაცას ახორციელებს გენერალური დირექტორი ან სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დანიშნული ლიკვიდატორი.

3. პარტნიორთა გადაწყვეტილება საწარმოს ლიკვიდაციის პროცესის დაწყების შესახებ უნდა დარეგისტრირდეს მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში. ლიკვიდაციის პროცესი დაწყებულად ითვლება მისი რეგისტრაციის მომენტიდან.

4. საზოგადოების ლიკვიდაცია/რეორგანიზაცია ხორციელდება "მეწარმეთა შესახებ" და „დაზღვევის შესახებ“ საქართველოს კანონებით დადგენილი წესის შესაბამისად.

მუხლი 14. ქონების განაწილება

1. ქონება, რომელიც დარჩება კრედიტორების ყველა მოთხოვნის დაკმაყოფილებისა და თანხების დეკონირების შემდეგ, ნაწილდება ქონების განაწილების გეგმის შესაბამისად საზოგადოების აქციონერებს შორის.

2. დარჩენილი ქონება ნაწილდება წილთა პროპორციულად.

3. ქონება ნაწილდება კანონმდებლობით დადგენილ ვადაში.

4. აქციონერთა შორის ქონება შეიძლება განაწილდეს ნატურით, ან შეიძლება განაწილდეს ლიკვიდაციის შედეგად დარჩენილი ქონების რეალიზაციით მიღებული ფულადი თანხა; შესაძლოა, გამოყენებული იქნას ქონების განაწილების ორივე (შერეული – ფულად-ნატურალური) ფორმა. ამ საკითხზე გადაწყვეტილებას იღებს აქციონერთა კრება საზოგადოების საქმიანობის შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას.

5. თუ საზოგადოების ქონების განაწილებისას წარმოიშობა დავა აქციონერებს შორის, ლიკვიდატორი ვალდებულია შეწყვიტოს ქონების განაწილება დავის კანონიერად გადაწყვეტამდე.

მუხლი 15. დავების გადაწყვეტის წესი

საზოგადოების აქციონერებს შორის საზოგადოების საქმიანობასთან დაკავშირებით წარმოშობილი ნებისმიერი დავა წყდება საქართველოს სასამართლოების მიერ გარდა იმ შემთხვევებისა, თუ მხარეები არ შეთანხმდებიან დავის არბიტრაჟით გადაწყვეტის შესახებ.


მუხლი 16. კონკურენციის აკრძალვა

არცერთმა აქციონერმა, პირდაპირ ან არაპირდაპირ, არ უნდა გაუწიოს კონკურენცია საზოგადოების ბიზნეს საქმიანობას მანამ, სანამ ამგვარი მხარე არის საზოგადოების აქციონერი, გარდა საჯარო ვაჭრობის კომპანიებში პასიური ინვესტიციების განხორციელებისა, რომელთა ოდენობაც არ აჭარბებს ამგვარი კომპანიების კაპიტალის 5%-ს. ზემოხსენებული შეზღუდვა ვრცელდება საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ, ნებისმიერ ტერიტორიაზე, სადაც საზოგადოება აწარმოებს თავის სამეწარმეო საქმიანობას, თორმეტი თვის მანძილზე იმ თარიღამდე, როდესაც ამგვარმა მხარემ შეწყვიტა აქციათა ფლობა.

მუხლი 17. დასკვნითი დებულებები

1. წინამდებარე წესდება ძალაში შედის შესაბამის მარეგისტრირებულ ორგანოში რეგისტრაციის დღიდან.
2. ყველა დამატება და ცვლილება წესდებაში საჭიროებს აქციონერთა საერთო კრების გადაწყვეტილებას.
3. თუ ამ წესდების რომელიმე დებულება ბათილად იქნა ცნობილი, მიუხედავად ბათილობის საფუძვლისა, ეს არ გამოიწვევს მთელი წესდების ბათილობას.
4. წინამდებარე წესდება შესასრულებლად სავალდებულოა საზოგადოების აქციონერებისათვის, მათი კანონიერი წარმომადგენლების, უფლებამონაცვლეებისა და ნებადართული ცესიონერებისათვის.
5. წინამდებარე წესდებასა და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის იმპერატიულ ნორმებს შორის შეუსაბამობის შემთხვევაში, უპირატესობა მიენიჭებათ მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ წესებს. ამ წესდების რომელიმე დათქმ(ებ)ის ბათილობა არ იქონიებს გავლენას წესდების სხვა დებულებ(ებ)ის ნამდვილობაზე.
6. წინამდებარე წესდება შედგენილია 7 (შვიდი) ეგზემპლარად ქართულ ენაზე.

გენერალური დირექტორი

გა ცენტურაძე 

ნოტარიუსი

სანოტარო მოქმედების
რეგისტრაციის ნომერი

N200211406



სანოტარო მოქმედების
რეგისტრაციის თარიღი

27.02.2020 წ

სანოტარო მოქმედების დასახელება **ხელმოწერის ნამდვილობის დამოწმება**
ნოტარიუსი **ანა ქაჯაია**

სანოტარო ბიუროს მისამართი

**ქალაქი თბილისი , ქუჩა აფაქიძე , N 11, სადარბაზო 3,
სართული 6, ბინა N132**

სანოტარო ბიუროს ტელეფონი

591 70 66 90

სანოტარო მოქმედების
ინდივიდუალური ნომერი

42715579917220



საქართველო

ორი ათას ოცი წლის ოცდაშვიდ თებერვალს, მე, ანა ქაჯაიას საქართველოს ნოტარიუსს, ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: ქალაქი თბილისი , ქუჩა აფაქიძე , N 11, სადარბაზო 3, სართული 6, ბინა N132: მომმართა ეკა ცენტერაძემ, მან მოითხოვა მისი ხელმოწერის სინამდვილის სანოტარო წესით დამოწმება (სააქციო საზოგადოება „გრინ დაზღვევა საქართველო“ წ ე ს დ ე ბ ა (ახალი რედაქცია) 2020).

შესრულდა გასვლითი სანოტარო მოქმედება მისამართზე: ქ. თბილისი, ა. კალანდაძის ქ. #4 ; მე შევამოწმე მისი პირადობა წარმოდგენილი პირადობის მოწმობით და დავრწმუნდი, რომ მე ნამდვილად ეკა ცენტერაძემ (დაბადებული: 28.09.1980წ., პ.ნ 01006008925, პ.მ 13II39069, გაცემის თარიღი: 2015-03-25, გაცხადებული მისამართი: საქართველო, ქალაქი თბილისი, ს. ცინცაძის ქუჩა #26, ბლოკი #1, ბინა 7) მომმართა. მე შევამოწმე მის ქმედუნარიანობა, და დავრწმუნდი, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა.

განვუმარტე მას, რომ გარიგებაზე ან სხვა დოკუმენტზე ხელმოწერების დამოწმებისას, ნოტარიუსი ვალდებულია შეამოწმოს მხოლოდ მხარეთა (წარმომადგენელთა) პირადობა, ქმედუნარიანობა და დამოწმოს ხელმოწერა პირთა ხელმოწერების ნამდვილობა. ამასთან, ნოტარიუსს არ ეკისრება პასუხისმგებლობა კერძო აქტის კანონმდებლობასთან შეუსაბამობის, ან კერძო აქტში ხელმოწერის ნების არაადეკვატურად ასახვის გამო. აღნიშნული განმარტებების შემდეგ, წინამდებარე დოკუმენტს მან ჩემი თანდასწრებით მოაწერეს ხელი, რასაც ვამოწმებ.

წინამდებარე დოკუმენტი დამოწმებულია შვიდი ეგზემპლარად.

გადახდილია სანოტარო მოქმედების შესრულებისათვის განკუთვნილი საზღაური, საქართველოს მთავრობის 2011წ. 29 დეკემბრის #507 დადგენილებით დამტკიცებული - „სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობები, მათი გადახდევინების წესი და მომსახურების ვადები“-ს შესახებ 31.3 მუხლის შესაბამისად 168 (ასსამოცდარვა) ლარი და 34-ე მუხლის შესაბამისად - 20(ოცი) ლარი და 39 მუხლის შესაბამისად, სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის საფასური - 200 (ორი) ლარი.
ნოტარიუსი ანა ქაჯაია

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება-გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ-გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18





Handwritten signature
Handwritten text



Handwritten signature